თამაზ ჩხენკელი

პოეტი
მთარგმნელი
ესეისტი
მკვლევარი

თამაზ ჩხენკელი

თარგმანები

თვალსაწიერი

თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით

მადლობას ვუხდით „თიბისი ბანკს“ წიგნის
გამოცემაში გაწეული დახმარებისთვის

თამაზ ჩხენკელი
თარგმანები

თვალსანიერი

წიგნი გამოსაცემად მოამზადა **ნათია ჩხენკელმა**
ნახატი „ქალაქი“ გარეკანზე – **ლევან ლაღიძე**
ფოტო გარეკანის ჩანაკეცზე – **გია ჩხატარაშვილი**
დიზაინი და დაკაბადონება – **ლუკა გოცირიძე**

ჩანაკეცზე გამოყენებულია ტექსტი წიგნიდან
„ვინ ვინაა საქართველოში?“, 1998-99
„ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

UDC(უაკ) 821-92+316+572+821.353.1.09+2+1
თ-521

ISBN 978-9941-0-6142-4

წიგნი დაიბეჭდა შპს „პეტიტში“

© ყველა უფლება დაცულია
გვანცა ჩხენკელი, ნათია ჩხენკელი
თბილისი 2013

სარჩევი

წინათქმა (ზურაბ კიკნაძე) 7

■

უილიამ ჯეიმსი
მშვიდი გულმაგრობა 11
ვიქტორ კომაროვი
ანთროპული პრინციპი 17
ალბერტ აინშტაინი
ჩანაწერები 27
ხორხე ლუის ბორხესი
დრო 33
ლორენ აისლი
შეუპოვარი არსება 47
აბრაჰამ ჰეშელი
ვინ არის ადამიანი? 63
ერვინ შროდინგერი
დეტერმინიზმისა და ნებისყოფის თავისუფლებისათვის 73
კარლ დასპერსი
მომავლის პრობლემა 81
ნიკიტა მოისეევი
აკრძალული ზღვარის პრობლემა 99

■

მაქს ვებერი
მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია 109

პაველ კოპნინი
ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა ... 117
ვერნერ ჰაიზენბერგი
ენა ... 123
ოსიპ მანდელშტამი
სიტყვა და კულტურა ... 127
გამოხდომა ... 131
იუჯინ ნაიდა
თარგმნის ხელოვნებისათვის ... 137

■

ალექსეი ლოსევი
სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე ... 147
წინასწარდადგინებული ჰარმონიის ესთეტიკა ... 157
დუმილი ... 164
მორის ბოურა
„ვეფხისტყაოსანი“ ... 169
სერგო ქობულაძე
ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ ... 201

თამაზ ჩხენკელი
უჩინარი მთარგმნელები ... 220

■

მაქს იაკობსონი
ასდღიანი ომი ... 227

■

პერ ლაგერკვისტი
განთავისუფლებული ადამიანი ... 235

■

ბიბლიოგრაფია ... 240
საკუთარ სახელთა საძიებელი ... 245
მთარგმნელის შესახებ ... 265

■

წინათქმა

სტატიების წინამდებარე კრებული საკმაო სისრულით გამოხატავს თამაზ ჩხენკელის – პოეტის, მთარგმნელის, ესეისტის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევრის მრავალფეროვან ინტერესებს. ეს წერილები თარგმნილია მოცალეობის ჟამს, ინტენსიური ფიქრისა და შემოქმედების შუალედებში და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად მისი სულის გამოძახილია. რამდენად შორსაც უნდა ყოფილიყო მისი უშუალო პროფესიული და შემოქმედებითი ინტერესებისგან, ვთქვათ, თანამედროვე ფიზიკის პრობლემები, აქაც მისი სინდისი და მაძიებელი გონება ჰპოვებდა სულიერ-ინტელექტუალ საკვებს: ცოდნა არა ცოდნისთვის; ცნობისმოყვარეობა არა ცნობისმოყვარეობისთვის, არამედ ისევ და ისევ ყოფიერებაში არსებითის წვდომისთვის.

რა არის არსებითი? ეს არდასმული კითხვა მსჭვალავს ამ კრებულში დაბეჭდილ ნაწერებს, რომლებიც სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა წარმოშობის და მსოფლმხედველობის მწერლებს, სწავლულებს, ფილოსოფოსებს თუ თეოლოგებს ეკუთვნით. მათი ნააზრევი ცხადად თუ შეფარვით ამ არსებითს უტრიალებს. და ეს არსებითი, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანის არსება.

„ვინ არის ადამიანი?“ კითხულობს იუდაისტი თეოლოგი აბრაჰამ ჰეშელი. და თითქოს ამ კითხვის პასუხია ამერიკელი პოეტის, ესეისტის, ანთროპოლოგისა და ნატურალისტის ლორენ აისლის ესეს სათაური – „შეუპოვარი არსება“ (მთელ ნაწერად ღირს მისი ერთი შეკითხვა: „რომელმა ევოლუციამ გამოუმუშავა ადამიანს ადამიანური სიყვარული?“ ან: „როგორ შექმნა არსებობისათვის ბრძოლამ ცრემლი მოყვასის ნეშტზე?“).

აქ არის აინშტაინი თავისი „იდუმალების შეგრძნებით“, და ლორენცის მნიშვნელოვანი დებულების შეხსენებით — „შეუძლებელია ბოლომდე ჩაწვდე საგანთა არსს“, რომელიც ამ სახით გამოთქვამს ნიკოლას კუზელის წარუვალ ფორმულას „მცოდნე უცოდნელობის“ შესახებ, რომელსაც ფარდობითი თეორიის შემოქმედი სავსებით იზიარებდა. რა მოულოდნელიც უნდა იყოს ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლებისგან, აქ ავსტრიელი ფიზიკოსი ერვინ შროდინგერი ადამიანის ფენომენის უმნიშვნელოვანეს ასპექტზე – მისი ნების თავისუფლებაზე საუბრობს, ხოლო რუსი მათემატიკოსი მოისეევი – „აკრძალული ზღვარის პრობლემაში“ – ადამიანის პასუხისმგებლობაზე სამყაროს წინაშე; რუსი ფილოსოფოსი კომაროვი – ადამიანის სამყაროსთან შესაბამისობაზე: რომ ადამიანის მოვლენა არის შედეგი სამყაროს ასეთნაირი (და არა სხვანაირი) არსებობისა. ბორხესი წერს დროის ფენომენზე, უფრო კი ისეთ „დროში მოსრიალე“ არსებაზე, როგორიც არის ადამიანი. კარლ ჯასპერსი ადამიანის, როგორც მეხსიერი არსების, ისტორიულ განზომილებაზე მსჯელობს. აქ არის სერგო ქობულაძის ნააზრევი, რომელიც ერთგვარად ეხმაურება მთარგმნელის მოსაზრებებს ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის შესახებ. აქ არის იუჯინ ნაიდა თავისი ესეით მთარგმნელისთვის განსაკუთრებულად მახლობელ თემაზე – „თარგმნის ხელოვნებისათვის“. ლოსევს, რომელსაც თამაზ ჩხენკელი შეხვდა მოსკოვში ერთხელ და უკანასკნელად ყოფნისას, შემოაქვს ქართული თემა, ის ლაპარაკობს ნეოპლატონიზმზე; ხოლო ჩვენში კარგად ცნობილი მორის ბოურა – „ვეფხისტყაოსანზე“... ოსიპ მანდელშტამს მოაქვს პოეზიის ზუსტ მეცნიერებად დაფუძნების ოცნება... მაქს ვებერი საუბრობს ადამიანის ისეთ მრავალთაგან ერთ-ერთ მოწოდებაზე, როგორიც არის მეცნიერება.

ფინელი დიპლომატი მაქს იაკობსონი ლაპარაკობს ასდღიან ომზე, რომელმაც დაარწმუნა მსოფლიო, რომ მისი პატარა ქვეყანა დამოუკიდებლობის ღირსია და ამავე დროს მაგალითი ყველასთვის, მათ შორის, მთარგმნელის ბედკრული სამშობლოსთვის. საერთოდ, პოლიტიკა არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა თამაზ ჩხენკელის ცხოვრებაში. ერთგან ინტერვიუში, როცა ჟურ-

ნალისტმა „აპოლიტიკურად" მოიხსენია იგი, მან განმარტა, რომ აპოლიტიკურობა არ ნიშნავს გულგრილობას. ის, მართლაც არ იყო გულგრილი პოლიტიკის მიმართ, და თუმცა პოლიტიკოსობობაზე ოდნავი პრეტენზია არასოდეს განუცხადებია, მუდამ წუხდა, რომ ქვეყანა განიცდიდა მოწოდებით პოლიტიკოსთა სიმწირეს. სულ მეჩვენებოდა, რომ პოლიტიკა ჰობი იყო მისთვის. მახსოვს, საბჭოთა რეჟიმის მწირი ინფორმაციულობის პირობებში, თამაზი მისთვის საინტერესო ცნობებს მსოფლიო პოლიტიკიდან თავის ამოჩემებულ რუსულ გაზეთში „ზა რუბეჟომში" ეძებდა და პოულობდა ისეთ ინფორმაციას, რასაც სხვა ვერც კი შეამჩნევდა.

თავის სათაყვანებელ ადამიანთა – სოსო ასლანიშვილისა და მიქელ პატარიძის – წრეში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გაზრდილს, ძველი საქართველოს მოყვარულს, არ ჰქონია გადაჭარბებული წარმოდგენა საქართველოზე, არც იმის ილუზია, რომ მისი ქვეყანა მოიხვეჭდა პოლიტიკურ ძლევამოსილებას და აბსოლუტურ, უპირობო დამოუკიდებლობას, რისი იმედიც ჰქონდა ეროვნულ მოძრაობას და რითაც კვებავდა „გამოღვიძებულ" მასებს. ყოველ ძნელბედობას, სულიერ თუ ფიზიკურ შეჭირვებას ის ხედავდა, სურდა დაენახა კათარზისის, წრთობის ასპექტში. მიუხედავად ყველაფრისა, რაც მის გარშემო ხდებოდა, – გაუტანლობის, პოლიტიკური სიბეცის, ნებსითი თუ უნებლიე ღალატის, ან, უბრალოდ, უმეცრებისა და უთავბოლობის, ამბიციურობის მოძალების, პატრიოტულ თემებზე სპეკულაციის პირობებში, – ის ქართველ ერში, ქართველობაში ჭვრეტდა მეტაფიზიკურ, უცვალებელ ბირთვს, რომელიც ყოველ დროში არსებობს, როგორც სწორედ ასეთი და არა სხვანაირი. ეს ბირთვი თავად მასში იყო თითქოს თანდაყოლილი, მაგრამ აღზრდით განმტკიცებული. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი უნარი, ამ ბირთვში გაეერთიანებინა, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი: ვთქვათ, რომანტიზმი ფხიზელ რაციონალიზმთან, სინამდვილის მითოპოეტური აღქმა გამახვილებულ ყოფით თვალთან...

ზურაბ კიკნაძე
2011



უილიამ ჯეიმსი

დ. 1842 ნიუ-იორკის შტატი, აშშ
† 1910 ნიუ-ჰემფშირის შტატი, აშშ

ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. პრაგმატიზმისა და ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1872-1876 წლებში უილიამ ჯეიმსი ჰარვარდის უნივერსიტეტში ასწავლიდა ანატომიასა და ფიზიოლოგიას. ფიზიოლოგია შეცვალა ფსიქოლოგიამ, ხოლო შემდეგ – ფილოსოფიამ. 1884 წელს მან ჩამოაყალიბა პარაფსიქოლოგიურ გამოკვლევათა ამერიკული საზოგადოება, 1892 წელს ჯეიმსმა ჰარვარდის უნივერსიტეტში დააარსა გამოყენებითი ფსიქოლოგიის პირველი ლაბორატორია.

1902 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „რელიგიური გამოცდილების მრავალგვარობა“, რომელსაც საფუძვლად დაედო 1901-1902 წლებში ედინბურგის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლი (ორი ათლექციანი კურსი). წიგნის წინასიტყვაობაში ჯეიმსი წერს: „ლექციების თემატიკის შერჩევისას, მინდოდა პირველი კურსი მიმეძღვნა „ადამიანის რელიგიურ მისწრაფებათა“ ფსიქოლოგიური აღწერისთვის, ხოლო მეორე, უფრო თეორიული ხასიათისა, - „ამ მისწრაფებათა ფილოსოფიური აზროვნებით დაკმაყოფილებისთვის“. თუმცა, ჩემი თავდაპირველი გეგმის მიუხედავად, აბსოლუტურად მოულოდნელად მზარდმა ფსიქოლოგიურმა მასალამ მაიძულა მეორე თემისთვის უმნიშვნელო როლი მიმენიჭებინა, - და ამგვარად რელიგიური სულიერების რაგვარობის აღწერამ ოცივე ლექცია გააჯერა.“

მშვიდი გულმაგრობა

სიტყვა „რელიგია“ უნდა განვიხილოთ უპირატესად როგორც შემკრები სახელი, ვიდრე ერთგვაროვანი და მთლიანი მოვლენის აღმნიშვნელი რამ. ამ სიტყვის მრავალ მნიშვნელობათა შორის მე აღვნიშნავ იმას, რაზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. თვალის პირველივე გადავლებით ჩვენ შევნიშნავთ სასაზღვრო მიჯნას, რომელიც ყოფს რელიგიის სფეროს. მის ერთ მხარეს ჰგიეს რელიგია, როგორც დაწესებულება, ხოლო მეორეზე – რელიგია, როგორც პირადი განცდა. ერთი განტოტება რელიგიისა გულისხმობს, რომ სიმძიმის ცენტრი ღვთაებაშია, მეორე – ადამიანში. გარეგანი კულტი, მსხვერპლშეწირვა, თეოლოგიური სისტემები, წეს-ჩვეულებანი და საეკლესიო ორგანიზაცია პირველი განტოტების არსებითი ნიშნებია. ხოლო პირადი ხასიათის რელიგიაში, პირიქით, იმ ცენტრს, რომელზეც დაუნჯებულია ყურადღება, წარმოადგენს კაცის შინაგანი განცდა, მისი სინდისი, მისი მარტოობა, მისი უმწეობა და არასრულყოფილება. და მიუხედავად იმისა, რომ კაცისადმი ღვთის გულმოწყალება მცირე როლს არ ასრულებს რელიგიურობის იმ გამოვლინებაში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ და ღვთისმეტყველური მსჯელობანი სასიცოცხლო მნიშვნელობას მოკლებულნი არ არიან, მაინც ამგვარ რელიგიურ განცდას ახლავს პირწმინდად პიროვნული ხასიათი და არა წესჩვეულებითი: ადამიანი თვითონ განსაზღვრავს თავის მოვალეობას, ხოლო საეკლესიო ორგანიზაცია

მთელი თავისი ღვთისმსახურებით, წეს-ჩვეულებით და კაცსა და ღვთაებას შორის მყოფი ყველა სხვა შუამავლებით მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. უკანა პლანზე გადადის, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედთან კაცის უშუალო კავშირს.

რა თქმა უნდა, ბევრ თქვენგანს ესოდენ გაშიშვლებული რწმენა იმდენად ნაკლულოვნად და არასრულყოფილად მოეჩვენება, რომ მას არც კი ჩათვლის რელიგიურ განცდად. ეს მხოლოდ რელიგიის ნაწილია, – იტყვით თქვენ, – მისი არაორგანიზებული და ჩანასახოვანი, განუვითარებელი ნაწილი. მას შეიძლება ვუწოდოთ სინდისი ან ადამიანის ზნეობრიობა და ის არავითარ შემთხვევაში არ მოინათლება რელიგიის სახელით. სიტყვა „რელიგია" შეიძლება ეწოდოს მხოლოდ განცდების, იდეებისა და დაწესებულებების მკაფიოდ ორგანიზებულ სისტემას, მოკლედ რომ ვთქვათ, ეკლესიას, რომლის მიმართ ეგრეთ წოდებული პიროვნული რელიგია მხოლოდ მის შემადგენელ ერთერთ ელემენტს წარმოადგენს. ასე იტყვით თქვენ. და ეს შესაძლოა დაუსრულებელ პაექრობაში გადაიზარდოს. ამიტომ მე მარტოოდენ ამას დავსძენ: ერთ შემთხვევაში მაინც პიროვნული რელიგია ღვთისმეტყველებასა და ეკლესიაზე უწინარესია. ეკლესია დაარსებისთანავე ტრადიციაზე დაფუძნებით განაგრძობს სიცოცხლეს. მაგრამ ეკლესიის ყველა დამფუძნებელი რელიგიურ ძალმოსილებას ღვთაებასთან პირადი ურთიერთობის, უშუალო კავშირის მეოხებით იძენდა. ეს ითქმის არა მარტო ისეთი ზეკაცური ბუნების მქონე პიროვნებათა შესახებ, როგორებიც იყვნენ ქრისტე, ბუდა ან მუჰამედი, არამედ ქრისტიანული და ყველა სხვა სექტის დამაარსებელთა შესახებაც.

ასე რომ, რელიგიის ცნებაში მე ვგულისხმობ ცალკეული პიროვნების განცდის, ქმედებისა და გამოცდილების ერთობლიობას, რამდენადაც მათი შინაარსი განსაზღვრავს დამოკიდებულებას იმისადმი, ვისაც იგი რაცხს ღვთაებად. თუ როგორი

იქნება ეს დამოკიდებულება – წმინდად სულიერი, თუ რამენაირი წესით განხორციელებული, ამისდა მიხედვით ამ დამოკიდებულებიდან ამოიზრდება ღვთისმეტყველება, ფილოსოფია ან საეკლესიო ორგანიზაცია.

ღვთის შვილები ამ საწუთროში ორ ოჯახად იყოფიან, „ერთხელ შობილთა“ და „ორჯერ შობილთა“ ოჯახებად (ფრენსის ნიუმანი)*. პირველთათვის ღმერთი მკაცრი მსაჯული კი არ არის, არამედ სული, რომელიც აცოცხლებს ქვეყნიერებას და მას ჰარმონიულობასა და სილამაზეს ანიჭებს. ეს მათი ღმერთი სავსეა სიკეთით, გულმოწყალებითა და მადლით. „ერთხელ შობილნი“ მიდრეკილნი არ არიან მეტაფიზიკისაკენ, ისინი არ ჩაჰყურებენ თავიანთი არსების უფსკრულს. მათ არ აწუხებთ საკუთარი ნაკლი უბრალოდ იმიტომ, რომ საერთოდ ცოტას ფიქრობენ საკუთარ თავზე. ღვთის წინაშე ისინი არ განიცდიან უცნაურ თრთოლვას. მათ არ ძალუძთ მისწვდნენ ღვთის დიდების არც ერთ პირქუშ ატრიბუტს. მათთვის ღმერთი სიკეთისა და სილამაზის განსახიერებაა. ისინი საკუთარ გულში ვერ ხედავენ ცოდვას და წუთისოფელშიც ნაკლებად ამჩნევენ მას. კაცთა ტანჯვა მხოლოდ მისი შემსუბუქების გრძნობას იწვევს მათ გულში.

„ერთხელ შობილთა“ ცნობიერება ვითარდება სწორხაზოვნად და ბუნებრივად, ყოველგვარი სულიერი კრიზისების გარეშე, ავადმყოფური სასოწარკვეთილებისა და დამთრგუნველი გულაცრუების გარეშე. აი, რას გვეუბნება ევერეტ ჰეილი*, ცნობილი უნიტარისტი მოძღვარი და მწერალი:

„ყოველთვის ვიცოდი, რომ ღმერთს ვუყვარდი მე. ყოველთვის მადლობელი ვიყავი მისი, რომ მომავლინა ამქვეყნად. ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო ეს განმეცხადებინა და დარიგება მიმეღო მისგან. ყმაწვილობას რომ გავცდი, ნახევრად ფილოსოფიურ რომანებში მე ვკითხულობდი, რომ ჩემი ტოლების წინაშე წამოჭრილი იყო „სიცოცხლის პრობლემა“. მე ვერ ვიგებდი ამას. მე ვცხოვრობდი ლაღად და გულსავსედ.

მე ძალდაუტანებლად ვსწავლობდი და ეს სიხარულს მანიჭებდა. ვეხმარებოდი სხვებს და ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. არავითარი „სიცოცხლის პრობლემა“ მე არ მაწუხებდა. მე უბრალოდ ვტკბებოდი სიცოცხლით“.

ასეთი სულის მქონე ხალხს არ შეუძლია გონება დააუნჯოს მსოფლიოს პირქუშ მოვლენებზე. მათ არ შეუძლიათ განიცადონ მსუბუქი ნაღველი, თუნდაც წუთიერი სევდა თავიანთი არარაობისა.

თანადროულ კოსმოლოგიურ თეორიებზე აღზრდილი ნატურალიზმისათვის კაცობრიობა ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს იგი ცხოვრობდეს გადაულახავი კლდეებით გარემოცული გაყინული ტბის ზედაპირზე, რომელიც თანდათანობით ლღვება, და რომ ახლოვდება საშინელი დღე, როცა ის ჩატყდება: გარდაუვალი და უსახელო დაღუპვა – ეს არის ადამიანთა ხვედრი. რაც უფრო ლაღია ცხოვრება, რაც უფრო ელვარეა მზე და მშვენიერია ღამეული ვარსკვლავიანი ცა, მით უფრო საშინელია კაცობრიობის მწარე ხვედრის შეგნება.

ჩვეულებრივ, ლიტერატურიდან ვიცით, რომ ძველი ბერძნები სულიერად ჯანსაღი, სიცოცხლის ხალისით მორჭმული ადამიანები იყვნენ. რა თქმა უნდა, უეჭველია ჰომეროსის* ზეაღმტაცი ენთუზიაზმი ყოველივე იმით, რაც მზისქვეშეთშია. მაგრამ ჰომეროსსაც აქვს ღრმა მწუხარებით შეფერილი სტრიქონები, როცა ის ცხოვრებაზეა დაფიქრებული. საერთოდ, როცა ბერძენი ცხოვრებისა და მისი დასასრულის შესახებ იწყებს განსჯას, იგი ღრმა პესიმიზმში ვარდება.

ღმერთების შური, ნემეზიდა*, რომელიც ფეხდაფეხ სდევს ყოველგვარ დიდ ბედნიერებას, ყოვლისშთანმთქმელი სიკვდილი, შეუცნობელი მომავლის წყვდიადი, ბედისწერის საშინელი, გაუგებარი სისასტიკე, – ასეთი იყო სიცოცხლეზე მათი წარმოდგენის ფონი. ბერძნული პოლითეიზმის მჩქეფარე ხალისიანობა მხოლოდ თანადროული პოეტური ფიქციაა. ელინებმა არ იცოდნენ იმ სიხარულის ოდნავ შესაგვანი სიხარულიც

კი, რომელსაც თავიანთი მისტიკური რწმენიდან და გამოცხადებიდან იღებენ „ორჯერ შობილი“ ადამიანები, ბრაჰმანიზმის, ბუდიზმის, ქრისტიანობის ან ისლამის მაღიარებელნი.

ყველაზე საიმედო გზა იმ მშვიდი გულმაგრობისაკენ, რითაც მორჭმულნი არიან „ორჯერ შობილნი“, როგორც ისტორიული ფაქტებიც გვარწმუნებენ, ყველაზე ღრმა პესიმიზმის უფსკრულზე გადის და მისი გადალახვით მიიღწევა, მაგრამ ამ გზის გადალახვის შემდეგ კაცი ვეღარ უბრუნდება წინანდელ მთლიანობას. იგი იპყრობს სულიერი ცხოვრების ახალ მწვერვალებს, ჰეროიკულ მწვერვალებს, სადაც აქამდე შეუძლებელი – შესაძლებელი ხდება, სადაც იბადება ახალი ძალა და ახალი მისწრაფება. პიროვნება გარდაიქმნა, ადამიანი ხელახლა იშვა, მაგრამ წინანდელი ჰარმონია დარღვეულია. იმ კაცისთვის, ვინც ერთხელ მაინც იგემა ნაყოფი ცნობადის ხისა და საცნაურყო სიკეთე და ბოროტება, სამუდამოდ დახშულია სამოთხის კარი. თუკი დაუბრუნდება ნეტარების განცდა, ეს უკვე აღარ იქნება უბრალო დაუნახაობა მჭმუნვარებისა, არამედ უსასრულოდ რთული და ყოვლისმომცველი რამ, სადაც ამსოფლიური ბოროტება თავის ადგილს დაიკავებს, როგორც შემადგენელი ნაწილი. და მაშინ ბოროტება დაბრკოლების ქვად და საზარელ მოვლენად აღარ იქცევა მისთვის, რაკი შეერწყმება უმაღლეს სიკეთეს. ეს არ იქნება სულიერი სიჯანსაღის ჩვეულებრივ მდგომარეობაში დაბრუნება, არამედ – მონანიება, მეორედ შობა, სულიერებასთან წილნაყარობა, განუზომლად უფრო ღრმა თვითცნობიერება, ვიდრე ის, რითაც მანამდე ცხოვრობდა ადამიანი.

ვიქტორ კომაროვი



დ. 1935, კრასნოდარის მხარე, სსრკ

ფილოსოფოსი, სოციალური ფილოსოფიის სფეროს წარმომადგენელი. მეცნიერული ნაშრომებისა და რამდენიმე წიგნის ავტორი: „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და სოციალური ეკოლოგია“, „სოციალური ეკოლოგია: ფილოსოფიური ასპექტები“, „საზოგადოებრივი მოვლენების მეცნიერული განჭვრეტა“;

გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სტატია ცივილიზაციის თეორიის, სოციალური ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის ფილოსოფიის, სოციალური ეკოლოგიისა და კულტურის ფილოსოფიის საკითხებზე.

ვიქტორ კომაროვის წინამდებარე ნაშრომი ანთროპულ პრინციპზე მოგვითხრობს.

ანთროპული პრინციპი[1]



ატომ აბადია სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაინცდამაინც ასეთი და არა სხვაგვარი თვისებები, რატომ მიმდინარეობს მასში სავსებით განსაზღვრული ფიზიკური პროცესები, დაბოლოს, რატომ არსებობს ადამიანი? ეს აინტერესებდა ჯერ კიდევ არისტოტელეს*. ჩვენი ცოდნის განვითარების კვალობაზე ასეთნაირი კითხვები უფრო და უფრო ხშირად აღიძვრებოდა და სულ უფრო კონკრეტულ ხასიათს იძენდა.

მაგრამ ყველა ამ კითხვაზე არსებითად პასუხი ერთი იყო: ჩვენი სამყარო ასეთია იმიტომ, რომ... იგი მაინცა და მაინც ასეთია. ისე ჩანდა, რომ ბუნებისა და მატერიის აგებულების შესახებ ჩვენი ცოდნის უკვე მიღწეულ დონეზე ამაზე მეტის თქმა არ შეგვეძლო.

თუმცაღა უკვე საუკუნის დასაწყისში ციოლკოვსკიმ* ერთერთმა პირველმა გამოთქვა მეტად საინტერესო აზრი: უკეთუ ვიტყვით, რომ სამყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება, და ამაზე შევჩერდებით, მაშინ ვერ ავხსნით, რატომ არის სამყარო ასეთი, რატომ არის მისი კანონები ამნაირი და შეიძლებოდა თუ არა ეს

---

[1] ანთროპული პრინციპი გვეუბნება, რომ ის უნივერსუმი, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, მხოლოდ იმიტომ გვაძლევს დაკვირვების საშუალებას, რომ მას ყველა ის თვისება აბადია, რომელიც დამკვირვებელს სიცოცხლეს ანიჭებს. ეს სამყარო ცნობიერი არსებებისთვის რომ არ ყოფილიყო განკუთვნილი, არავინ იარსებებდა, ვინც მის შეცნობას შეძლებდა (რედ.).

კანონები სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ რამდენადაც კაცობრიობის არსებობა შემთხვევითი არაა, მაშინ ის სამყაროც, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, შეუძლებელია სხვანაირი იყოს.

მაგრამ იმ დროში, როცა ციოლკოვსკი ცხოვრობდა, ეს იდეა დიდად უსწრებდა წინ ასტროფიზიკური ცოდნის დონეს და ფაქტობრივად შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოუჩნდნენ მას მიმდევრები... ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა ასტროფიზიკოსმა გრიგორი იდლისმა* ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩვენს სამყაროში, ფიზიკის კანონების მიხედვით, „ნებადართულია" ატომების, ვარსკვლავების, პლანეტებისა და სიცოცხლის არსებობა. უფრო გვიან მეორე ასტროფიზიკოსმა აბრამ ზელმანოვმა* დააფორმულა მეტად მნიშვნელოვანი დებულება: ადამიანი იმიტომ წარმოადგენს გარკვეული ტიპის ბუნებრივი პროცესების უშუალო დამკვირვებელს, რომ სხვა ტიპის პროცესები დამკვირვებელთა გარეშე მიმდინარეობს. ანალოგიური იდეები იყო წამოყენებული სხვა თანამედროვე ფიზიკოსებისა და ასტროფიზიკოსების შრომებშიც. მაგალითად, აინშტაინის* ერთერთმა მოწაფემ, გამოჩენილმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა ჯ. უილერმა*, თავის წიგნში აღნიშნა, რომ სამყაროში არსებული საგანთა წესრიგი შეიძლებოდა არც არსებულიყო, რომ არ არსებულიყო ადამიანი, მაგრამ რაკი არსებობს ადამიანი, სამყაროს სწორედ ის თვისებები აბადია, რაც აბადია. ხოლო ცნობილმა ინგლისელმა ასტროფიზიკოსმა პოლ დევისმა*, თავის წიგნში „სივრცე და დრო სამყაროს თანადროულ სურათში"[2], ის აზრი გამოთქვა, რომ სიცოცხლის არსებობა გარკვეულად ზღუდავს სამყაროს თვისებებს, ისინი ამა თუ იმ ზომით დასაზღვრული უნდა იყვნენ, ანუ: სხვაგვარი თვისებებით მორჭმულ სამყაროში ჩვენ უბრალოდ ვერ გავჩნდებოდით, ვერ ვიარსებებდით და

[2] Paul Davies, Quantum Fields in Curved Space (with N.D. Birrell), Cambridge University Press, 1984.

ამგვარ სამყაროს ვერავინ დააკვირდებოდა და ვერავინ შეისწავლიდა. „ყველაფერი რომ ისეთი არ იყოს, როგორიც არის, ჩვენ აქ უბრალოდ არ ვიქნებოდით და განცვიფრებასაც ვერ გამოვხატავდით", – ასე წერს პ. დევისი. დეკარტეს' ცნობილი აფორიზმის გარდათქმით მსგავს იდეას აფორმულებს ფიზიკოსი ბრენდონ კარტერი': „მე ვაზროვნებ, ამიტომ სამყარო ისეთია, როგორიც არის".

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, დავაფორმულებთ პრინციპს, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიაში ანთროპული პრინციპი ეწოდება: „ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ სამყარო ისეთია, როგორიც არის". ანდა, ცოტა სხვანაირად: „ჩვენი სამყარო ასეთია იმიტომ, რომ ვარსებობთ ჩვენ, დამკვირვებლები, ვისაც მისი თვისებების შესახებ კითხვის დასმის უნარი გვაქვს". ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ორივე დებულება სავსებით ეკვივალენტურია: მათში ცხადდება კაცობრიობის არსებობასა და სამყაროს ფუნდამენტურ თვისებებს შორის კავშირის იდეა...

■

ანთროპული პრინციპი ზოგადმეცნიერული, ფილოსოფიური მტკიცებაა. მას თანადროული ფილოსოფიის ცაზე ამობრწყინებულ ელვარე ვარსკვლავსაც კი უწოდებენ, და თუმცა თავისთავად იგი მოვლენათა არსს ვერ გვიხსნის, მკვლევართა აზრს ახალ მიმართულებას აძლევს და ხელს უწყობს მთელი რიგი ისეთი საკითხების დასმასა და შესწავლას, რომელთაც წინათ განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა. ერთერთი ასეთი საკითხი ასე შეგვიძლია დავაფორმულოთ: სამყაროს სახელდობრ რომელი თვისებები უზრუნველყოფენ კაცობრიობის არსებობას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, სამყაროს რანაირ თვისებებს აქვს გადამწყვე-

ტი მნიშვნელობა ჩვენი არსებობისათვის, ხომ უნდა ვაჩვენოთ, რომ უამთვისებოდ სიცოცხლე ვერ აღმოცენდებოდა და ვერ განვითარდებოდა.

სამყაროში სიცოცხლის გაჩენა, განვითარება, და მაშასადამე, ჩვენი არსებობაც, უწინარეს ყოვლისა, ევოლუციის წინარე ხანაზეა დამოკიდებული. თანადროული მეცნიერული წარმოდგენების თანახმად, სამყაროს გაფართოების ერთერთ ადრეულ სტადიაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტების, წყალბადისა და ჰელიუმის ატომების ბირთვი წარმოიქმნა. შემდეგ, გაფართოებად გარემოში თანდათანობით გაჩნდა თავისებური „შედედებანი", რომლებმაც დასაბამი მისცეს ვარსკვლავთა და გალაქტიკების წარმოქმნას. ვარსკვლავთა წიაღში დაიწყო თერმობირთვული რეაქციები... მასიური ვარსკვლავები ფეთქდებოდნენ და თავიანთ ზედა შრეებს სამყაროში აბნევდნენ. მზისა და, როგორცა ჩანს, სხვა ვარსკვლავების გარშემო ფორმირება იწყეს პლანეტებმა. და ამ პლანეტებს შორის ერთერთზე – დედამიწაზე – დაახლოებით ოთხი მილიარდი წლის წინათ სიცოცხლის წარმოშობისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა...

მატერიის ევოლუცია არ არის რაღაც სავსებით შემთხვევითი და ქაოსური. ამ პროცესის ძირითადი მიმართულება და მსვლელობა ჩვენი სამყაროსათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური კანონზომიერებითა და ძირითადი ფიზიკური თვისებებით არის განსაზღვრული. მისი ერთერთი ფუნდამენტური თვისებაა გალაქტიკების „სრბოლა". არის კი რაიმე კავშირი ამ გარემოებასა და დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას შორის? ერთი შეხედვით – არა, აკი უახლოესი გალაქტიკებიც კი მზის სისტემიდან მილიონობით სინათლის წელიწადით არის დაშორებული, მაშ, სულერთი არ არის, ერთიმეორის მიმართ რა სიჩქარით მოძრაობენ ისინი?

თურმე არ ყოფილა სულერთი!

სამყაროს ვარსკვლავური კუნძულები ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი წყაროებია. და გალაქტიკების სრბოლის

წყალობით მათი გამოსხივება კოსმოსური სივრცის ყველა წერტილში ძალზე შესუსტებულია. მაგრამ გალაქტიკები რომ ახლოვდებოდნენ, მაშინ კოსმოსის ნებისმიერ წერტილში რადიაციის სიმკვრივე და, მაშასადამე, ტემპერატურაც იმდენად დიდი იქნებოდა, რომ ასეთნაირ სამყაროში არა მარტო ბიოლოგიური სიცოცხლის, არამედ რამენაირი რთული სტრუქტურების არსებობა საერთოდ სავსებით გამორიცხული იქნებოდა. ასე რომ, ჩვენ შემთხვევით არ ვცხოვრობთ მაინცდამაინც გაფართოებად სამყაროში.

სიცოცხლის არსებობის მეორე აუცილებელი პირობაა ჩვენეული სივრცის სამგანზომილებიანობა... ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ სამზე მეტგანზომილებიან სივრცეს რეალურად არსებობის შესაძლებლობა არა აქვს; მაგრამ ძალი შესწევს თუ არა სიცოცხლეს, აღმოცენდეს და განვითარდეს ასეთ სივრცეში? რაც შეეხება ერთ- და ორგანზომილებიან სივრცეს, მათში რთული სტრუქტურების წარმოქმნა დიდად სათუოა. ოთხ- და მეტგანზომილებიან სივრცეში ყოველგვარი წრიული ტრაექტორია არამყარია, იქ პლანეტები ვერ იტრიალებდნენ თავიანთი ვარსკვლავების ირგვლივ, ისინი ან ჩამოვარდებოდნენ ვარსკვლავებზე ან უსასრულობაში გაიბნეოდნენ. ვერც ატმოსფერო დამაგრდებოდა პლანეტების ირგვლივ, რაკი მრავალგანზომილებიან სივრცეში მიზიდულობის ძალა მანძილის კვალობაზე უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე სამგანზომილებიან სივრცეში.

სამყაროში სიცოცხლის არსებობასთან პირდაპირ არის დაკავშირებული ეგრეთ წოდებული მატერიის საშუალო სიმკვრივე... თუ საშუალო სიმკვრივე გარკვეულ კრიტიკულ სიდიდეზე მცირეა, სამყარო დაუსაზღვრელად გაფართოვდება, ხოლო თუ კრიტიკულ სიდიდეზე მეტია, გაფართოებას გარკვეული ხნის შემდეგ შეკუმშვა ჩაენაცვლება. ამავე დროს, ასტროფიზიკის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, რეალური საშუალო სიმკვრივე თანადროულ სამყაროში კრიტიკულს უახლოვდება და სწორედ ეს არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ წარმოიქმნას ცოცხალი სტრუქტურები. საშუალო სიმკვრივე

რომ კრიტიკულზე ოდნავ ნაკლები იყოს, ასეთ „გაიშვიათებულ“ სამყაროში მიზიდულობის ძალას ინერციის ძალა გადასძალავდა და ვერ განსხეულდებოდნენ ვერც ვარსკვლავები და ვერც გალაქტიკები. მაშასადამე, ვარსკვლავთა თანამგზავრებიც ვერ წარმოიქმნებოდა, ე.ი. ვერ წარმოიქმნებოდა ჩვენი პლანეტის მსგავსი კოსმოსური სხეულები. ხოლო სიცოცხლე მხოლოდ ასეთნაირ სხეულებზე შეიძლება განვითარდეს.

ასევე არაკეთილსასურველი სიტუაცია შეიქმნებოდა იმ შემთხვევაშიც, საშუალო სიმკვრივე რომ მნიშვნელოვნად აღმატებოდა კრიტიკულს. საქმე ის არის, რომ საშუალო სიმკვრივის გადიდებასთან ერთად სწრაფად მცირდება დროის ის შუალედი, რომელიც სამყაროს გაფართოების დასაბამს აშორებს იმ მომენტისგან, როცა ეს გაფართოება შეკუმშვაში გადადის. ეს გასაგებიცაა: რაც უფრო მეტი მატერიაა სამყაროში, მიზიდულობის ძალები მით უფრო სწრაფად „ამუხრუჭებენ“ და აჩერებენ ერთმანეთისაგან მსრბოლავ გალაქტიკებს და აიძულებენ მათ უკანვე მობრუნდნენ. მაგრამ სამყაროს პულსაციის მოკლე ციკლის პერიოდში გონიერ არსებათა ფორმირებას დრო უბრალოდ არ ეყოფოდა.

საშუალო სიმკვრივის მსგავსი მნიშვნელობა აქვს დაახლოებით გალაქტიკების „სრბოლის“ სიჩქარეს. ასტრონომიულ დაკვირვებათა თანახმად, რაც უფრო შორსაა ჩვენგან ესა თუ ის გალაქტიკა, მით უფრო სწრაფად გვშორდება. ამასთანავე, დაშორების სიჩქარე მანძილის პროპორციულია... და აი, გალაქტიკების ერთურთისაგან სრბოლის სიჩქარე რამდენადმე უფრო დიდი რომ ყოფილიყო, მეტაგალაქტიკა უფრო ადრე დაიწყებდა შეკუმშვას და მასში სიცოცხლე განვითარებას ვერ მოასწრებდა...

■

უკანასკნელ წლებში გაფართოებადი სამყაროს თეორიამ ახალი განვითარება მიიღო. დაიბადა ეგრეთ წოდებული „გა-

ბერვადი სამყაროს“ იდეა, რომლის თანახმად, წამის უმცირეს მონაკვეთებში სამყაროს მოცულობა 1050-ჯერ გაიზარდა. ეს გაფართოება ისე ვითარდებოდა, როგორც ინფლაციის სისწრაფის შესაბამისად იზრდება ხოლმე ფასები, და ამიტომ ზოგჯერ „გაბერვად“ სამყაროს „ინფლაციურსაც“ უწოდებენ.

აღნიშნული თეორია იმ წარმოდგენაზეა დამყარებული, რომ ჩვენი სამყაროს წარმოშობა მატერიის არსებობის შეფარული ფორმის, ფიზიკური ვაკუუმის ფლუქტუაციის (მერყეობის, სწრაფად მედინობის, ცვალებადობის) მისი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის შედეგია. სივრცის სამგანზომილებიანობის ახსნის გზებიც მოისინჯა. ზოგიერთი თეორიული თვალსაზრისის თანახმად, ჩვენ სინამდვილეში სამგანზომილებიან კი არა, მრავალგანზომილებიან სივრცეში ვცხოვრობთ, ოღონდ სამი ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულების გარდა, ჩვენი სივრცე „დაგრაგნილია“. ამიტომ გვეჩვენება იგი სამი განზომილების მქონედ. ვარაუდობენ, რომ სამყაროს გაფართოების პირველსავე წამებში სივრცეს მრავალი განზომილება ჰქონდა, მაგრამ როცა გაფართოება „გაბერვაში“ გადავიდა, სივრცე რამდენიმე მიმართულებით „დაიგრაგნა“. მართალია, „ინფლაციური“ თეორია ჯერ ვერ გვიხსნის, რატომ დაიგრაგნა სივრცე მაინცადამაინც ამნაირად და არა სხვანაირად.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას საშუალო სიმკვრივის შესახებაც. ამ თეორიის მიხედვით, მისი სიდიდე ფიზიკური ვაკუუმის თვისებებით განისაზღვრება, მაგრამ თვითონ ამ თვისებებზე ჩვენი წარმოდგენა პირწმინდად ჰიპოთეზურია.

და აქ, ზემოთქმულთან დაკავშირებით, იბადება ფუნდამენტური კითხვა: რამდენადაც ფიზიკური კონსტანტების ერთობლიობა ჩვენს სამყაროში სავსებით უნიკალურია, ხოლო ყველაფერი უნიკალური ნაკლებსარწმუნოა, როგორ განხორციელდა პირობათა ესოდენ ნაკლები ალბათობის მქონე კომპლექსი?

ანთროპული პრინციპის თვალსაზრისით, ასეთი განხორციელებისთვის ორგვარი შესაძლებლობაა სავარაუდებელი.

პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა სამყარომ გაფართოება-შეკუმშვის უთვალავი ციკლი გაიარა და ციკლიდან ციკლამდე მისი ფიზიკური კონსტანტების ერთობლიობა გამუდმებით იცვლებოდა. და ადამიანი წარმოიშვა იმ ციკლის შიგნით, რომელშიც რთული სტრუქტურებისა და ცოცხალი სისტემებისათვის აუცილებელი ფიზიკური მუდმივები წარმოიქმნა.

მეორე შესაძლებლობა ისაა, რომ უნდა არსებობდეს უთვალავი განსხვავებული სამყარო, რომელთაგან თვითეულს ფიზიკური კონსტანტებისა და თვისებების საკუთარი კომპლექსი მოეპოვება. და ჩვენ სწორედ იმ სამყაროში გავჩნდით, რომლის თვისებები ხელსაყრელია ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობისათვის...

ანთროპული პრინციპის თვალსაზრისით, გასაგები ხდება სიცოცხლისათვის ხელსაყრელი იმ ფიზიკური პირობების შეთავსებაც, რომლებიც არსებობს გალაქტიკაში იმ ვიწრო წრიულ სარტყელში, სადაც ჩვენი მზის სისტემაა მოთავსებული. ჩვენი გალაქტიკა ბრუნავს, მისი ცენტრის გარშემო ბრუნავს მასში შემავალი ყველა ვარსკვლავი. ამასთანავე, მიზიდულობის კანონის თანახმად, ცენტრთან ახლოს განლაგებულ ობიექტებს უფრო დიდი კუთხური სიჩქარე აბადიათ, ხოლო შორს განლაგებულებს – უფრო ნაკლები.

ამავე დროს გალაქტიკაში არსებობს „სიმკვრივის ტალღები“. ამ ტალღების კუთხური სიჩქარე ერთნაირია, იგი დამოკიდებული არაა მანძილზე. ამის წყალობით ცენტრიდან გარკვეულად დაშორებული სიმკვრივის ტალღების კუთხური სიჩქარე თანხვდება ვარსკვლავთა ბრუნვის კუთხურ სიჩქარეს, სადაც ვარსკვლავებიც და სიმკვრივის ტალღებიც სინქრონულად მოძრაობენ. ეს თავისებური „წრე“ სახელდებულია „კოროტაციულ წრედ“, რაც „შეთანხმებულ ბრუნვას“ ნიშნავს.

როგორც ჩანს, მზე სწორედ კოროტაციის ზონაში ბრუნავს იქ, სადაც მას არ სწვდება გალაქტიკის დამკვრელი ტალღა და ამიტომ შეგვიძლია დავაფორმულოთ გალაქტიკის ანთროპუ-

ლი პრინციპი: „გალაქტიკაში სიცოცხლე შეიძლება წარმოიშვას და განვითარდეს მხოლოდ კოროტაციის ზონაში". ეს ზონა სიცოცხლის თავისებური გალაქტიკური სარტყელია. მაგრამ იქ, სადაც გაზების შემკუმშველი დამკვრელი ტალღა არსებობს, ვარსკვლავთქმნადობის ინტენსიური პროცესები მიდის, რაც ხელს უშლის სიცოცხლის არსებობას.

■

ანთროპულ პრინციპს არა მარტო საბუნებისმეტყველო მნიშვნელობა აქვს, არამედ უზარმაზარი ფილოსოფიური მნიშვნელობაც. მისი აზრი უბრალოა: კაცობრიობის არსებობასა და სამყაროს ფუნდამენტურ თვისებებს შორის მჭიდრო და აუცილებელი კავშირია. სამყაროს რომ სხვა თვისებები ჰქონოდა, ადამიანის სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა. ან სხვანაირად: ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ სამყარო ისეთია, როგორიც არის.



ალბერტ აინშტაინი

დ. 1879 ულმი, გერმანია
† 1955 ნიუ-ჯერსის შტატი, აშშ

თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საზოგადო მოღვაწე, ჰუმანისტი. ცხოვრობდა შვეიცარიაში (1893–1914), გერმანიაში (1914–1933) და ამერიკის შეერთებულ შტატებში (1933–1955). მსოფლიოს 20 წამყვანი უნივერსიტეტის დოქტორი და მსოფლიოს მრავალი აკადემიის საპატიო წევრი.

აინშტაინი საყოველთაოდ მიჩნეულია XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად. მას ეკუთვნის ფარდობითობის თეორია. დიდი წვლილი აქვს შეტანილი კვანტური მექანიკის, სტატისტიკური მექანიკისა და კოსმოლოგიის განვითარებაში. 1921 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკაში 1905 წელს ფოტოელექტრონული ეფექტის მისეული განსაზღვრებისთვის და ასევე თეორიულ ფიზიკაში მის მიერ შეტანილი წვლილისთვის.

აინშტაინს ეკუთვნის დაახლოებით 300 მეცნიერული ნაშრომი ფიზიკაში. ამასთანავე 150 წიგნის ავტორია ისტორიის, ფილოსოფიისა და პუბლიცისტიკის დარგში. აინშტაინმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ფიზიკაში ახალი მეცნიერული კონცეფციებისა და თეორიების დანერგვის თვალსაზრისითაც. პირველ რიგში ეს ეხება სივრცისა და დროის ახლებურ გააზრებას და გრავიტაციის ახალი თეორიის შექმნას. ეს კონცეფციები თანამედროვე ფიზიკის საძირკველს წარმოადგენს.

ჩანაწერები

ეჭე მწამს ინტუიცია და შთაგონება.

...ზოგჯერ მე ვგრძნობ, რომ სწორ გზაზე ვდგავარ, მაგრამ არ შემიძლია ავხსნა, რატომ ვარ ამაში დარწმუნებული. როცა 1919 წელს მზის დაბნელებამ დაადასტურა ჩემი მიხვედრა, სულაც არ გავუოცებივარ ამას. მე ის გამაოცებდა, რომ ეს ასე არ მომხდარიყო.

წარმოსახვა ცოდნაზე მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი ამქვეყნად ყველაფერს მოიცავს, სტიმულს აძლევს პროგრესს და მისი ევოლუციის წყაროს წარმოადგენს. მოკლედ, წარმოსახვა რეალური ფაქტორია მეცნიერულ კვლევაში.

▪

მეცნიერულ მუშაობას საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ სამყარო მოწესრიგებულ და შეცნობად არსებას წარმოადგენს. ეს რწმენა რელიგიურ გრძნობას ეფუძნება. ჩემი რელიგიური გრძნობა იმ წესრიგის მიმართ მოკრძალებულ აღტაცებაში გამოიხატება, რომელიც ჩვენი სუსტი გონებისათვის მიღწევადი რეალობის მცირე ნაწილში სუფევს.

▪

მე ვუცქერი სურათს, მაგრამ არ შემიძლია წარმოვისახო გარეგნობა მისი შემოქმედისა. მე ვუცქერი სურათს, მაგრამ არ ძალმიძს წარმოვიდგინო, როგორ გამოიყურება მისი შემქმ-

ნელი ოსტატი. ადამიანის გონებას არ შეუძლია აღიქვას ოთხი განზომილება. როგორღა შეიმეცნებს იგი ღმერთს, რომელსაც ათასი წელი და ათასი განზომილება წარმოუდგება როგორც ერთი?

■

ადამიანი თავისი იდეების საკანშია გამომწყვდეული, და თვითეულმა კაცმა სიჭაბუკეში უნდა ააფეთქოს ეს საკანი, რომ თავისი იდეები რეალობას შეუფარდოს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ვინმე სხვა ალბათ უარყოფს ამ იდეებს. ხელოვანს, იმის გამო, რომ იგი განუმეორებელია, ეს არ ემუქრება. ასეთი რამე მხოლოდ ჭეშმარიტების ძიებას ახლავს, და ეს სულაც არ არის სამწუხარო ფაქტი.

■

სიჭაბუკე ყოველთვის ერთი და იგივეა, უსასრულოდ ერთი და იგივე.

■

ღვთის წინაშე ჩვენ ყველანი ერთნაირად ჭკვიანები ვართ, უფრო ზუსტად – ერთნაირად სულელები.

■

სინამდვილეს ინტელექტუალი ყოველთვის მიკროსკოპით უჭვრეტს.

■

მასების ფსიქოლოგია ძნელად შესაცნობი რამ არის. ვშიშობ, რომ ისტორიკოსები ისტორიის წერისას არ ითვალისწინებენ მათ ფსიქოლოგიას. მოვლენებს ისინი უცქერენ რეტროსპექტულად, იმ წანამძღვრიდან ამოსვლით, თითქოს შეეძლოთ ზუსტად განსაზღვრონ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ამბის მიზეზები. სინამდვილეში, ამ თვალსაჩინო მიზეზებს გარდა, არსებობს მასების ფსიქოლოგიის მოუხელთებელი ფაქტორები,

რომელთა შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით, ან სულაც არაფერი ვიცით.

■

ახლა გავრცელდა და მოდად იქცა ფიზიკის აქსიომების ადამიანთა ცხოვრებასთან მისადაგება, რაც არა მარტო სავსებით მცდარი მიდგომაა, არამედ გარკვეულ გაკიცხვასაც იმსახურებს.

სწავლულის მიზანი ის არის, რომ ბუნების ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივი აღწერა მოგვცეს. ლოგიკა მისთვის იგივეა, რაც პროპორციისა და პერსპექტივის კანონებია ხელოვნებისათვის.

მეცნიერებით ფართო საზოგადოების უჩვეულო დაინტერესება და ის საპატიო ადგილი, რომელსაც მეცნიერება იჭერს კაცთა შეგნებაში, ჩვენი დროის მეტაფიზიკურ მოთხოვნილებათა ყველაზე მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს. ხალხს, როგორცა ჩანს, თავი მოაბეზრა ვულგარულად გაგებულმა მატერიალიზმმა. ხალხი გრძნობს ცხოვრების სიცარიელეს და ეძიებს რაღაცას ისეთს, რაც მარტოოდენ პირადი ინტერესების ჩარჩოში არ თავსდება. მეცნიერული თეორიისადმი საყოველთაო ინტერესმა ასპარეზზე გამოიწვია სულიერი ქმედების უმაღლესი სფეროები, რასაც შეუძლებელია უზარმაზარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს კაცობრიობის მორალური განკურნებისათვის.

ყველაზე მშვენიერი და ღრმა განცდა, რაც წილად შეიძლება გვერგოს, იდუმალების შეგრძნებაა. ეს განცდა დევს რელიგიის საფუძველში და მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა უღრმეს ტენდენციაში. ის, ვისაც არ განუცდია ეს გრძნობა, უსულო გვამი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მე ბრმა მგონია. იმის უნარი, რომ შეიგრძნო ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, უშუალო განცდების წიაღ დაფარული იდუმალება, რომლის სილამაზე და სრულყოფილება ჩვენს გულს სუსტ ათინათად და შორეულ

ხმიერებად სწვდება, – სწორედ ეს არის ჩემთვის რელიგიურობა და ამ აზრით მე რელიგიური ვარ. მე ვკმაყოფილდები იმით, რომ განცვიფრებული ათასნაირად ვსინჯავ ამ საიდუმლოს და ვცდილობ, მიახლოებითი სურათი მაინც შევქმნა არსებულის სრულყოფილი სტრუქტურისა.

■

მე ხშირად მქონია შესაძლებლობა დავსწრებოდი ლორენცის' ლექციებს, რომელსაც იგი რეგულარულად კითხულობდა ხოლმე ახალგაზრდა კოლეგების ვიწრო წრეში... ყველაფერი, რაც მისი ამაღლებული გონებიდან გვეფინებოდა, ხელოვნების მშვენიერ ქმნილებასავით ცხადი და ნატიფი იყო. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ყველაფერი მომდინარეობს სადად და უბრალოდ. სხვასთან არავისთან განმიცდია ასეთი გრძნობა.

თავდაჭერილი და მშვიდი ლორენცი ისევე ძალდაუტანებლად ფლობდა საკუთარ თავს, როგორც ფიზიკასა და მათემატიკურ აპარატს. მისი უჩვეულო პიროვნული სრულყოფილება დამამცირებლად არ მოქმედებდა მახლობლებზე. თვითეული ჩვენგანი გრძნობდა მის უპირატესობას, მაგრამ ეს არ გვთრგუნავდა, იმიტომ რომ იგი კეთილმოსურნეობას ავლენდა ყველასადმი, თუმცა კარგად იცნობდა ადამიანებს და მათ ურთიერთობას. ლორენცი არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა, მაგრამ გადამეტებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა არავითარ საქმეს. ამისაგან მას იცავდა ნატიფი იუმორი, რომელიც მის თვალებსა და მის ღიმილში გამოკრთოდა. ამას შეესატყვისებოდა ისიც, რომ მეცნიერული შემეცნებისადმი მთელი მისი თავდადების მიუხედავად, ლორენცი გამსჭვალული იყო იმის შეგნებით, რომ შეუძლებელია ბოლომდე ჩასწვდე საგანთა არსს. მხოლოდ უფრო მოწიფულ ასაკში შევძელი სრულად დამეფასებინა მისი ეს ნახევრადსკეპტიკური, ნახევრადმორჩილი თვალსაზრისი.

მე არ მყოფნის სიტყვები, რომ ამოვწურო ამ პატარა წერილის თემა. ამიტომ მოვიყვან ლორენცის ორ მცირე გამონათქვამს, რომლებიც განსაკუთრებული სიძლიერით ჩამებეჭდა გულში.

„მე ბედნიერი ვარ, რომ ვეკუთვნი იმ ერს, რომელიც მეტად პატარაა იმისათვის, რომ დიდი სისულელეები ჩაიდინოს“...

კაცს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მასთან საუბარში ცდილობდა დაერწმუნებინა ლორენცი, რომ მხოლოდ სისასტიკესა და ძალადობას შეუძლია გადაწყვიტოს ადამიანების ბედი, მან უპასუხა: „შესაძლოა, თქვენ მართალიც იყოთ, მაგრამ ასეთ მსოფლიოში მე არ ვინდომებდი ცხოვრებას“.



ხორხე ლუის ბორხესი

დ. 1899 ბუენოს-აირესი, არგენტინა
† 1985 ჟენევა, შვეიცარია

არგენტინელი პროზაიკოსი, პოეტი და პუბლიცისტი. მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც ფრანგულად ითარგმნა მისი ნიგნები. ამ თარგმანის შემდეგ ბორხესი თანადროული ლიტერატურული სამყაროს ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, რასაც მისთვის მინიჭებული ჯილდოები და ტიტულები მეტყველებს. იგი იყო იტალიის რესპუბლიკის კომანდორი საპატიო ლეგიონის ორდენისა „ლიტერატურასა და ხელოვნებაში დამსახურებისთვის“, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი „ღირსშესანიშნავი დამსახურებისთვის“, კავალერი ესპანური ორდენისა - „ალფონსო ბრძენის ჯვარი“. სორბონის, კემბრიჯისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების დოქტორი, სერვანტესის პრემიის ლაურეატი.

„...დიდება, ისევე როგორც სიბრმავე, მე თანდათანობით მიახლოვდებოდა, - წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში, – მე არასოდეს მიძებნია ის და არც არასოდეს ველოდებოდი“.

ქართულად ბორხესის მოთხრობების და ესეების წიგნაკი „ენიგმათა სარკე“ (მთარგმნელი თ. ჩხენკელი) პირველად გამოქვეყნდა 1996 წელს.*

---

* ხორხე ლუის ბორხესი, *ენიგმათა სარკე*, „ლომისი“, თბილისი, 1996.

დრო

ნიცშეს* არ უყვარდა, როცა ერთმანეთის გვერდით აყენებდნენ გოეთეს* და შილერის* სახელებს. დავუმატებდი, ასევე შეუფერებელია დროისა და სივრცის გაერთიანება, მით უმეტეს, რომ ჩვენ მხოლოდ სივრცისგან შეგვიძლია მოვახდინოთ აბსტრაჰირება და არა დროისგან.

დავუშვათ, რომ ხუთი გრძნობის მაგივრად მხოლოდ ერთერთი გაგვაჩნია, ვთქვათ, – სმენა. მაშინ გაქრება მხედველობითი სამყარო, ე.ი. გაქრება ცა, ვარსკვლავები... თუ დავკარგავთ შეგრძნების უნარს, გაქრება ყველაფერი, რაც უსწორმასწოროა, გლუვი, ხორკლიანი. უკეთუ დაგვეკარგება ყნოსვისა და გემოს უნარი, დაგვეკარგება ცხვირსა და ენაში ლოკალიზებული შეგრძნებანი. შეგვრჩება მხოლოდ სმენა. და მაშინ ჩვენს წინაშე გადაიშლება სივრცის არმქონე სამყარო, სამყარო ინდივიდუუმებისა, რომლებიც ეხმიანებიან ერთმანეთს. შესაძლოა, ისინი ათასობით დავთვალოთ, შესაძლოა, მილიონობით. როგორც არ უნდა იყოს, ისინი ერთმანეთს ეხმიანებიან სიტყვისა და მუსიკის მეშვეობით (ვერავინ დაუშლის მათ მოიგონონ ისეთივე რთული ენა, როგორიც ჩვენა გვაქვს, ანდა მოიგონონ უფრო რთული ენა). ეს იქნება განცალკევებულ გონებათა და მუსიკის მეშვეობით არსებული სამყარო. შევნიშნავთ, რომ თუმცა მუსიკა საჭიროებს სამუსიკო ინსტრუმენტებს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ უიმათოდ მუსიკა ვერ იარსებებს. ინსტრუმენტები აუცილებელია მხოლოდ მუსიკის შესრულებისათვის. გავიხსენოთ რომელიმე პარტიტურა. ჩვენ

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მათი ხმოვანება ინსტრუმენტების გარეშე, პიანინოს, ვიოლინოს, ფლეიტის გარეშე. და ეს – მუსიკისაგან და ინდივიდუალობათაგან შეძერწილი სამყარო ჩვენეულ სამყაროზე ღარიბი არ იქნება. როგორც შოპენჰაუერმა* თქვა, სამყაროსთან მიმართებაში მუსიკა რამე გარეგანს კი არ წარმოადგენს, სამყარო თვითონ არის მუსიკა.

ამ სამყაროში ყოველთვის იმოძრავებს დრო, იმიტომ რომ დრო თანმიმდევრობაა. წარმოიდგინოს თვითეულმა ჩვენგანმა, რომ ბნელ ოთახში მოხვდა. მაშინ გაქრება ხილული ქვეყანა, გაქრება სხეული. აკი ხშირად ვერცა ვგრძნობთ ჩვენსავე სხეულს. მაგალითად, ახლა, მხოლოდ ახლა შევიგრძენი – მაგიდას რომ შევახე ხელი – მაგიდაც და ჩემივე ხელიც. რაღაც ხდება. რა? შესაძლოა, იშმუშნებიან ჩვენი შეგრძნებანი, აღქმანი, ანდა სულაც მოგონებანი და წარმოსახვანი. ყოველ წუთს და ყოველ დროს რაღაცა ხდება. მახსენდება ტენისონის* მშვენიერი სტრიქონი: დრო მიედინება შუაღამეში[1]. როგორი პოეტური სახეა: მთელ ქვეყნიერებას სძინავს, მაგრამ დროის უჩუმარი მდინარე (ეს მეტაფორა აუცილებელია) მიედინება დედამიწაზე, ქვესკნელში, ვარსკვლავთა შორეულ სივრცეში.

ამრიგად, დრო წარმოადგენს არსებით პრობლემას. ამით იმის თქმა მინდა, რომ დროისგან ვერ მოვახდენთ აბსტრაჰირებას. ჩვენი გონება მუდმივად იცვლის მდგომარეობას და სწორედ ეს არის დრო, ანუ თანმიმდევრობა. მგონი, ანრი ბერგსონმა* აღნიშნა, დრო მეტაფიზიკის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენსო. თუ ამ პრობლემას ამოვხსნით, ამოვხსნით ყველა საიდუმლოს, მაგრამ – საბედნიეროდ, ჩვენ ეს არ ძალგვიძს. ჩვენ ამოხსნის პროცესში ვიქნებით ყოველთვის და წმიდა ავგუსტინეს* მსგავსად დღენიადაგ ვიკითხავთ: „რას წარმოადგენს დრო? სანამ არ მეკითხებიან, მე ვიცი ეს. მაგრამ შემეკითხებიან თუ არა, ვიბნევი“.

[1] Alfred Tennyson, The Mystic, "Time is flowing in the middle of the night".

მე არ ვიცი, ამ ოცი-ოცდაათი საუკუნის განმავლობაში, რაც დროზე დაფიქრებულა კაცობრიობა, საკითხის გადაწყვეტაში რამდენად წავიწიეთ წინ, მაგრამ ჩვენ დღემდე გვაცბუნებს ის, რამაც დიდი ხნის წინათ განაცვიფრა ჰერაკლიტე˙. მე ისევ და ისევ ვუბრუნდები მის გამონათქვამს: ვერავინ შევა ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში. რატომ ვერასოდეს შევალთ ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში? ჯერ ერთი – იმიტომ, რომ მდინარე მიედინება. მეორე – იმიტომ, რომ – და ეს მეტაფიზიკურად უშუალოდ ჩვენ გვეხება და გულში აღგვიძრავს რაღაცნაირ საღმრთო შიშს, – ჩვენ თვითონ ვგავართ მდინარეს, ჩვენც ასევე მივედინებით.

სწორედ ამაშია დროის პრობლემა. ეს არის პრობლემა მდინარებისა: დრო მიედინება, დრო გადის. ბუალოს˙ შესანიშნავი ლექსი მახსენდება: დრო მაშინ გადის, როცა რაღაც უკვე შორსაა ჩემგან. ჩემი აწმყო, ანდა ის, რაც აწმყო იყო, უკვე წარსულად გადაიქცა, თუმცა მედინი დრო მთლიანად არ გადაწურულა. მაგალითად, ჩვენ ერთად ვსაუბრობდით გასულ ხუთშაბათს. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ უკვე სხვანი ვართ: რამდენი რამ გადაგვხდა ამ დროის განმავლობაში! მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ იგივენი ვართ. მე ვიცი, რომ აქ გამოვდიოდი, რომ ვცდილობდი ჩემი შეხედულება გამეცნო თქვენთვის, ხოლო თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ამ ერთი კვირის წინ ჩემი მსმენელები იყავით. ყოველ შემთხვევაში, ამას აღბეჭდავს მეხსიერება. მეხსიერება ინდივიდუალურია. ჩვენ ყველანი მნიშვნელოვანწილად მეხსიერებისგან შევდგებით, ხოლო მეხსიერება მნიშვნელოვანწილად დავიწყებისაგან შედგება.

ამრიგად, ჩვენ დავაყენეთ დროის საკითხი. ამ საკითხს ალბათ ახლა ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ შეგვიძლია ერთმანეთს შევუდაროთ შემოთავაზებული თვალსაზრისები. უძველესი მათ შორის პლატონს˙ ეკუთვნის. მისგან ისესხა პლოტინმა˙, ხოლო შემდეგ წმიდა ავგუსტინემაც. ეს იდეა ადამიანის ერთერთი უმშვენიერესი გამოგონებაა. მე სწორედ ადამიანს ვგუ-

ლისხმობ, მაგრამ თუკი თქვენ რელიგიური პიროვნება ხართ, შეგიძლიათ სხვანაირად იფიქროთ. უმშვენიერესი გამოგონებაა მარადისობა. რაა მარადისობა? მარადისობა ჩვენი გუშინდელი დღეების ჯამი არ არის. მარადისობა არის ყველა ჩვენი გუშინდელი დღე, ყველა გუშინდელობა ყველა გონიერი არსებისა, და აწმყო, – წამი, რომელიც მოიცავს ყველა ქალაქს, ყველა სამყაროს, ვარსკვლავთა სივრცეს, დაბოლოს, ჯერ კიდევ განუხორციელებელ, მაგრამ დროში უკვე არსებულ მომავალს.

მარადისობას თეოლოგები მიიჩნევენ წუთად, რომელშიც ჯადოსნურად არის გაერთიანებული ზემოხსენებული სხვადასხვანაირი დროები. მოვიხმოთ დროის არსის ღრმა შემგრძნობი პლოტინის სიტყვები. პლოტინი ამბობს: არსებობს სამი დრო და სამივე აწმყოა. პირველი უშუალო აწმყოა, ის წამი, როცა ვლაპარაკობ, ანუ წამი, როცა ვლაპარაკობდი, ის ხომ უკვე წარსულს ეკუთვნის. მეორე დრო – გარდასულის აწმყოა, მას ეწოდება მეხსიერება. და მესამე – მომავლის აწმყო, ანუ ის, რასაც ჩვენს გულში აღძრული შიში და იმედები აცნაურებს.

ახლა გადავიდეთ იმ ახსნაზე, პლატონმა რომ მოგვცა. ეს ახსნა თავისებური ჩანს, მაგრამ მე ვეცდები გაჩვენოთ, რომ ეს ასე არ არის. პლატონი ამბობდა, რომ დრო მარადისობის მედინი სახეა. ის მარადისობით იწყება, მარადიული არსით, ვისაც სურს ასახული იყოს სხვა არსებებში. მაგრამ მარადისობის წიაღში ეს შეუძლებელია. ასახვა თანდათანობით უნდა განხორციელდეს. და მაშინ დრო მარადისობის მედინ სახედ იქცევა. როგორც დიდმა ინგლისელმა მისტიკოსმა უილიამ ბლეიკმა' თქვა – „დრო – მარადისობის საჩუქარია". მთელი ყოფიერება ერთობლივ რომ განხორციელებულიყო ჩვენს წინაშე, – ქვეყნიერებაზე დიდი, სამყაროზე დიდი ყოფიერება!.. ერთხელ მაინც რომ დაენახებინათ ჩვენთვის მთელი ყოფიერება ერთობლივ, – ჩვენ გავისრისებოდით, გავცამტვერდებოდით, შევიმუსრებოდით. ჩვენ დავიღუპებოდით. დრო – მარადისობის საჩუქარია. მარადისობა საშუალებას გვაძლევს

ვიცხოვროთ თანმიმდევრობის წიაღში. ჩვენ გაგვაჩნია დღე და ღამე, საათი და წუთი, ჩვენ გაგვაჩნია მეხსიერება, ამწუთიერი განცდები, დაბოლოს, ჩვენ გაგვაჩნია მომავალი, ჩვენთვის უცნობი მომავალი, რისი წინათგრძნობა გვაფორიაქებს, ან რისიც გვეშინია.

ყველაფერი ეს მოცემული გვაქვს თანმიმდევრობაში იმიტომ, რომ ვერაფრით გავუძლებდით სამყაროს ერთობლივი ყოფიერების განუზომელ სიმძიმეს. ამრიგად, დრო მარადისობის საჩუქრად გვექცა. მარადისობა საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ თანმიმდევრობაში. შოპენჰაუერმა თქვა, რომ, საბედნიეროდ, ჩვენი ცხოვრება განიწილება დღეებად და ღამეებად, ძილად და ღვიძილად, დილით ვდგებით, მოვილევთ დღეს და მერე ვიძინებთ. ძილი რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება აუტანელი გახდებოდა. ჩვენივე ცხოვრებისეულ სიამეთა ბატონ-პატრონები აღარ ვიქნებოდით. ყოფიერების მთელობა ჩვენთვის აუტანელია. ამიტომ ყველაფერი, რაც მოგვეცა, თანდათანობით გაგვინაწილდა.

მსგავს იდეებთან არის დაკავშირებული სულთა გადასახლების კონცეფცია. შესაძლოა, როგორც ეს სჯერათ პანთეისტებს*, ჩვენ განზავებულნი ვიყოთ ყველანაირ მინერალში, მცენარესა თუ ცხოველში, ყველა ადამიანში, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ ვიცით. საბედნიეროდ, ჩვენ გვწამს ინდივიდუალობა და მოცთუნებულნი რომ არ ვიყოთ, მთელობის ეს ერთობლიობა გაგვსრესდა.

დავუბრუნდეთ წმიდა ავგუსტინეს. მე მგონი, ასე მძაფრად არავის განუცდია დროის პრობლემა. ავგუსტინე ამბობს, რომ სწყურია იმის გაგება, თუ რა არის დრო. იგი ემუდარება უფალს განუმარტოს ეს საკითხი, – უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო კი არა, იმიტომ, რომ სხვაგვარად მას არ შეუძლია ცხოვრება. ეს ავგუსტინესათვის არსობრივ საკითხად იქცა, იმად, რასაც შემდეგ ბერგსონი უწოდებს მეტაფიზიკის ძირითად პრობლემას. ყველაფერ ამაზე გულმხურვალედ ლაპარაკობს წმიდა ავგუსტინე.

დროის შესახებ რომ ვმსჯელობთ, უნდა მოვიგონოთ თითქოსდა ძალიან უბრალო მაგალითი, – ზენონის˙ ერთერთი პარადოქსი. ზენონი თავის პარადოქსებს სივრცეს აკუთვნებს, ჩვენ კი დროს მივუსადაგებთ. განვიხილოთ მათ შორის ყველაზე მარტივი, – პარადოქსი თუ აპორია˙ მოძრავი საგნის შესახებ. მოძრავი საგანი მაგიდის ერთ კუთხეშია. ის უნდა გადაადგილდეს. თავდაპირველად მისთვის აუცილებელია დაფაროს გზის ნახევარი, მაგრამ მანამდე უნდა გადალახოს ნახევრის ნახევარი, ხოლო უფრო ადრე ნახევრის ნახევრის ნახევარი, და ასე დაუსრულებლივ. ამიტომ, ზენონის მიხედვით, მოძრავი საგანი ვერასდროს გადაადგილდება მაგიდის ერთი კუთხიდან მეორემდე. დაბოლოს, შეგვიძლია გეომეტრიიდან მოხმობილ მაგალითს მივმართოთ. გეომეტრიაში მოიგონეს წერტილი. მიაჩნიათ, რომ წერტილს არავითარი ვრცეულობა არა აქვს. მაგრამ თუ ავიღებთ წერტილების უსასრულო თანმიმდევრობას, მივიღებთ ხაზს. მერე – თუ ავიღებთ ხაზების უსასრულო რაოდენობას, მივიღებთ სიბრტყეს. მაგრამ თუ წერტილებს არ გააჩნიათ ვრცეულობა, გაუგებარია, როგორ შეიძლება მათმა თუნდაც უსასრულო რაოდენობამ მოგვცეს განფენილი ხაზი. ხაზზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს არა დედამიწის ამა თუ იმ წერტილის მთვარესთან დამაკავშირებელი სწორი. მე ვლაპარაკობ მაგიდის ხაზზე, რასაც ხელითაც ვეხები. მასში ხომ წერტილების უსასრულო რაოდენობაა. ყველაფერ ამას გარკვეული ახსნა მოუძებნეს.

ბერტრან რასელი˙ ამას ასე ხსნის. არსებობს ფინიტური სიმრავლე (ნატურალური რიცხვების რიგი – 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და ა.შ. უსასრულობამდე). განვიხილოთ ახლა განფენილობით ამ რიგზე ორჯერ ნაკლები სხვა თანმიმდევრობა. ის შედგება ლუწი რიცხვებისაგან. მაშინ 1-ს შეესაბამება 2, 2-ს შეესაბამება 4, 3-ს – 6... ახლა ავიღოთ კიდევ ერთი თანმიმდევრობა. ავირჩიოთ ნებისმიერი რიცხვი, ვთქვათ 365. ახლა 1-ს შეესაბამება 365, 2-ს – 365 კვადრატში, 3-ს – 365 კუბში და ა.შ.

ამგვარად მივიღებთ რიცხვთა რამდენიმე თანმიმდევრობას. მაშასადამე, მსგავს ტრანსფინიტურ სიმრავლეებში ნაწილი მთელზე ნაკლები არ არის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს იდეები გაიზიარეს მათემატიკოსებმა, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ამას ერწმუნოს ჩვენი წარმოსახვა.

ავიღოთ აწ-მყო წუთი. რას ნიშნავს აწ-მყო წუთი? ეს არის წუთი, რომელშიც ჩაწურულია ცოტაოდენი წარსული და ცოტაოდენი მომავალი. თავისთავად აწმყო – გეომეტრიაში ფინიტური წერტილის მსგავსია. თავისთავად აწმყო არ არსებობს. იგი ჩვენი გონების უშუალო აღქმას არ წარმოადგენს. ასე რომ, ჩვენ გვაქვს აწმყო, რომელიც მუდმივად იქცევა ხოლმე ხან წარსულად, ხანაც მომავლად.

დროის შესახებ ორგვარი თვალსაზრისი არსებობს. ერთი მათგანის თანახმად, რასაც, მე მგონი, ყველანი ვიზიარებთ, დრო – მდინარეა, რომელიც ჩვენსკენ მოიქცევა თავისი მიუწვდომელი დასაბამიდან. სხვანაირად უყურებს დროს ჯეიმს ბრედლი". ბრედლის აზრით, სწორედ ამის საპირისპირო რამ ხდება, დრო მომავლიდან მოიქცევა აწმყოში, ხოლო ის წამი, როცა მომავალი წარსულად იქცევა, არის ის, რასაც ჩვენ აწმყოს ვეძახით. ამ ორი მეტაფორიდან ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ ერთერთი. შეგვიძლია, დროის მდინარების სათავე მოვათავსოთ წარსულში, ან მომავალში. სულერთია, ორივე შემთხვევაში მდინარე იდინებს.

მაგრამ როგორ ავხსნათ დროის წარმოშობის პრობლემა? პლატონის პასუხი ასეთია: დრო სათავეს იღებს მარადისობიდან. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარადისობა წინ უსწრებს დროს. „წინ უსწრებსო", როცა ვამბობთ, ეს ხომ იმის თქმას ნიშნავს, რომ თვითონ დროც მარადისობას მიეთვლება. მცდარია, აგრეთვე, არისტოტელესავით ვივარაუდოთ, რომ დრო მოძრაობის საზომია, ვინაიდან მოძრაობა დროში ხორციელდება და ვერ ახსნის ამ უკანასკნელს. წმიდა ავგუსტინემ ერთხელ შესანიშნავად ბრძანა: „დროში კი არ შექმნა ღმერთმა ცა და

ქვეყანა, არამედ დროით აღჭურვა ისინი"[2]. შესაქმის პირველი მუხლები მარტო სამყაროს შექმნას – ქვეყნის, ზღვების, ბნელისა და ნათლის შექმნას კი არ გულისხმობს, არამედ დროის დასაბამსაც. მანამდე დრო არ არსებობდა. ქვეყნიერებამ უკვე დროით აღჭურვილმა იწყო არსებობა. და იქიდან დაწყებული ქვეყნად ყველაფერი თანმიმდევრულად ხდება.

არ ვიცი, მოგვეხმარება თუ არა ტრანსფინიტურ სიმრავლეთა იდეა, რომელიც ეს-ესაა შეგახსენეთ. არ ვიცი, შეეგუება თუ არა ამ იდეას ჩემი წარმოსახვა. არ ვიცი, შეეგუება თუ არა ამ იდეას თქვენი წარმოსახვა, – სიმრავლეთა იდეას, რომელთა ნაწილები მთელს უტოლდება. როცა ნატურალური რიცხვების თანმიმდევრობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ გვესმის, რომ ლუწი რიცხვების რაოდენობა კენტი რიცხვების რაოდენობის ტოლია და რომ ეს რაოდენობა უსასრულოა. ჩვენ გვესმის, რომ 365-ის ხარისხების რაოდენობა ნატურალური რიცხვების ტოლია. ისიც, რატომ არ უნდა მოვიმარჯვოთ ეს იდეა დროის ორი მოკენტის მიმართაც? რატომ არ მოვიმარჯვოთ იგი 7 და 4 წუთის მიმართ, 7 და 5 წუთის მიმართ? ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ორ რიცხვს შორის წამების უსასრულო ტრანსფინიტური თანმიმდევრობაა განლაგებული. მაგრამ ბერტრან რასელს უნდა, რომ ეს ჩვენ სწორედ ამგვარად წარმოვისახოთ.

ბერგსონმა თქვა, – ზენონის პარადოქსები დროის სივრცესთან გაიგივებაზეა დაფუძნებულიო, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ერთიანი სასიცოცხლო სწრაფვაო. ასე რომ, არ შეიძლება ითქვას – იმ დროს, როცა აქილევსი ერთ მეტრს გაირბენს, კუ დეციმეტრს გაივლის იმიტომ, რომ ამგვარი მსჯელობისას აქილევსი ჯერ დიდი ნახტომებით მირბის, ხოლო შემდეგ კუს ნაბიჯებითო. ამგვარად, ჩვენ სივრცისეულ საზომს ვუსადაგებთ დროს. განვიხილოთ ხუთწუთიანი დროის შუალედი. იმისთვის, რომ ხუთი წუთი გავიდეს, საჭიროა ჯერ

[2] Non in tempore, sed cum tempore Deus creavit caelum et terra.

გავიდეს ორნახევარი წუთი – ნახევარი იმ ხუთი წუთისა, ხოლო ამისთვის საჭიროა ორწუთნახევრის ნახევარმა განვლოს. ამ ნახევარმა რომ განვლოს, მისი ნახევრის ნახევარი უნდა გავიდეს და ასე უსასრულობამდე. და, მაშასადამე, ხუთი წუთი არასოდეს გავა. აი ასე, ანალოგიური შედეგით უსადაგებენ ზენონის აპორიებს დროს. მშვილდ-ისრის მაგალითიც შეგვიძლია გავიხსენოთ. ზენონი ამბობდა, რომ გასროლილი ისარი წამის ყოველ მონაკვეთში უძრავია. მაშასადამე, მოძრაობას ადგილი არა აქვს: უძრაობების ჯამი ხომ ვერასოდეს მოგვცემს მოძრაობას.

მაგრამ უკეთუ სივრცეს ნამდვილად არსებულად მივიჩნევთ, ბოლოსდაბოლოს, შეგვიძლია, წერტილის დონემდე დავიყვანოთ იგი, თუნდაც რომ დაყოფის პროცესი უსასრულობამდე გაგრძელდეს. და თუ იმ აზრამდე მივალთ, რომ დრო რეალურად არსებობს, მაშინ მასაც დავყოფთ წუთებად, წამებად და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი სამყაროს ჩვენი წარმოდგენის ქმნილებად ჩავთვლით, თუ ვიფიქრებთ, რომ ყველა ჩვენგანი თავის ოცნებაში ქმნის სამყაროს, შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ჩვენი გონება ერთი აზრიდან მეორემდე მოძრაობს და ქვედანაყოფები, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, საერთოდ აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჩვენი გრძნობები, ჩვენი წარმოსახვა. ეს ქვედანაყოფები მოჩვენებითია, წარმოსახვითია. მაგრამ გავრცელებულია სხვაგვარი, საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისიც, რომლის თანახმად, დრო ერთიანია. ეს აზრი თავისი ავტორიტეტით დაამკვიდრა ნიუტონმა*, თუმცა ის ნიუტონზე დიდი ხნით ადრე იყო გამოთქმული. როცა ნიუტონი ლაპარაკობს მათემატიკურ დროზე – მხოლოდ ერთადერთ დროზე, რომელიც მიედინება სამყაროში, მას მხედველობაში აქვს ის დრო, ახლაც ერთფეროვნად რომ დის სამყაროში, ვარსკვლავთა სივრცეში. მაგრამ ინგლისელმა მეტაფიზიკოსმა ბრედლიმ განაცხადა, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს

ასე ვიფიქროთ. იგი წერს: შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობს სულ სხვადასხვანაირი, ერთმანეთთან შეუსაბამო დროისმიერი თანმიმდევრობანი. ავიღოთ მათ შორის ერთერთი და აღვნიშნოთ ის ა, ბ, გ, დ, ე, ვ... ამ თანმიმდევრობის წევრები შემდეგნაირად შეესაბამებიან ერთმანეთს: მათ შორის ერთერთი სხვისი მომდევნოა, ერთერთი სხვისი წინარეა, ერთერთი სხვასთან დგას ერთდროულად. შეგვეძლო მოგვეგონებინა სხვანაირი თანმიმდევრობა: ალფა, ბეტა, გამა... ბევრი სხვა თანმიმდევრობის მოგონებაც შეიძლება.

რატომ მიგვაჩნია დრო ერთადერთ თანმიმდევრობად? არ ვიცი, მისაწვდომია თუ არა ჩვენი წარმოდგენისათვის მრავალი დროის არსებობის იდეა, სადაც ეს დროისმიერი თანმიმდევრობანი არ შეესაბამებიან ერთმანეთს, თუმცა კი მათი წევრები, რა თქმა უნდა, ურთიერთს მისდევენ, ურთიერთის წინარე ან გვერდიგვერდ დგანან. ეს სხვადასხვაგვარი თანმიმდევრობანია. თვითეულ ჩვენგანს შეუძლია ამის წარმოდგენა. გავიხსენოთ თუნდაც ლაიბნიცი*.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა მოვლენათა თანმიმდევრობა, ხოლო სხვადასხვა თანმიმდევრობანი არ გადაკვეთენ ერთმანეთს, ანდა პარალელურად განიფინებიან. რატომ უნდა გავიზიაროთ ეს იდეა? შესაძლოა, ეს იდეა სწორია და მაშინ ის უფრო უჩვეულო და ფართო სამყაროში გადაგვიყვანს, ვიდრე ჩვენია. აზრი, რომ არ არსებობს ერთიანი დრო, მგონი, აღიარებულია თანადროული ფიზიკის მიერ, რისიც მე არაფერი გამეგება. ესაა აზრი განსხვავებულ დროთა შესახებ. ნიუტონის მტკიცების კვალობაზე რატომ უნდა დავიჩემოთ, რომ მხოლოდ ერთი დრო არსებობს?

დავუბრუნდეთ მარადისობის თემას, მარადისობის იდეას, რომელსაც სურს რამენაირად გამოვლინდეს, და რომელიც ვლინდება დროსა და სივრცეში. მარადისობა არქეტიპების საუფლოა. მაგალითად, მარადისობაში არ არსებობს კონკრეტული სამკუთხედები. იქ სუფევს მხოლოდ ერთი სამკუთხედი,

და ის არც ტოლგვერდაა, არც ტოლფერდა, არც განსხვავებული გვერდების მქონე. მათი არქეტიპი განასახიერებს ერთდროულად სამივეს და ამავე დროს, მათ შორის არც ერთს. იმას, რომ არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ ამნაირი სამკუთხედი, მნიშვნელობა არა აქვს. იგი არსებობს. ანდა, თვითეული ჩვენგანი შეიძლება კაცის არქეტიპის ჟამიერ და მოკვდავ ასლად ჩაითვალოს. აქ, ჩვენ წინაშე კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება: ყველა ადამიანს გააჩნია თავისი პლატონური არქეტიპი? მარადისობა ესწრაფვის გამოვლინებას და ის ვლინდება დროში. დრო – მარადისობის სახეა.

მე ვფიქრობ, ეს გაგვიადვილებს იმის გაგებას, თუ რატომ არის დრო თანმიმდევრული. დრო თანმიმდევრულია იმიტომ, რომ – მას შემდეგ, რაც გამოვიდა მარადისობის წიაღიდან, კვლავ მასში უკუმიქცევას ესწრაფვის. ამრიგად, მომავლის იდეა დაკავშირებულია ჩვენს სურვილთან, კვლავ დავუბრუნდეთ დასაბამს. ღმერთმა შექმნა ქვეყანა და მთელი ქვეყანა, მთელი ეს ქმნილი და ქმნადი სამყარო თავის მარადიულ, თავდაპირველ დასაბამში მიქცევას ლამობს. იმ დასაბამში, რომელიც არც დროის წინარე და არც დროის შემდეგ არ არსებობს, არამედ დროის საზღვრებს მიღმა ჰგიეს. და ეს სასიცოცხლო სწრაფვაში ვლინდება. ამასთანავე, იმასაც ვიგებთ, თუ გამუდმებით რატომ მოძრაობს დრო.

ზოგიერთები უარყოფენ აწმყოს. ინდოელი მეტაფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ის წამი, როცა ხიდან ვარდება ნაყოფი. ნაყოფი საცაა მოსწყდება ხეს, ანდა ის უკვე მიწაზეა ჩამოვარდნილი. ვარდნის მომენტი არ არსებობს. რა უცნაურია, რომ წარსულად, აწმყოდ და მომავლად დანაწევრებულ დროში ყველაზე მოუხელთებელი და შეუცნობი აწმყოა! აწმყო მოუხელთებელია როგორც წერტილი. უკეთუ მას ვერ წარმოვიდგენთ გარკვეული ხანგრძლივობის გარეშე, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არარსებულია. ამიტომ იძულებული ვართ წარმოვიდგინოთ ის, როგორც ერთმანეთთან შეზავებული ცო-

ტაოდენი წარსული და ცოტაოდენი მომავალი, რათა შევიგრძნოთ დროის დინება. როცა დროის დინებაზე ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ იმ რაღაც მედინზე, რასაც ყველანი ვგრძნობთ, ხოლო როცა აწმყო დროზე ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ აბსტრაქტულ არსზე. აწმყო – ჩვენი გონების მიერ უშუალოდ არ აღიქმება.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ დროში მივსრიალებთ, ე.ი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მომავლიდან წარსულში ან წარსულიდან მომავალში ვმოძრაობთ. მაგრამ ჩვენ არ ხელგვეწიფება დროის შეჩერება და არც გოეთესავით შეგვიძლია შევძახოთ: „შეჩერდი, წამო, რა მშვენიერი ხარ!“. აწმყო ვერ შეჩერდება. შეუძლებელიცაა წმინდად დაკრისტალებული აწმყოს წარმოდგენა. ის არარა იქნებოდა. აწმყოში ყოველთვის განზავებულია წარსულისა და მომავლის რაღაც ნაწილი. როგორც ჩანს, დროს ასე ესაჭიროება. ჩვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებაში დრო ყოველთვის ჰერაკლიტეს მდინარესა ჰგავს. დღენიადაგ ვიგონებთ ამ ძველ შედარებას, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს ამდენი საუკუნის მანძილზე. ყოველი ჩვენგანი ისევ ის ჰერაკლიტეა, რომელიც თავის ანარეკლს ჭვრეტდა მდინარეში და იმაზე ფიქრობდა, რომ მდინარე აღარ არის ის მდინარე იმიტომ, რომ წყალმა ჩაიარა, და თვითონაც აღარ არის ის ჰერაკლიტე იმიტომ, რომ ისიც შეიცვალა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ჩაიხედა წყალში.

ამრიგად, კაცი მედინიცაა და მდგრადიც. კაცი თავისი არსით უცნაურია. რა ვიქნებოდით ჩვენ – მეხსიერება რომ არ გვქონოდა? კაცთა მეხსიერებაში ბევრი ნაყარნუყარია დალექილი, მაგრამ მასშივეა დაფარული ადამიანის არსი. მაგალითად, ის რომ ვიყო, რაცა ვარ, არ მჭირდება იმის მოგონება, რომ ერთხანს ვცხოვრობდი პალერმოში, ადროგეში˙, ჟენევაში, ესპანეთში. ამავე დროს, მე უნდა ვიგრძნო, რომ აღარა ვარ ისეთი, როგორიც იმ ადგილებში ვიყავი, რომ მე სხვა გავხდი. ეს არის პრობლემა, რომელსაც ვერასდროს ამოვხსნით,

– პრობლემა ცვალებადი იგივეობისა. იქნებ ვიკმაროთ თვითონ სიტყვა „ცვალება“? ვინაიდან თუ ვილაპარაკებთ რაიმეს ცვლილებაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სხვა რამით შეიცვალა. როცა ვამბობთ: მცენარე გაიზარდაო, მხედველობაში არა გვაქვს ის, რომ მის ადგილზე სხვა რამ აღმოცენდა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ ეს მცენარე სხვანაირი გახდა. ეს არის ცვალებადში მუდმივის, ან მედინში წარუდინებელის არსებობის იდეა.

მომავალზე წარმოდგენას უნდა განემტკიცებინა პლატონის ძველი აზრი, რომ დრო – მარადისობის მედინი სახეა. თუკი დრო მარადისობის სახეა, მაშინ მომავალი – სულის მყობადისკენ მოძრაობა უნდა იყოს. მყობადი, თავის მხრივ, მარადისობის წიაღში დაბრუნება იქნება. და მაშინ ჩვენი ცხოვრება ყოველდღიურ აგონიად იქცევა. როდესაც პავლემ˙ თქვა: „მარადღე ვკვდები“[3], ეს არ იყო პოეტური სახე. ჭეშმარიტება იმაშია, რომ ჩვენ ყოველდღე ვკვდებით და კვლავ ვიბადებით. ამიტომ ჩვენ დროის პრობლემა უფრო მეტად გვეხება, ვიდრე სხვა მეტაფიზიკური პრობლემები, – ისინი ხომ აბსტრაქციებია. დრო უშუალოდ გვეხება ჩვენ ყველას. ვინ ვარ მე? რას წარმოადგენს თვითეული ჩვენგანი? ვინა ვართ ჩვენ ყველანი? შეიძლება ოდესმე გავიგოთ ეს. შეიძლება ვერც გავიგოთ. მანამდე კი, როგორც წმიდა ავგუსტინემ თქვა – ჩემს სულს სწყურია ამის შეცნობა.

[3] ახალი აღთქმა, I კორინთ. 15,31.



ლორენ აისლი

დ. 1907 ნებრასკის შტატი, აშშ
† 1977 პენსილვანიის შტატი, აშშ

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ამერიკელი ესეისტი, პროზაიკოსი და პოეტი, ცნობილი ანთროპოლოგი და ნატურალისტი.

მისი დებიუტი ლიტერატურაში 1957 წელს შედგა ესეების კრებულით „უსასრულო მგზავრობა“ (The Immense Journey). წიგნი ეხება სიცოცხლის ევოლუციას დედამიწაზე და ის არაერთხელ გამოიცა.

ლორენ აისლის ნაშრომები აღბეჭდილია ემერსონისა˙ და თოროს˙ ჰუმანისტური ტრადიციებით. მისი ესეების რამდენიმე კრებული, მოთხრობები და ლექსები გამოირჩევა იმ განსაკუთრებული სტილით, რომელსაც აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ოდენი˙ და ბრედბერი˙.

აისლის ნაწარმოებები ამერიკული ლიტერატურის ანთოლოგიაში შევიდა როგორც ფილოსოფიური სიღრმისა და სტილისტური ოსტატობის ნიმუშები. მისი ფუნდამენტური ნაშრომი „დარვინის საუკუნე“ კი სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ნუსხაშია (1958).

აისლის ღრმად ფილოსოფიურ და ავტობიოგრაფიულ ესეებში ადამიანისა და ბუნების ერთიანობის აზრია გამოხატული. მისი ლექციები და ნაშრომები „ადამიანისა და მარადისობის“ იდეით არის გამსჭვალული. ცხოვრება მისთვის კოსმიური მასშტაბის დიდი საიდუმლოა, რომელიც ყოფიერებაში ჩაფლული ადამიანისთვის ძნელად შესამეცნებელია.

შეუპოვარი არსება

ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და მისი ენით უთქმელი ტრიუმფის მიუხედავად, ჩვენი დროის ანთროპოლოგები სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ ადამიანს არსებითად ჯერ კიდევ არ გაუმარჯვია ბუნებაზე, რადგან მას არ გაუმარჯვია თავის თავზე. სწორედ თანამედროვე ადამიანი, ანუ „ჰომო საპიენს“, ე.ი. „გონიერი“, როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, გადაიქცა ჩვენი საუკუნის ფარულ საშინელებად, კოშმარად. ეს კოშმარი ავბედითი აჩრდილივით დღისითა და ღამით მოუშორებლად თან სდევს მთელი მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეებს.

ამას წინათ მე მომიხდა ყოფნა აშშ-ის ერთერთ დიდ მუზეუმში. დავათვალიერე ადამიანის ისტორიისადმი მიძღვნილი დარბაზი. ამ განყოფილების შესაქმნელად დიდმა მეცნიერებმა გასწიეს შრომა და, ვიმედოვნებდი, აქ მეპოვა კაცობრიობის ბედის რამენაირი გასაღები, რაიმე მინიშნება, დაწურული ფორმით ადამიანის ბუნებას რომ გამიხსნიდა. ეს გამოფენა დიდი კითხვის ნიშნით მთავრდებოდა. იგი დასმული იყო ატომური ძრავისა და იმ ენერგიის გრაფიკული გამოსახულების წინ, რომელსაც ახლა დაეუფლა ადამიანი. მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო არ დავთანხმებოდი კითხვის ნიშანს, რითაც ამ დარბაზში წარმოსახული კაცობრიობის ისტორია მთავრდებოდა.

სათავისკენ ავუყევი და თანდათანობით, სხვადასხვა ერათა წიაღ წარსულში რომ ვღრმავდებოდი, ბოლოს მივადექი არ-

სებას, რომელიც მიახლოებით თუ ჰგავდა ადამიანს. იგი კოცონთან იჯდა და ბუწუწა ნარბებიდან გამომზირალი თვალებით შემომჩერებოდა. ტაბლოზე წავიკითხე: „ადამიანის პირველი ნაბიჯი ენერგიის დაუფლების გზაზე. მან ისწავლა ცეცხლის გაჩენა". წარწერების თვალიერებაში რამდენჯერმე მოვიარე დარბაზი. ჩემი მზერა კვლავ კოცონთან მიყუჟულმა პირველყოფილმა არსებამ, – დედაკაცმა მიიპყრო, რომელსაც გულში ჰყავდა ჩაკრული ბავშვი. მე ხელახლა მოვიარე დარბაზი. აქ იყო თავმოყრილი ყველაფერი, რაც, მეცნიერთა აზრით, ადამიანის ისტორიის თვალსაჩინო სურათს იძლეოდა. ჩემ წინ იყო გამოფენილი მონადირეთა იარაღი, მიწათმოქმედების განვითარებით გამოწვეული თვალნათლივ დასანახი ეკონომიური გადატრიალება, მოსახლეობის ზრდა, ქალაქებისა და იმპერიების აყვავება და დაქცევა. და, მიუხედავად ყველაფრისა, კაცობრიობის ენერგეტიკული რესურსების დაგროვება გრძელდებოდა.

მაგრამ აქ სხვა რამეც შეინიშნებოდა: წლითიწლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა შეიარაღებული ძალები, ვიდრე ბოლოს მსოფლიო ორ ბანაკად არ გაიყო და მისი ყოფნა-არყოფნა იმ თმაგაბურძგნული დედაკაცისა და მისი ბანჯგვლიანი მეუღლის ნაშიერთა ხელთ არ აღმოჩნდა, რომლებიც მე კოცონთან ვნახე.

რაღაცნაირი მერყეობით მე ისევ შევჩერდი წარსულის უკვე დავიწყებული იარაღების წინაშე, რადგან მომეჩვენა, რომ მათ აკლდა ერთგვარი კავშირი, რაღაც მთავარი, ის, რაც მხოლოდ ადამიანისთვისაა ნიშანდობლივი. მე ვგრძნობდი, რომ ქვას, ფოლადსა და კატაპულტას მეტად შორიდან და თან არასწორი კუთხით ვუყურებდი. „ადამიანის ისტორია" – მომაგონდა ისევ ის წარწერა დარბაზის შესასვლელთან და მაშინვე მივხვდი, რომ წარსულს თანამედროვე ამერიკელის ან, თუ გნებავთ, – დიდი განსხვავება არაა – თანამედროვე საბჭოელი მოქალაქის თვალით ვუყურებ.

თავმოყრილ ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი მარცვლეულის, ცეცხლისა და ნავთობის დაუთრგუნველი ძალა, მაგრამ ძნელი იყო თავის მსგავსებთან ურთიერთობისას ადამიანის ფიქრების გამოცნობა. შოუს" პარაფრაზი რომ მოვიშველიოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ქაღალდზე ან თავის უიდუმალეს ზრახვებში შეძლო ადამიანმა ამაღლებულიყო თავის თავზე, თავის ვნებებზე და სურვილებზე. ამ უზარმაზარ დარბაზში ნართაულადაც კი არ იყო მინიშნებული ადამიანის ყველაზე შესანიშნავი მხარე, მისი, როგორც სულიერ ღირებულებათა შემქმნელის, ზრდა და ის გზა, რომელზეც მისმა ფიქრმა და ოცნებამ, განუწყვეტელი ფერისცვალებისა და გარდაქმნის მეოხებით ბოლოსდაბოლოს დღევანდელ გარემომცველ სინამდვილემდე მიიყვანა იგი.

განათლებული ხალხი დაადგა მეცნიერულ თვალსაზრისს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოველური და მცენარეული სამყაროს მსგავსად, ადამიანიც უსასრულო ევოლუციური პროცესების პროდუქტს წარმოადგენს. მაგრამ, ვეთანხმებით რა მეცნიერების ამ ვერდიქტს, ჩვენ იშვიათად ვუფიქრდებით ხოლმე ადამიანისა და სხვა ცოცხალ არსებათა ევოლუციას შორის არსებულ სხვაობას. ჩვენ ცუდად ვწვდებით ადამიანის იმ აზრებს, რომლებსაც მასში ხიფათის მუქარა და მისთვის დამახასიათებელი მოვალეობის გრძნობა აღძრავს.

ამას წინათ, ჩემი მეგობრისა და კოლეგისაგან მივიღე წერილი, სადაც ლაპარაკი იყო მის ქალიშვილზე. გოგონა იზრდებოდა თავისებურ „კეთილშობილ ქალთა პანსიონში". „მას ასწავლიან, – გულმოკლული მწერდა მეგობარი, – რომ არსებობს ადამიანების ორი ტიპი: ძლიერი, გულსასტიკი ადამიანებისა და სუსტი, გულჩვილი ადამიანების ტიპი. პროფესორმა უთხრა მას, რომ საბოლოოდ გულსასტიკნი გაიმარჯვებენო".

მე შემძრა ამ დრომოჭმულმა თვალსაზრისმა. ვიცოდი, რომ ამაში ბრალი არ მიუძღვით უანგარო და თავდადებულ მეცნიერებს. მაგრამ იგი ეხებოდა საკითხს, რომელიც პასუხს მოით-

ხოვდა. ამ პასუხში მოცემულია ადამიანის მთელი უნიკალური ბუნება. საერთო ჯამში ხომ ადამიანმა გადაშენებას თავი დააღწია არა გულსასტიკობის მეოხებით, – ამის დამტკიცება თვით უდიდესმა ევოლუციონისტებმა დარვინმა* და უოლესმაც* ვერ შეძლეს, არამედ პირუკუ, მას გულჩვილობამ უშველა. თავისი პატივმოყვარეობის მწვერვალებიდან ადამიანი შესაძლოა ყვიროდეს, რომ ძლიერთა საქმე ბრძოლაა, ხოლო სუსტებისა – სიყვარული და ტანჯვა-წვალება. ამგვარი იდეების საყოველთაო გავრცელების მიუხედავად, საქმის არსი ისაა, რომ ადამიანს სინაზე რომ არ გამოემუღავნებინა მოყვასის მიმართ, იგი რომ თავისებურად, ადამიანურად მოსიყვარულე არსება არ ყოფილიყო, მის ძვლებს დიდი ხანია დახრავდნენ აფრიკაში მოწანწალე აფთრები, იმ აფრიკაში, სადაც მან პირველად შეიმოსა კაცური სახე.

ბავშვობა იმ პროფესორისა, მომავალი დედების წინაშე უხეში ძალის მქადაგებლის როლში რომ გამოდიოდა, ისევე როგორც თითოეული ადამიანის ბავშვობა, ყველა სხვა ცხოველურ არსებათა შორის განსაკუთრებული უმწეობითა და ხანგრძლივობით გამოირჩევა. ჩვენს მშობლებს რომ გაეზიარებინათ აწ დიდად პოპულარული ზოგ-ზოგი შეხედულება, ან ჩვენს წინაპრებს გულარძნილობის ისეთ საფეხურამდე რომ მიეღწიათ, როგორიც მათ ნებას მისცემდა წარმავალი სიამოვნების წილ უარეყოთ საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა, – ვერც ერთი ჩვენგანი, ვერც თქვენ და ვერც მე, ვერასოდეს ვიგემებდით სიცოცხლის სიხარულს.

■

ადამიანმა მოიხვეჭა მსოფლიოში ერთადერთი ნიჭი – მოაზროვნე გონება. მას შეუძლია განსაზღვროს პლანეტებისა და ატომების წონა, მაგრამ არ ძალუძს იმ ცხრა თვის განმავლობაში განავითაროს თავისი გონება, მის დაბადებას რომ უძღვის წინ. ამავე დროს, მისი გონება ფრიად მგრძნობიარეა,

რაკი იგი სოციალურ გარემოში წარმოქმნილი შთაბეჭდილებების აღსაქმელადაა გათვალისწინებული. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს ინსტინქტი მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. მაშასადამე, საჭიროა ადამიანის გონება გაიზარდოს, განვითარდეს, შეიძინოს ცოდნა და ამ ცოდნისაგან სარგებლობა მიიღოს. განვითარების თითქმის ყველა ეს პროცესი ბავშვის დაბადების შემდეგ იწყება. ამრიგად, ჩვილი ფრიად უმწეო და განუვითარებელ მდგომარეობაში ევლინება ქვეყანას. ხოლო ბავშვობის ხანა მეტად ხანგრძლივია, რაკი მისმა ინტელექტმა მოცემული გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვევებისა და ცოდნის დიდი მარაგი უნდა დააგროვოს.

ამრიგად, ბავშვს ბევრად მეტი ცოდნა მოეთხოვება, ვიდრე დანარჩენ ცხოველებს. სწორედ ამ გარემოებამ გახადა აუცილებელი ბავშვის ერთი ოჯახის წიაღში არსებობა, ბევრი სხვა ცხოველის მოუწესრიგებელი სქესობრივი ცხოვრების პირობების საწინააღმდეგოდ. თუმცაღა სხვადასხვა ხალხების ოჯახური ყაიდის მეორადი თავისებურებები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, სიყვარული და მზრუნველობა ბავშვისადმი ყველა ხალხსა და რასას ერთნაირადა აქვს მომადლებული.

ახალგაზრდა თაობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ადამიანური საზოგადოების სოციალური საფუძველია. პირველი გრძნობა, რასაც ადამიანი შეეყრება ცხოვრებაში, დედმამის სიყვარულთანაა დაკავშირებული. ეს გრძნობა მთელ მის ბავშვობას მიჰყვება. ამრიგად, იგი, ვინც ზოგჯერ ცდილობს უარყოს სიყვარულის გრძნობა, ის გრძნობა, რომელსაც თავის არსებობას უნდა უმადლოდეს, ვინც „სულის სიმტკიცესა“ და „არსებობისათვის ბრძოლაზე“ გაჰყვირის, – უარს ამბობს თავის ადამიანურ ღირსებაზე, საკუთარ ადამიანურ მემკვიდრეობაზე. ადამიანს წართმეული რომ ჰქონდეს ის იდუმალი ძალა, რომლის მეშვეობითაც მისი ტვინი სწრაფად ვითარდება, მას რომ არ ჰყავდეს მშობლები (არასრულყოფილნი, მაგ-

რამ მოსიყვარულენი), წლების განმავლობაში რომ ზრდიან და უვლიან თავიანთ პატარებს, – მისი გასაგისი აღიგვებოდა დედამიწის ზურგიდან.

■

ადამიანის ცხოვრების ბევრ უბრალო ფაქტს ჩვენ ხშირად აღვიქვამთ როგორც თავისთავად ცხად რამეს. მაგრამ იმისათვის, ვინც ადამიანის ევოლუციას სწავლობს, უფროსებს შორის ხანგრძლივად არსებულ ოჯახურ ურთიერთობასთან ჩვილის შესანიშნავი და თავისებური შეგუება ცხოვრების ისტორიის ერთერთ უდიდეს საიდუმლოდ რჩება. სიცოცხლის ეს მოვლენა იმდენად არაჩვეულებრივია, რომ მხოლოდ ცოცხალ არსებათა ერთ სახეობაში (იმ სახეობაში, რომლისგანაც ადამიანი წარმოიშვა) მიაღწია მან თავის სრულ განვითარებას დედამიწაზე სიცოცხლის სამი მილიარდი წლის მანძილზე. ადამიანში ოჯახი განსაზღვრავს ყველაფერ დანარჩენსაც: კულტურის შეთვისების უნარს, ცოდნის შეძენას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გამოც ეწოდება მას ადამიანი. ქვეყანაზე გაჩენას იგი სიყვარულს უნდა უმადლოდეს, ისეთ სიყვარულს, როგორიც უცხოა ყველა სხვა ცოცხალი არსებისათვის. ადამიანი მისგანვეა დავალებული თავის შემდგომი განვითარების დროსაც, და მით უფრო უცნაურია, რომ სწორედ ადამიანი მოგვიწოდებს უარვყოთ ეს გრძნობა, როგორც ყალბი და მავნე, და ცხოვრებაში გულსასტიკობის პრინციპით ვიხელმძღვანელოთ.

ყურადღებით დავაკვირდეთ იმას, თუ ოდესღაც ამაღლებული მისწრაფებებით გამსჭვალული ეს არსება როგორ ცხოვრობს ახლა ამ მახეში გაბმის შიშით, რომელსაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროში განყენებულ აზროვნებას მიჩვეული მისი წინაპრები დაუძვრნენ. „ადამიანი თავის თავშივე არეკლილი ჯუჯაკაცია", – წერდა ემერსონი. და, შესაძლოა, არასოდეს ყოფილა ადამიანი ისე უბადრუკი, როგორც ახლა, ჩვენს დროში, როცა მას ესოდენ დიდი ძლიერება აქვს მორჭმული. სიჯანსა-

ღის ერთადერთი დამამშვიდებელი ნიშანი ისაა, რომ მას უნარი შესწევს ამოფორთხდეს ტექნიკურ მიღწევათა სულ უფრო და უფრო სისქემომატებული გარსიდან და, აზრზე მოსულმა, განგაშისა და უკმაყოფილების გრძნობა განიცადოს.

მას ასეთი განცდის ყველა საფუძველი აქვს, რადგან ადამიანი ჯერ არასდროს ყოფილა მოწმე, ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის ასეთი წინსვლისა, მანქანების მეოხებით თავისი ძალმოსილების ასეთი კოლოსალური ზრდისა, ხოლო, მეორე მხრივ, ყველასათვის, ვინც მაღალ და კეთილშობილ იდეალებს ესწრაფვის, ასეთი ძნელი ჟამისა. ყველა მცდელობა ადამიანისა ამაღლდეს ინსტინქტებზე, ამაოა, ვინაიდან მისი ცხოველური ბუნება დღენიადაგ გვახსენებს ხოლმე თავს. საკუთარი ავბედითი აჩრდილის წინაშე შიშით გამოწვეული და მეომრული სულისკვეთებით აღსავსე მისი სურვილი – გაფრინდეს მარსზე, სხვა არაფერია, თუ არა უმწიფარი არსების მისწრაფება უკან მოუხედავად გაიქცეს და სხვა პლანეტებზე მიიტანოს თავისი გადაუწყვეტელი პრობლემები, იმის მაგივრად, რომ აქვე გადაწყვიტოს ისინი.

„ომები კოსმოსურ სივრცეებში გაიმართება, – განაცხადა ამას წინათ დიდმა სამხედრო ავტორიტეტმა, – ასწავლეთ თქვენს ბავშვებს მკაცრი სიმართლე". „უკაცრავად, მაგრამ რომელი სიმართლე?" – შეუძლია ჰკითხოს მასწავლებელმა, რაკი იცის, რომ მოზარდის ტვინი სწავლის პროცესში ყალიბდება და ამავე პროცესში იქცევა იმად, რასაც მას ასწავლიან. სულიერი ინტუიციისა და დიდსულოვნების გარეშე, მექანიკურ ძალებზე აღზევების უნარის გარეშე, ადამიანი თავის გზაზე ბუნებას კი არ შეეყრება, მას რომ სიცოცხლე მიანიჭა, არამედ საკუთარი გონების უზარმაზარ, საშინელ მოჩვენებას – თავისსავე თავს. და ეს, მე ვფიქრობ, ყველაზე საზარელი რამ იქნება, რაც მას წარმოუდგება თვალწინ სიკვდილის უკანასკნელ საათს.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ როცა წარსულს უდგები რაღაცნაირი მორალური გულდამშვიდებით, ცხოველური შეზღუ-

დულობით რომ ამართლებს ომების გარდუვალობას, ვერასოდეს ვერაფერს გაუგებთ ამ წარსულს. მართალია, ადამიანის გაჩენამდე სიცოცხლის ევოლუცია ცალკეული ნაწილების – სპორის, მცენარის ეკლისა თუ ნადირის ღოჯის ევოლუცია იყო და ყველაფერი ეს ცდილობდა მომავლისათვის მარად ბრძოლაში არსებობის შენარჩუნებას. სიცოცხლე უსიცოცხლო ბუნების ბრმა ძალებით იჭედებოდა. სიცოცხლე მკვდარი მატერიისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ცოცვის სურვილი ჰქონდა. უზარმაზარ არაორგანულ სამყაროში მას სურდა მოენახა რამენაირი ნაპრალი, ხვრელი, მყუდრო თავშესაფარი, რომ იქ სული მოეთქვა და თავი დაეცვა საშინელი ძალებისაგან, ყოველივე ცოცხალს დაღუპვით რომ ემუქრებოდნენ. ადამიანის გაჩენამდე დედამიწაზე არ არსებობდა არც ერთი ცხოველი, წარსულის დამახსოვრება და მომავალზე ფიქრი რომ შეძლებოდა. არც ერთ ცხოველს ცრემლი არ დაუღვრია მოყვასის ნეშტზე, არც ერთ არსებას უნარი არ გამოუჩენია მოეცვა და მოეაზრებინა ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ასე იყო სამი მილიარდი წლის განმავლობაში, მაგრამ დღეთა ამ უზარმაზარი ნაკადის დასასრულს მოხდა მცირე და სავსებით უჩუმარი შერყევა. არსებითად ეს იყო ფანტასტიკური აფეთქება, რაკი იგი თავის თავში მოიცავდა და წინასწარ განსაზღვრავდა მთელ მომავალს, ატომური აფეთქების დამაბრმავებელ მცხუნვარებას, წყალბადის ბომბის ვარვარა მორევს – ყველაფერ ამას პოტენციურად შეიცავდა ნაცრისფერი ნივთიერების პატარა გორახი, რომელმაც მილიონიდან ექვსას ათასამდე წლის წინათ მაიმუნის სქელძვლიან თავის ქალაში უეცარი ზრდა იწყო.

ეს მოხდა სრულ სიჩუმეში. მომცრო თავის ქალაში ჩაჭედილი, წარმოუდგენელი სისწრაფით გამრავლებული უჯრედების სიჩუმეში. ტყეში გაკაფული ახოების სიჩუმეში, სადაც მდუმარე ღამის უკუნეთში უზარმაზარი სოკოები იზრდებოდა. ეს აფეთქება სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც ეს ხანდახან

სჩვევია ბუნებას, როცა იგი უეცრად განიზრახავს დაარღვიოს თავისივე კანონები და თავაწყვეტილი გაიჭრება ახალი და ყველასაგან გაუთვალისწინებელი ექსპერიმენტების გზით. ახლა თავად მზის სისტემა განიცდის ამ უხმაუროო, უმნიშვნელო აფეთქების გავლენას. ის ფაქტი, რომ იგი ევოლუციური პროცესების შედეგად წარმოიშვა, სრულიადაც არ ამცირებს მის არაჩვეულებრივ თვისებებს.

სამი მილიარდი წლის მანძილზე არაფერი არ იძვროდა დედამიწაზე ჭაობის ლიამპალისა და მის მკვიდრთა გარდა. თავად უკვდავი დამკვირვებელიც კი, ვინც არ იცის, რა არის ჟამი, პირს მიიბრუნებდა და დაღლილ მზერას მოარიდებდა ქვეყანას; და მხოლოდ სულ ახლახან – „გეოლოგის თვალსაზრისით", გაჩნდა უსუსური უმსგავსო ცხოველი, რომელიც კლდოვანი, უდაბური ტაფობის ლოდებში მიყუჟულიყო. კომბალს ჩაფრენილი, იგი ღრმააზროვნად ღეჭდა მის ბოლოს. იგი უდიდესი აფეთქების მუხტს ამზადებდა. მის თავში უკვე ელვარებდა ათინათი იმ ცისარტყელასი, რომელიც ჩვენს სამყაროს ღმერთთა საუფლოსთან აკავშირებს.

ამ დღიდან ადამიანის წინაპარი ნივთთა შემქმნელად, შემოქმედად იქცა, იგი უკვე აღარ იყო ბუნების ძალთა სათამაშო, მაგრამ ამავე დროს დიდი დანაკლისიც განიცადა: მან დაკარგა ცხოვრებასთან ინსტინქტურად შეგუების უნარი.

ადამიანი ღირებულებათა შემქმნელ ცხოველად გადაიქცა. იგი გარკვეულ მიზნებს ისახავს თავის წინაშე და თანდათანობით იმორჩილებს ბუნების ძალებსა და უჯიათ მატერიას. ასეთმა მოქმედებამ ზღვარი დაუდო ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების ევოლუციას. მან ადგილი დაუთმო ახალ ევოლუციას, რომლის დროსაც ეს ნაწილები მანქანებსა და შრომის იარაღებში ხორციელდება. ამ მხრივ ადამიანი ერთადერთი და განუმეორებელი არსებაა. მიაღწია რა მაღალ ინტელექტუალურ დონეს, იგი, შესაძლოა, თითქმის აღარც კი შეიცვალოს გარეგნულად, მაშინ როდესაც დანარჩენი ცხოველები უწინდე-

ბურად ექვემდებარებიან ფერისცვალების კანონს. ადამიანის გონება ქმნის ახალ ნაწილებს და მით ცვლის ძველებს, მაგრამ ეს მოღვაწეობა მიმართულია მხოლოდ ადამიანის მიერ გამოგონილი მექანიკური იარაღების გამოცვლისაკენ. ამრიგად, ადამიანი იხვეჭს ისეთ თავისუფლებას, რაც მანამდე უცხო იყო ყველა ცხოველისათვის. იგი – ანრი ბერგსონის თქმით – წარმოადგენს განუსაზღვრელობის, ინდეტერმინიზმის რეზერვუარს: მას კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის უდიდესი უნარი გააჩნია.

■

არჩევანის ეს უნარი ადამიანის ნებისყოფას უსაზღვრო თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა თავისუფლების მორალური მხარეები მხოლოდ კაცობრიობის რჩეულ სულიერ წინამძღვრებს თუ აქვთ გაცნობიერებული. განვითარების ზენიტზე მდგარ კაცობრიობას მოუშორებლად თანასდევს ორი დაბრკოლება, პირველყოფილობის უფსკრულში დანთქმას რომ უპირებს მას, თან ისეთ უფსკრულში, როგორიც არასოდეს დასიზმრებია, და მართლაც, დროდადრო გეჩვენება, რომ ადამიანი ისეა გატაცებული თავისი მსოფლიოს შექმნით, რომ დაკარგული აქვს თანადროული საზოგადოების ნაკლის შემჩნევის უნარი. იგი წარსულის გამოცდილების და შეზღუდული თვალსაწიერის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება, რაც მას სულიერი განვითარების ადრეული ეპოქებიდან აქვს გამოყოლილი. მეორე მხრივ, იგი ერთმანეთში ურევს პროგრესისა და იმ ტექნიკური მიღწევების ცნებებს, რომლებშიც ბიოლოგიური შერჩევის კაპრიზებზე მისი გამარჯვებებია განხორციელებული. ერთი სიტყვით, ადამიანი ამჟღავნებს იმის საშიშ ნიშნებს, რომ დინოზავრს ემსგავსება, თუმცა სულ სხვა გზით მიდის.

„ადამიანი, – ამბობს ჯონ ბეროუზი", – გარეული მხეცების მომთვინიერებელს ჰგავს. საკმარისია ერთი წუთით მათზე ზეგავლენის შესუსტება და მას დაღუპვა ელის. მიზიდულობის,

ელექტრონის, ცეცხლის, წყალდიდობის, გრიგალის ძალა პირისაგან მიწისა აღგვის ადამიანს, თუ მას უმტყუნებს მარჯვენა ან მოუჩლუნგდება აზრი". იმას ვერ უარვყოფთ, რომ ადამიანი დიდ შეჭირვებაში ჰყავდა ბუნების კაპრიზებს, მაგრამ მას მიზნად არასოდეს დაუსახავს მოესპო ადამიანი. ბევრ რამეში ბუნების ახირება ეხმარებოდა ამ უკანასკნელს და აზროვნებას უმახვილებდა. ადამიანი გადაურჩა მყინვარების ულმობელ შემოტევას... იგი შიმშილის, გვალვისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლი იყო. მის თვალწინ ემხობოდა ქალაქები, სადაც ხელოსნები და განსწავლული ოსტატები მუშაკობდნენ. იგი ხედავდა, როგორ იპყრობდა ამ ქალაქებს უდაბნოდან შემოღწეული ქვიშა, როდესაც სასტიკი მტერი წყალს მოუწყვეტდა მათ.

ვინ იყო ეს მტერი? თავად ადამიანი. ის ადამიანი, ბუნების შებრუნებულ მხარეს რომ წარმოადგენს, ბუნებისა, რომლისაც მას ასე ეშინია. და ახლაც, როცა ადამიანმა ისწავლა ელვის დამორჩილება, როცა მილიონი გრადუსით აღნუსხული ტემპერატურა მის ნებას ემონება, შემზარავი მოჩვენება თავზე ადგას მსოფლიოს ყველა ლაბორატორიას. ამ მოჩვენებაში ჩვენ ვცნობილობთ ნაკვთებს იმ კაცისას, მუზეუმში ცეცხლთან მჯდომარე რომ გამოსახეს. ის შუბისა და შურდულის იგივე მფლობელია, ოღონდ ახლა მზის დაბნელების შემძლე გიგანტად გადაქცეული. მისი ტვინი შეპყრობილია ათასგვარი ბოროტი ძალით, რომელთაგან თავის დაღწევის საშველს აქამდე ბუნებაში პოულობდა. იგი შეპყრობილია ერთადერთი მიზნით – შექმნას უსაშველო იარაღი, აუცდენელი, გადამწყვეტი და საბოლოო იარაღი, თითქოს დაღუპვა გარდაუვალი იყოს და წინასწარგანჩინების ეს ჟამი ყოველ წუთს შესაძლოა დადგეს.

და მაინც, როგორც უკვე აღვნიშნე, არც ერთ ცხოველს არ ესაჭიროება სიყვარული ისე ძალუმად, როგორც ადამიანს. უსიყვარულოდ სიცოცხლე მისთვის წარმოუდგენელია. ადამიანი წინააღმდეგობებისაგან არის შეძერწილი. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მილიტარისტების მტკიცებით, ადამიანებს

მეომრული ინსტინქტები აქვთ, კაცობრიობის უმრავლესობას სძულს და ეშინია ომის. ხალხი რომ აომო, საჭიროა მოუწოდო, პროპაგანდით გააბრუო, დაარწმუნო საკუთარი საქმის სიმართლეში. დიქტატორებიც კი იძულებული არიან ჰუმანური პრინციპები მოიშველიონ. ყველაფერი ეს ნაკლებად ამტკიცებს მეომრული ინსტინქტების არსებობას. სამაგიეროდ, ჩვენი წარსულის ბნელ უფსკრულებში ვპოულობთ ბოროტ განზრახვათა ახსნას. ადამიანს შიში ეუფლებოდა, როცა გამოქვაბულის ბნელი სიღრმიდან მას აშტერდებოდა კოცონის შუქზე მოელვარე უცნობი თვალი... ადამიანი შორსაა სრულყოფისაგან – და ამაშია მისი წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნების მთელი საიდუმლო. მისი შექმნა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული... შესაძლოა, ოდესმე მის შექმნას დაამთავრებენ. ძველად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ადამიანს homo duplex[1]-ს – ნახევრად მიწას, ნახევრად სულს უწოდებდნენ. ეს განსაზღვრება საკმაოდ ზუსტია.

ახლა ჩვენ მოგვეპოვება დიდი ცოდნა ადამიანის ევოლუციაზე, მაგრამ მე ხანდახან მეჩვენება, რომ მეცნიერებმა ვერ შეძლეს რიგითი ადამიანისათვის საკმარისი სიცხადით განემარტათ მისი გარდაქმნის სასწაული. ჩვენ ვუჩვენებდით მას ადამიანის მსგავსი მაიმუნის თავის ქალას. ჩვენ ვუმტკიცებდით მას, რომ ადამიანის ინტელექტი უძველესი წარმოშობის ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგრამ იგი არ წარმოქმნილა უცებ, მზა სახით: პირიქით, იგი ძველსა და ახლისაგან შედგება და აღსავსეა გადმონაშთებით და დაუმთავრებლობით, ეს კი ყველაფერ მზარდსა და ცოცხალს ახასიათებს. ჩვენს სხეულში მიმალული რუდიმენტული ორგანოები, რომლებიც მსოფლიოს ლეთაში დაძირულ შორეულ წარსულს – უღრან ტყეებსა და უძირო წყლებს გვაგონებს, თავიანთ პარალელს ადამიანის ინსტინქტში პოულობენ. რისხვის უმიზეზო ამოფრქვევა. ირაციონალური, მოტივირების არმქონე ქცევები, – წინანდელი, უფრო პრი-

[1] გაორებული ადამიანი (ლათ.)

მიტიული ორგანიზმის რამდენიმე ატავისტურ გამოვლინებას წარმოადგენს. ამასთან ერთად გულითადი მიდრეკილებანი, ალტრუისტული გრძნობები, ურთიერთდახმარების მისწრაფება, მშვენიერებისადმი სიყვარული და მომავალ ცხოვრებაზე ოცნება, შესაძლოა, ჩვენზე ბევრად უფრო პრიმიტიულ საზოგადოებაშიც ვიპოვოთ.

მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ აწმყო უნდა გვაინტერესებდეს, რადგან აწმყოსაგან წარმოდგება ხვალინდელი დღე. ვინ იბრძვის ამ ხვალისათვის, ბალისტიკური და კოსმოსური რაკეტების ამ საუკუნისათვის, რომელთა ავბედითი აჩრდილი თავს გვადგას სუყველას? ჩვენ, მხოლოდ ჩვენა ვართ პასუხისმგებელნი მომავლისათვის, და არა ის დაღრენილი ცხოველი, წარსულის უღრანიდან რომ გამოვიდა და ეს აწმყო მოგვიტანა. ჩვენ ხელს ვერ გავუწვდით საშველად საყვარელ და გონიერ გმირებსაც, რომელთაც მშვენიერი მომავლის ბედნიერ და ნებიერ შვილებად ვსახავთ ჩვენს რომანებსა და ოცნებებში. ისინი გვეკარგებიან ჩვენ მიერ შექმნილ, ჯერ კიდევ შეუცნობელ და უფორმო მომავალში.

ნამდვილად ვესწრაფით კი ნათელ მომავალს? ისე ძალუმად ვესწრაფით ამ მომავალს, რომ მზადა ვართ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვებრძოლოთ ბუნების დამანგრეველ ძალებს, თუნდაც რომ ესოდენ მკაცრ დროში ვცხოვრობთ? უკლებლივ ყველანი მზად ვართ თუ არა, პირისპირ შევხვდეთ ამისათვის ჩვენი ველური წინაპრების მხეცურ აჩრდილებს? ნუთუ იმიტომ მოვიხვეჭეთ მთელი სამყაროს მომცველი გონება, რომ ბუნების ბორკილებისაგან თავდახსნილებმა ადამიანს დავუმონოთ ჩვენი სიცოცხლე?

ყოველ საზოგადოებას აქვს თავის თავსა და თავის ცხოვრების წესზე რაიმე წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში აისახება ხოლმე მილიონობით ადამიანის სწრაფვა და ოცნება. თუკი მასში მარტო აწმყოს მოვლენებია ასახული, თუკი დაკარგულია ტრადიციები, თუ წარსული დავიწყებას ეძლევა, მაშინ მთელი საზოგადოების მოზაიკა თანდათანობით დამახინჯდება.

ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველი იყო დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ადამიანი გახდებოდა, მაგრამ აშენებდა რა საზოგადოებას და ქმნიდა იმ კულტურულ გარემოს, რაც გარს არტყია, იგი სავსებით შეუგნებლად მოქმედებდა. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს ესმის თავისი საზოგადოების ბუნება და ჩვენი მომავალი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ესახება ადამიანის გონებას საზოგადოების მომავალი სახე. სწორედ ეს სახე ეხმარება მას კაცობრიობის მომავლის შექმნაში და სწორედ ამიტომ მომავლისათვის ბრძოლა დღიდან დღემდე უნდა მიმდინარეობდეს აურაცხელ, არაფრით გამორჩეულ ადამიანთა გულში.

თანამედროვე ადამიანი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, რომელიც უზარმაზარ მატერიალურ ღირებულებებს აუნჯებს, ეს საზოგადოება უპირატესად ცხოვრების მატერიალური მხარეებით არის დაინტერესებული. მაგრამ, ვცხოვრობთ რა ასეთ საუკუნეში, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ადამიანი ოდითგანვე ესწრაფოდა სულიერად ამაღლებულიყო თავის თავზე და რომ ეს მისწრაფება ჩვენი მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ეს მემკვიდრეობა უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ღრმა ისტორიული მეხსიერების არმქონე საზოგადოებაში მომავალი წყდება, ხოლო აწმყო უაზრო კაკაფონიად იქცევა. ადამიანისათვის შესაფერ მომავალს მარტო მთვარის დაუნახავ მხარეზე გაფრენებით ვერ მივაღწევთ. მას ვერც კოსმოსურ სივრცეში მოვნახავთ. უკეთუ იგი მიღწევადია, ჩვენს გულში უნდა მოვიძიოთ იგი. არჩევანი ადამიანმა უნდა გააკეთოს, თავისუფალმა ადამიანმა, თამამად რომ შეჰყურებს კოსმოსს და უკან მოხედვასაც არ უფრთხის.

და თუკი ადამიანს უწერია ეს გამარჯვება, იგი გაიგებს, – რაკი ბევრად უფრო შორსმჭვრეტელი გახდება, – რომ ეს მისი გამარჯვება კი არ იქნება, არამედ ახალი და საბოლოო ზეიმი კაცის გულში დავანებული ბუნებისა, შესაძლოა იმ ბუნებისა, რომელსაც ღმერთი ჰქვია. „ადამიანის ჯანსაღი აზრი, – წერდა

ოდესღაც დიდი ღვთისმეტყველი, – ბუნებაში დარჩენილი ის მცირე ჭუჭრუტანაა, რომლის წიაღ ჩანს, რომ მისი საზღვრების მიღმა დაფარულია რაღაც“. ზნეობრივად თავისუფალმა ადამიანმა უნდა დაამტკიცოს ამ სიტყვების სიმართლე.

აბრაჰამ ჰეშელი



დ. 1907 ვარშავა, პოლონეთი
† 1972 ნიუ-იორკი, აშშ

ამერიკელი რაბინი, თეოლოგი და ფილოსოფოსი.

პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ჰეშელი 60-იან წლებში სამოქალაქო უფლებების დამცველია. ის იყო ამერიკელ რელიგიურ პირთაგან პირველი, რომელმაც ნეგატიურად შეაფასა ვიეტნამის ომის ესკალაცია.

ჰეშელის შეხვედამ რომის პაპთან პავლე VI-თან ვატიკანში მისი ებრაელი თანამოძმეების რისხვა გამოიწვია, თუმცა იგი დისკუსიას ვატიკანში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ჰეშელი თავისი თეოლოგიური ნაშრომებით ამტკიცებს, რომ რელიგიური გამოცდილება ფუნდამენტურად ადამიანური იმპულსია (იგი მხოლოდ ებრაელებს არ გულისხმობს). ასაბუთებს, რომ არცერთ რელიგიურ საზოგადოებას არ შეუძლია მიაღწიოს მონოპოლიას რელიგიურ ჭეშმარიტებაში.

ჰეშელი ცნობილია სამეცნიერო და ფილოსოფიური წიგნებით - „ადამიანი მარტო არ არის“ (1951), „შაბათი: მისი მნიშვნელობა თანამედროვე ადამიანისთვის“ (1951), „ღმერთი ადამიანის ძიებაში“ (1955), „ვინ არის ადამიანი?“ (1965).

ვინ არის ადამიანი?

ჩვენი მთავარი საზრუნავი ადამიანია. მისი ფიზიკური და ფსიქიკური რეალობა საკამათო არაა, მაგრამ მისი სულიერი შინაარსი იმ კითხვად რჩება, რომელიც დაჟინებით მოითხოვს პასუხს. შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე ადამიანის ტანჯვა-წამება საგონებელში ჩავარდნილი კაცის ტანჯვა-წამებაა? ადამიანი ვერ ეტევა მისთვის საგულვებელ ჩარჩოებში. ჩვენ ვერ ვაფასებთ ადამიანის ბუნებას. ადამიანის, როგორც ცოცხალი ქმნილების მიმართ ჩვეულებრივ დასმული კითხვის ფორმასაც კი ჩვენი შეხედულება განსაზღვრავს. „რას წარმოადგენს ადამიანი?“ – ვსვამთ კითხვას ჩვენ, საჭირო კი იყო გვეკითხა: „ვინ არის ადამიანი?“ როგორც ქმნილება – ადამიანი ახსნადია, შეცნობადი, როგორც პიროვნება – იგი აღსავსეა უცნაურობითა და მოულოდნელობით. როგორც ქმნილება – იგი სასრულის მქონეა, როგორც პიროვნება – ამოუწყვეტი... პასუხი გასცე კითხვას – „ვინ არის ადამიანი?“ – ნიშნავს, განსაზღვრო ადამიანის ღირებულება, ყოველივე არსებულის იერარქიაში მისი მდგომარეობა და ადგილი.

ავგუსტინე სულის საკუთარ არსებობაში დარწმუნებას მეტნაკლებად უტყუარ ცდად მიიჩნევდა. მაგრამ ჩავუფიქრდეთ: რაშია დარწმუნებული სული? იგი დარწმუნებულია, რომ არსებობს, აზროვნებს და მოქმედებს. მაგრამ საკითხავი ის კი არ არის, ვმოქმედებ თუ არა, და არც ის, ვარსებობ თუ არა, – საკითხავია, ვინა ვარ მე?

და პირველივე პასუხი კითხვაზე – „ვინ არის ადამიანი?“ – ასეთია: იგია არსება, რომელიც საკუთარი თავის მიმართ კითხვებს სვამს. ამ კითხვების მეშვეობით ის მიდის დასკვნამდე, რომ იგი პიროვნებაა. ამავე დროს, მის მიერ დასმული კითხვების ხასიათი საჩინოყოფს საკუთრივ მის მდგომარეობას.

ჩვენი კითხვა მარტო იმას კი არ იძიებს, თუ „როგორია ადამიანის პიროვნების ბუნება“, არამედ იმასაც, თუ „როგორია პიროვნების მდგომარეობა და რაა ადამიანური ადამიანში“. კერძოდ, საკითხავი მარტო ის კი არაა, რას წარმოადგენს ადამიანის პიროვნება, არამედ ისიც, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი.

დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისაკენ სწრაფვა, იმის უნარი, რომ გამოეყო, განსხვავდე, უარყო და წინ აღუდგე – ყველაფერი ეს ნიშნავს, ადამიანი იყო. არ არსებობს ადამიანური ღირსება იმ უნარის გარეშე, რომ შეგეძლოს დაიკავო განსაკუთრებული პოზიცია, დარჩე მარტოობაში. ადამიანს სჭირდება მარტო დარჩენა და საკუთარ გულში ჩაღრმავება, გარინდება, თუკი სურს რაიმეს მოსმენა. საზოგადოების მხრივ განგაშის ცრუ სიგნალებისა და ძალმომრეობითი შემოჭრის წინააღმდეგ მიმართული აუცილებელი პროტესტის გამოხატვაა მარტოობა. მარტოობა ძალთა აღდგენისა და განკურნების პერიოდია.

და მაინც, ადამიანი არასოდეს არ არის მარტო. თვით სრულ განმარტოებაშიც კი მე ვცხოვრობ, ვიტანჯები და ვხარობ ჩემს თანამედროვეებთან ერთად. ჭეშმარიტი მარტოობა დანარჩენი კაცობრიობის ანგარიშში არჩაგდება კი არაა, არამედ ადამიანურ გრძნობათა დახვეწა. ჭეშმარიტი მარტოობა ნამდვილი ურთიერთობებისა და სოლიდარობის ძიებაა. სხვაფრივ მარტოსული კაცი ამაო ოცნების ნაყოფია. ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, იგი კაცთა თანამეგობრობასთანაა წილნაყარი, იგი მთელი

კაცობრიობის ნაწილია... ადამიანისთვის ყოფნა ნიშნავს სხვებთან ერთად ყოფნას, მისი არსებობა თანაარსებობაა. იგი ვერ მოიაზრებს და სავსებას ვერ მოუპოვებს თავის არსებობას, უკეთუ სხვა ადამიანებს არ დაუკავშირდება.

მართალია, იმისათვის, რომ მივწვდეთ ადამიანური საწყისის აზრს, უნდა გავაანალიზოთ ადამიანის პიროვნება და არა გვარი, მაგრამ ყოველი ანალიზი, რომელიც არ გაითვალისწინებს სოციალურ გარემოს, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგავლენას, ზედაპირული იქნება.

ადამიანთა ერთობა არაა ნაყოფი ადამიანური საწყისისა, იმისა, რაც „ადამიანად ყოფნას" ნიშნავს. პირუკუ, ადამიანური საწყისია ადამიანთა ერთობის ნაყოფი. თვით ყველაზე პიროვნული – ყოფიერების აზრის საკითხი სავსებით უაზრო ხდება, როცა მას პირადული ხსნისათვის ვსვამთ. ეს საკითხი სხვებისადმი თანაგრძნობასა და ყველა ადამიანისათვის საერთო, იმედით ან ინტუიციით განჭვრეტილ შინაარსს მოიცავს.

თვით კაცთათვის ჩვეული ეგოცენტრიზმი, თავმოთნეობა და თვითგანდიდება სხვათა არსებობისა და მათი ადამიანური ღირსების პირდაპირ აღიარებას გულისხმობს. ადამიანი სხვათა თვალში ამაღლებას ესწრაფვის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აფასებს, ანგარიშს უწევს მათს აზრსა და შეხედულებას. ყველა მიღწევა იმ მრწამსიდან იბადება, რომ ჩემი კეთილდღეობა სხვისთვისაც კეთილდღეობად იქცეს.

...ადამიანად ყოფნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ყოფნაა. ადამიანი ბჭობს თავის თავზე და თავის ყოფიერებაზე და ამ განსჯაში მისთვის ცხადი ხდება: იმისათვის, რომ იყოფიერო, საჭიროა განუწყვეტლივ შეითვისო სხვისეული, რადგან ადამიანისთვის საკმარისი არაა მხოლოდ საკუთარი ყოფიერება.

არსებობა და მიზანშეწონილობა

ადამიანის ბუნება ეგოცენტრულია და ამიტომ იგი მიდრეკილია ქცევის მიზანშეწონილობა, ანუ ხელსაყრელობა მიიჩნიოს ბოროტისა და კეთილის კრიტერიუმად. მაგრამ ეს მიდრეკილება აქსიომად არ უნდა მივიღოთ და არ უნდა ვამტკიცოთ, რომ კაცს ისევე არ შეუძლია ეგოიზმის ჩარჩოებიდან გაბიჯება, როგორც დროსა და სივრცისგარე კრიტერიუმებით აზროვნება, რომ მას არ ძალუძს გადალახოს თავისი საზღვრები და ეზიაროს ტრანსცენდენტურს. არსებობასა და მიზანშეწონილობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა ადამიანური აზროვნების ერთერთი ყველაზე უფრო სახიფათო შეცდომაა.

ყველაფერში კლასობრივ და ნაციონალურ ინტერესთა ვითომდა თვითმარეგულირებელ ძალაზე – თანადროულობის ამ კერპზე დანდობა იმას ნიშნავს, რომ სასურველი ნამდვილად არსებულად მიიჩნიოთ. ვინ იცის, ან ვის შეუძლია იცოდეს, როგორია კლასის ან ერის ჭეშმარიტი ინტერესები? განა მათი შეჯახება, რომელსაც ომამდე მივყავართ ზოგჯერ, მიზანშეწონილობის პრინციპის არასაიმედოობას, მასზე დანდობის შეუძლებლობას არ გვიდასტურებს?

დრო და ჭეშმარიტება უარყოფენ ამ პრინციპის ზოგადნიშნადობას. დრო ადამიანური არსებობის ასპექტია, რომელიც არ ემორჩილება მიზანშეწონილობის ხელმწიფებას, ხოლო ჭეშმარიტება უზენაესი ხელმწიფებით არის მორჭმული. მას არა ჰყავს არც მეტოქეები, არც მიმბაძველები, იგი დამარცხებისაგან შეუვალია. ადამიანს არ შეუძლია ჭეშმარიტების რეწვა, იგი უნდა დაემორჩილოს მას. წინ უძღვის რა ადამიანს, ჭეშმარიტება ტრანსცენდენტურის წინასწარ განსახიერებას წარმოადგენს.

მიზანშეწონილობას აბსოლუტად ვინც აღიარებს, ადვილად ექცევა მანკიერ წრეში. იქ, სადაც მიზანშეწონილება უმაღლეს საწყისადაა მიჩნეული, არსებობა ჩიხში ექცევა.

ჭეშმარიტი არსებობა აღფრთოვანების სიხარულით, სიწმინდითა და ვალდებულების გრძნობით არის აღბეჭდილი.

ტრანსცენდენტურში გაუსვლელი არსებობა ისეთი სიცოცხლეა, რომელშიც ნივთები კერპებად არიან ქცეულნი, ხოლო კერპები – ურჩხულებად. ტრანსცენდენტურის უარყოფა ეწინააღმდეგება ადამიანური ყოფიერების ძირითად ჭეშმარიტებას. ასეთ უარყოფას ან ფლეგმატური თვითკმაყოფილება ბადებს, ანდა უხამსი ამპარტავნობა...

უარყოფა ტრანსცენდენტურისა, რომელიც ამასთანავე ყოფიერების ჭეშმარიტი არსის ამოხსნას იჩემებს, შინაგანად წინააღმდეგობრივია, რადგან ყოფიერების ჭეშმარიტება არ არსებობს არც მის შიგნით და არც მასზე ჩვენეული წარმოდგენის ჩარჩოებში: ეს ჭეშმარიტება ჩვენი ყოფიერების საზღვრებს გარეთაა.

ადამიანი რომ იყო, აუცილებელია ისწავლო მიზანშეწონილობის, როგორც აბსოლუტის, მცდარობის გამომჟღავნება. ღვთის ხმა ჩვენს სინდისს შესაძლოა ოდნავ ესმოდეს და მაინც კაცობრიობის ისტორიაში დაფარულია ღვთაებრივი ცბიერება, რაც იმას გვიდასტურებს, რომ, როგორცა ჩანს, აბსოლუტური მიზანშეწონილობა კატასტროფით მთავრდება.

ბედნიერება თვითკმაყოფილების, გულმოწყალებისა და ქედმაღლობის ტოლნიშნადი არ არის. თვითკმაყოფილება შობს სიცარიელესა და სასოწარკვეთილებას. თვითკმაყოფილება უმეცართა ოპიუმია.

თვითკმაყოფილება კეთილშობილი გონებისათვის დამამცირებელი რამაა. ყველაფერი ის, რაც შემოქმედებითია კაცის გულში, უსასრულო დაუკმაყოფილებლობის თესლიდან აღმოცენებულა. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ბადებს ახალ აღმოჩენებს, როცა ნანახი, თქმული ან გაკეთებული არასაკმარისად ან მცდარად გვეჩვენება. ადამიანის ჭეშმარიტ კმაყოფილებას მხოლოდ იმასთან ურთიერთობა დაბადებს, რაც თავად ადამიანს აღემატება.

ძნელია იყო ადამიანი

იყო ადამიანი – ნიშნავს, განსაკუთრებულად ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდე. იყო ადამიანი – ნიშნავს, წარმოადგენდე არა ნივთიერების გორახს, არამედ ადამიანურ საწყისს, ხმას მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ადამიანს გულისყური სუსტადა აქვს განვითარებული. სამაგიეროდ, თვალი აქვს ხარბი და მახვილი. მას აცბუნებენ ძალები, რომლებსაც ფლობს, მაგრამ რომლებიც აღემატებიან მის საკუთარ ძალებს. მას შეუძლია დაუშვას ექსტრავაგანტურობა, ფუფუნება ან თვითკმაყოფილებას მიეცეს. იგი ფეთქებადი ძლიერებით არის მორჭმული. ადამიანური ყოფიერება უსაზღვროა. მაგრამ ატარებდე ადამიანურ საწყისს – ნიშნავს, პატივს სცემდე საზღვრებს. ადამიანი, შეიძლება ითქვას, ორ პოლუსს შორისაა მოქცეული: ადამიანურ ყოფასა და ადამიანურ საწყისს შორის.

იყო ადამიანი – ნიშნავს, წინააღმდეგობა გაუწიო ცთუნებას, სულმოკლეობა არ გამოიჩინო მარცხის დროს, არ ესწრაფოდე სურვილთა დაუყოვნებლივ აღსრულებას. მაგრამ უფრო ადვილია უარი თქვა ყველაფერ ამაზე და აღიარო: მე არაკაცი ვარ, ადამიანური უცხოა ჩემთვის.

ჩვენს გულში ღვივის უძლიერესი მოთხოვნილება – წინააღმდეგობა გავუწიოთ სინდისის ხმას, რომელიც მოგვიწოდებს ყური ვუგდოთ მას. გულზვაობა, საკუთრების სიყვარული და ხელისუფლებისადმი სწრაფვა მოვალეობის გრძნობას ჯერ გვიჩლუნგებს, ხოლო შემდეგ სულაც გვიხშობს. ყველა ადამიანური და ნაციონალური ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ერთი ფორმით მჟღავნდება: ერთნი მბრძანებლობენ, მეორენი ემორჩილებიან ბრძანებას.

ადამიანი შეიძლება იყოს დამყაყებული, უხეში, სასტიკი. შეიძლება იყოს გულდახურული და თავის თავში ჩაკეტილი იმ ზომამდე, რომ უარი თქვას შეხედვაზე, მოსმენაზე, აღქ-

მაზე. მას თავად ღვთის სახე შეუძლია გადააქციოს სატანურ სახედ. მაგრამ მიუხედავად ადამიანობისადმი სწრაფვასა და ცხოველურისადმი მიდრეკილებას შორის შინაგანი ბრძოლისა, ახლა ძნელადღა დასაშვებია ამ ორ საწყისს შორის არჩევანის შესაძლებლობაზე ლაპარაკი. კაცობრიობამ უკუმოუბრუნებლად გადააბიჯა საზღვარს, რომელიც მას ცხოველთა სამყაროდან გამოყოფს. ცხოველად ქცეული ადამიანი ადამიანის წინააღმდეგობად იქცევა. ადამიანურს უპირისპირდება დემონური და არა ცხოველური საწყისი.

შესაქმის აქტს არ შეუმუსრავს არამყოფობა და აბსურდული. აკი ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით წყვდიადს და აბსურდულის უფსკრულიც ჩვენს გვერდითაა. ჩვენს წინაშე ყოველთვის რამდენიმე გზაა ხსნილი და იძულებულნი ვხდებით, მამაცურად გავაკეთოთ არჩევანი, თუმცა ხშირად არც კი ვიცით – რატომ და როგორ. განვლილ გზაზე ჩვენი შეცდომები ნათლად ჩანს, ხოლო სიმართლე მიწისქვეშაა დაფარული.

ადამიანი განუყოფლად და ერთდროულად არის დაკავშირებული ორგანულ ბუნებასთანაც და ღვთაებრივი გონის უსასრულო გარდამოსვლასთანაც. ყოფიერების სფეროში უმნიშვნელო უმცირესობა – იგი – სადღაც, ღმერთსა და პირუტყვს შორის არის გახიდული. და რაკი არ შეუძლია იცხოვროს მარტოობაში, იძულებულია ურთიერთობა დაამყაროს ან პირველ ან მეორე საწყისთან.

ღმერთმა აკურთხა ადამიცა და ცხოველებიც. მაგრამ ადამს ქვეყანაზე გამეფება და ცხოველებზე გაბატონება დაევალა. ადამიანი არჩევანის წინაშეა მარადღე: ვის გაუგონოს, ღმერთსა თუ გველს... ყოველთვის უფრო ადვილია ცხოველის გშურდეს, თაყვანს სცემდე და ემორჩილებოდე ტოტემს, ვიდრე ის, რომ ისმინო ღვთის ხმა.

ჩვენი სიცოცხლე მერყეობს ცხოველურ და ღვთაებრივ საწყისებს შორის, იმას შორის, რაც უფრო დიდია, ვიდრე ადამიანური, და იმას შორის, რაც უფრო მცირეა, ვიდრე


ადამიანური: ჩვენს ქვევით წარმავლობა და ამაოებაა, ჩვენს ზევით – განხმული კარიბჭე ხაზინადრისა, რომლის წინაშე ვდებთ ვერცხლს სულიერებისა და კეთილმსახურებისა, ჩვენი მოკვდავი სიცოცხლის უკვდავ ნამუსრევს. ჩვენ მარადღე სიკვდილის დოლაბებს შორისა ვართ მოქცეულნი, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენა ვართ ღმერთის თანამედროვენი.

ადამიანი „დიდად დამცრობილი არ არის ანგელოსთა წინაშე“, არც დიდად აღმატებული ცხოველთა წინაშე. თავკერძობისა და ღვთაებრივი საწყისის მიზიდულობის ძალებს შორის მოქცეული, იგი წყვდიადში მოვლენილი განჭვრეტის უნარის ზემოქმედებისაგან შუქურასავით ქანაობს. თუკი ჩვენ უგულებელვყოფთ ამ განჭვრეტისა თუ ხილვისაგან გამომდინარე ჩვენსავე მოვალეობას, ვერასოდეს მივხვდებით, რაა აზრი ჩვენი არსობისა. მხოლოდ ფხიზელ, ზედაპირული ბრწყინვალებისაგან დაუბრმავებელ თვალს შეუძლია განჭვრიტოს სულის წყვდიადში ადამიანური უმეცრების, სიცრუისა და სიცოფის საშინელებით განცვიფრებული ღმერთის ხილვა.

ადამიანი უდიდესი ძლიერებით არის მორჭმული და ეს ცოცხალ არსებათაგან მას პოტენციურად ყველაზე საშიშ და ავბედით არსებად ხდის. მას ხშირად უღვივის გულში ბოროტი საქმეების ჩადენის სურვილი, რომელთა ალაგმვა მხოლოდ ღვთისადმი შიშის გრძნობას შეუძლია. ხშირად განიცდის იგი შურსა და ღვარძლს, რომელთა დაცხრომა მხოლოდ სიწმინდისაკენ ლტოლვას შეუძლია.

თუკი ადამიანი მეტი არ არის, ვიდრე ადამიანი, მაშინ იგი ნაკლებია, ვიდრე ადამიანი. ადამიანი მხოლოდ ხანმოკლე გარდამავალი სტადიაა ცხოველურ და სულიერ საწყისებს შორის. იგი მერყეევ მდგომარეობაშია: ხან ცად აიჭრება, ხანაც მიწაზე ენარცხება. კაცობრიობა არ არსებობს მერყეობის გარეშე. სავსებით თავისუფალი კაცი ჯერ არ მოვლენილა დედამიწაზე.

ადამიანი უფრო დიდია, ვიდრე მას ეჩვენება, თუნდაც რომ მისი გონება დასაზღვრულია და ნებისყოფას ძალუძს წარმართოს იგი ბოროტისაკენ. მიუხედავად ამისა, ადამიანი უზეშთაესთან ისეთი კავშირითაა დაკავშირებული, რომლის დარღვევა მას აღარ ძალუძს და ეს კავშირია აზრი მისი ცხოვრებისა. იგია კვანძი, რომელშიც განასკვულია ქვეყნიერიცა და ზეციერიც.



ერვინ შროდინგერი

დ. 1887 ვენა, ავსტრია
† 1961 ვენა, ავსტრია

ავსტრიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი.

საყოველთაო აღიარება შროდინგერს 1926 წელს მოუტანა სტატიების სერიამ, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული მიღწევაა. სწორედ ნაშრომთა ამ სერიისათვის, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კვანტური მექანიკის შემდგომ განვითარებაზე, 1933 წელს შროდინგერს ნობელის პრემია მიენიჭა.

შროდინგერი XX საუკუნის დიდი ფიზიკოსებისგან გამოირჩევა ინტელექტუალური მრავალმხრივობით, ფართო განათლებითა და წერის დახვეწილი ლიტერატურული სტილით. შროდინგერი არაორდინარული მოაზროვნე იყო. მან იცოდა ექვსი უცხოური ენა, დედანში კითხულობდა ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფოსების ნაშრომებს. გატაცებული იყო ხელოვნებით და წერდა ლექსებს.

1954 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ბუნება და ძველი ბერძნები“ ანტიკური ბერძნული მეცნიერებისა და ფილოსოფიის ორიგინალურ ანალიზს წარმოადგენს. შროდინგერის ბოლო წიგნი „ჩემი თვალსაზრისი სამყაროზე“ (1961) მისი მსოფლმხედველობის მეტაფიზიკურ საფუძვლებს აცნაურებს.

1944 წელს შროდინგერმა შექმნა თავისი ყველაზე ცნობილი სამეცნიერო ნაშრომი „რა არის სიცოცხლე?“, რომელსაც საფუძვლად დაედო 1943 წლის თებერვალში წაკითხული ლექციები დუბლინის თრინითი კოლეჯში˙.

დეტერმინიზმისა და ნებისყოფის თავისუფლებისათვის

ნვენი პრობლემის წმინდა მეცნიერული მხარის გულისწყრომისა და მიკერძოების გარეშე გადმოცემის ჯილდოდ მე ახლა გთხოვთ ნება დამრთოთ, გამოვთქვა საკუთარი, გარდუვალად სუბიექტური თვალსაზრისი საკითხის ფილოსოფიურ მნიშვნელობაზე.

ცოცხალი არსების სხეულში მიმდინარე სივრცობრივ-დროისმიერი პროცესები, რომლებიც მისივე აზროვნებას, თვითცნობიერებას ანდა ნებისმიერ სხვა მოქმედებას შეესაბამება (მხედველობაშიც რომ მივიღოთ მათი სირთულე და ფიზიკა-ქიმიის თანადროული სტატისტიკური ახსნა-განმარტება), თუ სავსებით დეტერმინირებული არა, ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკურად დეტერმინირებულია. ფიზიკოსისათვის მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ზოგიერთი სხვა მეცნიერის აზრის საწინააღმდეგოდ, მე ვფიქრობ, რომ კვანტურ განუსაზღვრელობას ბიოლოგიური პროცესებისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მას მხოლოდ შემთხვევითობის როლის გაზრდა შეუძლია ისეთ მოვლენებში, როგორიცაა მეიოზი, X-სხივებით გამოწვეული ბუნებრივი და ხელოვნური მუტაციები და ა.შ., რაც სავსებით გასაგებია და საკმაოდ კარგადაა ცნობილი.

ნება მიბოძეთ, ჩემთვის საინტერესო პრობლემის შემდგომი განსჯის მიზნებისათვის ეს დამტკიცებულად მივიჩნიოთ. მე

მგონი, ასევე მოიქცეოდა თითოეული აუხირებელი ბიოლოგიც, მისთვის უსიამოვნო რომ არ ყოფილიყო (როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე) მტკიცება, რომ „თავად იგიც არსებითად, მხოლოდ წმინდა მექანიზმია“. ეს უამური გრძნობა იმიტომ აღიძვრება, რომ მიღებულია ვიფიქროთ, თითქოს ასეთი წარმოდგენა წინააღმდეგობას ამჟღავნებს ნებისყოფის თავისუფლებასთან, რომლის არსებობა უშუალო თვითდაკვირვებითაა დამტკიცებული.

მაგრამ უშუალო აღქმებს, რაგინდ სხვადასხვანაირი და შეუდარებელიც იყვნენ, თავისთავად არ შეუძლიათ ლოგიკურად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.

ამიტომ ვნახოთ, შევძლებთ თუ არა სწორი და წინააღმდეგობისაგან თავისუფალი დასკვნების მიღებას, თუკი შემდეგი ორი წანამძღვრიდან გამოვალთ:

1. ექვემდებარება რა ბუნების კანონებს, ჩემი სხეული წმინდა მექანიზმივით ფუნქციონირებს;

2. მაგრამ ურყევი, უშუალო ცდის მეოხებით მე ვიცი, რომ ჩემი სხეულის ქცევებს მე წარვმართავ, და გათვალისწინებული მაქვს ამ ქცევათა შედეგი. ამ შედეგებს ჩემი ბედის განსაზღვრაში შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს და ამ შემთხვევაში მე ვგრძნობ და შეგნებულად ვკისრულობ მათ გამო სრულ პასუხისმგებლობას.

ჩემი აზრით, ამ ორი წანამძღვრიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. სახელდობრ იმ დასკვნისა, რომ „მე“, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით, – ე.ი. თითოეული ცნობიერი გონება, რომელსაც „მე“ უთქვამს ან უგრძვნია – სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა სუბიექტს, რომელიც ბუნების კანონების შესაბამისად მართავს „ატომების მოძრაობას“.

გარკვეულმა წარმოდგენებმა, რომლებსაც სხვა ხალხებისათვის ოდესღაც ფართო მნიშვნელობა ჰქონდა (ხოლო ზოგიერთებისათვის ახლაც არსებობს), თანადროულ კულტურულ

წრეში (Kulturkreis) შეზღუდვა და სპეციალიზაცია განიცადა. ამიტომ წარმოუდგენელ სითამამედ შეიძლება მოგვეჩვენოს იმ დასკვნის პირდაპირი დაფორმულება, რომელსაც ზემოთ მივადექით. ქრისტიანისათვის მკრეხელობად და სიგიჟედ ჟღერს გამოთქმა – „ე.ი. მე ყოვლისშემძლე ღმერთი ვარ“. მაგრამ მე ვთხოვ მკითხველს, დროებით უარყოს ეს მეორეხარისხოვანი მოსაზრებები და არსებითად განიხილოს, ხომ არ წარმოადგენს ჩვენ მიერ მოტანილი დასკვნა ყველაზე დიდ რამეს, რაც შეიძლება მოგვცეს ბიოლოგმა, რომელიც ერთი დაკვრით ცდილობს დაამტკიცოს ღვთის არსებობაც და სულის უკვდავებაც. თავისთავად, ეს წარმოდგენა საკმაოდ ძველია. რამდენადაც ცნობილია ჩემთვის, მისი ყველაზე ადრეული ხსენება 2500 წელს მაინც ითვლის, მეტს თუ არა. უძველესი დიადი უპანიშადებიდან* დაწყებული, წარმოდგენას იმაზე, რომ ატმანი ბრაჰმანის (ე.ი. პიროვნული ინდივიდუალური სული – ყოვლისმომცველი საუკუნო სულის) ბადალია, ინდურ ფილოსოფიაში არამცთუ მკრეხელობად არ მიიჩნევდნენ, არამედ იმის უღრმესი განჭვრეტის კვინტესენციად თვლიდნენ, რაც სამყაროში ხდებოდა. ვედანტას* მოძღვართა საერთო მისწრაფება იყო, არა მარტო პირით წარმოეთქვათ, არამედ გულითაც განეცადათ ეს ყველა აზრთა შორის უდიადესი აზრი. ამასვე ამბობდნენ, ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ერთმანეთის სრული თანხმობით (რაც რამდენადმე იდეალური გაზის ნაწილაკების მოქმედების მსგავსია) საუკუნეების განმავლობაში მისტიკოსები, როცა თავიანთი ცხოვრების პიროვნულ ცდას ამნაირად გადმოგვცემდნენ: Deus factus sum[1].

დასავლეთის ფილოსოფიისათვის უცხო დარჩა ეს აზრი, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავდნენ და ქადაგებდნენ შოპენჰაუერი და სხვები. უცხო დარჩა იმ ჭეშმარიტი მიჯნურების მაგალითის მიუხედავად, რომლებიც თვალებში შესცქერიან

[1] მე ღმერთად ვიქეც (ლათ.)

ერთმანეთს და გრძნობენ, რომ მათი გული და სული არამცთუ მსგავსი და იდენტურია, არამედ რიცხობრივ ერთიანიც. მაგრამ, როგორც წესი, მიჯნურები მეტისმეტად არიან დანთქმული თავიანთ გრძნობებში, რათა ყური ათხოვონ ნათელ განსჯას, და ამ მხრივ, ისინი მისტიკოსებს გვაგონებენ.

ნება მომეცით შემდგომი მცირეოდენი ახსნა-განმარტებისა. ცნობიერება არასოდეს განიცდება როგორც სიმრავლისმიერი, არამედ მხოლოდ როგორც ერთობილი; თვით იმ პათოლოგიური შემთხვევების დროსაც კი, როცა, მაგალითად, ცნობიერების დაშლასთან ან აზროვნების გაორებასთან გვაქვს საქმე, ეს ორი პიროვნება ენაცვლება ერთმანეთს და არასოდეს ვლინდება ორივე ერთად. სიზმარში ზოგჯერ ჩვენ მართლაც ვასრულებთ რამდენსამე როლს ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ვასრულებთ სხვადასხვანაირად: უპირატესად ერთერთ მათგანს ვასახიერებთ. ამ როლში ჩვენ პირდაპირ ვლაპარაკობთ და ვმოქმედებთ. ამავე დროს ხშირად ხდება ხოლმე, რომ მეორე მოქმედი პირის დაძახებას ან პასუხს გულმხურვალედ ველით, რაკი არ ვიცით, რომ მის მეტყველებასა და მოქმედებას თვითონვე განვაგებთ.

მაშ, როგორღა აღმოცენდა წარმოდგენა ცნობიერების მრავლობითობაზე (რომლის წინააღმდეგ ასე გულმოდგინედ ილაშქრებენ უპანიშადების ავტორები)? ცნობიერება ინტიმურად არის დაკავშირებული და დამოკიდებული მატერიის განსაზღვრული ნაწილის – სხეულის ფიზიკურ მდგომარეობასთან და მასზე არის დამოკიდებული (გაიხსენეთ სხვადასხვა სულიერი ფერისცვალება, რომელთაც ვამჩნევთ ორგანიზმის განვითარებისას, მაგალითად, მოწიფულობისას, დაბერებისას, ბებრული ჭკუასუსტობისას და ა.შ., ანდა ციებ-ცხელების, მოწამვლის, ნარკოზის, ტვინის დაშავებისა და სხვა მდგომარეობაში). ხოლო ასეთი სხეული აურაცხელია. თუ ამას დავეყრდნობით, ცნობიერების ან ინტელექტის მრავლობითობაზე წარმოდგენა საკმაოდ დამაჯერებელ ჰიპოთეზად გამოჩნდება.

როგორცა ჩანს, ყველა უბრალო, მიუდგომელი ადამიანი, ისე როგორც დასავლეთის ფილოსოფოსების მომეტებული ნაწილი, ამას სინამდვილედ მიიჩნევს.

ამ ჰიპოთეზის გაზიარება, შემდგომ თითქმის აუცილებლად მიგვიყვანს სხეულთა სიმრავლის შესატყვის მრავალრიცხოვან სულთა აღიარებამდე, ხოლო შემდეგ ამგვარ შეკითხვამდე: ეს სულები სხეულებივით მოკვდავები არიან თუ, პირუკუ, უკვდავნი და დამოუკიდებლად შეუძლიათ არსებობა? პირველი აზრი კაცზე მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, მაშინ როცა უკანასკნელი გულწრფელად ივიწყებს, გვერდს უხვევს ან სულაც უარყოფს სწორედ იმ წანამძღვრებს, რომლებზედაც თვით მრავლობითობის ჰიპოთეზაა დაფუძნებული. ზოგჯერ კიდევ უფრო უცნაურ კითხვებს სვამდნენ, მაგალითად: აქვთ თუ არა სული ცხოველებს? ასეთი კითხვაც კი დაისმოდა: ქალებსაც აქვთ სული, თუ იგი მარტო მამაკაცებისთვისაა ნიშანდობლივი? გონების მრავლობითობის ჰიპოთეზის განვითარებაში ამგვარი მიმართულება, მართლაც, აშკარად უგერგილო ცდების ხასიათს ატარებდა. მაგრამ მათ მაინც უნდა ჩაგვინერგონ ამ თვალსაზრისის სისწორისადმი იჭვი, – იჭვი, რომელიც ყველა ოფიციალურ დასავლურ სარწმუნოებას ახასიათებს. მაგრამ ხომ არ გადავიხრებით კიდევ უფრო დიდი უაზრობისაკენ, თუკი ასეთ სარწმუნოებათა მეტისმეტი ცრურწმენის უკუგდებისას მათგან გამომდინარე სულთა მრავლობითობის გულუბრყვილო იდეას ვეღარ შეველევით და მას იმის მტკიცებით „გავასწორებთ“, რომ ეს სულები ხრწნადია და სხეულთან ერთად განქარდებიან? ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, რომ უშუალო გამოცდილებიდან მიღებულ მონაცემებს დავეყრდნოთ, კერძოდ, იმ გამოცდილებას, რომ ცნობიერება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც უკვე თავისი არსებით ერთობილია, რომ მისი არსებისათვის უცხოა მრავლობითობა; იმ გამოცდილებას, რომ არსებობს მხოლოდ ერთობილი, ხოლო ის, რაც მრავლობითად გვეჩვენება, ამ ერთობილის სხვადასხ-

ვა ასპექტის რიგს წარმოადგენს და ეს ასპექტები მრავლობითობის ილუზიას გვიქმნის (ინდური მაია*)...

რა თქმა უნდა, მოჩვენება-ილუზიებზე ათასგვარმა გამონაგონმა ჩვენს შეგნებაში მტკიცედ გაიდგა ფესვი, რაც ხელს გვიშლის სინამდვილის უბრალო და ჭეშმარიტი გაგება მივიღოთ. მაგალითად, გვიმტკიცებდნენ, რომ თუკი ფანჯარასთან ხე დგას და მე დავინახე ეს ხე, სინამდვილეში თურმე ხეს მაინც ვერ ვხედავ. აღქმის ერთგვარი „ეშმაკური“ მექანიზმის წყალობით, რეალური ხე თურმე თავის გამოსახულებას აირეკლავს ჩემს ცნობიერებაში და მე სწორედ ამ გამოსახულებას ვწვდები მხოლოდ და მხოლოდ. თუკი თქვენ დადგებით ჩემ გვერდით და შეხედავთ ამავე ხეს, იგი თქვენს ცნობიერებაშიც აირეკლავს თავის გამოსახულებას. და თუმცა მე ჩემს ხეს, ხოლო თქვენ თქვენსას ხედავთ (და ისინი უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს), ჩვენ მაინც არ ვიცით, რას წარმოადგენს ხე თავისთავად. ამ ექსტრავაგანტური კონსტრუქციისათვის პასუხისმგებელია კანტი*. იდეათა იმ სისტემაში, რომელიც ცნობიერებას განიხილავს როგორც singulare manum-ს[2], ეს ექსტრავაგანტურობა ადვილად იცვლება მტკიცებით, რომ, როგორც ჩანს, არსებობს მხოლოდ ერთი ხე, ხოლო მისი გამოსახულების გარშემო აღძრული ყოველგვარი განსჯა მოჩვენებებთან დაკავშირებულ ამბავს წარმოადგენს მხოლოდ. მიუხედავად ამისა, ყველა ჩვენგანს აქვს ურყევი აზრი, რომ მისი საკუთარი განცდებისა და მოგონებების საერთო ჯამი ერთგვარ მთლიანობას ქმნის და იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება რომელიც გინდათ სხვა ადამიანის ამგვარივე მთლიანობისაგან. ამ მთლიანობას იმოწმებენ ხოლმე როგორც თავიანთ „მე“-ს, მაგრამ რას წარმოადგენს ეს „მე“?

თუ თქვენ გულდასმით გააანალიზებთ ამ „მე“-ს, მგონია, იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ იგი მაინც უფრო დიდი რამეა, ვიდრე ცალკეულ აღქმათა და მოგონებათა უბრალო გროვა

[2] ერთი ცალი, ერთი ხელი (ლათ.)

და სწორედ იმ თარგადაა გამოყენებული, რომელზედაც ეს უკანასკნელნი გამოიჭრებიან. გულმოდგინე თვითდაკვირვებისას თქვენ აუცილებლად მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც „მე“ გეგონათ, სწორედ ის რეალური საფუძველია, რომელზეც თავს იყრის ყველა ეს განცდა. შესაძლოა, თქვენ წახვიდეთ სხვა ქვეყანაში, ვეღარ ნახოთ ვეღარცერთი თქვენი მეგობარი, შესაძლოა, სულაც გადაგავიწყდეთ ისინი. თქვენ შეიძენთ ახალ მეგობრებს, მათ შორის იტრიალებთ და ინტენსიური საერთო ცხოვრებით იცხოვრებთ ისე, როგორც ოდესღაც ძველ მეგობართა შორის აკეთებდით ამას. სულ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი გახდება თქვენთვის ის, რომ ახალი ცხოვრების ორომტრიალში კიდევ გახსენდებათ გარდასული. თქვენ, შესაძლოა, საკუთარ წარსულზე მესამე პირით ილაპარაკოთ: „ოდესღაც მე ვიყავი ის ახალგაზრდა“. წაკითხული რომანის გმირი, შესაძლოა, იმ ახალგაზრდაზე უფრო მახლობელი გახდეს თქვენთვის; და მაინც აქ არ ყოფილა შუალედური გარდატეხა, არ ყოფილა სიკვდილი. და თუ ჰიპნოზის ჯადოქარი ოსტატი ცნობიერებიდან ადრეული მოგონებების კვალს სავსებით ამოგიშლით, მაშინაც კი ვერ იტყვით, რომ მან მოგკლათ თქვენ. აქ, არც ერთ შემთხვევაში, არ შეიძლება დაიკარგოს პიროვნული არსებობა, რისი დატირებაც ხამს. და არც არასოდეს დაიკარგება!



კარლ ჯასპერსი

დ. 1883 ოლდენბურგი, გერმანია
† 1969 ბაზელი, შვეიცარია

გერმანელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ეგზისტენციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ნაშრომები ეხება რელიგიის, ისტორიისა და ინტერკულტურული ფილოსოფიის საკითხებს. ჯასპერსმა, როგორც მედიკოსმა, დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერული ფსიქიატრიის განვითარებაში.

ჯასპერსმა გამოყო ინდივიდთა შორის კომუნიკაციის ოთხი დონე. ემპირიული დონე მოიცავს ბაზისური ინსტინქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; ცნობიერების დონე ზედროულია და გულისხმობს ცნობიერების იმ ნაწილს, რომელიც ყოველი ადამიანისთვის აბსოლუტურად ერთიანია; გონით დონეზე ადამიანი თავის თავს რაიმე ორგანული ერთიანობის - ეროვნება, კულტურა, რელიგია - ინდივიდუალურ ნაწილად მიიჩნევს. კომუნიკაციის მეოთხე დონე მოიცავს ადამიანის სულის გაუნივთებად სიღრმეს, რომელიც შესაძლებელს ხდის ინდივიდთა შორის ჭეშმარიტ ურთიერთობას, ანუ ეგზისტენციურ კომუნიკაციას.

ჯასპერსი ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის წერილებით ატომური ბომბის, გერმანიის დემოკრატიზაციისა და ქვეყნის გაერთიანების შესახებ. მეორე მსოფლიო ომის დროიდან ის დიდ როლს ასრულებდა ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მომავლის პრობლემა

სიტუაცია თანადროულ მსოფლიოში

წარსული მეხსიერებაში შემონახული გვაქვს მხოლოდ ნაფლეთების სახით, მომავალი ბნელია. მარტოდენ აწმყო თუა განათებული. ჩვენ ხომ მთლიანად აწმყოთი ვართ გარემოცულნი. და მაინც, სწორედ აწმყოა განუჭვრეტელი, რადგან აწმყო ცხადი იქნებოდა მხოლოდ წარსულის სრული ცოდნის შემთხვევაში, რაც მისი საფუძველია, და – მომავლის ასეთივე ცოდნის შემთხვევაში, რაც მის სიღრმეშია დამარხული. ჩვენ გვინდა გავიცნობიეროთ ჩვენი დროის სიტუაცია, მაგრამ ამ სიტუაციაში ჩაბუდებულია ფარული შესაძლებლობა, რომელიც მხოლოდ განხორციელების დროს შეიძლება გახდეს საცნაური.

ისტორიულად ახალი სიტუაცია, რასაც პირველად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, დედამიწაზე ადამიანთა რეალური ერთიანობით საჩინოვდება. დაკავშირების საშუალებათა თანადროული ტექნიკის წყალობით ჩვენი პლანეტა ადამიანისთვის მისაწვდომ ერთიან მთლიანობად გადაიქცა და ყოფილ რომის იმპერიაზე უფრო „პატარა“ გახდა.

აქამდე უნდა მივეყვანეთ დიდი აღმოჩენების ეპოქაში 400 წლის წინათ დაწყებულ განვითარებას. თუმცა, თვით XIX საუკუნის მიწურულამდე ისტორია ჩვენთვის, არსებითად დასავლეთის

ისტორიას ნიშნავდა. მთელი დანარჩენი მსოფლიო იმ დროის ევროპელთა ცნობიერებაში მეორეხარისხოვან კოლონიურ ტერიტორიას წარმოადგენდა. და, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე, უკვე მაშინ ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო ისტორიას, და ეს განახორციელეს იმ ძალებმა, რომლებიც დედამიწის თვალუწვდენელი სივრცეების ხელში ჩაგდებას ესწრაფოდნენ. ამ სივრცეებმა უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი პირველ მსოფლიო ომში, თუმცა ეს ომი ევროპას არ გასცილებია. ამერიკა ისევ უკუდგა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომმა მოითხოვა ყველას მონაწილეობა და ამიტომ სწორედ ის იყო ნამდვილად გლობალური ომი. საომარი მოქმედებანი აღმოსავლეთ აზიაში ნაკლებ სერიოზული არ იყო, ვიდრე ევროპაში. ფაქტობრივად ეს იყო პირველი მსოფლიო ომი. აქედან იწყება მსოფლიო ისტორია, როგორც ერთიანი მთლიანობის ისტორია.

ამ თვალსაზრისით მთელი წინარე არსებული ისტორია წარმოგვიდგება დროში გაფანტულ, ურთიერთისაგან განცალკევებულ, დამოუკიდებელ მცდელობათა და ადამიანურ შესაძლებლობათა განსხვავებული საწყისების სიმრავლედ. დღეს პრობლემად და ამოცანად იქცა მთლიანი მსოფლიო. და ამიტომ მიმდინარეობს მსოფლიო ისტორიის სრული გარდასახვა. ახლა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს შემდეგი: არაფერი არსებობს მიმდინარე მოვლენების გარეშე. მსოფლიო ჩაიკეტა. დედამიწა ერთიანი გახდა. ხოლო ეს ბადებს ახალ შესაძლებლობას და ახალ საშიშროებას. ყველა არსებული პრობლემა მსოფლიო პრობლემად, და ყველა სიტუაცია – მთელი კაცობრიობის სიტუაციად იქცა.

კაცობრიობის არსებობის ისტორიულმა კონცეფციამ თავისთავად მომავალიც უნდა მოიცვას. მსოფლიო ისტორიის ქრისტიანული თვალსაზრისი, რომელიც დასაზღვრულია ქვეყნის შესაქმით და მეორედ მოსვლით, სწორედ ამას შეესაბამება. ჭეშმარიტება ამაშია და ის ურყევია იმათთვისაც კი, ვისაც

უკვე აღარა სწამს ეს ქრისტიანული თვალსაზრისი. ვინაიდან მომავალზე უარის თქმას იქამდე მივყავართ, რომ წარსული საბოლოოდ დასრულებული სახით და, მაშასადამე, ცრუ სახით წარმოგვიდგება. მომავლის შეცნობის გარეშე, საერთოდ, შეუძლებელია ისტორიის ფილოსოფიური შეცნობა.

ამავე დროს შეუძლებელია გამოვიკვლიოთ მომავალი. გამოკვლევას ექვემდებარება მხოლოდ ის, რასაც რეალური არსებობა ახლავს, ე.ი. ის, რაც უკვე მოხდა, ხოლო მომავალი დაფარულია წარსულსა და თავად მომავალში და ჩვენ მას ვხედავთ და ვიაზრებთ რეალურ შესაძლებლობათა მიხედვით. ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველი ყოველთვის მომავლის მოაზრებას შეიცავს.

მომავლის ეს მოაზრება არ უნდა დავაკონკრეტოთ წარმოსახვითი სურათებით, იმედისა და შიშის ამსახველი სურათებით. მომავლის ხილვის საფუძვლად უნდა ვაქციოთ წარსულის წვდომა და აწმყოს აუხირებელი შეცნობა. მთელი ამბავი ის არის, რომ ჩვენ თვალწინ მიმდინარე ბრძოლის წიაღ შევიგრძნოთ ის სიღრმისეული ძვრები, რომელთა ბედზედაც არის დამოკიდებული კაცობრიობის არსებობა. მაშინ ყურადღებას მივაპყრობთ უკვე არა მარტო იმის ობიექტურ გადმოცემას, რაც წინათ არსებობდა და რაც დიდად არის დაშორებული დღევანდელობას, – პირიქით! მაშინ აწმყო თვითონ ისტორიული გააზრების სათავედ და მიზნად გადაიქცევა.

აწმყოს ხილვა ისევეა დამოკიდებული წარსულის აღქმაზე, როგორც მომავლის პროგნოზირებაზე. მომავალზე ჩვენი დაფიქრება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ წარსულსა და აწმყოს. მაპროგნოზირებელი ისტორიული აზროვნება ჩვენს მოქმედებასაც განსაზღვრავს. ზრუნვითა და იმედებით შეძრული სული ნათელმხილველი ხდება, არადა ჩვენი გონებიდან ვდევნით მასში აღძრული ათასგვარი შესაძლებლობის ხილვას და მოვლენებს საშუალებას ვაძლევთ თავის ნებაზე იდინონ. მაგალითისთვის მოვიყვან წარსულში

გამოთქმულ რამდენიმე პროგნოზს, რომელთა სისწორე დღეს უკვე შეგვიძლია შევამოწმოთ. ეს პროგნოზები ზოგ შემთხვევაში შემაძრწუნებელ წინასწარმეტყველებად წარმოგვიდგება.

XVIII საუკუნიდან მომავლის პრობლემა გაცნობიერებული მსჯელობისა და ემპირიულად დასაბუთებული წინასწარჭვრეტის საგანი გახდა. XVIII საუკუნეში, როცა მნიშვნელობადაკარგული ავტორიტეტების ბოროტად გამოყენებისგან განთავისუფლების პროცესი მიმდინარეობდა, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოუდგენელი მიღწევების და სიმდიდრის დაგროვების დრო დადგა, ამ მიღწევებით აღფრთოვანებული ბევრი ადამიანი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საზოგადოებრივი პროგრესი განაღდებულია და ცხოვრება აწი უფრო და უფრო გაუმჯობესდება. ამ ხალხს არ აწუხებდა მომავალზე ზრუნვა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. XIX საუკუნეში მომავლის მიმართ თანდათან მკვიდრდებოდა პესიმისტური შეხედულება. ჯერ კიდევ გოეთემ, განჭვრიტა რა მანქანის საუკუნე, 1825 წელს ის შემდეგნაირად დაახასიათა: „ეს იქნება პრაქტიკულ საქმეებში ადვილად ორიენტირებული მარჯვე ხალხის საუკუნე. ეს სხვებზე ბევრად ფხიანი ხალხი ბრბოზე აღმატებულად იგრძნობს თავს, თუმცა თვითონ დიდი ნიჭით არ იქნება მორჭმული“. გოეთეს უარესის წინათგრძნობაც ჰქონდა: „მე წინასწარ ვხედავ, რომ მოვა დრო, როცა კაცნი ვეღარ გაახარებენ ღმერთს და იგი ხელმეორედ შემუსრავს მათ, რათა დასაბამი მისცეს ახალ ქმნილებას“.

ამის შემდეგ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი პროგნოზი გამოითქვა. აი, ზოგიერთი მათგანი: 1835 წელს ტოკვილი* წერდა: „ამრიგად, დადგება დრო, როცა ჩრდილოეთ ამერიკაში იცხოვრებს 150 მილიონი კაცი. ყველა მათგანს ერთი და იგივე ისტორიული წარმომავლობა, ერთი და იგივე ცივილიზაცია, ერთი ენა, ერთი რელიგია, ერთნაირი წეს-ჩვეულება ექნება. მათ შორის მიმოქცეული აზრიც ერთსა და იმავე ფორმასა და შეფერილობას შეიძენს. ყველაფერი სხვა თუ საეჭვოა, ეს უცილობელია.

აი, სრულიად ახალი ფაქტი მსოფლიო ისტორიისა, რომლის მნიშვნელობასა და შედეგს ძნელად თუ წარმოვიდგენთ.

დედამიწაზე დღეს არსებობს ორი დიდი ხალხი – რუსები და ანგლო-ამერიკელები. ისინი სხვადასხვა სანიშნოებიდან წამოვიდნენ, მაგრამ როგორცა ჩანს, ერთსა და იმავე მიზანს უახლოვდებიან. ორივე შეუმჩნევლად გამოჩნდა და როცა ადამიანთა ყურადღება სხვა მხარეს იყო მიმართული, მათ უეცრად პირველი ადგილები დაიკავეს ერთა შორის ისე, რომ მსოფლიომ თითქმის ერთდროულად გაიგო მათი არსებობაცა და სიდიადეც. ყველა სხვა ერმა თითქმის უკვე მიაღწია მათთვის ბუნებით განკუთვნილ საზღვარს. მათი ამოცანაა შეინარჩუნონ მიღწეული. მაგრამ ეს ორი ხალხი ჯერ კიდევ ზრდის პერიოდშია. ყველა სხვა ხალხი გაჩერდა, ანდა დიდი გაჭირვებით მიიწევს წინ. მხოლოდ ეს ორი მიაბიჯებს მსუბუქად და ლაღად გზაზე, რომლის დასასრულის განჭვრეტა თვალს არ ძალუძს.

ამერიკელი ებრძვის ბუნებაში არსებულ დაბრკოლებებს. რუსი ებრძვის ადამიანებს. პირველი ეომება უდაბნოებს და ბარბაროსობას, მეორე – ცივილიზაციას. ამერიკელი იმარჯვებს მიწათმოქმედის სახნისით, რუსი – სალდათის ხიშტით.

თავისი მიზნის მისაღწევად ამერიკელი ეფუძნება პირად ინტერესს და მოქმედების თავისუფლებას, რომელიც მიმართული არ არის ცალკეულ პირთა ქმედებისა და აზრის საპირისპიროდ. რუსი საზოგადოების მთელ ძალებს აუნჯებს ერთ ადამიანში. პირველისთვის მოქმედების მთავარი საშუალებაა თავისუფლება, მეორესთვის დაქვემდებარება. მათი საწყისი წერტილები განსხვავებულია, გზებიც განსხვავებული აქვთ, და მაინც თვითეულ მათგანს, როგორცა ჩანს, განგების საიდუმლო ნებით, განკუთვნილი აქვს თავის ხელთ ეპყრას ოდესმე ნახევარი მსოფლიოს ბედი".[1]

[1] Alexis de Tocqueville, On Democracy in America; Алексис де Токвиль, *О демократии в Америке*, М., 1897, С. 340.

1870 წელს თავის წიგნში „ფიქრები მსოფლიოს ისტორიაზე“[2] ბურკჰარდტი* მომავლის შესახებ შემდეგს წერდა: „არცთუ შორეულ მომავალში მსჯელობის უნარს შეავიწროებს დაქვემდებარებისადმი მზადყოფნა, ერთეულსა და მრავლობითს - მთლიანობა და ერთიანობა. კულტურის ნაცვლად ლაპარაკი იქნება მხოლოდ არსებობაზე. სახელმწიფო კვლავ მოიხვეჭს უფლებამოსილებას კულტურაზე. მეტიც, მნიშვნელოვანწილად დაუქვემდებარებს მას თავის გემოვნებას. გამორიცხული არაა ისიც, რომ კულტურა თვითონ შეეკითხება სახელმწიფოს, როგორ დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. მკვეთრი და მუდმივი შეხსენების ზეგავლენით ხალხი იძულებული იქნება შეიგნოს, რომ შეძენისა და ურთიერთობის სურვილი სრულიადაც არ წარმოადგენს მათი ცხოვრების მთავარ აზრს. სამეცნიერო კვლევისა და სწავლების, აგრეთვე ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლოა, გაქრეს, ხოლო ის, რაც დარჩება, ორმაგი ძალისხმევის საზღაურად იარსებებს. ცხოვრების გაბატონებულ ტიპად იქცევა მკაცრი მიზანშეწონილობა...

დანარჩენს ომი იზამს. სწორედ ის დაამკვიდრებს ასეთნაირ მდგომარეობას. თვითონ სახელმწიფო იმგვარ სახეს შეიძენს, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იქნება იმაზე ფიქრიც კი, რომ ის სხვა მიმართულებით წავა. თავისუფალი იდეის რეაქცია ასე თუ ისე გამოვლინდება, მაგრამ მხოლოდ ზეადამიანური ძალისხმევისა და დაძაბვის საზღაურად“...

■

ნიცშემ ასეთნაირად მოხაზა თავისი ეპოქისა და მომავლის სურათი: მანქანის მოქმედება, როგორც ნიმუში არსებობისა. მასების აღმავლობა და მათი ნიველირება. ცხოვრების თეატრალობა, სადაც ყველაფერი ყალბია და სადაც, არსებითად, აღარაფერია მნიშვნელოვანი. აზროვნების ნაცვლად ბან-

[2] Jacob Burckhardt, Weltgeschichtliche Betrachtungen, Bern, 1941. S. 218

გი, როგორც სასიცოცხლო ატმოსფერო. „ღმერთი მოკვდა“. მკვიდრდება ნიჰილიზმი: „მთელი ჩვენი ევროპული კულტურა უკვე დიდი ხანია მთიდან მოვარდნილი ღვარცოფის მსგავსად – შფოთით, ძალადობით და წინდაუხედავად დასასრულისკენ მიექანება, თითქოს კატასტროფას ესწრაფვის. მას დაფიქრებაც აღარა სურს, ეშინია დაფიქრებისა“.

შორეული მომავლის ადამიანები ნიცშეს გროტესკულად ჰყავს წარმოსახული:

„დედამიწა დაპატარავდა. მიწაზე ხტის წვრილმანი საქმით გართული უკანასკნელი კაცუნა. მისი ჯიში შეუმუსრავია. ის რწყილსა ჰგავს. უკანასკნელი ადამიანი ყველაზე დიდხანს ცხოვრობს. ჩვენ მოვიგონეთ ბედნიერება, – თვალის ჩაკვრით გვეუბნებიან უკანასკნელი ადამიანები. დროდადრო ცოტაოდენი საწამლავი, რომ კარგი სიზმრები ვნახოთ და ბევრი საწამლავი ბოლოს, რომ სიკვდილი სასიამოვნო იყოს. ხალხი ჯერ კიდევ მუშაობს, მუშაობა ხომ გართობაა, თუმცა ცდილობენ, რომ ეს გართობა ქანცის გამწყვეტი არ იყოს.

უმწყემსო ფარა!

ყველას ერთი და იგივე სურვილი აქვს, ყველა თანაბარია. ვინც ამას არ ეთანხმება თავისი ნებით მიდის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ერთ დროს მთელი ქვეყანა გაგიჟებული იყო, – თვალის ჩაპაჭუნებით გვეუბნებიან მათ შორის ყველაზე დახვეწილნი, ადამიანები დაჭკვიანდნენ, მათ ყველაფერი იციან, რაც კი მომხდარა ქვეყანაზე. ეს უსაზღვრო ირონიის უფლებას აძლევთ.

ჩვენ გამოვიგონეთ ბედნიერება, – თვალის ჩაკვრით გვეუბნებიან უკანასკნელი კაცუნები“.[3]

ნიცშეს ამ ტექსტის კვალობაზე მომავალი საზოგადოების სურათს ხშირად ჭიანჭველების ბუდედ გვიხატავდნენ, სადაც ადამიანები თავიანთ ბედნიერებას ტოტალური გეგმის შესაბა-

[3] Friedrich Wilhelm Nietzsche, Also sprach Zarathustra, Leipzig, 1910. S. 19-20.

მისად დაწესებული დღის განრიგით და ყველა საგნის დოზირებით რეგულირებულ არსებობაში პოულობენ.

■

ამ პესიმისტურ ხილვას ჯერ კიდევ უპირისპირდება XVIII საუკუნის პროგრესის იდეაზე დაფუძნებული ბრწყინვალე მომავლის პოპულარული სურათები, სადაც სუფევს მშვიდობა, თავისუფლება და სამართლიანი მსოფლიო წყობილება, რის საფუძველს თითქოს წარმოადგენს ცოცხალი წონასწორობა და მუდმივად ზემსწრაფი ძალები. ამგვარი მომავალი ნეტარების გაურკვეველი სურათებით თავს უქონავენ უკმაყოფილო ხალხს.

პროგრესის იდეა ეფუძნება მეცნიერებასა და ტექნიკას და მხოლოდ აქ იძენს თავის ჭეშმარიტ აზრს. მაგრამ ეს იდეა ბადებს გარკვეულ საშიშროებასაც და გვაიძულებს დავსვათ ზოგიერთი კითხვა: პრინციპულ საზღვარს ხომ არ მიაღწია მეცნიერული კვლევის შედეგებმა ისევე, როგორც ტექნიკურმა შესაძლებლობებმა? სხვანაირად: ხომ არ უახლოვდება მეცნიერება, რომელიც ახლა აყვავებულია და რომლის ნაყოფითაც ვსარგებლობთ, თავის დასასრულის სტადიას? შეწყდება თუ არა მისი შემდგომი წინსვლა? ახალ პირობებში ისევ აღორძინდება მეცნიერება, თუ, არსებითად, ის მხოლოდ შეინარჩუნებს მიღებულ შედეგებს? ამის წინასწარ განჭვრეტა ამაო შრომაა. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ავაგოთ საინტერესო, შინაგანად თანმიმდევრული უტოპიები, როგორც ეს უკვე კეთდებოდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

კიდევ ერთი საკითხი: ვიწროდ მოეჩვენება თუ არა ადამიანს დედამიწა? მის წინაშე უკვე აღარ არის გაშლილი უსასრულო გზები, უკიდეგანო სივრცეები და იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია სივრცესა და მატერიაზე, მას მხოლოდ წრიულად შეუძლია მოძრაობა.

ადამიანთა არსებობის მხოლოდ უბრალო უზრუნველყოფაზეც რომ ვილაპარაკოთ, აქაც კი წინასწარი განჭვრეტის

შესაძლებლობა დიდად საეჭვოა. თუკი დამყარდება ერთიანი მსოფლიო წესრიგი, მას გარედან მოსული ბარბაროსობა კი არ დაემუქრება, არამედ თვითონ ბუნება. ბუნებაში არსებული მარაგის განსაზღვრულობა სულ ახლო მომავალში შექმნის ახალ ისტორიულ სიტუაციებს. ნედლეულის ახლანდელი ტემპით მოხმარების კვალობაზე 100 წლის შემდეგ ამოიწურება ქვანახშირის, უფრო ადრე – ნავთობის მარაგი, 200 წლის შემდეგ – რკინის საბადოები, უფრო ადრე – სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი ფოსფორი. თუ რამდენ ხანს გვეყოფა ურანის მარაგი, რისგანაც ვიღებთ ხანგრძლივად მოქმედ ატომურ ენერგიას, დაანგარიშებას არ ექვემდებარება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლებელია ყველაფერი ეს ზუსტად დავიანგარიშოთ, თუმცა ის უზრუნველობა, რითაც იხარჯება ნედლეულის განსაზღვრული მარაგი, ნებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, ან ვივარაუდოთ მაინც, რომ ეს მარაგი არც ისე შორეულ მომავალში პირწმინდად ამოიწურება.

შემცირდება თუ არა მაშინ დედამიწის მოსახლეობა თავის თავდაპირველ რაოდენობამდე, როგორიც ის იყო 500 წლის წინათ, ან მოიძებნება თუ არა სხვა გამოსავალი? ვერავინ იტყვის, თუ რა ისტორიულ პირობებში და ადამიანთა როგორი სულიერი წყობის ვითარებაში დაგვატყდება თავს ეს კატასტროფა. გარდაუვალია მხოლოდ ის, რომ სტაბილურობა მაშინაც არ იქნება.

ახალმა დრომ წარმოშვა ადამიანის მომავალზე აქამდე უცნობი საზრუნავი, თვითონ ადამიანის ბუნების შენარჩუნებისათვის ზრუნვის ფაქტორი, რაზეც პირველად ხმა აიმაღლეს ბუკჰარდტმა და ნიცშემ. საქმე ეხება იმას, რომ ადამიანმა შეიძლება დაკარგოს თავისი არსი, კაცობრიობა თავისდაშეუმჩნევლად, ანდა საშინელი კატასტროფის შედეგად შეიძლება შევიდეს ნიველირებისა და მექანიზაციის სტადიაში, ჰუმანურობისაგან გაძარცული შავი მძულვარების საუფლოში, სადაც აღარ იქნება თავისუფლება და აღსრულება.

თუ რად შეიძლება გადაიქცეს ადამიანი ჩვენს დროში, თითქმის უეცრად მოჰფინა ნათელი იმ საზარელმა სინამდვილემ, რომელიც ჩვენ წინაშე დგას როგორც ზღვარს მომდგარი უკიდურესობის სიმბოლო. ნაციონალ-სოციალისტური საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც გაზის კამერებსა და ღუმელებში საშინელი წამებით იღუპებოდნენ მილიონობით ადამიანები, – აი, ის სინამდვილე, რასაც არსებული მონაცემების თანახმად, სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში მომხდარი მოვლენები შეესაბამება, თუმცა გაზის კამერებში ადამიანების მოგუდვა მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტების საქმეა. ჩვენ წინაშე გაირღვა მიწა და უეცრად მოზიმზიმე უფსკრულის პირას აღმოვჩნდით. ჩვენ დავინახეთ, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს ადამიანმა, და არა მხოლოდ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, არამედ იმ მორევში მოხვედრისას, რომელიც სულ უფრო მეტი სიჩქარით ბრუნავს და თავის სიღრმეში ითრევს იმათ, ვინც უნებურად შეაბიჯა შიგ. იქ მოხვედრილთა უმრავლესობა წრებრუნვაში ჩართულია ისე, რომ არც კი იცის, რა უნდა გადახდეს თავს, ან რა უნდა აღასრულოს ამ დაუცხრომელად მბრუნავ მორევში.

ცხადი გახდა, რომ ადამიანის განადგურება შესაძლებელი ყოფილა მაშინაც კი, როცა ფიზიკურად ის ჯერ კიდევ ცოცხალია. უნებურად მახსენდება სხვადასხვა ჯურის ფსიქოზები. ჩვენ გულს გვიკლავს კაცის ფსიქიკური დაავადება. ეს ერთერთი ისეთი ფაქტია, რასაც სინდისზე ძალდატანების გარეშე ვერაფრით შევუხამებთ მსოფლიო ჰარმონიაზე ჩვენს წარმოდგენას. კაცის ბუნება ისეთია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანთან ვწყვეტთ ურთიერთობას, როცა ის შეშლილობაში ვარდება. თუმცა ამ ზღვრულ სიტუაციას თვითონ ჩვენ არა ვქმნით, და არც ის ხიფათი გვემუქრება, რომ ფსიქიკური დაავადება ეპიდემიად გადაიქცევა. მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანური სახის დაკარგვა ჩვენი ბრალია და არა ბუნებისა, და ეს საზარლობა შეიძლება საყოველთაოდ გავრცელდეს...

ის ფაქტი, რომ ადამიანი თავის მარტვილურ პასიურობაში და ცხოვრებაში, სადაც ყოველ წუთს განიცდის ძალმომრეობას, რეფლექსების უბრალო მექანიზმად არის ქცეული – წარმოადგენს ტექნიკურ-ოპერატიული სისტემის შედეგს, რისი შექმნა მხოლოდ ჩვენს ეპოქას შეეძლო წამების იმ იარაღების გაუმჯობესებით, რომლებიც გარდასულ ეპოქებშიც არსებობდა. საკონცენტრაციო ბანაკების ეს რეალობა, მტანჯველთა და ტანჯულთა ეს შეთანადებული მოძრაობა წრის შიგნით, ადამიანური სახის ეს წარხოცვა იმ მოსალოდნელ შესაძლებლობებს მოასწავებს, რომლებიც ყველაფერს დაღუპვით ემუქრება. საკონცენტრაციო ბანაკების უწყებებს რომ ვეცნობით, თმა ყალყზე გვიდგება. ეს საფრთხე ატომურ ყუმბარაზე საშინელია, რადგან იგი ადამიანის სულს ემუქრება.

ჩვენ შეიძლება სასოწარკვეთილებამ შეგვიპყროს. მაგრამ სასოწარკვეთილებას მოვერევით, თუკი შევინარჩუნებთ ადამიანისადმი რწმენას. რეალობიდან გამომდინარე გულისდამამძიმებელი პროგნოზი მხოლოდ ამ პირობით არ იქნება ჩვენ მიერ აღქმული როგორც სავსებით გამოუვალი მდგომარეობა. ისინი, ვინც ფიზიკური ტანჯვის ყველა საშინელება განიცადა, მაგრამ გულის სიღრმეში არ გაუზიარებიათ თავსმოხვეული ბოროტება, ვისაც თავს დაატყდა ყოველგვარი უბედურება, მაგრამ წმინდად შეინახა ადამიანური სული, ყველა ისინი საფუძველს გვიქმნიან იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ადამიანისადმი წინანდელი რწმენა.

მომავლის ყველანაირი შესაძლო პერსპექტივის წინაშე ჩვენ ვბედავთ დავამტკიცოთ შემდეგი: ადამიანს არ შეუძლია სავსებით დაკარგოს თავისი არსი, ვინაიდან იგი შექმნილია „ხატად და მსგავსად“ ღმრთისა. ის დიახაც რომ არ არის ღმერთი, მაგრამ მასთან არის დაკავშირებული და ეს არ უნდა დავივიწყოთ. და თუმცა ეს კავშირი თვალსაჩინო არ არის, არსებითად, იგი დაურღვეველია. ადამიანს არ ძალუძს მთლიანად აიღოს ხელი ადამიანობაზე. ის შეიძლება ჩაიძიროს ბურუსში, გასიზმარდეს, დაივიწყოს თავი, მაგრამ არ შეუძლია ისტორიული ევოლუციის

მსვლელობაში მაიმუნად ან ჭიანჭველად იქცეს, ანდა ჩვენს ეპოქაში – რეფლექსების მექანიზმად. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ უკიდურესად საზარელ მდგომარეობაში, როცა მას სხვა გზა აღარ ექნება და მაშინაც კი ის კვლავ დაუბრუნდება თავის ნამდვილ არსს, თუ არ დაიღუპა როგორც პიროვნება. ეს საზარელი აჩრდილებია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ისინი საზარელ აჩრდილებად წარმოგვიდგებიან, და ხანდახან კოშმარებიც გვახრჩობს, ჩვენში ცნაურდება ადამიანური არსი, რომელიც ამ საზარელი ზმანებიდან თავდახსნას ლამობს.

კაცობრიობის მომავალი ბუნების მოვლენასავით თავისთავად არ მოვა. რასაც დღეს ყოველ წუთს სჩადიან ადამიანები, რასაც ელოდებიან, ან როგორც ფიქრობენ, ყველაფერი ეს მომავალს უყრის საძირკველს და მის წინასწარდასახულებას წარმოადგენს. ადამიანებზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მომავალი. გვაიმედებს მხოლოდ ის, რომ წარსულის საშინელებებს ვიცნობიერებთ. მხოლოდ უკიდურესად ცხად ცნობიერებას შეუძლია ჩვენი შველა. შემზარავი წარსულის წინაშე შეძრწუნება თუ აგვარიდებს მას. დაუშვებელია გარდასული საშინელების დავიწყება. წარსულში მომხდარმა გამოიწვია ჩვენი შიში: ის შეიძლება განმეორდეს, შეიძლება გავრცელდეს და მთელი მსოფლიო მოიცვას. უნდა შევინარჩუნოთ ეს შიში, რათა იგი ხიფათის დასაძლევად მიმართულ აქტიურ ბრძოლაში გადავზარდოთ.

ჩვენში ჩაბუდებულ გონების შემარყეველ შიშს საკუთარი უსუსურობის განცდა თრგუნავს. კაცობრიობა ცდილობს თვალი მოუხუჭოს კარს მომდგარ საშიშროებას. ადამიანებს გულგრილობა იპყრობს, მაგრამ ამ გულგრილობის შიგნით კვლავ შიშია ჩაბუდებული – საით მიდის კაცობრიობა! თუკი ჩავუფიქრდებით მომავალს, თვალნათლივ დავინახავთ ჩვენს დაღუპვას, ყველაფერი არსებულის დაღუპვას. შეიმუსრება ყველაფერი, რაც ადამიანს ადამიანად ხდის, რაც ღირებულებას ანიჭებს სიცოცხლეს. ჯერ არ მივსულვართ აქამდე, უბედურება ჯერ არ დაგვტყდომია თავს და ამიტომ ხელი ჩავიქნიოთ?

საკუთარი უძლურების შეგნებამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ისტორიის მსვლელობა ბუნების მოვლენებივით აღვიქვათ. შეიძლება მოვიშოროთ პასუხისმგებლობის გრძნობა, ჩავკლათ ჩვენში თავისუფალი პიროვნება, თუმცა განსხვავება ისტორიულ პროცესსა და ფსიქიკური დაავადების პროცესს შორის კარდინალურია. ფსიქიკური დაავადება ბუნებრივი პროცესია, რომლის დაძლევას ალბათ ოდესმე ასეთივე საშუალებებითვე ვისწავლით. ახლა უძლურნი ვართ მის წინაშე. რაც შეეხება კაცობრიობის გზას, ის თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. ცალკეულ ადამიანს ამის გაკეთება არ ძალუძს, მაგრამ თუ გავერთიანდებით – გადავლახავთ ამ საფრთხეს. ყოველი ჩვენგანი გრძნობს, რომ ბევრი რამ ჩვენს ნებაყოფლობით თანხმობაზეა დამოკიდებული. ამის გამო შიში კიდევ უფრო დიდ შიშად გარდაისახება. ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, თვითეულ ადამიანზე, მის გადაწყვეტილებაზე: არ უნდა დავუშვათ ეს, ეს არ უნდა მოხდეს, ეს გარდუვალი არაა. ის, რაც თავს გადაგვხდა – გაფრთხილებაა, ამ ავბედითობის დავიწყება ნიშნავს თავს ვიდოთ ბრალი. საჭიროა, მუდამდღე გვახსოვდეს გარდასული. რაც მოხდა, ნამდვილად მოხდა, განხორციელდა და მისი კვლავ განხორციელება შესაძლებელია. მხოლოდ ამნაირ შეგნებას შეუძლია გვიხსნას მისი განმეორებისგან.

საშიშროება აქ გათვალისწინების უგულებელყოფაშია, დავიწყების სურვილსა და რწმენის უქონლობაშია, – არ გვინდა ვიცოდეთ ის, რაც ნამდვილად მოხდა! საშიშროება კიდევ იმის მზადყოფნაშია, რომ რომელიღაც მექანიზმის მარჭვალის სახით მორჩილად ჩავიდინოთ ბოროტება, დაბოლოს, იმ გულგრილობაში, რომელიც მყუდროდ არის მოკალათებული ყოველდღიური ზრუნვის საჭიროებაში. საშიშროება უძლურ პასიურობაშიც ბუდობს, ვითომდა გარდუვალისადმი მორჩილებაში. არადა მომავლის ამ მუქარას თვითონ აქ, ბოროტებასთან ბრძოლით შეიძლება დაუპირისპირდეს ადამიანი. მხოლოდ ადამიანს ძალუძს თვითონ მისგანვე შობილი ბოროტ-

ტების დათრგუნვა იმის იმედით, რომ მის კეთილ ნებას მხარს დაუჭერენ სხვებიც.

■

პროგნოზი არასოდეს არის ნეიტრალური. სწორია თუ არასწორი – ასეთნაირი ანალიზი გარდუვალად იწვევს მოქმედებისადმი სწრაფვას. ის, რასაც ადამიანი შესაძლებლად მიიჩნევს, განსაზღვრავს მის ქცევას და მომავლისადმი შინაგან დამოკიდებულებას. ადამიანის თვითგამორკვევის პირობას წარმოადგენს უნარი იმისა, რომ შეიცნოს საშიშროება და საჭიროების მიხედვით ყურადღებით მოეკიდოს მას. არსებული ვითარების მოჩვენებითი წარმოდგენები და შენიღბულობა მის დაღუპვას მოასწავებს მხოლოდ. კაცის გული სასოებითა და შიშით არის სავსე. მოძალებული ინერტულობის წინაშე საჭიროა აფორიაქდეს ცრუ მყუდროების მდგომარეობა. პირადი ინტერესების შელახვით გამოწვეული საზრუნავი კი არ მოგვიტანს ხსნას, არამედ ადამიანის ბედით ღრმად გამსჭვალული საზრუნავი.

შევჩერდეთ შიშის მნიშვნელობაზე.

ჩვენს დროში ადამიანები მოიცვა აქამდე განუცდელმა შიშმა. ეს შიში მრავალსახოვანი და მრავალგვარია. ეს მხოლოდ ზედაპირული და გონებაში უცბადვე წარხოცილი შიში კი არ არის, და არც მხოლოდ დაფარული ან აშკარად გამოვლენილი ღრმა და გულის გამგმირავი შიში, – იგი ვიტალურ ან ეგზისტენციურ დონეზე არსებობს და თავის თავში მოიცავს შიშის ყველა სახეობას. დემოკრატიულ ქვეყნებში იგი ცნაურდება როგორც გაურკვეველი ხიფათისაგან ან მერყეევი მდგომარეობისაგან აღძრული შიში, ანდა – როგორც საკუთარი თავისადმი რწმენის უქონლობის შიში, ტოტალიტარულ ქვეყნებში – როგორც შიში ტერორისა, რომლის პირობებში კაცის გადარჩენის ერთადერთი შანსია დაემორჩილოს და მონაწილეობა მიიღოს არსებულ სისტემაში. თუ შიში ნიჰილიზმში გადავიდა, ხოლო ეს მოსალოდნელია, მაშინ კაცი ემსგავსება ჩამქრალ

ნაღვერდალს, იგი ცხოვრებისეული ვნებების დაკმაყოფილებით ფლანგავს თავის არსებას. მანამდე, სანამ არსებობს შიში, ადამიანს შესაძლებლობა აქვს ურყევად იდგეს, ამ შესაძლებლობის რეალობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოერევა იგი თავის შიშს.

იქ, სადაც ადამიანი მდგომარეობისა და სიტუაციების მუდმივი ცვალებადობის პირობებში ფლობს ინიციატივას, მას მხოლოდ თავისუფლების ტრანსცენდენტურად დადგინებული თვითცნობიერებით შეუძლია დაძლიოს შიში. იქ, სადაც ის იძულებულია ბრმა მორჩილებით მოიპოვოს შედარებით გარანტირებული ფუნქცია, შიში იკლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძულებითი მორჩილების მუდმივად მოქმედ ძრავად გადაიქცევა.

მაგრამ მთელ მსოფლიოში დასადგურებულია ერთგვარი საყოველთაო შიში. წარსულის შემზარავი გაკვეთილი (საკონცენტრაციო ბანაკები) თუმცა კი სწრაფად გვავიწყდება, გულის სიღრმეში საშინელების განცდას გვიტოვებს.

უნდა განვიცდიდეთ შიშს. ის არის იმედის საფუძველი.

■

აქ მოხმობილი შეხედულებანი საცნაურყოფს ადამიანთა საქმეების პროგნოზის მნიშვნელობას. ამ საქმეების ავ-კარგი თვითონ ადამიანებზეა დამოკიდებული. და სწორედ აქ გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს მაპროგნოზირებელი აზროვნების პოზიცია. თუკი კაცი პროგნოზის ფორმით გამოთქვამს იმას, რისი გაკეთებაც აქვს განზრახული (ასეთია, მაგალითად, ჰიტლერის' მტკიცება: „ომი თუ დაიწყო, ეს იქნება ევროპაში ებრაული რასის დასასრული"), – ეს პროგნოზი კი არა, უბრალოდ საკუთარი ნების დეკლარაციაა. და მაინც – არ არსებობს მომავალზე გამოთქმული ისეთი აზრი (რამდენადაც მის რეალიზებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ადამიანის ნება), რომელიც არ იქნება, ან არ შეიძლებოდა გამხდარიყო თანამონაწილეობის ფაქტორი. გამოთქმული აზრი გვაიძულებს რა-

ღაცას, ანდა გვარიდებს რაღაცას. და მომავლის წარმოსახვითი ცოდნა უწინარეს ყოვლისა მისი რეალიზების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ ომი უთუოდ დაიწყება, უკვე ამ თავის რწმენით ხელს უწყობს ომის დაწყებას. ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ შენარჩუნებული იქნება მშვიდობა, უზრუნველობას ეძლევა და თავისდაუნებურად ომისათვის მზადებაში მონაწილეობს. მხოლოდ მას, ვინც ხედავს საშიშროებას და ერთი წამითაც არ ივიწყებს ამ საშიშროებას, მხოლოდ მას შესწევს უნარი დაიჭიროს გონივრული პოზიცია და ყველაფერი მოიმოქმედოს ომის თავიდან ასაცილებლად.

მოვლენათა მსვლელობისათვის არსებითი ის არის – უძლებს თუ არა პიროვნება გაურკვევლობას, თუ ხსნას მაინცდამაინც ფაქტის უეჭველობაში ხედავს. ღირსება კაცისა, რომელიც ცდილობს მოიაზროს მომავალი, გამოხატულებას პოულობს როგორც შესაძლებლობის პროგნოზირებაში, ასევე მასთან შეთავსებულ არცოდნაში, ეს არცოდნა კი დაფუძნებულია ცოდნაზე, რომლის პრინციპია: ჩვენ არ ვიცით, რა გადაგვხდება თავს, ან რა გველის. ჩვენი არსებობის გამამხნევებელი გრძნობა იმაშია, რომ არ ვიცით, რა გველოდება მომავალში, თუმცა კი ვმონაწილეობთ მის განხორციელებაში და მას ერთობლივ გაუთვალისწინებელ ბურანში ვჭვრეტთ. მომავლის ნათლად განჭვრეტა ჩვენთვის სულიერი სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა. უკეთუ შევცდებით, დარწმუნებულები მოვლენათა გარკვეულ მსვლელობაში, – ამ პროცესის ჩვენს სურვილებთან შეუსაბამობა დათრგუნავდა ჩვენს ნებას. უკეთუ ის სასურველი იქნება ჩვენთვის, – საბოლოო და გარდუვალ წარმატებაში თავდაჯერება არასასურველ სიტუაციებში ჩვენს აქტიურობას აღაგზნებდა, ოღონდ ეს აქტიურობა გამოვლინდებოდა სულიერი სივიწროვის, სიმართლისადმი ღალატისა და მომაცთუნებელი ქედმაღლობის ნიშნით, რაც ჩვენს წარმატებას – თუკი ვირწმუნებთ, რომ ის მიღწეულია – კეთილშობი-

ლების ყოველგვარ ელფერს ჩამოაცილებდა.

ყველაფერი ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ პროგნოზირებაზე. პროგნოზს აზრი უნდა ჰქონდეს: მან უნდა შეგვიყვანოს შესაძლებლობის გარემოში, დაგვისახოს გეგმისა და მოქმედების საწყისი წერტილები, გაგვიხსნას შორეული ჰორიზონტები და შესაძლებელის შეცნობით განგვიმტკიცოს თავისუფლების გრძნობა.

ჩვენი ძალისხმევის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ველით მომავლისაგან. და იმაზეც, თუ რა წარმოდგენა გვაქვს ჩვენს შესაძლებლობაზე და მის რეალობაზე. ჩვენ ვიღვწით ჩვენივე მიზნების შესაბამისად იმ სფეროში, რისი ახდენაც შესაძლებელია.

მაგრამ ჭეშმარიტი სინამდვილე მხოლოდ აწმყოს ახლავს. მომავლისადმი აბსოლუტურმა რწმენამ შეიძლება ხელიდან გამოგვაცალოს რეალური სინამდვილე. მომავლის პროგნოზირებამ შეიძლება პირი გვაბრუნებინოს აწმყოსაგან, მაშინ როცა, არსებითად, ჩვენ მხოლოდ აწმყო გვეკუთვნის.

მხოლოდ აწმყოსადმი პასუხისმგებლობა გვაძლევს უფლებას შევიგრძნოთ პასუხისმგებლობა მომავლისადმი.



ნიკიტა მოისეევი

დ. 1917 მოსკოვი, რუსეთი
† 2000 მოსკოვი, რუსეთი

გამორჩენილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი. ნიკიტა მოისეევი გამოყენებითი მათემატიკის მთელი რიგი ახალი მიმართულებების ფუძემდებელია. მისი ნაშრომები შეეხება მექანიკასა და ჰიდროდინამიკას, ოპტიმალური მართვის თეორიის რიცხვით მეთოდებს, იერარქიული სისტემების თეორიას, იმიტაციურ მოდელირებას, პროექტირების ავტომატიზაციას, ეკოლოგიური პრობლემატიკის ინტერდისციპლინარულ გამოკვლევას. ყველა აღნიშნულ სფეროში მოისეევმა ფუნდამენტურ შედეგებს მიაღწია.

ხელმძღვანელობდა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ხელშემწყობ ნაციონალურ კომიტეტს, 1993–2000 წლებში იყო საერთაშორისო დამოუკიდებელი ეკოლოგიურ-პოლიტოლოგიური უნივერსიტეტის პრეზიდენტი, 1995–2000 წლებში ჟურნალის „Экология и жизнь“ („ეკოლოგია და ცხოვრება“) მთავარი რედაქტორი, მთელი რიგი სამეცნიერო სკოლების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. 35 მონოგრაფიის, 10 სახელმძღვანელოსა და 300-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიის ავტორი.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავდა ასევე იმ მათემატიკური მოდელების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც მეცნიერებმა პირველად შეძლეს რაოდენობრივად შეეფასებინათ სავარაუდო ატომური ომის შედეგები.

აკრძალული ზღვარის პრობლემა

მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ანალიზი იმ კლიმატური ცვლილებებისა, რაც შესაძლებელია მოხდეს ბირთვული ომის შემთხვევაში. საწყისი მონაცემები აღებულია კარლ საგანის" სცენარიდან (აშშ).

გაანგარიშება ჩატარდა 1983 წლის ზაფხულში ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე. შედეგები თავზარდამცემი აღმოჩნდა. როცა პირველი დაანგარიშებები გადავათვალიერე, თვალებს არ დავუჯერე, ვიფიქრე, ალბათ სადღაც შეცდომა დავუშვით-მეთქი. ყველაფერი ხელახლა შევამოწმეთ და დავაზუსტეთ: დასკვნა სწორი აღმოჩნდა. მიღებულმა დასკვნებმა გვაიძულეს სრულიად ახლებურად შეგვეხედა ბირთვული ომის შესაძლო შედეგებისათვის. ცხადი გახდა, რომ ბირთვული კონფლიქტი რამენაირ ლოკალურ აცივებას კი არ გამოიწვევს, როცა ჭვარტლის ღრუბლების ქვეშ წყვდიადი გამეფდება, არამედ გლობალურ ბირთვულ ღამეს, რომელიც თითქმის ერთ წელიწადს გასტანს. კომპიუტერმა გვიჩვენა: დედამიწას უკუნეთი მოიცავს. ატმოსფეროში ატყორცნილი ასეულობით მილიონი ტონა გრუნტი, კონტინენტური ხანძრების კვამლი, ცეცხლმოდებული ქალაქებისა და ტყეების ფერფლი, უმთავრესად კი ჭვარტლი სავსებით დააბნელებს მზეს.

ჭვარტლის ღრუბლების ნაფლეთები თანდათანობით ერთ მთლიანობად შეირწყმება, და თვენახევრის, ორი თვის შემდეგ

ერთიანად შავ საბურველში გაახვევს დედამიწას. ბირთვული აფეთქების უკვე პირველსავე თვეში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტემპერატურა ორდინარს დაბლა დაიწევს 15–20 გრადუსით, კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპაში ტემპერატურა 30 გრადუსით დაეცემა, ხოლო ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ციმბირის ცენტრალურ რაიონებში 40–50 გრადუსით. აცივება მოიცავს შედარებით სამხრეთ რაიონებსაც. მაგალითად, საუდის არაბეთში ბირთვული კატასტროფის პირველი თვის შემდეგ ტემპერატურა 30 გრადუსით და უფრო მეტადაც დაეცემა. იმის შემდეგ კი, როცა ერთიანი ჭვარტლიანი საბურველი წარმოიქმნება, აცივება სამხრეთ ნახევარსფეროზეც გავრცელდება. აცივდება თვით ანტარქტიდაშიც... ასე დამკვიდრდება ყველგან შავი „ბირთვული ღამე" და „ბირთვული ზამთარი". ბირთვული კატასტროფის მესამე თვის დასაწყისში ჭვარტლის შავი საბურველი მთელ დედამიწას მოიცავს...

თანდათან ჭვარტლი დაწდება, ატმოსფერო განათდება და გათბება. მაგრამ მზისგან მიღებული ენერგია ახლა ატმოსფეროს ზემო შრეებში დაგროვდება. ეს ზემო შრეები 100 გრადუსამდე გახურდება, ხოლო დედამიწის ზედაპირზე დიდად უარყოფითი ტემპერატურა გამეფდება. „ბირთვული ღამისა" და „ბირთვული ზამთრის" მახასიათებლები პირველ თვეებში ძალიან ნელა შეიცვლება. ჭვარტლი მხოლოდ მიზიდულობის ძალის ხარჯზე დაწდება. ატმოსფეროს გათბობას კი მრავალი თვე მოუნდება. პირველად ამ დათბობას ჰიმალაი და სხვა მაღალი მწვერვალები იგრძნობენ. დაიწყება მყინვართა ლღობა და შეუწყვეტელი თოვა. წყლის უზარმაზარი მასივები ჩამოშვავდება ქვევით – კიდევ ერთი კატაკლიზმი! მაგრამ ამის მოწმე ალბათ, უკვე აღარავინ იქნება. ლღობის კატასტროფული პროცესი ანტარქტიდაზეც გავრცელდება, სადაც გიგანტური მყინვარები ხუთი კილომეტრის სიმაღლემდეა აღმართული.

კიდევ ერთ მოვლენას გამოიწვევს „ბირთვული ზამთარი". წარმოიქმნება ტემპერატურის არაჩვეულებრივი სხვაობა ხმელეთსა და ოკეანეს შორის, ჰაერსა და წყალს შორის. ძნელი

მისახვედრი არაა, თუ რა წარმოუდგენელი ძალის ქარაშოტები ნარმოიქმნება სანაპირო რაიონებში. ბირთვული დარტყმის შედეგად ბიოსფერო მთლიანად გარდაიქმნება. კიდევ იქნება თუ არა დედამიწა ვარგისი იმისთვის, რომ შეიხიზნოს კაცთა ნათესავის ნამუსრევი, – ამაზე ჯერ არა გვაქვს ზუსტი პასუხი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ „ბირთვული ღამის“ პირველი თვის სურათი, რომელიც აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის კლიმატური კვლევის ცენტრებმა მიიღეს, პრაქტიკულად ერთმანეთს თანხვდება. იდენტური აღმოჩნდა არა მარტო „ბირთვული ზამთრის“ საერთო მახასიათებლები, უაღრესად უახლოვდება ერთმანეთს ტემპერატურათა და მათი დედამიწის ზედაპირზე განაწილების ექსტრემალური მნიშვნელობებიც.

საბჭოთა და ამერიკელმა სპეციალისტებმა ერმანეთისგან დამოუკიდებლად, განსხვავებული მოდელებისა და გამომთვლელ საშუალებათა მოშველიებით, ერთნიშნადი შედეგები მიიღეს. ასე რომ, კაცობრიობას ახლა ხელთა აქვს სრულებით ახალი, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული წარმოდგენა იმაზე, თუ რა მოელის მას ბირთვული ომის შემთხვევაში.

კლიმატის შესახებ მიღებული მონაცემების საფუძველზე უკვე ძნელი არ არის შევაფასოთ ბირთვული ომის ეკოლოგიური შედეგებიც. განვიხილოთ ზოგიერთი თვალსაზრისი ამის თაობაზეც: რამდენადაც მატერიკებზე ტემპერატურა პრაქტიკულად ყველგან უარყოფითი იქნება, მტკნარი წყალი გაიყინება, ხოლო მოსავალი მთელ დედამიწაზე დაიღუპება. დავუმატოთ ამას რადიაცია, რომლის ინტენსივობა სასიკვდილო დოზას გადააჭარბებს. ასეთ პირობებში კაცობრიობას გადარჩენა არ უწერია. მაგრამ დავუშვათ, რომ სპეციალურ ბუნკერებში შემალული ხალხი და ეკვატორული ზონის კუნძულების მკვიდრნი გადაურჩნენ სიკვდილს. მათი დღეებიც დათვლილი იქნება იმ უდაბნოში, რადაც ჩვენი პლანეტა გადაიქცევა. როგორც დაანგარიშებანი გვიჩვენებს, ოზონის შრეები, რომლებიც დღეს მზის ულტრაიისფერ გამოსხივებას ნთქავენ, თითქმის სრულიად განადგურდება...

ამრიგად, ბირთვული დატყმა უკვე თავისთავად შეიცავს შურისგებას, ვინც არ უნდა განახორციელოს პირველი დარტყმა, მსოფლიოს რომელ რაიონშიც არ უნდა მოხდეს ეს, და იმის მიუხედავად, მოხდება თუ არა საპასუხო დარტყმა, სულერთია, ყველა შემთხვევაში, თავს ვერავინ დააღწევს კატასტროფას. იმას, ვინც ასაფრენი რაკეტის ღილაკს დააჭერს თითს, ისეთივე ბოლო მოელის, როგორიც დასაღუპად განწირული ქალაქის მკვიდრს. თუმცა ბიოსფერო – ამაში დარწმუნებული ვარ – გადარჩება. მაგრამ რას ემგვანება ეს ახალი გაღარიბებული ბიოსფერო? მაღალგანვითარებულმა ცხოველებმა, საეჭვოა, თავი გაიტანონ რადიაციის მაღალი დონისა და მზის ულტრაიისფერი ნაკადის პირობებში, რაკი ამ ნაკადს დაზიანებული ოზონის შრე ვეღარ დააკავებს. ხოლო როდის აღდგება ის, კაცმა არ იცის. მე მგონია, ის ბიოსფერო, რომელიც ბირთვული ომის შემდეგ აღდგება, გამოსადეგი არ იქნება ადამიანის სიცოცხლისთვის: პირველი მილიონი წლის განმავლობაში მაინც!..

ბირთვული ომი ადამიანთა შორის განხეთქილების გადასაწყვეტად არაგონივრული და მეტისმეტად სახიფათო ძალის გამოყენების ერთერთი მაგალითია. ბირთვული იარაღის გამოყენებას შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს კაცობრიობა. მაგრამ ბირთვული ომი სულაც არ არის ერთადერთი საშუალება იმისთვის, რომ კაცობრიობა ისეთ პირობებში აღმოჩნდეს, როცა მისი არსებობის შესაძლებლობა სათუოდ იქცევა.

დღეს ყველა ფაქტი იმას გვიდასტურებს, რომ კაცობრიობა ნამდვილად დგას ჩვენი პლანეტის ევოლუციის იმ ეტაპის კარიბჭესთან, რასაც ახლა ნოოსფეროს˙ პერიოდს ვუწოდებთ. ამ ეტაპზე, იმის წყალობით, რომ ადამიანი განუწყვეტლივ მზარდ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, ყველა ევოლუციური პროცესი, კერძოდ, ბიოსფეროს განვითარების პროცესი ასმაგად ჩქარდება – ევოლუციის განმსაზღვრელ ფაქტორად თავად ადამიანთა მოქმედება იქცევა. ასეთ პირობებში გონებამ უნდა

მოიპოვოს უნარი განსაზღვროს ევოლუციური განვითარების გზები, ხოლო კაცობრიობამ ძალა – თვითონ იკისროს პასუხისმგებლობა პლანეტის, ბიოსფეროს და თვით კაცთა საზოგადოების შემდგომი ბედისათვის.

ცხადად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამიერიდან გონება ევოლუციური პროცესის მონაწილე ხდება, სწორედ რომ მონაწილე და იგი, თავისი ძლიერების მიუხედავად, ამავე დროს, ევოლუციის ზოგად კანონებს ემორჩილება. ასეთ პირობებში, ყველა იმ შეზღუდვების, იმ ბარიერების გათვალისწინებით, რაც ნიშანდობლივია ბუნებისათვის, ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ბიოსფეროს გეზმიმართულ განვითარებაზე. ჩვენ მიერ მართული ან, უკეთ რომ ვთქვათ, გეზმიმართული განვითარება აუცილებლობად იქცა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი, ან მით უმეტეს, გეზმიმართული განვითარების განხორციელება მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როდესაც გვეცოდინება: 1 – მიზნები, რომელთაც ვესწრაფვით, 2 – გვაქვს თუ არა ამისთვის აუცილებელი შესაძლებლობანი, დაბოლოს, 3 – ძალგვიძს თუ არა საკუთარ ქმედებათა შედეგების წინასწარგანჭვრეტა.

განვიხილოთ სამივე საწყისი პოზიცია.

მიზნები

გეზმიმართულმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ბუნებისა და საზოგადოების შეთანხმებული, ჰარმონიული განვითარება. ადამიანი შემდგომშიც შეცვლის ბიოსფეროს, მისთვის ეს აუცილებელია, რათა უზრუნველყოს თავისი სამომავლო განვითარება. მაგრამ ამავე დროს, მან თავისი საზოგადოებრივი სტრუქტურაც უნდა შეცვალოს, მიუსადაგოს და შეუთვისოს იგი ბიოსფეროს განვითარების კანონებს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს თავად. ადამიანის ინტერესების შესაბამისად საზოგადოებისა და ბუნების აი ასეთ განვითარებას ვუწოდებთ კოევოლუციას. დღეს, როცა ჩვენ უფრო ღრმად გვესმის ევო-

ლუციური პროცესებისა და მექანიზმების შინაარსი, რომლებიც განსაზღვრავს კაცსა და ბიოსფეროს, შეგვიძლია უფრო კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მიზნები.

ბუნებისა და საზოგადოების ერთობლივი განვითარება ისეთნაირად უნდა წავიდეს, რომ კაცობრიობამ არ გადააბიჯოს „საბედისწერო ზღვარს“, რომლის იქით დედამიწაზე ცივილიზაციის არსებობისათვის საჭირო პირობების რღვევის შეუქცევადი პროცესები იწყება. სხვანაირად რომ ვთქვათ, კოევოლუციის, ანუ ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ვიცოდეთ ბიოსფეროს იმ მახასიათებლების პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მოსაბრუნ პუნქტს მის ევოლუციაში, ამასთანავე აუცილებელია შევქმნათ საზოგადოების ცხოვრებისა და მოქმედებისთვის ისეთი პირობები, რომელთა დროსაც დაზღვეული ვიქნებით ბიოსფეროს და მისი პარამეტრების კატასტროფულ მნიშვნელამდე მიყვანისაგან.

საშუალებანი

მიზნის მისაღწევად ადამიანებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული საშუალებანი. ადამიანისა და ბიოსფეროს კოევოლუციისათვის საჭირო რესურსები იმ ძლიერების მეშვეობით უნდა მოვიპოვოთ, რაც უკანასკნელ ათწლეულებში მოიძია კაცობრობამ. ესაა ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ქმედების სფეროში ჩავრთოთ აქამდე მისთვის დაფარული ბუნების ძალები; ესაა ახალი ტექნიკა, რომელიც გამუდმებით იქმნება და, რაღა თქმა უნდა – ადამიანის მიერ ნაწარმოები ენერგია. ამრიგად, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის საშუალებად ცივილიზაციის სწორედ ის ძლიერება გვევლინება, რომელიც მისი ბედისათვის ძირითად და ყველაზე დიდ საშიშროებას შეიცავს. და აჰა, ესეც – დიალექტიკა და ჩვენი ცხოვრების მარადიული წინააღმდეგობა! დაბოლოს, მესამე პოზიცია.

კაპიტნისათვის, რომელიც მართავს თავის ხომალდს, ცოტაა იცოდეს მიზანი და ჰქონდეს მიზნის მისაღწევი საშუალებანი – იალქნები, ნიჩბები, ძრავა, საჭე. მას კიდევ სჭირდება ცოდნა, სჭირდება ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით წინასწარ და ზუსტად ეცოდინება, სად და რა სიჩქარით უნდა გაიაროს ხომალდმა, როგორ და რა დოზით იქნება გამოყენებული ესა თუ ის შესაძლებლობანი მიზნის მისაღწევ გზაზე. კაპიტანს უნდა შეეძლოს წინასწარ განჭვრიტოს თავისი მომავალი იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა იკისროს.

სამივე ეს პირობა აუცილებელია იმისათვის, რომ კაცობრიობა შევიდეს ნოოსფეროს ეპოქაში და გადაჭრას გეზმიმართული განვითარების ამოცანები, რისი აღსრულებაც მას დღესვე შეუძლია. კვლევამ ცხადყო, რომ სისტემური ანალიზის, მათემატიკური მოდელირებისა და გაანგარიშების თანადროულ საშუალებებს შეუძლია ჩვენი ცოდნა ისეთი ფორმით წარმოადგინონ, რომ ადამიანისთვის თანდათანობით ხელმისაწვდომი გახდეს ევოლუციის გზის წინასწარგანჭვრეტა იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი განახორციელებს.

საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების შრომებმა მიგვიყვანეს ისეთ შედეგებამდე, რომელთაც კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვთ. არსებითად, მათი მეოხებით დადგინდა და განისაზღვრა „აკრძალული ზღვარის“ ერთერთი უბანი. ჩვენ ახლა ვიცით ატმოსფეროში ატყორცნილი ჭვარტლის ის რაოდენობა, რომელსაც შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს კაცობრიობა. მაგრამ ჭვარტლის შავი, განუჭვრეტელი საბურველი შეიძლება წარმოქმნას არა მარტო ბირთვული იარაღის გამოყენებამ, გამორიცხული არ არის, რომ დედამიწაზე „ბირთვული ღამისა“ და „ბირთვული ზამთრის“ მსგავსი ეფექტი გამოიწვიოს „ჩვეულებრივი“ იარაღის გამოყენებამაც, იარაღისა, რომლის ძლიერება ასჯერ და, შესაძლოა, ათასჯერ გაიზარდა. ასე რომ, საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა თვალნათლივ დაგვანახეს ჩვენს პლანეტაზე ადამიანთა ურთიერთობების საწყისი

პრინციპებისა და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების მეთოდების ძირფესვიანი გადასინჯვის საჭიროება...

მეცნიერებას ძალუძს მიუთითოს ადამიანს ის ზღვარი, რომლის გადაბიჯება არ შეიძლება. მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ადამიანი შეისმენს ამ გაფრთხილებას და არ გადალახავს მისთვის საბედისწერო ნიშანსვეტს? როგორ დავიფაროთ კაცობრიობა მისთვის სასიკვდილო ქმედებისაგან? როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მეცნიერთა ხმას ყველამ დაუგდოს ყური? უამისოდ ხომ ნოოსფეროს ეპოქისაკენ გზა გადაჭრილია?

მსგავს კითხვებზე, სამწუხაროდ, გამომთვლელი სისტემებისაგან ვერ მივიღებთ სათანადო პასუხს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლას მოითხოვს. ცალკეულ პიროვნებათა, ადამიანთა ჯგუფებსა და კლასებს შორის, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის დაპირისპირებას, წინააღმდეგობას და მათი მიზნების განსხვავებულობას საბოლოო ანგარიშში თვითონ კაცთა ძალისხმევა განსაზღვრავს. მაგრამ სიმწვავე იმაშია, რომ ახლა ადამიანურ ვნებათა და მისწრაფებათა ეს ბრძოლა მიმდინარეობს ეკოლოგიურ სიძნელეთა, დედამიწის რესურსების ამოწურვისა და ყოვლისწარმხოცი ბირთვული ომის მუქარის ფონზე. ბრძოლისა და წინააღმდეგობის ამ ხლართის ანალიზი, ჩემი ღრმა რწმენით, თანადროულ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან გარდუვალი საშიშროების წინაშე სწორედ მან უნდა მოგვცეს გასაღები და გვაპოვნინოს სწორი გზა შესაძლო და აუცილებელი კომპრომისის მოძიებისას...


ადამიანებისადმი რწმენამ და თანადროული ინსტრუმენტარიით აღჭურვილმა მისმა გონებამ არ უნდა მოგვიჩლუნგოს ხიფათის გრძნობა, კეთილდღეობის ილუზია არ უნდა შეგვიქმნას. უნდა გვახსოვდეს, რომ თანადროული სამრეწველო ცივილიზაციის ძლიერების მატებასთან ერთად, არა მარტო ბუნებაზე ადამიანის ხელმწიფება მატულობს, არამედ – ადამიანზე ბუნების

ხელმწიფებაც და მისი ბიოსფეროს მდგომარეობაზე დამოკიდებულებაც. ადამიანს ადვილად შეუძლია გადააბიჯოს იმ სამანს, იმ „საბედისწერო ზღვარს“, რომლის იქით ბუნებრივი პირობების ჩვენთვის უცნაური და მოუხელთებელი ევოლუცია დაიწყება, სადაც კაცობრიობას შეიძლება აღარც კი ჰქონდეს ადგილი!..

ახლა უაღრესად აქტუალურია მეცნიერთა ღონისძიების გაერთიანება. წარმატება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა სხვადასხვა ქვეყნის სწავლულების მისწრაფება – აიცილონ ეკოლოგიური კატასტროფა და მათი კვლევის შედეგები მილიარდობით ადამიანის მონაპოვრად იქცევა, ყველა იმათ მონაპოვრად, ვისი ბედიც ახლა სასწორზეა შეგდებული.

მეცნიერთა მოღვაწეობის გაერთიანებაზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მყავს არა მარტო ბუნებისმეტყველების წარმომადგენლები. დიდზე დიდი მნიშვნელობისაა ის როლი, რომელიც ჩვენმა კოლეგებმა – ჰუმანიტარებმა უნდა შეასრულონ. საქმე ისაა, რომ საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენლებს შეუძლიათ დააფორმულონ შეზღუდვები, რომლებსაც ბუნება უწესებს ადამიანის ქმედებას, ე.ი. მათ შეუძლიათ მოიძიონ „აკრძალული ზღვარი“, მოიძიონ ეკოლოგიის სფეროში კოოპერაციულ შეთანხმებათა სტრუქტურა და ა.შ. მაგრამ ეს შეზღუდვები უნდა განახორციელოს თითოეულმა ადამიანმა და მთელმა კაცობრიობამ ერთობლივ. და აქ ჰუმანიტარებმა უნდა მიიღონ ესტაფეტა და თავიანთი სიტყვა უნდა თქვან იმაზე, თუ როგორ უნდა დაუთმოს ადგილი წინააღმდეგობათა სტიქიურმა გადაწყვეტამ შეთანხმების მშვიდ სიბრძნეს. მათ უნდა აუხსნან ადამიანებს, რომ მსოფლიო დღეს სრულიად სხვაა, ვიდრე ჩვენი საუკუნის დასაწყისში ან თუნდაც შუახანში იყო, რომ კაცობრიობა დგას ნოოსფეროს ეპოქის კარიბჭესთან, ეპოქისა, რომელსაც ესაჭიროება სრულიად ახალი ზნეობრიობა და ახალი მორალი.

მაქს ვებერი



დ. 1864 ერფურტი, პრუსია
† 1920 მიუნხენი, გერმანია

გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, განათლებით იურისტი, შემდგომში პარლამენტის წევრი. მას ნაკლებად აინტერესებდა რელიგია, მაგრამ ორი შვილის დაკარგვით გამოწვეულმა მწუხარებამ გარკვეულწილად განსაზღვრა მისი ღრმა რელიგიურობა.

ვებერმა ბერლინში დაიცვა საკანდიდატო და მოგვიანებით სადოქტორო დისერტაციები სამართლის ისტორიის საკითხებზე.

1898 წლიდან, მძიმე ნერვული სტრესის შედეგად, ვებერს გაუჭირდა უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება. 1903 წელს მან საბოლოოდ დატოვა უნივერსიტეტი და შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრების შესასწავლად იტალიაში გაემგზავრა. ვებერმა დიდი წვლილი შეიტანა სოციალური მეცნიერებების ისეთი სფეროებისა და მიმართულებების განვითარებაში, როგორიცაა: ზოგადი სოციოლოგია, სოციალური შემეცნების მეთოდოლოგია, პოლიტიკური, სამართლის, რელიგიისა და ეკონომიკის სოციოლოგია. თავის კონცეფციას ვებერმა „შემეცნებითი სოციოლოგია“ უწოდა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მაქს ვებერის მოხსენებას, რომელიც მან 1918 წლის ზამთარში მიუნხენის უნივერსიტეტში წაიკითხა.

მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია

ამჟამად მეცნიერული რეწვისადმი, როგორც პროფესიისადმი, დამოკიდებულება გაპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მეცნიერებამ სპეციალიზაციის ისეთ დონეს მიაღწია, რაც წარმოუდგენელი იყო წინათ; და ეს მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება შემდგომშიაც; არა მარტო გარეგნულად, არამედ სწორედ შინაგანად საქმე ისეთნაირად მიდის, რომ ცალკეულ ინდივიდს მეცნიერების სფეროში რაიმე დასრულებულის შექმნა მხოლოდ უმკაცრესი სპეციალიზაციის პირობებში შეუძლია...

მეცნიერებაში მომუშავე კაცმა მხოლოდ მკაცრი სპეციალიზაციის მეშვეობით, და ისიც თავის ცხოვრებაში ერთადერთხელ შეიძლება შეიგრძნოს მთელი სისავსით, რომ აი, მან რაღაც ისეთი მოიხელთა, რასაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია. მართლაც, დასრულებული და საქმიანი ნაშრომი ჩვენს დროში ეს ყოველთვის სპეციალური ნაშრომია. და ამიტომ, ვისაც უნარი არა აქვს ერთ მშვენიერ დღეს, ასე ვთქვათ, ცხენის თვალსაფარი გაიკეთოს და იმ აზრით განიმსჭვალოს, რომ მისი ბედ-იღბალი იმაზეა დამოკიდებული, სწორი ვარაუდი გამოჰყავს თუ არა ხელნაწერის აი ამ ადგილთან დაკავშირებით, სჯობს, სულაც ნუ გაეკარება მეცნიერებას. იგი ვერასოდეს განიცდის იმას, რასაც მეცნიერული გატაცება ჰქვია, არადა, მეცნიერებასთან წილუყრელი კაცისათვის ღიმილისმომგვრელი, ამ უცნაური თრობის

გარეშე, ამ გზნებისა და იმაში დარწმუნების გარეშე, რომ ათასწლეულები უნდა გასულიყო, სანამ შენ გაჩნდებოდი, ხოლო სხვა ათასწლეულები მდუმარედ ელოდებიან, გამართლდება თუ არა შენი მიხვედრა, კაცი მოწოდებული არ არის მეცნიერებისათვის, და სჯობს, იმან სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი, რადგან ადამიანისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ის, რისი გაკეთებაც მას მთელი გულით არ სწადია.

მაგრამ თვით ამნაირი თავდავიწყების შემთხვევაშიც, რაც უნდა ღრმა და ჭეშმარიტიც იყოს იგი, შესაძლოა, კიდევ დიდხანს ვერ მიაღწიო შედეგს, თუნდაც რომ ასეთი გზნება უმთავრესის – „შთაგონების“ წინასწარ პირობას წარმოადგენდეს. დღეს ახალგაზრდებს შორის დიდად გავრცელებულია შეხედულება, რომ მეცნიერება არითმეტიკული ამოცანის მსგავს რაღაცად იქცა, რომ ის ლაბორატორიებსა და სტატისტიკურ კარტოთეკებზე იქმნება მარტოოდენ ცივი გონების მეშვეობით და არა „გულით“, – ისე, როგორც ეს „ფაბრიკაშია“. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი მსჯელობისას უფრო ხშირად არც ის იციან, თუ რა ხდება ფაბრიკაში, და არც ის, რაც ლაბორატორიებში კეთდება. აქაც და იქაც კაცს სჭირდება სწორი იდეა. მხოლოდ მისი მეოხებით შეიძლება შეიქმნას რაიმე სრულფასოვანი. მაგრამ აკი არაფერი იბადება თავში სურვილისამებრ! მარტოოდენ ცივი გაანგარიშებით ვერაფერს მიაღწევ, თუმცა ესეც აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს...

და მაინც, უკეთუ მკვლევარს არ ებადება სრულიად გარკვეული იდეები თავისი გათვლების მიმართულებაზე, ხოლო ამ გათვლისას ცალკეული შედეგების მნიშვნელობაზე, მაშინ კნინი შედეგიც არ მიიღება. იდეას კი მხოლოდ შეუპოვარი შრომა ამწიფებს, თუმცაღა უნდა ითქვას, ყოველთვის არა; მეცნიერული თვალსაზრისით დილეტანტის იდეას შესაძლებელია ზუსტად ისეთივე, ანდა უფრო დიდი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს,

ვიდრე სპეციალისტის აღმოჩენას; სწორედ დილეტანტებს ვუმადლით ჩვენ მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის დასმას და მრავალფერ ცოდნას; ჰელმჰოლცის* ნათქვამისა არ იყოს რობერტ მაიერზე*: დილეტანტი მარტო იმით განსხვავდება სპეციალისტისაგან, რომ მისი სამუშაო მეთოდი საკმარისად საიმედო არ არის და ამიტომ, უფრო ხშირად, მას შესაძლებლობა არ აქვს შეამოწმოს უეცრად აღმოცენებული მიხვედრის მნიშვნელობა, რის გამოც მას არ ძალუძს შეაფასოს და ცხოვრებაში დანერგოს იგი.

უეცარი მიხვედრა ვერ შეცვლის შრომას. მეორე მხრივ, შრომას არ ძალუძს შეენაცვლოს ან იძულებით მიანიჭოს სიცოცხლე ამგვარ მიხვედრას ისევე, როგორც ეს არ ძალუძს გატაცებას. მხოლოდ ორივე ამ მომენტს ერთად, მხოლოდ და მხოლოდ ორივეს ერთად, ძალუძს გამოიხმოს მიხვედრა, მაგრამ მიხვედრა მაშინ კი არ აღმოცენდება, როცა ეს ჩვენ გვინდა, არამედ მაშინ, როცა მას სწადია; და მართლაც, უმნიშვნელოვანესი იდეები, როგორც გვიჩვენებს იერინგი*, მაშინ ებადება კაცს თავში, როცა ის სიგარეტს აბოლებს სავარძელში, ანდა ქუჩაში სეირნობისას, როგორც ამას თავის თავზე გვიყვება ჰელმჰოლცი, ანდა რომელიმე მსგავს სიტუაციაში, უბრალოდ მაშინ, როცა მათ სულაც არ ველოდებით, და არა მაინცადამაინც მაშინ, როცა საწერ მაგიდას ვუსხედვართ ძიებებსა და ფიქრში გართულნი. ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იდეები არასოდეს დაგვებადებოდა მას რომ წინ არ უძღოდეს ფიქრი და ძიება საწერ მაგიდასთან და მოძიების მხურვალე სურვილი.

მეცნიერი მუშაკი უნდა შეურიგდეს აგრეთვე იმ რისკს, რომელიც თანასდევს ყოველგვარ სამეცნიერო ნაშრომს: მომაკითხავს კი „შთაგონება"? შეიძლება ჩინებული მუშაკი იყო და ვერცერთხელ გააკეთო საკუთარი მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ მეცნიერებისთვის არის ეს ნიშანდობლივი...

შთაგონება სრულიადაც არ ასრულებს მეცნიერებაში უფრო დიდ როლს, ვიდრე პრაქტიკულ ცხოვრებაში. მეორე მხრივ, რასაც ხშირად არ აღიარებენ, იგი აქ არანაკლებ როლს ასრულებს, ვიდრე ხელოვნებაში. ეს ხომ ბალღური წარმოდგენაა, რომ მათემატიკოსები რაიმე მეცნიერულად ღირებულ შედეგს მარტოოდენ სახაზავით ან სხვა მექანიკური საშუალებით აღწევენ და ისიც მაინცდამაინც საწერ მაგიდასთან: მათემატიკური ფანტაზია, მაგალითად, ვაიერშტრასისა*, თავისი აზრითა და შედეგით, რა თქმა უნდა, სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ხელოვანის ფანტაზია, რომლისგანაც ის თვისობრივად განსხვავდება, მაგრამ ფსიქოლოგიური პროცესი აქ ერთი და იგივეა. ორივესათვის ნიშანდობლივია ტკბობა (პლატონური „ექსტაზის“ აზრით) და „შთაგონება“.

ახლავს თუ არა ვინმეს მეცნიერული შთაგონება, ეს დამოკიდებულია ჩვენგან დაფარული ბედისაგან და, გარდა ამისა, „ნიჭისაგან“. ამ უეჭველმა ჭეშმარიტებამ უმნიშვნელო როლი როდი შეასრულა ახალგაზრდებს შორის, რაც სპუსებით გასაგებია, იმ დიდად პოპულარული მიზანმიმართულების აღმოცენებაში, რომ ემსახურო გარკვეულ კერპებს. ამ კერპების კულტი, როგორცა ვხედავთ, დღეს ფართოდ ხორციელდება ყველა გზაჯვარედინსა და ჟურნალში. ეს კერპები არიან „პიროვნება“ და „განცდა“. ორივე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. გაბატონებულია შეხედულება, რომ უკანასკნელი ქმნის პირველს და მის საკუთრებას წარმოადგენს. რის ვაივაგლახით აიძულებენ თავს „განიცადონ“, რაკი „განცდა“ განუყოფელია პიროვნებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესისათვის, ხოლო მარცხის შემთხვევაში თავი ისე უჭირავთ, თითქოს მართლაც მომადლებული ჰქონდეთ ეს ციური ნიჭი. წინათ ასეთნაირ განცდას, „გრძნობას“ (Sensation) ეძახდნენ და იმაზეც, თუ რა იყო „პიროვნება“, მე ვფიქრობ, ზუსტი წარმოდგენა ჰქონდათ...

მეცნიერულ სფეროში „პიროვნება" მხოლოდ იმას ახლავს, ვინც ერთგულად ემსახურება თავის საქმეს. და ეს ასეა არა მარტო მეცნიერებაში. ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ დიდ ხელოვანს, ვინც სხვა რაიმეთი ყოფილიყო დაკავებული, გარდა იმისა, რომ ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს და მხოლოდ ამ საქმეს. თვით ისეთი რანგის პიროვნებასაც კი, როგორიც გოეთეა, თუკი მის ხელოვნებაზე ვილაპარაკებთ, ნაკლულოვანება ახლავს იმის გამო, რომ მან გაბედა ხელოვნების ქმნილებად ექცია თავისი „ცხოვრება"...

მაგრამ მეცნიერებაში, სავსებით გარკვეულად, „პიროვნებას" არ წარმოადგენს ის, ვინც თვითონ გამოდის სცენაზე, როგორც იმპრესარიო იმ საქმისა, რისთვისაც თავი უნდა დაედო, ვინც ცდილობს ამ „განცდის" მეშვეობით დაიმკვიდროს თავი, ვინც კითხულობს: როგორ დავამტკიცო, რომ მე მარტოოდენ სპეციალისტი არა ვარ, როგორ ვაჩვენო, რომ მე ფორმის, ანდა არსების მიხედვით ისეთ რასმე ვამბობ, რაც ჯერ არავის უთქვამს ჩემებრ? დღეს საყოველთაოდ იჩინა თავი ამ მოვლენამ, რაც ყველაფერს უსაშველოდ აკნინებს, რაც ამდაბლებს იმას, ვინც ამგვარ კითხვას სვამს, რაკი არ ძალუძს იმ საქმის სიმაღლესა და ღირსებას გაუსწოროს მხარი, რისადმი მსახურებაც მართებდა, და მაშასადამე, მართებდა მხოლოდ თავისი მიზნის ერთგული ყოფილიყო.

ასე რომ, აქაც, არაფრით განვსხვავდებით ხელოვანთაგან.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამუშაოს წინასწარი პირობები ხელოვნებისთვისაც არის დამახასიათებელი, მეცნიერული შრომის ბედი უღრმესად განსხვავდება მხატვრული შემოქმედების ბედისაგან. მეცნიერული ნაშრომი პროგრესის მოძრაობაშია ჩართული, და პირიქით, ამ აზრით, ხელოვნების სფეროში არავითარ პროგრესთან არა გვაქვს საქმე. მართებული არ არის ვიფიქროთ, რომ

რომელიმე ეპოქის მხატვრული ნაწარმოები, რომელმაც ახალი ტექნიკური საშუალებანი დაამუშავა, მაგალითად, პერსპექტივის კანონები, ამის გამო, წმინდა მხატვრული თვალსაზრისით, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამ საშუალებათა აბსოლუტურად არმქონე მხატვრული ნაწარმოები, თუკი იგი ფორმისა და მასალის შესაბამისად იყო შექმნილი, ე.ი. თუკი ამ ნაწარმოების საგანი, გვიან მოპოვებული საშუალებებისა და პირობების ჩაურევლად, ხელოვნების ყველა კანონის მიხედვით იყო მოძიებული და გაფორმებული.

ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოები ყოველთვის სწორუპოვარი იქნება და არასოდეს დაბერდება. ცალკეულმა ინდივიდმა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეაფასოს მისი მნიშვნელობა, მაგრამ ვერავინ ვერასოდეს იტყვის სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომ მას სრულყოფილებით მისი სწორი სხვა ნაწარმოები „აღემატება“.

ამის საპირისპიროდ, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ მეცნიერების სფეროში მის მიერ გაკეთებული საქმე 10, 20, 40 წლის შემდეგ მოძველდება. ასეთია ბედი, უფრო მეტიც, ასეთია აზრი მეცნიერული შრომისა. ამ აზრს ექვემდებარება და ემსახურება მეცნიერება, და სწორედ ეს წარმოადგენს მის სპეციფიკურ განმასხვავებელ ნიშანს კულტურის ყველა სხვა ელემენტებთან შედარებით. მეცნიერებაში ყოველი სრულყოფილად შესრულებული ჩანაფიქრი ნიშნავს ახალი „საკითხების“ დასმას. იგი მთელი არსებით ითხოვს თავის თავზე აღმატებულს. ამას უნდა შეურიგდეს ყველა, ვისაც სურს ემსახუროს მეცნიერებას.

რა თქმა უნდა, მეცნიერულმა შრომებმაც დიდხანს შეიძლება შეინარჩუნონ თავიანთი მნიშვნელობა, „ტკბობა“ მოგვგვარონ თავიანთი მხატვრული თვისებებით, ანდა მეცნიერული ჩვევის გამომუშავების საშუალებად იქცნენ. მაგრამ, ვიმეორებ, არა მარტო ჩვენი საერთო ბედი, არამედ ჩვენი საერთო მიზანია ის, რომ ყოველ ნაშრომს მეცნიერუ-

ლი თვალსაზრისით სხვა ნაშრომები აღემატოს. ჩვენ ვერ ვიმუშავებთ, თუ არ გვექნა იმის იმედი, რომ სხვები ჩვენზე შორს წავლენ. და პრინციპში ეს პროგრესი უსასრულოა.



პაველ კოპნინი

დ. 1922 გჟელის რაიონი, რუსეთი
† 1971 მოსკოვი, სსრკ

რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი. პაველ კოპნინი იკვლევდა გნოსეოლოგიურ საკითხებს, დიალექტიკურ ლოგიკას, მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიას, ლოგიკის ისტორიას. ფილოსოფიურ მეცნიერებაში პირველად მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა მეცნიერთა კვლევის ლოგიკის პრობლემები; მან ანალიზის საგნად აქცია თანადროული მეცნიერების ლოგიკურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. გრძნობითისა და რაციონალურის, თეორიულისა და ემპირიულის შეფარდების გაგებაში მან არსებითი დაზუსტებები შეიტანა. მეთოდოლოგიურ და ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ პრობლემებთან კავშირში განიხილავდა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგებს (ფიზიკა, ბიოლოგია, კიბერნეტიკა). კოპნინმა გავლენა მოახდინა მეცნიერული შემეცნების ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის შემდგომ განვითარებაზე. მისი ძირითადი შრომებია: „დიალექტიკა, ლოგიკა, მეცნიერება“ (1973), „მეცნიერების გნოსეოლოგიური და ლოგიკური საფუძვლები“ (1974).

პაველ კოპნინის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა დიალექტიკის აქტუალური პრობლემები, რომლებიც მიმართული იყო მეცნიერული ცოდნის ლოგიკისა და მეთოდოლოგიისკენ. მისი ნაშრომების მთელი ციკლი გამოირჩევა საერთო პრობლემატიკით, რომელიც გამოიხატება მეცნიერული ცოდნის ფილოსოფიურ ანალიზში.

ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა

... ახალი ცოდნა იბადება მანამდე, სანამ კაცი მის უეჭველობას დაამტკიცებდეს. ხდება ერთგვარი ნახტომი, სუბიექტი წამოაყენებს დებულებას, რომელიც არსებული ცოდნიდან ლოგიკური აუცილებლობით არ გამომდინარეობს. ასეთი ნახტომი თავისთავად აუცილებელია, სხვანაირად ახალი ცოდნის აღმოცენება პრინციპულად შეუძლებელი გახდებოდა. კარგად წერს ლუი დე ბროილი*: „ხალხი, რომელიც თვითონ არ მუშაობს მეცნიერებაში, ძალიან ხშირად ფიქრობს, რომ მეცნიერება ყოველთვის აბსოლუტურად უეჭველ დებულებას გვაძლევს. მათ მიაჩნიათ, რომ სწავლულ მუშაკებს თავიანთი დასკვნები უეჭველი ფაქტებისა და უზადო მსჯელობების საფუძველზე გამოჰყავთ და, მაშასადამე, გულდაჯერებით, უკან მოუხედავად და შეცდომების დაუშვებლად მიიწევენ წინ. მაგრამ თანადროული მეცნიერების მდგომარეობა ისევე, როგორც მეცნიერებათა ისტორია წარსულში, გვიმტკიცებს, რომ საქმე სულ სხვაგვარად არის“. მეცნიერება დაკავშირებულია ისეთი ვარაუდების წამოყენებასთან, როგორიც ძალიან შორს დგას უეჭველობისგან.

რა ახასიათებს ჰიპოთეზას, როგორც დაგროვებული ცოდნის თეორიული მოაზრების ფორმას? უპირველეს ყოვლისა მისწრაფება იმისა, რომ გადალახოს უკვე მოპოვებული ცოდნის საზღვრები, დააფორმულოს ახალი შინაარსის მქონე დებულებები, რომელთა ობიექტური ჭეშმარიტება ზუსტად დამტკიცებული არ არის. ამის თაობაზე ხატოვნად თქვა ლუი დე ბროილმა: „თავი-

სი საფუძვლისა და მეთოდის მიხედვით, არსებითად, რაციონალურ მეცნიერებას საკუთარი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაპოვრების განხორციელება მხოლოდ აზრის უეცარი და სახიფათო ნახტომების გზით შეუძლია, როცა ძალას მოიცემს ხოლმე ძველი მსჯელობების მძიმე ბორკილებისაგან განთავისუფლებული წარმოსახვის, ინტუიციისა და მახვილგონიერების უნარი. უკეთ რომ ვთქვათ, სწავლული ახორციელებს რაციონალურ ანალიზს და დედუქციის ჯაჭვში გადაარჩევს ამ ჯაჭვის რგოლებს. ეს ჯაჭვი მას ბორკავს გარკვეულ მომენტამდე, მაგრამ უეცრად იგი თავისუფლდება დამაბრკოლებელი შეზღუდვისაგან და კვლავ მოპოვებული წარმოსახვის თავისუფლება მას ახალი ჰორიზონტების ხილვის საშუალებას აძლევს.

ჰიპოთეზისათვის ნიშანდობლივია ახალი, ალბათური ხასიათის მქონე იდეების წამოყენება, რომელთა საფუძველზე მანამდე მოპოვებული ცოდნის ახლებური სისტემატიზაცია ხდება და ახალი მეცნიერული შედეგების ძიება იწყება. ამაშია ჰიპოთეზის, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმის, არსი. მარსელ კოენმა* კითხვაზე, თუ როგორ ხდება ჰიპოთეზის წამოყენება, ასეთი პასუხი გასცა: „ჰიპოთეზები ებადება იმათ, ვინც ფიქრობს“.

თავდაპირველად ახალ აზრს მიხვედრის ფორმა აქვს და გარკვეული თვალსაზრისით ინტუიციურია. მიხვედრაში ბევრი არალოგიკური მომენტია; ასე რომ არ იყოს, მიხვედრის აბსოლუტურად გარანტირებული მეთოდი იარსებებდა, რომელსაც ყველა ადვილად შეისწავლიდა. თუმცა ისიც უეჭველია, რომ თავიანთ სფეროებში სწავლულები ესწრაფვიან გამოიმუშაონ მიხვედრის თავისებური ჩვევები. ჯორჯ პოია* სამართლიანად წერდა: „თქმა არ უნდა, საჭიროა ვისწავლოთ დამტკიცება, მაგრამ მიხვედრაც უნდა ვისწავლოთ“.[1]

[1] Джорж Пойа. *Математика и правдоподобные рассуждения*. М., 1957, стр. 10.

მიხვედრის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფანტაზიას. მეცნიერებაში, განსაკუთრებით თანადროულ მეცნიერებაში, წარმოსახვის გარეშე ვერ გამოთქვამ ვერცერთ ახალ იდეას. „წარმოსახვა და ინტუიცია, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა საზღვრებში, სწავლულის აუცილებელი დამხმარე საშუალებებია", – წერს ლუი დე ბროილი.

მიხვედრა მხოლოდ მკვლევრისათვის არსებობს თითქოს. როგორც წესი, იგი ჯერ კიდევ არ გამოდის მისი შემოქმედებითი, სამუშაო ლაბორატორიის საზღვრებიდან. ზოგჯერ მიხვედრა იმდენად წარმოუდგენელია, რომ სასწაულსა ჰგავს. მეცნიერის წინაშე დგება ამოცანა თეორიული წანამძღვრები მოუძებნოს და წარმოსადგენი გახადოს იგი, აინშტაინის თქმისებრ: „ყოველგვარი სააზროვნო მოღვაწეობის მიზანია, გადააქციოს სასწაული ისეთ რამედ, რაც მისაწვდომია".

იმისთვის, რომ მიხვედრა მეცნიერების მონაპოვრად იქცეს, აუცილებელია, ის ჯერ მეცნიერულ ჰიპოთეზად აქციო, ხოლო ფანტაზია მეცნიერებისაგან დასაშვებ საზღვრებში ჩაკეტო. იწყება არსებული ცოდნის მობილიზაციის პროცესი, რის საფუძველზეც კეთდება ვარაუდი. ეს ვარაუდი ჰიპოთეზის მთავარ აზრს, მის იდეას ალბათობას ანიჭებს. ვარაუდის ალბათობის დასაბუთება მკვლევრის ერთერთი ძირითადი ამოცანაა. ამისთვის იგი მიმართავს ცდის მონაცემებს, ანალოგიებს, ინდუქციასა და ე.წ. „სარწმუნო მსჯელობების" სხვა ფორმებს, რომლებიც უეჭველი წანამძღვრების მოხმობისას საალბათო დასკვნებს გვაძლევენ. ჰიპოთეზა გვიღრმავებს და გვიფართოებს ცოდნას საკვლევი ობიექტის შესახებ.

ხშირად ამბობენ, რომ ჰიპოთეზები კვდებიან, რომ მეცნიერება იზრდება გადაშენებული ჰიპოთეზების ძვლებზე. ეს მართალია. მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი მეცნიერული ჰიპოთეზა არ კვდება უკვალოდ, იგი ამა თუ იმ სახით ცოცხლობს სხვა თეორიულ კონსტრუქციებში. მთელი თავისი შინაარსითა და პირვანდელი სახით თუ არა, იგი თავისი რომე-

ლიღაც ელემენტით მაინც შედის თეორიული ცოდნის უეჭველ სისტემაში. და ეს ადასტურებს იმას, რომ თავისი შინაარსით ჰიპოთეზა ობიექტურია, რომ იგი მეცნიერული კვლევის გარკვეულ ეტაპზე ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის ფორმას წარმოადგენს.

შემეცნების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წამოყენებულ ჰიპოთეზას და სხვა თეორიულ სისტემებს შორის წინააღმდეგობის წარმოჩენასა და ანალიზს. თვითონ ეს წინააღმდეგობა ევრისტიკულ როლს ასრულებს, იგი სვამს კითხვას: რა უნდა ვუყოთ ამ წინააღმდეგობას, როგორ განვმარტოთ იგი, ჰიპოთეზა გადავსინჯოთ და მასში ცვლილებანი შევიტანოთ, თუ დავეჭვდეთ იმაში, რაც ადრე უეჭველად ითვლებოდა, და გარკვეული კორექტივები შევიტანოთ ამ თეორიაში? ან იქნებ საჭიროა სრულვყოთ ცოდნის ორივე ეს სისტემა? მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამ საკითხის გადაჭრას საგნის შემეცნებისაკენ მივყავართ.

ჰიპოთეზას სხვა მოთხოვნილებებსაც უყენებენ, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიმარტივეს და მასთან დაკავშირებულ სინატიფეს. ასე, მაგალითად, კემანი* წერს: „სიმარტივის კრიტერიუმი უნდა მივუყენოთ მთელი ჩვენი ცოდნის საფუძველს". მაგრამ ჰიპოთეზის სიმარტივის საბოლოო კრიტერიუმად გადაქცევას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. სიმარტივე კი არ განსაზღვრავს ობიექტურ ჭეშმარიტებას, პირიქით, ობიექტური ჭეშმარიტების წვდომას თვითონ მივყავართ სიმარტივის, სიცხადისა და მკაფიოობისაკენ, აზროვნების ეკონომიურობისაკენ. აინშტაინი ლაპარაკობდა მეცნიერული თეორიის „შინაგან სრულყოფილებაზე", „ბუნებრიობასა" და სინატიფეზეც კი. მისი აზრით, საჭიროა ვესწრაფოდეთ ყველაფერ ამას, მაგრამ მას არასოდეს მოუხდენია ამ კრიტერიუმების აბსოლუტიზაცია.

ჰიპოთეზა სადა და მარტივი უნდა იყოს, მასში არაფერი უნდა იყოს ზედმეტი, სუბიექტური, თვითნებურად დაშვებული,

არაფერი ისეთი, რაც არ გამომდინარეობს ობიექტის შემეცნების აუცილებლობიდან. ამ თვალსაზრისით უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ სისადავე, სიცხადე და აზრის ეკონომიურობა. ასე რომ, მრავალი ტოლფასოვანი ჰიპოთეზიდან უპირატესობა ისეთს ენიჭება, როგორიც უფრო მკაფიოდ, მარტივად და ეკონომიურად განმარტავს ვარაუდს. მეცნიერული გამოკვლევების შედეგებმა უფრო მეტი ესთეტიკური სიამოვნება უნდა მოგვანიჭოს, ვიდრე ადამიანური მოღვაწეობის სხვა ფორმებმა. ესთეტიკური დამოკიდებულება ხელს უწყობს არა მარტო მხატვრულ, არამედ მეცნიერულ შემოქმედებასაც.



ვერნერ ჰაიზენბერგი

დ. 1901 ვიურცბურგი, გერმანია
† 1976 მიუნხენი, გფრ

გერმანელი ფიზიკოსი, მრავალმხრივი სწავლული და მოაზროვნე, „ჰაიზენბერგის მატრიცული კვანტური მექანიკის“ შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში კვანტური მექანიკის საკითხებზე შექმნილი შრომებისათვის (1932). წლების განმავლობაში ჰაიზენბერგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს. 1958 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „ფიზიკა და ფილოსოფია“, რომელიც შეიქმნა სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტში˙ წაკითხული ლექციებისგან.

10 წლის შემდეგ, სამოციანი წლების მიწურულს, გამოქვეყნდა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ნაწილი და მთელი“, რომელსაც კარლ ვაიცზეკერმა˙ ახალი დროის ერთადერთი თანადროული პლატონისეული დიალოგი უწოდა.

წიგნის „ფიზიკა და ფილოსოფია“ წინასიტყვაობაში ჰაიზენბერგი წერს: „ამ წიგნში მოყვანილმა თანამედროვე ფიზიკის დასკვნებმა, გასული საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებული წარმოდგენები სამყაროს შესახებ მნიშვნელოვანწილად შეცვალა. ეს დასკვნები აზროვნების გარდატეხას ინვევს, ამიტომაც ისინი ადამიანთა ფართო წრეს ეხება“.

ენა

ენის ფორმირების სხვადასხვა საფეხურის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ახლა ენა ცნებების დიდ რაოდენობას მოიცავს. ცნებათა ეს რაოდენობა უნდა განვიხილოთ როგორც ყოველდღიური, ცხოვრებისეული ამბების მეტნაკლებად თანაბარმნიშვნელოვანი გადმოცემის ინსტრუმენტი. ეს ცნებები, როგორცა ჩანს, თანდათანობით, ენის მოხმარების პროცესში კრიტიკული ანალიზის უქონლად გამომუშავდა. ამასთან, თუ რომელიმე სიტყვა საკმაოდ ხშირად იხმარება, ვარაუდობენ, რომ მეტნაკლებად ზუსტად ვიცით, რას აღნიშნავს იგი. კარგად ცნობილი ფაქტია, რომ სიტყვები ისე მკაფიოდ არ არის დასაზღვრული, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და რომ სიტყვის მოხმარებას მხოლოდ ზოგიერთი დასაზღვრული სფერო აქვს მოზომილი. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, ხის ან რკინის ნატეხი, მაგრამ ვერ ვიტყვით „წყლის ნატეხს“. სიტყვა „ნატეხი“ გვაიძულებს არ მოვიხმაროთ იგი თხიერი სხეულების აღსანიშნავად. ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა მხოლოდ კონტექსტის მეშვეობით ცნაურდება, რომ იგი ტრადიციითა და ჩვეულებით არის დასაზღვრული...

სიტყვათა მნიშვნელობის ეს პრინციპული განუსაზღვრელობა, რა თქმა უნდა, დიდი ხნის წინათ ჰქონდათ შეგნებული. ამან აღძრა სურვილი განესაზღვრათ სიტყვები, ე.ი. როგორც სიტყვა „განსაზღვრების“ განსაზღვრება გვეუბნება, დაედგი-

ნათ საზღვრები, რომლებიც გაგვარკვევდნენ, სად შეიძლება ამა თუ იმ სიტყვის ხმარება და სად არა. მაგრამ განსაზღვრება, ბუნებრივია, მხოლოდ სხვა ცნებების მეშვეობით არის შესაძლებელი და ბოლოსდაბოლოს, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ზოგიერთ ცნებას, რომლებსაც მივიღებთ ისე, როგორც არიან, ანალიზისა და განსაზღვრების გარეშე.

ბერძნულ ფილოსოფიაში ცნების პრობლემა გამოკვლევის საყურადღებო საგანი იყო სოკრატეს' დროიდან, რომლის ცხოვრება, პლატონის თანახმად, ენობრივ ცნებათა შინაარსისა და გამოხატვის საშუალებების გამუდმებულ განსჯას წარმოადგენდა. მეცნიერული აზროვნებისათვის მყარი საფუძველი რომ შეექმნა, არისტოტელემ სცადა თავის შრომებში გაეანალიზებინა ენობრივი ფორმები და მათი შინაარსისაგან დამოუკიდებლად გამოეკვლია შედეგისა და დასკვნის პროცესის ფორმალური სტრუქტურა. ამ გეზით მან აბსტრაქციისა და სიზუსტის ისეთ დონეს მიაღწია, რაც მანამდე უცნობი იყო ბერძნული ფილოსოფიისათვის. ამით მან უაღრესად შეუწყო ხელი ჩვენი აზროვნების ხერხებში გარკვეული წესრიგის გამოაშკარავებასა და დადგინებას. ფაქტობრივად, მან მეცნიერული ენის საფუძვლები შექმნა.

მეორე მხრივ, ლოგიკურ ანალიზს თან მოაქვს ზედმეტი გამარტივების საშიშროება. ლოგიკაში ყურადღება სპეციალურ ენობრივ სტრუქტურებზე, წანამძღვართა და დასკვნათა თანაბარმნიშვნელოვან შეკავშირებასა და უბრალო სქემებზეა მიმართული. ლოგიკაში უარყოფილია ყველა სხვა ენობრივი სტრუქტურა, რომლებსაც სიტყვათა შუალედურ მნიშვნელობათა ასოციაციები შობს. მაგალითად, სიტყვის მეორეხარისხოვან მნიშვნელობას, ჩვენს ცნობიერებაში კვალსაც რომ არ ტოვებს, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს წინადადების შინაარსზე. ის ფაქტი, რომ ნებისმიერ სიტყვას უამრავი მარტოდენ ნახევრად გააზრებული მოძრაობის გამოწვევა ძალუძს, შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ენის მეშვეობით

სინამდვილის გარკვეული მხარეები უფრო მკაფიოდ გამოვხატოთ, ვიდრე ამას ლოგიკური სქემების მეშვეობით შევძლებდით. ამიტომ სიტყვის ოსტატები ხშირად გამოდიოდნენ ენასა და აზროვნებაში ლოგიკური სქემის გაზვიადებული ხაზგასმის წინააღმდეგ, ვინაიდან ამას შეუძლია იქამდე მიგვიყვანოს, რომ ენა ნაკლებგამოსადეგი გახდეს იმ მიზნისათვის, რისთვისაც თავდაპირველად შეიქმნა. აქ, მაგალითისათვის კარგი იქნებოდა გაგვეხსენებინა ცნობილი სიტყვები, რომლებსაც გოეთეს „ფაუსტში" მეფისტოფელი ეუბნება მოწაფეს:

...ან ცოცხალ საგნის შესწავლისათვის,
რათა ის ცხადად შეიმეცნოს და შეითვისოს,
სწავლული მას ჯერ სულს მოაძარცვავს,
მერე იმ საგანს მრავალ წილად დააქუცმაცებს
და განიხილავს. ცოდვა კია, ამასობაში
მათი კავშირი სულიერი თვალს ეფარება...

ეს ადგილი ენის სტრუქტურის აღტაცების მომგვრელ აღწერასა და, ჩვეულებრივ, ლოგიკურ სქემათა შეზღუდულობის საფუძვლიან კრიტიკას შეიცავს.



ოსიპ მანდელშტამი

დ. 1891 ვარშავა, პოლონეთი
† 1938 შრომა-გასწორებითი ბანაკი ვლადივოსტოკთან, სსრკ

რუსი პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი. სწავლობდა სანქტ-პეტერბურგში, გერმანიასა და საფრანგეთში. 1910 წელს ჟურნალ „აპოლონში“ პირველად გამოაქვეყნა ლექსები. 1912 წლიდან აკმეისტების ჯგუფში გაერთიანდა. აკმეიზმში მანდელშტამი პირველ რიგში ხედავდა ქაოსისა და კოსმოსის ორგანულ ერთიანობას, რომელსაც სიმბოლიზმის ირაციონალურობას უპირისპირებდა. თვლიდა, რომ წილად ხვდა ბედნიერება ემეგობრა ანა ახმატოვასა და ნიკოლაი გუმილიოვთან. 1920 წელს პირველად მოხვდა საქართველოში, დაუახლოვდა ცისფერყანწელებს. ამავე წლით თარიღდება პირველი ლექსი საქართველოზე. თარგმნა ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, გიორგი ლეონიძის ლექსები და გამოაქვეყნა ანთოლოგიაში „ქართველი პოეტები“ (1921). თარგმნა ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“ (ჟურნალი „ვოსტოკ“, პეტროგრადი, 1923). 1930 წელს იგი კვლავ ეწვია საქართველოს.

1928 წელს გამოვიდა მანდელშტამის კრიტიკული წერილების წიგნი „პოეზიის შესახებ“. კრებულის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა, რომ წიგნში თავი მოიყარა 1910- 1923 წლებში დაწერილმა წერილებმა, მათ შორისაა წინამდებარე ორი სტატიაც.

სიტყვა და კულტურა

... ახლა ადამიანთა ყველა სხვა განსხვავება და დაპირისპირება უფერულდება სიტყვის მტრებად და მოყვრებად, ვაცებად და კრავებად დაყოფის წინაშე. მე თითქმის ფიზიკურად ვგრძნობ ვაცის უწმინდურ სუნს, სიტყვის მტრებს რომ უდის. აქ სავსებით დროულია სერიოზული უთანხმოებისას უკანასკნელად მოხმობილი არგუმენტი: ჩემს მოწინააღმდეგეს ცუდი სუნი უდის...

პოეზია სახნისია, რომელიც დროის ბელტებს ისე ამოაბრუნებს ხოლმე, რომ ჟამთა შავმიწა ნიადაგის სიღრმისეული შრეები ზევით მოექცევა. მაგრამ ისეთი ეპოქებიც დგება, როცა დღევანდელი დღით დაუკმაყოფილებელი კაცობრიობა ყამირს მონატრული გუთნისდედასავით წუხს. რევოლუციას ხელოვნებაში გარდუვალად მოსდევს კლასიციზმი. იმიტომ კი არა, რომ დავიდმა˙ მოიმკო რობესპიერის˙ სამკალი, არამედ იმიტომ, რომ ასე სწადია დედამიწას.

ხშირად გაიგონებთ: ეს კარგია, მაგრამ ეს ხომ გარდასული დღეა. მე კი გეუბნებით: გუშინდელი დღე ჯერ არ დამდგარა და არცა ყოფილა ჯერ ნამდვილად. მე ხელახლა მინდა განვიცადო ოვიდიუსი˙, პუშკინი˙, კატულუსი˙ და ჩემთვის საკმარისი არაა ისტორიული ოვიდიუსი, პუშკინი და კატულუსი. დიახაც გასაოცარია, ყველანი პოეტებს უტრიალებენ, ჯახირობენ და თავს ვეღარ ანებებენ. წაიკითხე და მორჩა, – მოეშვი ახლა! აკი დასძლიე, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე. შენც არ მომიკვდე! კატულუ-

სის ვერცხლის საყვირი: Ad claras Asiae volemus urbes[1] უფრო ძალუმად გვირხევს გულს და გვაწვალებს, ვიდრე მახლობელი ხმები. ეს არა გვაქვს ჩვენს ენაზე, მაგრამ ხომ აუცილებლად უნდა გვქონდეს. მე ლათინური ლექსი მოვიტანე იმიტომ, რომ ჩვენი მკითხველი მას აშკარად აღიქვამს როგორც თანადების კატეგორიას: მასში უფრო თვალსაჩინოა იმპერატივი, მაგრამ ეს ყოველგვარი პოეზიის თვისებაა, რამდენადაც კლასიკურია იგი. იგი აღიქმება როგორც ყოფადი და არა როგორც ყოფილი.

ასე რომ, ჯერ არც ერთი პოეტი არ ყოფილა. ჩვენ თავისუფალნი ვართ მოგონების ტვირთისაგან. სამაგიეროდ, იშვიათ წინაგრძნობათა რა სიუხვეა: პუშკინი, ოვიდიუსი, ჰომეროსი. როდესაც შეყვარებულს სიჩუმეში ნაზი სახელები ეშლება და უეცრად ახსენდება, რომ ეს ყველაფერი უკვე იყო: სიტყვებიც, თემებიც და ის მამალიც, ფანჯარასთან რომ იყივლა, უკვე ოვიდიუსის ტრისტიებში* ყიოდა, – განმეორების ღრმა, თავბრუდამხვევი სიხარული იპყრობს მის გულს:

თითქო წყალია ბნელი, მე ვსვამ ამღვრეულ ჰაერს.
დრო მოხნეს გუთნით და ეს ვარდი გორახი იყო.[2]

ასევე, პოეტიც არ ერიდება განმეორებას და ითვრება კლასიკური ღვინით.

ის, რაც ერთი პოეტის მიმართაა სწორი, ყველას მიმართ სწორია. არავითარი სკოლების შექმნა არა ღირს. არა ღირს საკუთარი პოეტიკის გამოგონება.

სიტყვას ჰეროიკული ერა დაუდგა. სიტყვა ხორცი და პურია. იგი იზიარებს პურისა და ხორცის ხვედრს: ტანჯვას. ხალხი მშიერია, ხალხზე უფრო მშიერია სახელმწიფო. მაგრამ არის რაღაც კიდევ უფრო დამშეული: დრო. დროს სურს შთანთქას სახელმ-

[1] აზიის ნათელი ქალაქებისკენ მივისწრაფით (ლათ., კატულუსი, ლექსები, ლექსი XLVI.6; Valerius Catullus, XLVI.6).

[2] ოსიპ მანდელშტამის ლექსიდან „Сестры – тяжесть и нежность...“ (1920) - „Словно темную воду, я пью помутившийся воздух./Время вспахано плугом, и роза землею была“.

წიფო. ნაღარასავით გაისმის მუქარა, დერჟავინის* მიერ გრიფელის დაფაზე დაფხაჭნილი. ზე ვინ შემართავს და დროს ვინ დაანახებს სიტყვას? არაფერი ისე დამშეული არაა, როგორც ლეონტიევისეული* ბიზანტიური სახელმწიფო: ის მშიერ კაცზე უარესია. სიტყვის უარმყოფელი კულტურისადმი სიბრალული – თანამედროვე პოეტის საზოგადოებრივი გზა და გმირობაა.

ვისაც გული აქვს, იმას უნდა ესმოდეს დროის....
უფსკრულისაკენ როგორ მიდის შენი ხომალდი...[3]

ნუ მოითხოვთ პოეზიისაგან ზედმიწევნით საგნობრიობას, კონკრეტულობას, მატერიულობას, ესეც იგივე რევოლუციური შიმშილობაა. თომას* იჭვნეულობა. რა საჭიროა მაინცა და მაინც ხელი შევახო მას? და უმთავრესი: რისთვის გავუიგივოთ სიტყვა ნივთს ან საგანს, რომელსაც აღნიშნავს იგი?

განა ნივთი სიტყვის ხელმწიფეა? სიტყვა ფსიქეაა! ცოცხალი სიტყვა საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ თითქოსდა საცხოვრებლად თავისუფლად ირჩევს ამა თუ იმ საგნობრივ მნიშვნელობას, ნივთიერობას, საყვარელ სხეულს. და ნივთის გარშემო ისევე თავისუფლად მიმოიქცევა სიტყვა, როგორც მიტოვებული, მაგრამ არდავიწყებული სხეულის გარშემო მოხეტიალე სული.

ის, რაც საგნობრიობის გამო ითქვა, სახოვნების მიმართ ცოტა სხვაგვარად ითქმის: Prends l'éloquence et tords – lui son cou![4]

წერე უ-სახ-ო ლექსები, თუკი შეგიძლია, თუ ძალგიძს. მხილველი თითებით რა შეეხება, ბრმა, წამსვე იცნობს საყვარელ სახეს და დიდი ხნის განშორების შემდეგ გამოცნობის ნამდვილი სიხარულისაგან აღძრული ცრემლები დადინდება თვალებიდან. ლექსი შინაგანი სახით ცოცხლობს, ფორმის იმ ხმიერი ტვიფრით, რომელიც წინ უსწრებს დაწე-

[3] ოსიპ მანდელშტამის ლექსიდან „Прославим, братья, сумерки свободы..." (1918) - В ком сердце есть, тот должен слышать, время,/ Как твой корабль ко дну идет...

[4] დაარწმუნე და მოუგრიხე კისერი! (ფრ., პოლ ვერლენის ლექსიდან „L'Art poétique", 1874).

რილ ლექსს. ჯერ არც ერთი სიტყვა არ თქმულა, ლექსი კი უკვე ხმიანობს. ეს სწორედ ის პირველადი, შინაგანი სახეა, რომ ხმიანობს და პოეტი სმენით გულისხმაყოფს ამას.

და ტკბილ არს ჩემდა მხოლოდ წამი გამოცნობისა![5]

ახლა თითქოს გლოსალალიის' მსგავსი ამბავი ხდება. წმინდა ექსტაზით შეპყრობილი პოეტები ყველა დროის, ყველა კულტურის ენაზე მეტყველებენ. შეუძლებელი უკვე არა არის რა, ძველი სამყაროს კარიბჭეები მიცვალებულის კარებდაფრიალებულ ოთახივით განხმულა ბრბოს წინაშე. ანაზდად ყველაფერი საერთო საკუთრებად იქცა. მიდით და მიიხვეჭეთ. შეუვალი აღარაფერია. არც ერთი ლაბირინთი, არც ერთი იდუმალი ტალანი, არც ერთი აკრძალული ბილიკი. სიტყვა ერთბაშად ყველა საუკუნის სუნთქვით გაცოცხლებულ შვიდნესტვიან კი არა, ათასნესტვიან ავილს დაემსგავსა. გლოსალალიაში გასაოცარი ის არის, რომ მეენემ არ იცის ენა, რომელზეც ლაპარაკობს. იგი აბსოლუტურად უცნობ ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ ყველას და თვითონაც ეჩვენება, რომ ბერძნულად ან ქალდეურად მეტყველებს. რაღაც – ერუდიციის სავსებით საპირისპირო რამ ხდება. თანადროული პოეზია მთელი თავისი სირთულისა და შინაგანი გამობრძმედილობის მიუხედავად, გულუბრყვილოა.

Ecoutez la chanson grise...[6]

თანადროულობის სინთეზურ პოეტად მე წარმომიდგება არა ვერჰარნი', არამედ კულტურის როგორიღაც ვერლენი'. მისთვის ძველი სამყაროს მთელი სირთულე იგივე პუშკინისეული ავილია. მასში ისევე ზუსტად ხმიანობენ იდეები, მეცნიერული სისტემები, სახელმწიფო თეორიები, როგორც მის წინამორბედებში გალობენ ვარდი და ბულბულები.

---

[5] ოსიპ მანდელშტამის ლექსიდან „თრისტია" (1918) - И сладок нам лишь узнаванья миг.

[6] სევდიანი სიმღერის მოსმენა (ფრ., პოლ ვერლენის ლექსის „Ecoutez la chanson bien douce" კონტამინაცია).

გამოხდომა

პოეზიაში საჭიროა კლასიციზმი, პოეზიაში საჭიროა კონსტრუქტივიზმი, პოეზიაში საჭიროა სახოვნების მომეტებული გრძნობა, მანქანური რიტმი, ქალაქური კოლექტივიზმი. საწყალი პოეზია აქეთ-იქით ეხეთქება მისთვის დამიზნებული დამბაჩის ლულებისა და ფიცხელ მოთხოვნილებათა სიმრავლისაგან. როგორი უნდა იყოს პოეზია? არაგვარი და იქნებ არც არაფერი უნდა. მას არავისი არაფერი მართებს. ყველა მისი კრედიტორი ყალბია. უიოლესი საქმეა იმაზე ლაპარაკი, თუ რაა საჭირო ან აუცილებელი ხელოვნებაში: ჯერ ერთი, ეს ყოველთვის ნებისმიერია და არაფრით გვავალდებულებს. მეორეც, ეს ფილოსოფოსობის ამოურწყავი თემაა. მესამე, ეს გვათავისუფლებს მეტად უსიამო რამისაგან, რისი უნარიც, ვერ იტყვი, ყველას ჰქონდეს, – სახელდობრ, მადლიერების გრძნობისაგან (და ეს მადლიერების გრძნობა სრულიად ჩვეულებრივია) იმისადმი, რაც არის, რაც ამჟამად წარმოადგენს პოეზიას.

საშინელია უმადურობა მაიაკოვსკის*, ხლებნიკოვის*, ასეევის*, ვიაჩესლავ ივანოვის*, სოლოგუბის*, ახმატოვას*, პასტერნაკის*, გუმილიოვის* მიმართ და როგორ არა ჰგვანან ისინი ერთმანეთს, სხვადასხვა თიხისაგან არიან მოზელილი, მაგრამ ყველა ისინი ხომ რუსი პოეტები არიან, არა სახვალიოდ ან სადღეისოდ, არამედ სამარადისოდ. ასეთი ხალხით „დაგვჩაგრა ღმერთმა“. ერი არ ირჩევს თავის პოეტებს, ზუსტად ისევე, როგორც არავინ ირჩევს მშობლებს. ერი, რომელიც პატივს

არა სცემს თავის პოეტებს, იმსახურებს... არაფერსაც არ იმსახურებს, – მე მგონი, უბრალოდ ხალხს მათი თავი არა აქვს. მაგრამ რა დიდი სხვაობაა ხალხის სუფთა არცოდნასა და კოხტაპრუწების უხამს ნახევარცოდნას შორის! ჰოტენტოტები* თავიანთ მოხუცებს აიძულებდნენ, ხეზე აცოცებულიყვნენ. მერე ატოკებდნენ ხეს, რომ შეემოწმებინათ მათი ჯანმრთელობა: თუ მოხუცი ისე იყო დაუძლურებული, რომ ვარდებოდა, კლავდნენ მას. სნობი ჰოტენტოტის წამხედურია, მისი საყვარელი კრიტიკული ილეთი ეს-ეს არის აღწერილს გვაგონებს. მე ვფიქრობ, ამ უღირს საქმეს ზიზღით უნდა შევხედოთ. ზოგს პოეზია, ზოგს – ჰოტენტოტური თავისშექცევა.

სნობიზმის განმტკიცებას ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც მკითხველთა ერთი და იმავე თაობის თვალწინ პოეტური თაობების ხშირი ცვლა. მკითხველი მიეჩვია თავს ისე გრძნობდეს, როგორც პარტერში მჯდარი მაყურებელი. თითქოს აღლუმზეაო, მის წინაშე ერთიმეორეს ენაცვლება პოეტური სკოლები. იგი იჭმუხნება, იღრიჭება და ბოლოს მას უკვე ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ცვალებადის წინაშე მუდმივად მყოფის, მოძრავის წინაშე უძრავად მდგარის უპირატესობის გრძნობა უჩნდება. რუსეთში პოეტური სკოლების ბობოქარი ურთიერთცვლა, სიმბოლიზმიდან ჩვენს დღეებამდე, ერთსა და იმავე მკითხველს დაატყდა თავს.

ოთხმოცდაათიანი წლების მკითხველი თაობა, როგორც პოეზიაში სავსებით არაკომპეტენტური და უმწეო, ამოსაგდებია. ამიტომ ელოდნენ დიდხანს სიმბოლისტები თავის მკითხველს და საგანთა ძალით, ჭკუის, განათლებისა და მოწიფულობის მიხედვით, იმ ქორფა ახალგაზრდობაზე დიდად უხნესი აღმოჩნდნენ, რომელსაც მიმართავდნენ. ცხრაასიანი წლები, საზოგადოებრივი გემოვნების დაცემის თვალსაზრისით, დიდად არ აღემატებოდა ოთხმოცდაათიან წლებს და „Весы"*-ის – ახალი სკოლის მებრძოლი ციტადელის გვერდით „Шиповник"*-ის უწიგნური ტრადიცია – სიტლანქითა

და უხამსი პრეტენზიულობით ყოვლადშემზარავი ალმანახური ლიტერატურა არსებობდა.

როცა სიმბოლიზმის ფართო წიაღიდან ინდივიდუალურ-დასრულებული პოეტური მოვლენები გამოკრისტალდა, როცა გვარი დაიყო და პიროვნების, პოეტური კერძოგვამის სუფევა დამკვიდრდა, გვაროვნულ პოეზიაზე (ხოლო ასეთი იყო სიმბოლიზმი, მთელი ახალი რუსული პოეზიის წიაღი) აღზრდილი მკითხველი დაიბნა აყვავებული მრავალფეროვნების ქვეყანაში, სადაც გვარის მუზარადით კი არ იყო დახურული ყველაფერი, არამედ თავშიშვლად განკერძოებულად იდგა. გვაროვნული ეპოქის შემდეგ, რომელმაც განაახლა სისხლი და უჩვეულო ტევადობის კანონი გამოაცხადა, დადგა დრო პიროვნებისა, მაგრამ მთელი თანადროული რუსული პოეზია გვაროვნული სიმბოლისტური წიაღიდან წარმოიშვა. მკითხველს მოკლე მეხსიერება აქვს, მას არ უნდა იცოდეს ეს. რაღა საჭიროა მუხა, როცა ამოდენი რკოა!

■

ერთხელ მოახერხეს და თევზის თვალის ფოტოსურათი მიიღეს. სურათზე აღბეჭდილი იყო რკინიგზის ხიდი და პეიზაჟის ზოგიერთი დეტალი. მაგრამ თევზის მხედველობის ოპტიკურმა კანონმა ყველაფერი ეს უჩვეულოდ დაამახინჯა. პროფესორ N-ისა და პოეტ NN-ის ერთერთი შემფასებლის თვალის ფოტოგადაღება რომ მოხერხდეს იმის გასაგებად, თუ როგორ ხედავენ ისინი მაგალითად „თავის“ პუშკინს, – თევზის მხედველობით სამყაროზე ნაკლებ მოულოდნელ სურათს არ მივიღებთ.

მკითხველის აღქმაში პოეტური ნაწარმოების დამახინჯება სავსებით საჭირო სოციალური მოვლენაა. მასთან ბრძოლა ძნელი და უსარგებლოა: მეტად ძნელია ყველა წიგნიერს პუშკინის ისე წაკითხვა ასწავლო, როგორც დაწერილია, და არა ისე, როგორც ამას მათი სულიერი მოთხოვნილებები და გონებრივი შესაძლებლობანი განსაზღვრავენ.

ხუმრობაა ლექსის წაკითხვა? გამოდით, მოხალისენო: ვნახოთ, ვინ შეძლებს! მუსიკალური ანბანის, მაგალითად, ნოტური დაწერილობისაგან განსხვავებით, პოეტურ დაწერილობას არ გააჩნია უამრავი ნაგულისხმევი ნიშანი და მაჩვენებელი, რომლებიც ტექსტს გასაგებსა და კანონზომიერს ხდის. მაგრამ ყველა ეს გამოტოვებული ნიშანი ხომ არანაკლებ ზუსტია, ვიდრე სანოტო ნიშანი ან საცეკვაო იეროგლიფი, პოეტურად წიგნიერი მკითხველი მათ თვითონვე სვამს, თითქოს ტექსტიდან გამოკრიფა ისინიო.

პოეტური წიგნიერება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვეულებრივ წიგნიერებას, ე.ი. ასოების კითხვის ცოდნას, არც ლიტერატურულ ნაკითხობას. თუ ლიტერატურული უწიგნურობა ჩვენში თვალუწვდენელია, პოეტური უწიგნურობა შემზარავია, და მით უარესი, რომ მას საერთო უწიგნურობაში რევენ და რომ ყველა, ვინც კი წერა-კითხვა იცის, პოეტურად წიგნიერ კაცად ითვლება. თქმული ორმაგად ეხება სნობიზმით დაავადებულ, ნახევრად განათლებულ ინტელიგენტურ მასას, რომელსაც დაკარგული აქვს ენის ფესვეული შეგრძნება და რომელიც რახანია მოჩლუნგებულ ენობრივ ნერვებს მსუბუქი და იაფი აღსაგზნებელით, მშობლიური სამეტყველო სტიქიისათვის ხშირად უცხო და მტრული ნეოლოგიზმებითა და საეჭვო ლირიზმებით იღიზიანებს.

აი, ენობრივი თვალსაზრისით ამ დეკლასირებული გარემოს მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს მიმდინარე რუსულმა პოეზიამ.

სამეტყველო ცნობიერების უღრმეს შრეებში ნაშობი სიტყვა ემსახურება ყრუ-მუნჯებსა და ენაბლუებს, სიტყვის კრეტინებსა და დეგენერატებს.

სიმბოლიზმის დამსახურება, რუსი მკითხველი საზოგადოების მიმართ მისი სწორი პოზიცია იმაში გამოიხატება, რომ მას მომადლებული ჰქონდა წინამძღვრობა, თანდაყოლილი ავტორიტეტი, პატრიარქალური საფუძვლიანობა და კანონმ-

დებლური სიმძიმე, რისი მეოხებითაც იგი ახერხებდა მკითხველის აღზრდას.

საჭიროა მკითხველისა და, მკითხველთან ერთად, მისგანვე გამოკვებილი კრიტიკოსის თავის ადგილზე დაყენება. კრიტიკა, როგორც პოეზიის თვითნებური განმარტება, არ უნდა არსებობდეს, მან ობიექტურ მეცნიერულ გამოკვლევას, პოეზიის მეცნიერებას უნდა დაუთმოს ადგილი.

შესაძლოა, რუსული პოეზიის მდგომარეობაში ყველაზე საწუგეშო იყოს ხალხის მიერ საკუთარი პოეზიის ღრმა და პირწმინდა არცოდნა.

მასებს, რომლებსაც შემონახული აქვთ ჯანსაღი ენობრივი გუმანი, იმ ფენებს, სადაც აღმოცენებას იწყებს, მტკიცდება და ვითარდება ენის მორფოლოგია, ჯერ არ დაუმყარებიათ კავშირი ჩვენს ლირიკასთან. იგი მივიდა თავის მკითხველებთან და შესაძლოა მასობრივ მკითხველამდე მაშინ მიაღწიოს, როცა ჩაქრებიან პოეზიის მნათობები, რომლებიც თავიანთ სხივებს ამ შორეულ და ჯერჯერობით მიუღწეველ მიზანს უგზავნიან.



იუჯინ ნაიდა

დ. 1914 ოკლაჰომის შტატი, აშშ
† 2011 მადრიდი, ესპანეთი

თარგმანის თეორეტიკოსი, ლინგვისტი, ბიბლიის თარგმნის დინამიკური ეკვივალენტურობის თეორიის შემქმნელი.

მეცნიერი, პედაგოგი, კონცეპტუალისტი, ნოვატორი და გავლენიანი თეორეტიკოსი, მისივე სახელობის ბიბლიის კვლევის ინსტიტუტის დამაარსებელი.

იუჯინ ნაიდას ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ბიბლიის თარგმნის პრობლემატიკას. იუჯინ ნაიდას ავტორობით გამოიცა გზამკვლევი ბიბლიური წიგნების მთარგმნელებისთვის, რომელიც ლინგვისტიკის, ფილოლოგიისა და ისტორიის უახლესი მიღწევების ამსახველ კრებულს წარმოადგენს. იგი ასევე ავტორია მონოგრაფიისა „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“.

1964 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „თარგმნის ხელოვნებისათვის“, რომელიც წარმოგიდგენთ დინამიკური ეკვივალენტურობის თეორიას.

თარგმნის ხელოვნებისათვის

იმის გამო, რომ არ არსებობს ორი იდენტური ენა, არც იმ მნიშვნელობათა მიხედვით, რომლებიც ამა თუ იმ სიმბოლოებს გამოხატავენ და არც აღნიშნულ სიმბოლოთა წინადადებაში ორგანიზაციის წესის მიხედვით, ბუნებრივია, რომ ენათა შორის შეუძლებელია ზუსტ შესაბამისობათა დადგენა. აქედან ის გამომდინარეობს, რომ სავსებით ზუსტი თარგმანის არსებობა წარმოუდგენელი რამ არის. თარგმანის საერთო ზემოქმედება შესაძლოა, დიდად მიუახლოვდეს ორიგინალის ასეთივე ზემოქმედების ძალას, მაგრამ დეტალებში ძნელია იდენტურობას მივაღწიოთ. კონსტანს ბ. უესტი მკაფიოდ შემოსაზღვრავს პრობლემის არსს: „ის, ვინც ხელს ჰკიდებს თარგმნას, ვალს იღებს, რომლის გასტუმრებისას მან უნდა გადაიხადოს იგივე თანხა, ოღონდ სხვა ფულით“. თარგმნის პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია მთარგმნელობითი ინტერპრეტაციის გარკვეული დოზის გარეშე. და, როგორც ეს შენიშნა 1874 წელს დანტე როზეტიმ: „თარგმანი, შესაძლოა, კომენტირების უპირდაპირეს ფორმას წარმოადგენდეს“...

დაუშვებელია ვილაპარაკოთ თარგმნისას შესაბამისობათა პრინციპებზე და არ ვაღიაროთ, რომ არსებობს თარგმნის დიდად განსხვავებული ტიპები. ჩვეულებრივ, ტრადიციულად ჩვენ თავისუფალ თარგმანსა და პარაფრაზზე ვლაპარაკობთ ხოლმე და მათ ზუსტ, ანუ ზედმიწევნით თარგმანს ვუპირისპირებთ. სინამდვილეში კი ამ უკიდურესობათა გარდა, თარგმანის სხვა,

უამრავი მრავალსახეობა გვხვდება, მაგალითად, ისეთი უაღრესად ზედმიწევნითი თარგმანი, როგორიც ბწკარედია... ზოგ თარგმანში მიზანს წარმოადგენს უკიდურესად ზუსტი ფორმალური და სემანტიკური შესაბამისობის დადგენა, თუმცა ტექსტი, ამ შემთხვევაში, დახუნძლულია ხოლმე მთარგმნელის მიერ გაკეთებული ბევრი შენიშვნითა და კომენტარით. სხვა თარგმანებში ყურადღება იმდენად ინფორმაციის გადმოტანაზე არ არის გამახვილებული, რამდენადაც იმაზე, რომ თარგმანის მკითხველს დაახლოებით ისეთივე განწყობილება შეექმნას, ორიგინალის მკითხველს რომ აქვს.

თარგმნის ტიპებს შორის განსხვავებას სამი ძირითადი ფაქტორი აპირობებს: 1. ინფორმაციის ხასიათი; 2. ავტორისა და მის კვალად მთარგმნელის, როგორც ავტორისათვის სანდო პირის, განზრახვა; 3. აუდიტორიის რაგვარობა.

ინფორმაციები ერთმანეთისაგან უპირატესად ტექსტში ფორმის ან შინაარსის დომინირების ხარისხით განსხვავდებიან. რა თქმა უნდა, ინფორმაციის შინაარსი ყველა შემთხვევაში განუყოფელია ფორმისაგან და პირუკუ. მაგრამ ზოგ ინფორმაციაში ძირითად მიზანს შინაარსი წარმოადგენს, ხოლო სხვებში უპირატესი მნიშვნელობა ფორმას ენიჭება...

ბელოკი* ამბობს, რომ „ისეთი რამე, როგორიც იდენტური ეკვივალენტებია, უბრალოდ არ არსებობს"[1]. ამიტომ თარგმნისას აუცილებელია მოინახოს ყველაზე უფრო მიახლოებული ეკვივალენტები. ეკვივალენტურობის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ერთს შეიძლება ეწოდოს ფორმალური, ხოლო მეორეს – დინამიკური ეკვივალენტურობა.

ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვისას ყურადღება უპირატესად თვითონ ინფორმაციაზე, მის ფორმასა და შინაარსზეა გამახვილებული. ფორმალური ორიენტაციის თვალსაზრისით საშურია იმას ვესწრაფოდეთ, რომ თარგმანის ენაზე

[1] Belloc H. 1931. On Translation. OUP, Bookman 74. pp. 32-39.

გადმოღებული ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად შეესატყვისებოდეს ორიგინალის ენაზე არსებულ ინფორმაციასა და მის ცალკეულ ელემენტებს. ხოლო ეს, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ თარგმანის ენის კულტურულ ფონზე არსებული ინფორმაცია მუდმივად უნდა შეუდარონ ორიგინალის ენის კულტურულ ფონზე არსებულ ინფორმაციას იმ მიზნით, რომ განისაზღვროს სიზუსტისა და სისწორის კრიტერიუმები.

ასეთი ტიპის თარგმანს, სრულად რომ ასახიერებს სტრუქტურულ ეკვივალენტურობას, შეიძლება ეწოდოს თარგმანი-გლოსა. აქ მთარგმნელი ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად და რაც შეიძლება ზედმიწევნით გადმოიტანოს ორიგინალის ფორმა და შინაარსი. და პირიქით, თარგმანი, რომლის მიზანია შექმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ეკვივალენტურობა, ეფუძნება „ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს“. ასეთნაირი თარგმანისას მაინცა და მაინც ორიგინალისა და თარგმანის ინფორმაციების ურთიერთდამთხვევას კი არ ესწრაფვიან, არამედ ინფორმაციასა და თარგმანის მკითხველს შორის დინამიკური კავშირის დამყარებას. დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპის მიხედვით შექმნილი თარგმანი მიზნად ისახავს გამოთქმის საშუალებების სრულ ბუნებრიობას. ამასთანავე მკითხველს სთავაზობენ მისი საკუთარი კულტურის კონტექსტისადმი რელევანტურ ქცევის მოდუსს. ინფორმაციის აღსაქმელად მას არ მოეთხოვება ესმოდეს ორიგინალის ენის კულტურის კონტექსტი.

ცხადი უნდა იყოს, რომ თარგმნის ამ ორ პოლუსს შორის, ე.ი. მკაცრ ფორმალურ ეკვივალენტურობასა და სრულ დინამიკურ ეკვივალენტურობას შორის არსებობს შუალედური ტიპებიც, რომლებიც ლიტერატურული თარგმანის სხვადასხვა მისაღებ ვარიანტს წარმოადგენენ. მაგრამ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა თვალსაზრისი დინამიკის სასარგებლოდ. პროფესიული მთარგმნელების, მასწავლებლების, გამომცემლებისა და ლიტერატორთა მთარ-

გმნელობითი პოზიციების ამასწინათ გამოქვეყნებული მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ დღესდღეობით საყოველთაო აზრი დინამიკური ეკვივალენტურობის სასარგებლოდ იხრება.

სწორი თარგმნის თითქმის იმდენივე განსაზღვრება არსებობს, რამდენი ავტორიც არის ამ საგნის განსჯით დაკავებული, და ეს მეტად თუ ნაკლებად გასაგებია, რადგან ითარგმნება სრულიად განსხვავებული მასალა, და ამასთანავე, ამა თუ იმ თარგმანის გამოქვეყნება განსხვავებულ მიზანსა და მკითხველთა სავსებით განსხვავებულ საჭიროებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ცოცხალი ენები გამუდმებით იცვლება, ხოლო სტილისტური არჩევანის სფერო მუდმივ მოდიფიცირებას განიცდის. ამიტომ რომელიღაც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ვარგისად მიჩნეული თარგმანი, შესაძლოა, სრულიად მიუღებლად მიიჩნიონ სხვა დროს.

წარმოდგენილი იქნა თარგმანის მთელი რიგი დაწურული და შედარებით ამომწურავი განსაზღვრებები. პროხაზკა˚ კარგ თარგმანს მთარგმნელისადმი წაყენებული შემდეგი მოთხოვნილების ფონზე განსაზღვრავს, სახელდობრ:

1. „მთარგმნელს უნდა ესმოდეს ან გაეგებოდეს ორიგინალის სიტყვა, როგორც აზრობრივად, ისე სტილურად“, 2. „მან უნდა დასძლიოს ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის არსებული განსხვავება“, 3. „თავის თარგმანში მან უნდა ახლად შექმნას ორიგინალის სტილისტური სტრუქტურა“.[2]

მაღალხარისხოვან პოეტურ თარგმანს ასე განსაზღვრავს ჯეკსონ მეთიუზი˚: „ცხადია ერთი: ლექსის ამომწურავი თარგმნა ნიშნავს ახალი ლექსის შექმნას. თარგმანი მთლიანობაში ზუსტად უნდა მისდევდეს შინაარსს. და ფორმის თვალსაზრისითაც უნდა უახლოვდებოდეს ორიგინალს. გარდა ამისა, მასში უნდა გამოვლინდეს რაღაც საკუთარი, სახელდობრ, მთარგმნელის ხმა“[3].

---

[2] Prochazka V. 1942, Notes on translating technique. In. P. Garvifl. 1955. A Prague School Reader on Esthetics, Literary Structure and Style. Washington, pp. 108-130.

[3] Jackson Mathews, Third thoughts on translating poetry. In: Brower, ed. "On Translation", 1959 (q. v.), pp. 87-77.

რიჩმონდ ლატიმორის˙ ყურადღებაც პოეზიის თარგმნის პრობლემაზეა დაუნჯებული. აი, როგორ აღწერს იგი თარგმნის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა განხორციელებასაც ბერძნული პოეზიის მთარგმნელებისაგან მოითხოვს: „ბერძნული ლექსისაგან უნდა შეიქმნას ინგლისურენოვანი ლექსი ისე, რომ ბერძნული შინაარსის გადმოღების მიუხედავად, იგი მაინც ახალ ინგლისურ ლექსად ჟღერდეს, რომელიც მაშინაც კი სხვანაირი უნდა იყოს, ბერძნულიდან თარგმნილსაც რომ არ წარმოადგენდეს“...[4]

თარგმნისას ყოველთვის იგრძნობა ფორმასა და შინაარსს შორის, ფორმალურ და დინამიკურ ეკვივალენტურობას შორის კონფლიქტი, რაც განსაკუთრებით, პოეზიის თარგმნისას საჩინოვდება. მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ორიგინალისადმი ბრმა ზედმიწევნილობას შეუძლია მოკლას თარგმანი. უილიამ კუპერი˙ თავის სტატიაში „გოეთეს ლექსების თარგმანები“ ამ პრობლემას საკმაოდ რეალისტურად განმარტავს: „თუკი ორიგინალის ენაში გვხვდება ისეთი შესიტყვებანი, რომლებიც გადაულახავ სიძნელეებს ქმნის პირდაპირი თარგმნისათვის, და აგრეთვე სიტყვიერი საქცევები, რომლებიც გაუგებარია თარგმანის ენის მფლობელისათვის, უმჯობესია გადმოიცეს ლექსის სული. ეს უკანასკნელი „გადაცემული“ უნდა იყოს ცხად და გასაგებ გამოთქმებში, რათა ავიცილოთ უხერხულობა. ამას შეიძლება დაერქვას თარგმნა ერთი კულტურიდან მეორეზე“.

უნდა ვაღიაროთ, რომ პოეზიის თარგმნისას სრულიად სპეციფიკური პრობლემები აღიძრება... პოეზიის თარგმნა, უეჭველად, უფრო დიდ ცვლილებებს მოითხოვს ფორმისას, ვიდრე პროზის თარგმნა, რადგან რიტმული ნაწარმოებები უფრო რადიკალურად განსხვავდებიან ფორმისა და ესთეტიკური აღქ-

[4] Lattimore Richmond. 1959. Practical notes on translating Greek poetry. In: Brower, ed. “On Translation” (q. v.), pp. 48-50.

მის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ხშირად საჭირო ხდება ერთი რიტმული მოდელის მეორეთი შეცვლა... პოეზიაში, ჩვეულებრივ, ფორმალურ ელემენტებს აშკარად მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე პროზაში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსის თარგმნისას შინაარსი აუცილებლად მსხვერპლად ეწირება ფორმას, მაგრამ ეს შინაარსი გარკვეულ ფორმისმიერ მარწუხებშია მოქცეული. თარგმანში შინაარსისა და ფორმის თანაბარი სიძლიერით განხორციელება იშვიათად თუ აღწევს მიზანს და ამიტომ უფრო ხშირად შინაარსს ეწირება ფორმა. მეორე მხრივ, პროზად თარგმნილი ლირიკული ლექსი აღარ წარმოადგენს ორიგინალის ადეკვატურ ეკვივალენტს. ასეთი თარგმანი თუმცაღა გადმოგვცემს ცნებით შინაარსს, მაგრამ მასში არ იგრძნობა ორიგინალის ემოციური დამუხტულობა და სურნელი. ამავე დროს პოეზიის ზოგიერთი სახეობის პროზად თარგმნის აუცილებლობა, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს მნიშვნელოვანი კულტურული თვალთახედვით. მაგალითად, ინგლისური პოეტური ფორმით გადმოღებული ჰომეროსის ეპიკური პოეზია უცნაურად და მოძველებულად გამოიყურება, – მასში ნატამალიც კი აღარ არის ჰომეროსის სტილისათვის დამახასიათებელი სიცინცხალისა და სპონტანურობისა. ასეთნაირი აღქმის ერთერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ მიჩვეულნი არა ვართ სიუჟეტური ამბების პოეტური ფორმებით თხრობას. დასავლეთევროპულ კულტურაში ასეთი ეპიკური ტილოები პროზის მეშვეობით იშლება ხოლმე. სწორედ ამიტომ ე. ვ. რიუმ˙ „ილიადასა“ და „ოდისეას“ თარგმნისას თხრობის არა პოეტური, არამედ პროზაული საშუალებანი აირჩია.

ყველა შემთხვევაში, სულერთია, პროზა ითარგმნება თუ პოეზია, გათვალისწინებული უნდა იყოს მკითხველის რეაქცია. ამიტომ თარგმანის შეფასებისას საბოლოო მიზანი, ე.ი. პოტენციურ აუდიტორიაზე მისი ზემოქმედება თარგმნის ერთერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ეს აზრი ხაზგასმულია ლეონარდ ფორსტერის˙ მიერ მაღალხარისხოვანი თარგმა-

ნის განსაზღვრებისას: „კარგი თარგმანი ისეთსავე ამოცანას ახორციელებს თარგმანის ენაზე, როგორსაც ორიგინალი იმ ენაზე, რომელზეც იგი შეიქმნა“...

სიტყვასიტყვით თარგმანსა და ეკვივალენტურ რეაქციას შორის კონფლიქტში, როგორცა ჩანს, უპირატესობა უკანასკნელს ეძლევა, განსაკუთრებით პოეზიის თარგმნისას. მაგალითად, ჩარლზ ორი˙ თარგმნას, გარკვეული აზრით, ფერწერის შესატყვის პროცესად წარმოგვიდგენს, რადგან, როგორც ის ამბობს, „მხატვარი პეიზაჟის ყველა წვრილმანს არ ასახიერებს“. – იგი გამოარჩევს იმ ელემენტებს, რომლებიც მისთვის უფრო ხელსაყრელი და შესაფერისია. ამგვარადვე მთარგმნელისათვის „მნიშვნელოვანია სული და არა სიტყვათა რიგი ორიგინალისა, და სწორედ ამ სულს ასხამს ხორცს თავის თარგმანში“. ასევე ფიქრობს ოლივერ ედვარდსი˙: „ჩვენ თარგმნისაგან ველოდებით მხოლოდ მიახლოებით შესაბამისობას... ჩვენთვის საშურია, რაც შეიძლება ზუსტად ვიგრძნოთ ორიგინალი, ხასიათები, სიტუაციები. აზრები მკითხველმაც ისევე უნდა აღიქვას, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა ავტორს, მაგრამ აუცილებლად ისევე ზუსტად არა, როგორც მან გამოხატა სიტყვებით“. სიტყვებზე მიჯაჭვული მთარგმნელი ვერ გადმოგვცემს ორიგინალის სულს...

ორიგინალის სტილის გრძნობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის აუცილებლობა, რომ გამოთქმის ფორმები იმ ენაზე, რომელზეც ითარგმნება ნაწარმოები, „მსუბუქი და ბუნებრივი“ იყოს (ჯორჯ კემპბელი˙). მაქს ბირბომი˙ აღნიშნავს, რომ პიესების ინგლისურად მთარგმნელთა კარდინალური ნაკლია არაბუნებრივი გამონათქმები. ასეთი მთარგმნელები მკითხველს აიძულებენ „მწვავედ იგრძნოს, რომ იგი თარგმანს კითხულობს“. მათი ძალისხმევა იმას უნდება, რომ მოიძიონ ორიგინალის შესატყვისი ფრაზები, რომლებსაც ინგლისელი, ჩვეულებრივ, არ ხმარობს“. გუდსპიდი˙ იზიარებს ამ თვალსაზრისს და ფიქრობს, რომ იგი ბიბლიის თარგმნის შემთხვევაშიც


გამართლებულია. იგი წერს: „საუკეთესო თარგმანი ის კი არ არის, რომელიც მკითხველს გამუდმებით ახსენებს, რომ ის თარგმნილ ნაწარმოებს კითხულობს და არა ორიგინალურს, არამედ ის, რომელიც მკითხველს ავიწყებს, რომ მის წინაშე თარგმანი დევს. საუკეთესო თარგმანი იმის შეგრძნებას უღვიძებს მკითხველს, რომ იგი – მკითხველი, გარდასული ხანის მწერლის სულში იხედება ისევე, როგორც ეს ხდება თანამედროვე ავტორის კითხვისას. ეს, რა თქმა უნდა, ძნელი მისაღწევია, მაგრამ სწორედ ეს უნდა დაისახოს მიზნად სერიოზულმა მთარგმნელმა“.

ჯონ ფილიპსიც' ამ აზრს უჭერს მხარს: „თარგმანის მაღალხარისხოვნების საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ იგი არ აღიქმება როგორც თარგმანი“. მთარგმნელისადმი მისი მეორე მოთხოვნა ადასტურებს პირველს: ფილიპსი ფიქრობს, რომ ინგლისურ ენაზე თარგმნილ ნაწარმოებში არ უნდა იგრძნობოდეს მთარგმნელის ინდივიდუალური ენის თავისებურებანი.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სავსებით ბუნებრივი თარგმანის შექმნა სულაც არ არის ადვილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ორიგინალის ავტორის სტილი ჭეშმარიტად კარგია და მასში ასახული და გამოყენებულია ენის უხვი იდიომური მარაგი, როცა ავტორის სტილი აღბეჭდილია ენის შემოქმედებითი გენიით. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელს უხდება არა მარტო განსაკუთრებულ სიძნელეებთან შერკინება, რასაც ავტორის მიერ ენობრივი რესურსების დიდოსტატური გამოყენება ქმნის, არამედ თარგმანის ენაზე მეტად თუ ნაკლებად მიახლოებული ეკვივალენტური ღირებულების შექმნაც. რაიმონდ გერენის აზრით: „ნაწარმოების მაღალხარისხოვნების ყველაზე დამაჯერებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რომ მისი თარგმნა ძნელია, რადგან თუ მისი სხვა ენაზე დანაკლისის გარეშე გადათარგმნა დიდ შრომას არ მოითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებ-

ზე, ან ყოველ შემთხვევაში, მის ორიგინალურობაზე დიდი აზრისა არ უნდა ვიყოთ".

თარგმანის სტილის სილაღე და ბუნებრიობა, სიძნელეთა მიუხედავად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ორიგინალი მაღალხარისხოვნებით გამოირჩევა, აუცილებელია, რათა მან შესაბამისი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე. „შთაბეჭდილებათა თანაბარნიშნადობის" ეს პრინციპი ასე თუ ისე დაფორმულირებულია და მას თარგმნის ბევრი სპეციალისტი იზიარებს.



ალექსეი ლოსევი

დ. 1893 ნოვოჩერკასკი, რუსეთი
† 1988 მოსკოვი, სსრკ

სახელგანთქმული რუსი ფილოსოფოსის, ფილოლოგის, მთარგმნელისა და მკვლევრის მეცნიერულმა შრომებმა მთელი ეპოქა შექმნა ევროპული ანტიკურობის შესწავლის სფეროში. ანტიკურობის ის კონცეფცია, რომელიც ალექსეი ლოსევმა შეიმუშავა, დღესაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრული და ყოვლისმომცველია.

კვლევის დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით მან შეძლო ერთიანობაში მოეცვა დაპირისპირებანი და, ამრიგად, ურთიერთგამომრიცხველი მოვლენებისათვის საერთო საფუძველი მოენახა, რითაც ანტიკური კულტურის მთლიანი და დამაჯერებელი სურათი შექმნა.

თავის ერთ-ერთ წიგნში ალექსეი ლოსევი აღნიშნავდა, რომ ფილოლოგებისთვის, ფილოსოფიისა და ესთეტიკის ისტორიკოსებისთვის დღეს სრულიად გაუმართლებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მათემატიკის, ისტორიის თანამედროვე მდგომარეობის არცოდნა. თვითონ იგი სიჭაბუკიდანვე დაინტერესებული იყო მათემატიკით, მუსიკით, ფილოსოფიის ისტორიით.

სიცოცხლის უკანასკნელი 30 წლის მანძილზე გამოვიდა ალექსეი ლოსევის რვა უზარმაზარი ტომი, მცირე ზომის ოცდაათამდე წიგნი და სამასზე მეტი სტატია.

ნეოპლატონიკური ფილოსოფიის სფეროში ლოსევის თარგმანებმა და გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი ქართული კულტურის შესწავლის საქმეშიც.

ქართულად ლოსევის წერილების პირველი წიგნაკი „დუმილი“ (მთარგმნელი თ. ჩხენკელი) 1993 წელს გამოიცა*.

---

* ალექსეი ლოსევი, *დუმილი*, „ლომისი“, თბილისი 1993

სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე

ახლა მე ვილაპარაკებ საქართველოში აღორძინების ეპოქაზე, ვილაპარაკებ ქართულ ნეოპლატონიზმზე*. ვილაპარაკებ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნეოპლატონიზმს ქართული ფილოსოფიისათვის და მთელი საქართველოსათვის. ცალკეულ ფაქტებს არ შევეხები, ვფიქრობ, რომ ეს ფაქტები თქვენთვის კარგად არის ცნობილი. მე შევეცდები ავხსნა ამ ფაქტების მნიშვნელობა, მათი არა მარტო ქართული ან ზოგადქართული, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობა. ამისთვის საჭიროა ამ საქმეს სრულიად შეგნებულად მივუდგეთ, მე კი, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ღრმა და ფართო ტერმინებით მომიხდება ოპერირება, როგორიც აღორძინება ან ნეოპლატონიზმია, მკაფიოდ და ნათლად უნდა დავახასიათო ეს ცნებები.

მე ვლაპარაკობ ნეოპლატონიზმზე, მაგრამ ვიცით თუ არა კარგად, რას წარმოადგენს ნეოპლატონიზმი? აღორძინების შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნეოპლატონიზმი აბუჩად იყო აგდებული, ნეოპლატონიზმს აღარავინ სწავლობდა. გვეუბნებოდნენ, რომ ეს უცნაური და ფანტასტიკური მიეთმოეთია, რომ ეს არის მოძღვრება მაგიაზე, რაღაცნაირი მისტიკა, და სრულიად ივიწყებდნენ მის ჭეშმარიტ, ისტორიულ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას. მხოლოდ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში დაიწყო ევროპაში ნეოპლატონიზმის ასე თუ ისე სერიოზული შესწავლა. ამიტომ ჩვენ, რუსებმაც და

ქართველებმაც, იმის გამო, რომ ჩვენთვის ნეოპლატონიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს, ნათლად უნდა განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენს ეს ფილოსოფიური მიმართულება.

როგორც თავად სიტყვა „ნეოპლატონიზმი“ გვიჩვენებს, საქმე გვაქვს პლატონიზმთან, მის ერთგვარად ახალ, ჯერ არ-ყოფილ აღორძინებასთან. მაგრამ თვითონ პლატონიზმი რას ნიშნავს? ჩვენ ხომ ამაზე ხშირად აბურდული და ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს.

და აი, ამ ნეოპლატონიზმმა ფესვი გაიდგა, შეიძლება ითქვას, ყველა საუკუნეში. არ ყოფილა არც ერთი კულტურა, ნეოპლატონიზმს რომ არ დასესხებოდა. იგი წარმოუდგენლად განვითარდა თვითონ ანტიკურობაში, არსებობდა შუა საუკუნეებსა და აღორძინების ხანაში, ახალ დროშიც იყო. საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ანტიკური ნეოპლატონიზმი!

ცნობილია, რომ ანტიკურობა, როგორც ჩვეულებრივ ვამბობთ, გარკვეული სახის სტიქიურ მატერიალიზმს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ იქ ყველაზე უფრო დასრულებულ, ყველაზე უფრო მშვენიერ და ძირითად ყოფიერებად კოსმოსია მიჩნეული. არა რომელიღაც გაუგებარი კოსმოსი, არამედ მატერიალურ-გრძნობითი, ხელშესახები, თვალით ხილული და ყურით სმენილი კოსმოსი: აი ეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც გუმბათივით დამხობია უძრავ დედამიწას, კოსმოსი, რომელშიც შეყვარებულია ანტიკური ხანის კაცი. სამყაროს ასეთნაირ გაგებას მე ვუწოდებ კოსმოლოგიურ ნეოპლატონიზმს, კოსმოლოგიურს, ესე იგი მატერიალურ-გრძნობით ნეოპლატონიზმს. ეს არის მოძღვრება იდეებზე, მიმართული იქითკენ, რომ განადიდოს და აბსოლუტად აქციოს კოსმოსი, რომ ეს გრძნობით-მატერიალური კოსმოსი ძირითად ყოფიერებად, იდეალურ ყოფიერებად, საბოლოო ყოფიერებად აქციოს.

ამას უპირისპირდება შუა საუკუნეთა ნეოპლატონიზმი, რადგან ყოველი კულტურა, როგორც კი წელში გაიმართება მეტ-

ნაკლებად და ნატიფ სტრუქტურულ ძიებათა ტენდენციას გამოამჟღავნებს, ყოველთვის ნეოპლატონიზმს შეეჩეხება... შუა საუკუნეთა ნეოპლატონიზმი საფუძველშივე უპირისპირდება ანტიკურს. ანტიკური ნეოპლატონიზმი ეთაყვანებოდა კოსმოსს, ორგანიზებულ მატერიას, ისეთ უნივერსალურ საგანს, როგორიცაა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მის ქვეშ უძრავი დედამიწა, შუა საუკუნეთა ნეოპლატონიზმმა სულ სხვა კატეგორია წარმოაჩინა, კატეგორია, რომელსაც ცუდად ითვისებდა ან თითქმის ვერაფრით ითვისებდა ანტიკურობა, – პიროვნების კატეგორია.

ერთია – საგანი, სხვა საქმეა – პიროვნება. და თუ ანტიკურ კოსმოლოგიზმს საფუძვლად ედო საგანი, შუა საუკუნეთა ნეოპლატონიზმის საფუძველი პიროვნება იყო. ის დიადი, აბსოლუტური პიროვნება, რომელიც ყოველგვარ ბუნებაზე, ყოველგვარ კოსმოსზე მაღლა დგას, რომელიც თავად ქმნის კაცსაც და ბუნებასაც და ყველაფერ არსებულს. ასეთ ნეოპლატონიზმს მე დავარქმევდი სპირიტუალისტურ და არა მატერიალურ-გრძნობით ნეოპლატონიზმს. ეს არის სპირიტუალიზმი, აბსოლუტური სულის ფილოსოფია. არავითარ აბსოლუტურ სულს არ სცნობდა ანტიკურობა, აბსოლუტური სულის ფილოსოფიამ შუა საუკუნეებში გაიმარჯვა. და აი ნეოპლატონიზმი იდეებსა და მატერიაზე მთელი თავისი მოძღვრებით მთლიანად დაუქვემდებარეს ამ აბსოლუტურ სპირიტუალიზმს.

რას წარმოადგენს აღორძინების ხანის ნეოპლატონიზმი? დიდად საინტერესო რამეს. მას შემდეგ, რაც კაცობრიობა მთელი ათასი წლის განმავლობაში თაყვანს სცემდა ბუნებას, მას შემდეგ, რაც მომდევნო ხანაში კაცობრიობა მთელი ათასი წელი თაყვანს სცემდა აბსოლუტურ პიროვნებას, აღორძინების ეპოქამ სრულიად სხვა პოზიცია აირჩია. მან წინა პლანზე ადამიანი წამოსწია. ახლა ამისთვის და მის გამო განიხილებოდა სულის პრობლემებიცა და ბუნების პრობლემებიც. ეს არის, როგორც მე ვამბობ, ანთროპოცენტრიზმი, ანუ ფილოსოფია,

რომელიც ყველაფრის საფუძვლად ადამიანის ცნებას მიიჩნევს. ადამიანისთვის არსებობს ყველაფერი, ადამიანი ბუნებაზე მაღლა დგას, ადამიანი აბსოლუტურ სულზე მაღლა დგას. თვითონ იგია უკეთესი ბუნება, თვითონ იგია უმაღლესი აბსოლუტური სული. და ეს აბსოლუტიზაცია ადამიანის პიროვნებისა არის ის სიახლე, რასაც აღორძინების ეპოქაში ვხედავთ. ეს – ანთროპოცენტრიზმია.

აქ ჯერ კიდევ არა გვაქვს სრული სუბიექტივიზმი, ის უფრო გვიან დაიწყება, აღორძინების შემდეგ. და იქ ადამიანის, როგორც სუბიექტის, ისეთი განდიდება დაიწყება, ისეთი უზომო ფსიქოლოგიზმი და სუბიექტივიზმი, რომ თურმე თვითონ ადამიანის პიროვნება ბადებს უკვე თავისი არსებიდან ყველაფერს: ბუნებასაც და თვით ღვთაებას. ასეთი რამეც კი თქვა ფიხტემ* XVIII საუკუნის მიწურულს.

რას წარმოადგენს საკუთრივ ქართული ნეოპლატონიზმი? დიახ, ქართული ნეოპლატონიზმიც ანთროპოცენტრიზმს ასაჩინოებს. აქაც ადამიანია ყველაფრის საფუძველი. აქაც იგივე მისწრაფებაა ადამიანის გაუკვდავებისა და ამქვეყნად მისი გაბედნიერებისა. მაგრამ აქვე ჩნდება ღრმა განსხვავება, ერთი მხრივ, ქართულ ნეოპლატონიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, იტალიურ და გერმანულ ნეოპლატონიზმს შორის, აღმოსავლურ და დასავლურ ნეოპლატონიზმს შორის. მათ შორის უზარმაზარი სხვაობაა, რის შეთვისებაც ხამს, სხვანაირად ვერ გავიგებთ, თუ რას წარმოადგენს ქართული ნეოპლატონიზმი, და ვერ გავიგებთ, თუ რაა ქართული აღორძინება.

ის ნეოპლატონიზმი, რომელსაც აღიარებდნენ ქართული აღორძინების ეპოქის წარმომადგენლები – იოანე პეტრიწი* და რუსთაველი – აგრეთვე ანთროპოცენტრიზმია, მაგრამ იგი არ ანადგურებს ბუნების ბატონობას, იმ ბუნებისა, რომელსაც ეთაყვანებოდა ანტიკურობა. დიახ, იგი ეთაყვანებოდა ბუნებას ამ ვარსკვლავებითურთ, ამ ვარსკვლავიანი ცით და ცადაქნილის სწორი მოძრაობით მორჭმულ ბუნებას. დიახ, ყველაფე-

რი ეს რჩება აქ, ამქვეყნად, მაგრამ ერთადერთი აბსოლუტის სახით კი არა, მსგავსად ანტიკური საბერძნეთისა. რჩება აბსოლუტის სახით, ყოფიერების სახით, მაგრამ ისეთი ყოფიერებისა, რომელიც შინაგანად განიცდება ადამიანის მიერ, მოცემული აქვს სუბიექტურად და მის მიერ შეიგრძნობა როგორც საკუთარი, უღრმესად ინტიმური რამ. ანთროპოცენტრიზმს აქ არ მივყავართ ბუნების განადგურებამდე, როგორც ეს იყო დასავლეთში. ბუნება აქ მდიდრდება იმის მეოხებით, რომ ადამიანი მასთან სუბიექტის მოთხოვნილებებით მივიდა, იმის მეოხებით, რომ ადამიანი იქცა იმ პიროვნებად, რომელსაც სურს ყველაფერი შეიგრძნოს, ყველაფერი თავისებურად გადააკეთოს. აქ არ ნადგურდება ბუნება ანდა კოსმოსი, პირიქით, მაღლდება ინტერესი სულის, პიროვნების ცხოვრებისადმი, სუბიექტის ცხოვრებისადმი, სუბიექტისა, რომელიც თხემით ტერფამდე ჩართულია ამ ბუნებაში.

ბუნება თავისი საკუთარი ცხოვრებით იწყებს სიცოცხლეს. იგი გაშლილია უთვალავი ფერით. ის უბრალოდ ზღაპრული და არა მარტო ღვთაებრივი ქმნილებაა, არამედ არის ის, რაც კაცის მიერ მთელი გულით განიცდება, განიცდება გონებრივად, როგორც ისეთი რამ, რაც კაცს შეუძლია თავისი ძალებით შთაიგრძნოს და მოიაზროს ბოლომდე.

ქართული ნეოპლატონიზმის სპირიტუალიზმთან მიმართებაზეც იგივე უნდა ითქვას. მეტისმეტად უხეში შეცდომა და ვულგარიზაცია იქნებოდა იმის თქმა, რომ ქართული ნეოპლატონიზმი სავსებით აუქმებს ყოველგვარ სპირიტუალიზმს. ამისთვის არ იღვწოდნენ იოანე პეტრიწი და რუსთაველი. ისინი ბუნების სულიერ დასაბამს სცნობდნენ, სცნობდნენ მთელი ყოფიერების მიმართ მის ხელმწიფებას. მაგრამ ამჟღავნებდნენ ამას თავისებურად, სწორედაც რომ ინტიმურად მგრძნობელი სუბიექტის ენაზე გადაჰქონდათ თავისი სათქმელი. ამიტომ არ კმაროდა მარტო აბსოლუტისადმი თაყვანისცემა და მისი მიუწვდომლობისა და შეუცნობლობის ქადაგება. არა, ყოფიერე-

ბის სულიერი საფუძველი შეცნობადია, იგი ადამიანურია. იგი ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. აი რა არის ქართული ნეოპლატონიზმი იტალიური და გერმანული ნეოპლატონიზმისაგან განსხვავებით.

ქართული ანთროპოცენტრიზმი არ ანადგურებს ბუნებას და არ ანადგურებს სულს, არამედ ერთსაც და მეორესაც თავის სუბიექტურ, მშობლიურად განსაცდელ თარგზე ძერწავს. ქართულ ნეოპლატონიზმს სურს ბოლომდე მოიაზროს ეს აბსოლუტები, რომლებიც დასავლეთში არ ყოფილან განცდილნი და მეტის-მეტი აბსტრაქტულობით გამოირჩეოდნენ. ქართულ ნეოპლატონიზმს სურს ყველაფერი ეს ცხოვრებაშიც გამოიყენოს, აქვე განახორციელოს კაცის ოცნება სიცოცხლის დანიშნულებაზე. სახელდობრ, ეს განასხვავებს ქართულ ნეოპლატონიზმს სხვადასხვა ტიპის დასავლური ნეოპლატონიზმისაგან.

იმისთვის, რომ გავიგოთ ზემოთქმული, არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი მიწიერი კაცი, რომელიც თავის მიწიერ სრულყოფას მიელტვის, მაგრამ ამას აკეთებს ამსოფლიურ საშუალებათა გზით, ჭამა-სმით და პირწმინდად მატერიალური და ცხოველური მდგომარეობით. არა, მისი ანთროპოცენტრიზმი უაღრესად განსულიერებულია, უაღრესად ამაღლებული, და მას უნდა ძირფესვიანად, კარდინალურად შეცვალოს ცხოვრება, დაუცხრომლად ებრძოლოს ცხოვრების ბნელ მხარეებს. იგი ესწრაფვის ადამიანური არსებობის სხვა, უფრო თავისუფალ და იდეალურ ფორმებს. აი ამით მკვეთრად განსხვავდება ქართული ნეოპლატონიზმი. იგი სუბიექტურია და წრფელად შესაგრძნობი, მაგრამ ამავე დროს კეთების, სინამდვილის გარდაქმნის, უმაღლესი სრულყოფისაკენ ლტოლვის პრინციპსაც წარმოადგენს.

ამის შემდეგ გასაგები ხდება, რატომ გაიმარჯვა ამ ფილოსოფიამ, ამ ფილოსოფიურმა სისტემამ საქართველოში და რატომ დაედო იგი საფუძვლად აღორძინებად წოდებულ კულტურულ მიმართულებას. ქართული აღორძინება წარმოუდგე-

ნელია ნეოპლატონიზმის გარეშე. ამჟამად ეს უკვე დამტკიცებულია, დამტკიცებულია მეცნიერულად, თუმცა ამ დებულებამ ვერ მოიპოვა სრული აღიარება და ბევრს კიდევ მახინჯი და უბადრუკი წარმოდგენა აქვს ნეოპლატონიზმზე. სინამდვილეში ნეოპლატონიზმი, რა თქმა უნდა, სულიერი მოძღვრებაა, მოძღვრება სულის ფერისცვალებაზე. მაგრამ რომელი სულისა და როგორ ფერისცვალებაზე? აი ამას არ ითვალისწინებენ, როცა ქართულ ნეოპლატონიზმზე ლაპარაკობენ, ხოლო იმ სწორი გაგებით, რაზეც მე ზემოთ ვილაპარაკე, ქართულ ნეოპლატონიზმს კოლოსალური მნიშვნელობა აქვს.

არა ხამს იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი ახლანდელი მსოფლმხედველობა სრულიად სხვაა, ჩვენ სხვა დანიშნულება გვაქვს, სხვა მიზნები და აზროვნების სხვა მეთოდები. მე სრულიადაც არ ვცდილობ XI–XII საუკუნეების ნეოპლატონიზმი აღვადგინო საქართველოში. ამისთვის არ გიტარებთ ლექციას. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ აღორძინების ხანის ქართული ნეოპლატონიზმი წარმოადგენს ერთერთ ნიმუშს, ადამიანური აზროვნებისა და ადამიანური არსებობის ერთერთ ღრმად და ნატიფად დამუშავებულ ნიმუშს, რომელიც მიმართულია ცხოვრების გარდასაქმნელად, ყოველგვარ დაბრკოლებათა გადასალახავად, რათა მიაღწიო უმაღლეს ცხოვრებას. ეს არის უაღრესად მიწიერი, მაგრამ ამავე დროს კეთილშობილური და ამაღლებული ფილოსოფია. ეს არის სულობით გამსჭვალული ფილოსოფია, რომელსაც მიწიდან მოუწყვეტლად სურს რაღაც სხვა რამედ აქციოს ეს ქვეყანა.

ქართული ნეოპლატონიზმი საქართველოს კულტურული განვითარების დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა. და როგორ უნდა ავუარო მას გვერდი? ძალიან კარგს შვრებიან საქართველოში, როცა აქვეყნებენ თავიანთი ნეოპლატონიკოსების თხზულებებს, თარგმნიან და კომენტარებს ურთავენ. მე ვიტყოდი, რომ ამ გზით, საქართველო ის ქვეყანაა, ვისგანაც უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ვიკვლიოთ ნეოპლატონიზმი.

ჩვენში ხომ ადრე ნეოპლატონიზმი პოპულარული არ იყო. გამოდიოდა ცალკეული გამოკვლევები ნეოპლატონიზმის დარგში, მაგრამ ასე ღრმად და ყოვლისმომცველად არ იკვლევდნენ ამ ფილოსოფიურ სისტემას. არ არსებობდა მისი ჩაღრმავებული გაგება. და ასეთნაირი გაგება ჩვენ ქართველებისაგან უნდა ვისწავლოთ. და რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო განმტკიცდება რუს-ქართველთა მეგობრობა.

მაგრამ ესეც არ ამოწურავს სათქმელს. საჭიროა აღინიშნოს ნეოპლატონიზმის თანადროული მნიშვნელობა. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თუმცა ეს მსოფლმხედველობა ქრონოლოგიურად ძალიან დაშორებულია ჩვენგან, იგი დღესაც უაღრესი თაყვანისცემის საგანია. ქართული ნეოპლატონიზმი, როგორც უკვე ითქვა, ანთროპოცენტრულია. და ეს სავსებით სწორია. მაგრამ იქმნება დიდი საშიშროება, ამასთან – ობიექტური, მთელი სამყაროსაგან პიროვნების იზოლაცია, მისი მოწყვეტა ბუნებისაგან, ხალხისაგან, ისტორიისაგან. პიროვნების ასეთი დასაზღვრული გაგება არ ახასიათებს ქართულ ნეოპლატონიზმს. დიახ, ეს ანთროპოცენტრიზმია, მაგრამ იგი არ თიშავს პიროვნებას ბუნებისაგან, არამედ რაღაცნაირ ჰარმონიულ მთლიანობაში აერთიანებს პიროვნებასა და ბუნებას. და აქ საზოგადოებაც პიროვნებათა ერთობად წარმოიდგინება. ასეთი ანთროპოცენტრიზმისთვის უცხო არ არის ისტორიული პროცესების არავითარი სულიერი მხარე.

შემდეგ. ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვებს: „სუბიექტი“, „სუბიექტურობა“, „სუბიექტივიზმი“. უკეთუ ქართული ნეოპლატონიზმი ანთროპოცენტრულია, იგი, რა თქმა უნდა, ადამიანურ სუბიექტურობაზე რამენაირ მოძღვრებას უნდა წარმოადგენდეს. და, მართლაც, აქ ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტის დიდ კულტურასთან. მაგრამ საჭიროა გავარჩიოთ სუბიექტურობა და სუბიექტივიზმი. ის სუბიექტივიზმი და ფსიქოლოგიზმი, რაც დასავლეთში განვითარდა, ხშირად დიდ უკიდურესობებს ამჟღავნებდა, ადამიანს მიეწერებოდა ისეთი სუბიექტურობა, რაც

უარყოფდა ყველაფერს და თავისი თავის გაღმერთებამდე მიდიოდა. ბუნებრივი, კეთილშობილური კაცის განცდები განიმარტებოდა როგორც პირწმინდად სუბიექტივისტური. და უკიდურეს სუბიექტივიზმსა და ფსიქოლოგიზმში ჩავარდნილი დასავლეთევროპელი სუბიექტი დეკადენტობაშიც ვარდებოდა, ანუ ისეთ მდგომარეობაში, როცა კაცი ტკბება თავისი განცდებით, გემოს ატანს მათ და ვერაფერს ამჩნევს თავისი განცდების გარდა.

ქართულ ნეოპლატონიზმს არაფერი აქვს საერთო ამასთან. იგი სუბიექტის მრავალფეროვან სურათს გვაძლევს, მაგრამ ამასთანავე გვასწავლის, როგორ დავაღწიოთ თავი სუბიექტივიზმს და ფსიქოლოგიური თავმოთნეობის მთელ ამ უბედურებას. აქ არა გვაქვს ფსიქოლოგიზმი და განცდების ჩატკბარუნება. აქ არის კეთილშობილური კულტურა, გრძნობათა მაღალი, ქმედითი კულტურა.

ცნობილია, რომ ანთროპოცენტრული ფილოსოფია ხშირად აღწევს ჭეშმარიტებათა ჭვრეტას და, ამ ჭვრეტაში დანთქმული, უარს ამბობს საქმეებზე, ქმედებაზე. ქართულ ნეოპლატონიზმში უხვად არის წარმოდგენილი მჭვრეტელობა, მაგრამ ამასთანავე გვასწავლის არა მარტო ჭვრეტაში ვიყოთ დანთქმულნი, არამედ დღემუდამ ვესწრაფოთ საქმეს. ეს არის ანთროპოცენტრიზმი, რომელსაც სურს გარდუვალად შექმნას რაიმე, და არა მარტო შექმნას, არამედ გარდაქმნას სინამდვილე. სინამდვილე რომ უნდა გარდაიქმნას – ამას ჩინებულად გრძნობს ყველა ქართველი ნეოპლატონიკოსი. ქართულ ნეოპლატონიზმში მჭვრეტელობა და სიცოცხლის, როგორც ჰარმონიული მთლიანობის, გაგება ერთმანეთთან შერწყმულია და ამ გაგებამ უნდა მიგვიყვანოს არსებული მდგომარეობის შეცვლამდე. ქართული ნეოპლატონიზმის ამ თავისებურებებს არა მარტო მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, არამედ თანადროული მნიშვნელობაც. და როგორც არ უნდა განვსხვავდებოდეთ ჩვენი მსოფლმხედველობით XI–XII საუკუნეებისაგან, ქართველი

ნეოპლატონიკოსების ეს ანტიფსიქოლოგიზმი, ანტისუბიექტივიზმი და ქმედითი დასაბამი თანადროულობისთვისაც მნიშვნელოვანია.

აი, რა მნიშვნელოვან აზრებს ვპოულობთ ქართული აღორძინების ნეოპლატონიკოსებთან! ამიტომ მხოლოდ ერთი სიტყვით უნდა დავამთავრო – დე, იდღეგრძელოს ქართულმა აღორძინებამ და გაუმარჯოს ქართულ ნეოპლატონიზმს.

წინასწარდადგინებული ჰარმონიის ესთეტიკა

სუბიექტ-ობიექტური იგივეობა, რომელზეც აგებულია პლოტინის ესთეტიკა, მისი საერთო ცნებით-დიფუზიური და მედინარსობრივი აზროვნების მხოლოდ შედეგს წარმოადგენს. მეტიც, აზროვნების ასეთნაირ ტიპს პლოტინი მიჰყავდა ორი უკიდურესი განზოგადების საყოველთაო მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებამდე, სახელდობრ, არარსობრივ მატერიამდე და ზეარსობრივ ერთამდე. ყველაფერი არსებული პლოტინთან ამ ორი უკიდურესობით არის გამსჭვალული და ერთერთი მათგანის განხორციელებას წარმოადგენს. მაგრამ ამას იქითკენ მივყავართ, რომ არა მარტო მშვენიერება, არამედ უმსგავსობაც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც არსებულია, სწორედ იმგვარია, როგორიც უნდა ყოფილიყო კიდეც. იგი გამართლებულია თავის თავში და თავის სიღრმეში და სულაც არ გვევლინება როგორც შეფასებითი ყოფიერება, თუმცა მისი ცალკეული გამოვლინებანი პლოტინის მიერ იერარქიულად არის დალაგებული და სხვაგვარად შეფასებას იმსახურებს, ზოგჯერ უაღრესად მახვილსა და ღრმას. ამრიგად, ყველაფერი არსებული, მიუხედავად თავისი კლებასარდაქვემდებარებული ქაოსისა, ჰარმონიაა. და ეს ჰარმონია სრულებითაც არ არის შემთხვევითი, პირუკუ – შედეგია თავად ყოფიერების საფუძვლისა. არსებულის ეს ჰარმონია წარმოადგენს სავსებით

წინასწარდადგინებულ ჰარმონიას და ამიტომ – პლოტინის ცნებით – დიფუზიური სტილი წარმოადგენს არა მარტო გარეგან მხარეს მისი ლიტერატურული ნაწარმოებებისა, ე.ი. ტრაქტატებისა, არამედ ყოფიერების სიღრმისეული საფუძვლების ასეთივე ხასიათით არის გაპირობებული.

ამაში არაფერია გასაკვირი. არსებითად, ეს არის ძველთუძველესი აზრი ჯერ კიდევ ჰერაკლიტესი, რომელთანაც აგრეთვე ყველაფერი მედინია, ესე იგი ყველაფერი დიფუზიურია და ამის გამო ყველაფერი ჰარმონიულიც, და მაშასადამე, ამიტომვე ყველაფერი ერთნაირად მისაღებია. და მხოლოდ ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორიის ღრმა ცრურწმენების გამო იყო მოკვეთილი პლოტინი მთელ დანარჩენ ანტიკურ ფილოსოფიას.

ჰერაკლიტესთან, ამბობდნენ, ყველაფერი ნამდვილად მატერიალური სტიქიონებისაგან შედგებაო, ყველაფერი მედინია, ქაოსური, და ამიტომო ყველაფერი მშვენიერიაო. ხოლო ნეოპლატონიზმში ვითომ სრული დუალიზმიაო. ერთი მხრივ, აქ იდეალური სამყაროა, რომელსაც არ ახასიათებს არავითარი მედინობა, არამედ ერთსა და იმავე ადგილას დგასო, და თურმე ნუ იტყვით, იგი მხოლოდ ერთგვარ გარესკნელს იკავებსო. ხოლო მეორე მხრივ, აქ ქადაგების საგნად ქცეულია რაღაცნაირი ძალიან ცუდი და სულელური, სრულიად უსიცოცხლო მატერია. და საჭიროა ვითომც, მხოლოდ თავი დავაღწიოთ ამ მკვდარი მატერიის ბორკილებს და ჩავიძიროთ ზეგონებრივ ყოფიერებაში, და მაშინ ყველაფერი თავის რიგზე იქნებაო. მცდარად გაგებული ქრისტიანობისა და აღმოსავლური რელიგიების მახინჯი ფორმით შემოთავაზებული დუალიზმის მაინცდამაინც აი, ასეთ ნაზავს პოულობდნენ ყოველთვის პლოტინთან და ამით მთავრდებოდა კიდეც ნეოპლატონიზმის შინაარსის გაგება.

ჩვენი შრომები გამსჭვალულია საკმაოდ მძაფრი მისწრაფებით ნეოპლატონიზმის მიმართ ამ მონაჩმახის უკუსაგდებად, რაც აბსტრაქტულ-ცნებითი სქემების აბსოლუტიზაციასა

და ჰიპოსტაზირებაზე დაფუძნებული ანტიდიალექტიკური, ფორმალურ-ლოგიკური მეტაფიზიკის წიაღიდან, ინდივიდუალისტური დუალიზმის წიაღიდან არის ამოზრდილი. სინამდვილეში, თუ საქმეს არსებითად მივუდგებით, პლოტინის ესთეტიკის საფუძველი მცირედით თუ განსხვავდება ჰერაკლიტესაგან. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პლოტინის ესთეტიკა გაპირობებულია გვიანი ელინიზმის აყვავებით და მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რა თქმა უნდა, ჰერაკლიტესეული წინასწარდადგინებული ჰარმონია, რაშიც ბედისწერა და ადამიანის თვითმოქმედება განუყოფელ იგივეობაშია შერწყმული, ჩვენ მიერ უნდა შეფასდეს დაძაბული ინდივიდუალიზმის შუქზე, რაკი იგი უაღრესად მძაფრად განიცდის ჰერაკლიტესეულ ჰარმონიას, თუმცა ისე ეპიკურად არა, როგორც ეს ჰერაკლიტეს გამოუდიოდა. მიუხედავად ამისა, წინასწარდადგინებული ჰარმონიის საერთო ესთეტიკას, რომელიც ერთნაირად დადებითად და უარყოფითად აფასებს ამ ქვეყანაზე ყველაფერს, გვიანელინისტური ინდივიდუალიზმი ხელშეუხებლად ტოვებდა...

პლოტინთან ვკითხულობთ: „რით არის გამოწვეული ცხოველთა შორის და კაცთა შორის შეურიგებელი ომი? ცხოველთა მიერ ერთურთის შეჭმა იმიტომ არის აუცილებელი, რომ ამის შედეგად სუსტი ცხოველები, თუნდაც რომ არავინ ერჩოდეს მათ, სულერთია, დიდხანს ვერ იბოგინებენ. და უკეთუ ისინი დროთა განმავლობაში მაინც უნდა აღიგავონ და დაიღუპონ ისე, რომ სხვებმა ისარგებლონ მათი დაღუპვით, – რატომ უნდა აღვშფოთდეთ? აკი სხვათა მიერ შეჭმულნი ისინი სხვა ცხოველთა სახით კვლავ აღორძინდებიან“.

ამრიგად, საყოველთაო ომი კაცთა შორის და ცხოველთა შორის, პლოტინის მიხედვით, ყველა შემთხვევაში არანაკლებ გამართლებულია, ვიდრე ჰერაკლიტესთან, რომელთანაც ვკითხულობთ: „ომი ყოველთა მამაა, მეფეა ყოვლისა. მან აქცია ერთნი ღმერთებად, ხოლო სხვანი კაცებად, ერთნი მონე-

ბად, ხოლო სხვანი საკუთარი თავის უფლებად“.

ცხოვრება, როგორც თეატრალური დადგმა

უფრო გარკვეულად ეს წინასწარდადგენილი ჰარმონია პლოტინს გამოხატული აქვს იმ ტექსტებში, სადაც იგი კაცთა და, საერთოდ, მსოფლიოს ცხოვრებას სცენაზე მსახიობთა თამაშს ადარებს. პლოტინს სურს თქვას, რომ ეს საყოველთაო ცხოვრება სხვა არაფერია თუ არა ფაქტიური შესრულება იმისა, რაც თავად მსოფლიო დრამის სიუჟეტში, მის სცენარშია იმთავითვე ჩაფიქრებული, ანუ, ჩვენ ვიტყოდით, იმ გონებაში, რომელიც პლოტინს კოსმოსში მსოფლიო სულის მეოხებით განხორციელებულ უზენაეს იდეურ სფეროდ მიაჩნია.

ამის თაობაზე პლოტინთან ვკითხულობთ: „ყველაფერი ეს თითქოს სცენაზე ხდება, სადაც მოკლული მსახიობი გამოიცვლის რა სამოსს, კვლავ გამოჩნდება ახლა უკვე სხვათა განსახიერებისათვის. მაგრამ ცხოვრებაში სიკვდილი ნამდვილია. და თუ სიკვდილიც სხეულის გამოცვლაა ისევე, როგორც სცენაზე სამოსისა, ანდა მავანისათვის სულაც სხეულის დატოვება, როგორც იქ, სადაც მსახიობი წარმოდგენის შემდეგ საბოლოოდ ტოვებს სცენას, ხოლო შემდგომ კვლავ უბრუნდება, რათა სხვა წარმოდგენაში ახალი როლი შეასრულოს, – მაშინ რაღად უნდა იყოს საზარელი ცხოველთა ერთმანეთში გარდასახვა, რაც ბოლოსდაბოლოს იმაზე ბევრად უკეთესია, რომ სულაც არ აღორძინდე აღარასოდეს? ასე რომ მოხდეს, სიცოცხლე შეწყდებოდა და სხვათა სახით აღარ აღორძინდებოდა. ახლა კი სიცოცხლე ყველაფერსა ქმნის, მედინ ქვეყანას მრავალფეროვნებას ანიჭებს და სახილველად სათნო ცოცხალ სათამაშოებს ძერწავს მარადღე“.

პლოტინის მთელი ეს მსჯელობა უეჭველს ხდის იმას, რომ მისი ესთეტიკა კაცთა და, საერთოდ, შიგნიკოსმოსური ცხოვრების სხვადასხვა მომენტებით განხორციელებული რომელი-

ღაც წინასწარდადგენილი ჰარმონიიდან იღებს სათავეს. ერთი მხრივ, მსახიობები არაფერს ახალს არ მატებენ იმ პიესას, რომელიც მსოფლიო გონებაში იმთავითვეა ჩადებული, მაგრამ, მეორე მხრივ, მსახიობი მაინც საკუთარი როლის შემოქმედია, რაკი ერთსა და იმავე სიუჟეტს სხვადასხვა მსახიობი სრულიად სხვადასხვანაირად ასრულებს. სიცოცხლის თეატრალურ სცენასთან ამ გონებისშემარყეველ შედარებაში პლოტინი თავად ცხოვრების ზესასიცოცხლო განგებულების, მისი საბედისწერო ხასიათის შენარჩუნებასაც ახერხებს და, ამავე დროს, ვეებერთელა ადამიანური თავისუფლებისაც, რასაც ერთობლივად ჩვენ წინასწარდადგენილი ჰარმონიის ესთეტიკას ვუწოდებთ.

სხვათა შორის, მოტანილ ტექსტში პლოტინისათვის დიდად დამახასიათებელია თვითონ პლატონის დამოწმება. ეს ხომ იმას გვიდასტურებს, რომ ცხოვრების გაგება, როგორც თეატრონისა და თამაშისა, სულაც არ არის მარტოდენ პლოტინისათვის დამახასიათებელი თავისებურება. უეჭველია, რომ ეს მთელი ანტიკური ესთეტიკისათვის საერთო თავისებურებას წარმოადგენს. პლოტინმა მხოლოდ წვერი წაუმახა ამ საერთოანტიკურ იდეას და იგი რაღაცნაირ მწველ და მძაფრ პრობლემად აქცია, რაც დამოკიდებული იყო უკვე საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებზე. იგი უფრო ადრინდელ ანტიკურ ლიტერატურაში მხოლოდ დასაბამს იღებდა, სადაც თუ დიდზე დიდი დარწმუნებულობით ვლინდებოდა, ჯერ მაინც არ იყო ქცეული გამაოგნებელი და მწველი დიალექტიკური ანალიზის საგნად...

პლოტინის ნაწერებში არანაკლებ ეფექტურია ადამიანის შედარება ღმერთების ხელთ არსებულ სათამაშოსთან: „ადამიანი, როგორც ეს უკვე ვთქვით ადრე, რაღაცნაირი გამოგონილი სათამაშოა ღმერთისა, და არსებითად ეს იქცა კაცის საუკეთესო დანიშნულებად". ა. ტახო-გოდი' ამტკიცებს, რომ თამაშისებრი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი საერთოდ ღრმადანტიკური იდეაა.

თავის ტრაქტატში პლოტინი ჯერ სერიოზულ საგნებზე თითქოსდა „თამაშით“ ლაპარაკობს. მაგრამ იმავე (III) თავში ირკვევა, რომ თვით ყველაზე მაღალი ხედვაც, ასეთსავე მაღალ მომენტებთან ერთად, თავის თავში შეიცავს რაღაც თამაშისმიერს, ბავშვურ თამაშობათა მსგავსს. პლოტინი პირდაპირ წერს: „ჩვენ და ყველანი, ვინც თამაშობს, ამას ვაკეთებთ ანდა ვცდილობთ გავაკეთოთ მღერით და თამაშით“. ამრიგად, პლოტინთან თვით უმაღლეს სულიერ პროცესებს თან ახლავს თავისებური თამაში...

შემდეგ პლოტინი ამტკიცებს, რომ ყველა ამქვეყნიური საშინელება და სისხლისღვრა, ყველა ომი და ბრძოლა, ადამიანის მთელი ეს დაუცხრომელი სწრაფვა სიმდიდრის შეძენისა და, საერთოდ, ყოველდღიური კეთილდღეობისათვის, თავისთავად უაღრესად სასაცილოა. რა სათქმელია, ამსოფლიურ საქმეებში თავითფეხებამდე ჩაფლული კაცი ტირის და ოხრავს კიდევაც, იბრძვის და თავისას მოითხოვს, მაგრამ ვერ ხვდება, ყველაფერი ეს ასეც რომ უნდა ყოფილიყო. მთელი ეს ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი და კატასტროფები პლოტინის თვალში აღბეჭდილია მხოლოდ და მხოლოდ უღრმესი გულუბრყვილობით და ბავშვურობით. ყველაფერი ეს მარტოდენ გარეგანი თამაშია. სინამდვილეში კი, უკეთუ კაცი სერიოზულია, მას კარგად ესმის, რომ ყველა ეს ჭირ-ვარამი და კატასტროფები სავსებით გამართლებულია, სავსებით გარდუვალია და სავსებით ჩაფიქრებულია თავად ყოფიერების საფუძველში...

„ხამს ისე შევხედოთ მკვლელობას, ყოველგვარ სიკვდილს, ძარცვა-გლეჯასა და ქალაქთა აღებას, თითქოს ეს თეატრონის სცენაზე ხდებოდეს. ყველაფერი ეს ხომ სცენაზე გადაადგილებაა, ნიღბების შეცვლაა, მსახიობთა ტირილი და ამოოხვრაა. აკი ამქვეყნად, წუთისოფლის ცალკეულ გამოვლინებებში კაცის შინაგანი სული კი არ ტირის და მწუხარებს, არამედ მისი გარეგანი აჩრდილი, თითქოს ყველგან დედამიწაზე თეატრალური მოედნები გაუმართავთო. ჭეშმარიტად, ამგვარია საქ-

მეები კაცისა, რომელიც მხოლოდ იმას მიიჩნევს ცხოვრებად, რაც ამ უმდაბლესსა და გარეგან სფეროში ხდება, იმას კი ვერ ხვდება, რომ ზრუნვაში გართული და ცრემლის მომწურავი კაცი მხოლოდ მოთამაშე ბავშვია. სერიოზულ საქმეთა გამო სერიოზულადვე ზრუნვა აკი მარტოდენ იმის მეოხებით ხამს, რაც კაცში ნამდვილად სერიოზულია. ყველაფერ დანარჩენში სათამაშოა იგი".

მთელი ამ წინასწარდადგინებული ჰარმონიის მჭევრმეტყველურ ესთეტიკაში, რომლის თვალსაზრისით ყველაფერი გამართლებული და დასაშვებია, ყველაფერი გარდუვალი, აუცილებელი და ჰარმონიულია, პლოტინი, რამდენადაც ჩვენ ეს გაგვეგება, აგრეთვე ძალიან ახლოსა დგას ჰერაკლიტესთან. მართალია, ნაკლებშეგნებულ ქვეყნიერ კაცს იგი „მოთამაშეს" უწოდებს, რაც ჩვენ გავბედეთ და ავხსენით ჩვენი მხრივ სიტყვა „ბავშვის" მიმატებით; ეს იმიტომ ჩავიდინეთ, რომ აქ ვხედავთ, ჯერ ერთი, იმავე ჰერაკლიტეს სიტყვების უშუალო გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ თამაშის აშკარად მთელ მსოფლიოზე გავრცობას, რაზეც პლოტინის ზემოთ მოყვანილ ტექსტებში არაერთხელ იყო ლაპარაკი. ჰერაკლიტესთანაც ხომ ამასვე ვკითხულობთ: „მარადისობა კენჭებით მოთამაშე ბავშვია. ბავშვს ეკუთვნის მეუფება წუთისოფელში".

დუმილი

სკეპტიკოსი ცხოვრებას დუმილით პასუხობს. თუმცა იგი უფლებამოსილია კიდევ რამდენსამე მსჯელობას მოუხმოს, ვთქვათ, ამდაგვარს – „არაფერია სხვაზე აღმატებული“, „შესაძლოა“, ან – „თავს ვიკავებ“. მაგრამ ამ მსჯელობათა აზრიც დუმილია. ამიტომ სკეპტიკოსები პირდაპირ იძლეოდნენ რჩევას – ცხოვრებაზე დუმილით ეპასუხათ. ეს არის სწორედ ის „უთქმელობა“, რაზედაც სექსტუსი˚ ლაპარაკობს.

სკეპტიკოს-ფილოსოფოსის ირგვლივ ყოფიერების ორომტრიალია. ათასგვარი ხალხი აწყდება მას თავისი შეკითხვებით და მოთხოვნებით, თავისი სიყვარულით და სიძულვილით. მაგრამ მას ერთადერთი პასუხი აქვს ყველაფერზე, – დუმილი. აი ღვთის მიმართ მღაღადებელი მშფოთვარე და ფესვდაკარგული სული, რომელიც ამაყად და გულმხურვალედ ეკითხება სკეპტიკოსს: არსებობს თუ არა, ბოლოსდაბოლოს, ღმერთი? მაგრამ რას მიითვლის იგი ამ კითხვის პასუხად? დუმილს! შეიძლება, ფილოსოფოსი მას უმზერდეს რაღაცნაირი გამოუცნობი მზერით, მაგრამ სიტყვას არ დაძრავს.

თითქოს შეუძლებელია, კაცი გერქვას და გულს არ გიმღვრევდეს ბოროტება, უბრალოთა ტანჯვა, კაცთა ცოფი და სისაძაგლე. მაგრამ სკეპტიკოსმა როგორღაც შეინარჩუნა კაცობა, თუმცა მისთვის არაფერს აუმღვრევია გული. რაო? სახლი დაგეწვათ? ცოლშვილი დაგიხოცეს? დიდი ომებისა და ამბოხე-

ბათა ხანაა? და თქვენ რჩევას, დახმარებას, ახსნა-დარიგებას ითხოვთ? სკეპტიკოსთან მიდით! გადაუშალეთ გული, წვრილად აღუწერეთ სისხლიანი ამბები, რაც თავს გადაგხდათ, რისგანაც თმა ყალყზე გიდგებათ და ჰკითხეთ, როგორ მოიქცეთ. რას მიითვლით პასუხად? დუმილს! ეს ბრძენკაცი, ვისაც გადაჩხრეკილი აქვს ცა და დედამიწა, ვისაც შეცნობილი აქვს კაცთა გულისთქმის სიღრმე და ადამიანური აზრის ბნელი კუნჭულები, – გულის ყველა მტანჯველსა და დაჟინებულ კითხვას, ყველა კატასტროფას მხოლოდ ერთადერთი პასუხით გამოეხმაურება, – დუმილით!

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს ხომ, ასეთ შემთხვევაში, დუმილიც აღარაა. აკი დუმილს უმეცრება, სულიერი მცონარება და წვრილმანობა, მორალური და გონებრივი ეგოიზმი, დაბოლოს, უბრალოდ უნიჭობა და გულგრილობა ბადებს. დაბრალდება კი ასეთი რამე სკეპტიკოსს? რა თქმა უნდა, არა! სკეპტიკოსი დიდად განსწავლულია, მან ყველაფერი იცის. სკეპტიკოსს შეცნობილი აქვს სულის საიდუმლოებანი და მას ამავე დროს, მძაფრი, ნატიფი და ღრმა შეგრძნებები აქვს. იგი იმიტომ არ დუმს, რომ არაფერი აქვს სათქმელი. მაშ, რატომ არაფერს ამბობს? იქნებ იმიტომ, რომ მისთვის შინაგანად ცნობილია ყოველგვარი სიტყვისა და აზრის ამაოება, რომ სიცოცხლე აზრსა და სიტყვაზე გაცილებით ღრმაა, რომ ყოფიერება უფრო ღრმაა, ვიდრე თავად ადამიანის გონება? დიახ, სკეპტიკოსის დუმილი სწორედ ცხოვრების მყვირალა მოთხოვნილების მიმართ გაცემული პასუხია, და ჩვენ ვიტყოდით, რომ ეს ყველაზე უფრო საინტერესო, ყველაზე უფრო რთული და ღრმა პასუხთაგანია საერთოდ.

ფილოსოფოსებიც და ისინიც, ვინც მათთან მოდიოდნენ თავიანთი მოთხოვნებით, ყოველთვის დამძიმებულნი იყვნენ სიტყვისა და აზრის სიჭარბით, რაციონალურობის სიჭარბით. ხომ არ არის სკეპტიკოსის პასუხი ერთგვარი გადალახვა ამ ნაძალადევი სქემისა? ხომ არ არის ეს პასუხი სერიოზული ცდა

იმისა, რომ შიგ თვალებში შეხედო ცხოვრებას და პირისპირ შეეჯახო გაშიშვლებულ, შეუნიღბავ ცხოვრებისეულ სიმართლეს? ზედმეტ გულუბრყვილობად ხომ არ გამოიყურება ადამიანის სურვილი – ნაძალადევად მოიაზროს სიცოცხლე? განა ყოველგვარ აზრზე უფრო ღრმა არ არის სიცოცხლე და განა სიტყვა მხოლოდ ქაფი არ არის ყოფიერებისა, ერთგვარი ქაფი, რომელსაც ყოფიერების უაზრო ზღვა მოიგდებს ხოლმე?

დიახ, სკეპტიკოსის დუმილს პასუხის უქონლობას ვერ დავაბრალებთ. ეს დუმილი ფრიად მნიშვნელოვანია, რათა მასში პასუხის უქონლობა ვიგულისხმოთ. სკეპტიკოსი ბრძნულად ერიდება წუთისოფლის ცოფსა და უკუღმართობას, და – საკვირველია, – მის ამნაირ პასუხში არაფერია გულის დამამძიმებელი. მისი ეს დუმილი არც გულისგამაწვრილებელია და არც გულისდამამძიმებელი, – უსიხარულოა მხოლოდ. თუმცა იგი სულაც არ არის უფრო უსიხარულო, ვიდრე თავად ცხოვრება. იგი მხოლოდ პირველი შეხვედრისას შეიცავს რაღაც მტანჯველს. არსებითად, იგი სულაც არ არის მტანჯველი, არამედ უსაზრისოა, უაზრო კი არა, მხოლოდ უსაზრისო. ეს დუმილი უსიხარულო და უსაზრისოა, ზუსტად ისევე, როგორც თავად ცხოვრება. სილამაზე სკეპტიკოსის მსოფლშეგრძნებაში უსიხარულო და უსაზრისოა.

ანტიკური სკეფსისის სილამაზეს წუხილის ბეჭედი აზის, და აქაც, ელინიზმის სხვა სკოლების მსგავსად, იგრძნობა სულის რაღაცნაირი შინაგანი მარცხი, რაღაც დაღუპული და დაუბრუნებელი. თითქოს ბრწყინვალე და დიდებამოსილი, მაგრამ გამოფიტული და განწირული კულტურის აკლდამაში დიად ძიებათა და განზრახვათა სამარის პირას ვიდგეთ. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ სკეფსისი სასოწარკვეთილების ფილოსოფია და სულიერი კატასტროფის მისტიკაა. ოღონდ, ეს რაღაცნაირი ტრანსცენდენტური სასოწარკვეთილებაა იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურად ეს სასოწარკვეთილებაც არ არის, არამედ მხოლოდ უმოქმედობაა, სიკვდილი კი არა, არამედ მოსვენებაა.

მაგრამ მეტაფიზიკურად აქ მიუღწეველი დარჩა რაღაც დიდი, რაღაცნაირმა შინაგანმა ცხოველმყოფელმა ძალამ დატოვა მსოფლიო, რის გამოც საგნებმა დაკარგეს თავისი სული. სკეპტიკოსისათვის საგნებმა დაკარგეს საგნობრიობა, ჩაიძირნენ რაღაცნაირ ირაციონალურ ბურუსში, უწონადი გახდნენ, უსხეულონი, მუმიებივით დაფუტუროვდნენ, უსიცოცხლო სურათებს დაემსგავსნენ, კვამლად, ნისლად და არარსად გადაიქცნენ... სკეპტიკოსს სასო წარეკვეთა, ტრანსცენდენტურად წარეკვეთა სასო.

მორის ბოურა



დ. 1898 ძიუძანი, ჩინეთი
† 1971 ოქსფორდი, ინგლისი

ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე. ცნობილია მისი ნაშრომები ძველ ბერძნულ ლიტერატურაზე. მორის ბოურა მეოცე საუკუნის ერთე-რთი ყველაზე გამორჩეული კლასიკოსი ფილოლოგია.

ბოურა სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა, ხელმძღვანელობდა უოლდჰემის კოლეჯს ოქსფორდში, ბრიტანულ აკადემიას, იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი, თარგმნიდა რუს პოეტებს და წერდა კრიტიკულ წერილებს მათ შემოქმედებაზე.

პედაგოგიური და ადმინისტრაციული მოღვაწეობისთვის ბოურას რაინდის წოდება მიანიჭეს.

„შემთხვევითი არ არის, რომ სხვა გამორჩენილ უცხოელ მეცნიერებთან ერთად, თანამედროვე ევროპული ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთმა მესვეურმა მორის ბოურამაც თავის წიგნში „შთაგონება და პოეზია“ სპეციალური პარაგრაფი უძღვნა რუსთაველის პოემას. მართალია, მისი გამოკვლევა ძირითადად პოპულარული მანერით არის დაწერილი, მაგრამ ამ ჩარჩოებშიც კი იმდენი ზუსტი დაკვირვებაა მიმობნეული, რომ რუსთველოლოგიის წინაშე აქ თითქოს თვალნათლივ იშლება ზოგიერთი ახალი პერსპექტივა“, - წერდა გურამ ასათიანი`.

„ვეფხისტყაოსანი“

როგორც ცნობილია, იმ ხალხის პოეზიაზე წერა, რომლის ენა არ იცი – სახიფათოა. საუკეთესო თარგმანებიც კი, თუ უბრალოდ მცდარი არ არის, უზუსტოა, და რამდენადაც პოეზიის არსებითი ზემოქმედება სიტყვათა ინდივიდუალური შეწყობიდან გამომდინარეობს, როგორცა ჩანს, შეუძლებელია კრიტიკული მსჯელობის საგნად აქციო ის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა წაკითხვა ორიგინალის ენაზე არ შეგიძლია. და მაინც, ხანდახან, ცთუნება იმდენად დიდია, რომ ძნელია მას წინაღუდგე. ლიტერატურის ისტორიაში პოეტური ნაწარმოების შინაარსსა და გარეგან ფორმას შესაძლოა თავისი საკუთარი ინტერესი გააჩნდეს, და თუ ამ ნაწარმოებს ვერ ვკითხულობთ ისე, როგორც გვინდა – მთელ სავსებაში, იძულებულნი ვხდებით თარგმანებს მივმართოთ, თუ ლირიკული პოეზიის მიმართ ასეთი მიდგომა არადამაკმაყოფილებელია, ეპიკური პოეზიის მიმართ იგი უფრო მეტად დასაშვებია. აქ, უკიდურეს შემთხვევაში ამბის ხასიათსა და თხრობის მანერაზე მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. შეგვიძლია დავინახოთ როგორაა ეს მოთხრობა აგებული ან პოეტის პიროვნულ შეხედულებებზე რაიმე წარმოდგენა ვიქონიოთ. ეს არ იქნება კრიტიკა მკაცრი მნიშვნელობით, არამედ ლიტერატურული მასალისა და აზრის შესწავლა და თუკი კრიტიკოსი ბოლომდე ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, მას მაინც ძალუძს თავი გაართვას იდეათა და მათი მხატვრული გამოვლინების ისტორიას. ასე-

თი კვლევის შესაძლებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა ნაწარმოები შექმნილია დიდი ბრიტანეთისთვის ისეთ ნაკლებადცნობილ ენაზე, როგორიცაა ქართულად დაწერილი პოემა – „ვეფხისტყაოსანი"[1]. ეს პოემა ინგლისურად[2] პროზითა და რუსულად[3] ლექსადვეა თარგმნილი და ამ უცხო სამოსელშიაც კი იგი იმდენად გვხიბლავს და იმდენ საინტერესო კითხვას აღგვიძრავს, რომ უცილობელი ყურადღების ღირსია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავტკბეთ იმ ენის მრავალრიცხოვანი სიკეთით, რომელზედაც მისი თაყვანისმცემლები მიგვითითებენ და რომლის მეოხებითაც შვიდ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველები მას თავისი ნაციონალური ლიტერატურის შედევრად მიიჩნევენ.

თვით რუსთაველის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ეს. გასაკვირიც არ არის. რამდენადაც XIII საუკუნეში მონღოლთა თავდასხმებმა და შემდეგ თემურლენგის' ურდოების შემოსევებმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა საქართველოს და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალრიცხოვანი ძეგლები გაანადგურა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. რამდენადაც რუსთაველი თავის პოემას მეფე თამარს უძღვნის რომანტიკული პანეგირიკის' სიტყვებით და მიგვანიშნებს, რომ მან უბრძანა პოემის დაწერა, – იგი, უნდა ვიგულისხმოთ, მეფის კართან დაახლოებული პიროვნება იყო. მას ნამდვილად კარგი განათლება უნდა მიეღო, და როგორც ჩანს, იცნობდა არა მარტო თავისი ქვეყნის ტრადიციულ თქმულებებს, არამედ სპარსეთის დიდად განვითარებულ პოეზიასა და თანადროულ ფილოსოფიას. სინამდვილეში იგი უფრო ნაკითხი ჩანს, ვიდრე თავად

[1] „ვეფხისტყაოსნის" ციტირებისას გამოყენებულია შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1966.

[2] „ვეფხისტყაოსანი", თარგმნილი მარჯორი უორდროპის მიერ, ლონდონი, 1912.

[3] „ვეფხისტყაოსანი", თარგნილი შალვა ნუცუბიძის მიერ, მოსკოვი, 1941.

აღიარებს ამას. პოემის პროლოგში მოხსენიებული ორგვარი მიჯნურობა (22)[4] პირდაპირ მიგვითითებს ნიზამის˙ ორ პოემაზე („ლეილმეჯნუნიანი“˙ და „ბარამგურიანი“˙), ხოლო პლატონის ზუსტი ციტირება (780) მის ფართო განათლებას გვიმოწმებს. როგორც ცნობილია, რუსთაველს სხვა ნაწარმოებებიც ჰქონია – რომანტიკული ეპიზოდი „იოსებ მშვენიერი“ და „ქებანი“, მაგრამ არც ერთი არ შემონახულა. ჩვენამდე მხოლოდ „ვეფხისტყაოსანმა“ მოაღწია. ეს არის 6500-სტრიქონიანი კატრენებით˙ დაწერილი პოემა. კატრენებს ერთი რითმა აქვს AAAA˙ პრინციპის თანახმად. როგორც ამბობენ, ასე გარითმვა ძალზე ძნელია, როგორც ქართული, ისე სხვა ენებისათვისაც, მით უმეტეს, რომ გამოყენებულია მხოლოდ ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები. პოემა შეიძლება დათარიღდეს ასე თუ ისე საიმედოდ გარკვეულ საზღვრებში. რამდენადაც რუსთაველი 1196 წელს დაწერილ ნიზამის „ბარამგურიანს“ ახსენებს, ეს გვაძლევს terminus a quo-ს[5] მაშინ, როცა terminus ad quem[6] შეიძლება წარმოდგენილ იქნას თამარ მეფის ძის, ლაშა გიორგის თანამოსაყდრედ დასმის მიმართ დუმილით, რამდენადაც, თუ ეს ფაქტი მოხდებოდა, რუსთაველი, რა თქმა უნდა, მას თამართან დააკავშირებდა პროლოგში. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ შეგვიძლია დავათარიღოთ საუკუნის დასაწყისით 1198 წლისა და 1207 წლის შუალედით. ეს იყო გაცხოველებული შემოქმედების ხანა ბევრ ქვეყანაში და შორეულმა საქართველომ ამავე ეპოქაში მსოფლიო ლიტერატურის საგანძური თავისი უნიკალური წვლილით გაამდიდრა.

ამ დროში პოეზია, როგორც ევროპაში, ისე აზიაში მნიშვნელოვნად იცვლიდა ფერს. ეპოსი დღის წესრიგში იდგა, და თუმცა იგი ჯერ კიდევ მოგვითხრობს საგმირო საქმეებს და სა-

[4] აქ და შემდგომში აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების ნუმერაცია.

[5] უადრესი თარიღი (ლათ.)

[6] საბოლოო თარიღი (ლათ.)

თავგადასავლო ამბებს – მათი ტონი უკვე შეცვლილია. ეპოსის მთავარი საგანი კვლავაც დიდების მოხვეჭაა, მაგრამ იგი თანდათან ახლებური შინაარსით იმსჭვალება. ეს სიახლე რომანტიკული სიყვარულის თემაა, როდესაც გმირები ყველაფერს ჩადიან რომელიმე მანდილოსნის გულის მოსანადირებლად, თუნდაც რომ იგი თვალითაც არ ეხილათ. ეს თემა უკვე ცნობილია „ნიბელუნგების სიმღერიდან“˙ და ამავე ხანის ფრანგული ეპიკური ნაწარმოებიდან, რომელშიაც ეს თემა ბევრად უფრო აქტიურ როლს ასრულებს. აზიაში, სადაც წამყვანი ადგილი სპარსეთს ეჭირა, ნიზამი გმირი მიჯნურების რომანტიკულ ამბავს მოგვითხრობს და ამისათვის ფირდოუსის˙ საქვეყნოდ ცნობილ თემებსაც კი სესხულობს, თუმცა მათ თავისებური განმარტებით ახლებურ მნიშვნელობას ანიჭებს. ევროპის ეპიკური პოეტები, ისევე როგორც აზიაში, გარკვეულ სოციალურ ფონზე მოიაზრებიან. სიყვარული პოპულარულ თემად არის გადაქცეული მეფის კარზე და დიდ სასახლეებში და ამ სიყვარულს – არნო დანიელისა˙ თუ პიეტრო დელა ვინჯის˙, ვოლფრამ ფონ ეშენბახისა˙ თუ სამხრეთ ესპანეთის მავრი პოეტების მიერ თავისებურად შეფერილს, რამდენადმე იდეალური ხასიათი აქვს. სატრფოს იგავმიუწვდენელი სიკეთითა და ღირსებით ამკობენ, რათა მას მაქსიმალური გულმოდგინებითა და თავგანწირვით ემსახურონ. ასეთი იყო სული საუკუნისა და მისსავე წიაღშია წარმოშობილი „ვეფხისტყაოსანიც“.

1221 წელს მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში და დაიპყრეს მისი ნაწილი. ამ თარიღით დაიწყო მისი დაკნინება. მაგრამ მანამდე თითქმის საუკუნის განმავლობაში იგი ტკბებოდა გონის შესამჩნევი თავისუფლებითა და სრულქმნას ესწრაფოდა ფილოსოფიასა და ხელოვნებაში, რომელშიც სხვადასხვა მხრიდან, განსხვავებულ ძალებს თავისი წვლილი შეჰქონდათ. ერთი მხრივ, პოეზია სპარსეთიდან მოდიოდა. ქართულად ითარგმნებოდა ფირდოუსის „შაჰნამეს“˙ ნაწყვეტები და უფრო თანადროული პოემები, რომელთაგან ყველა-

ზე მნიშვნელოვანი ნიზამის „ლეილმეჯნუნიანი“ და „ხოსროვ და შირინი“* იყო. მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერია, რომელიც ჯვაროსანთა ლაშქრობებით ჯერ კიდევ დანგრეული არ იყო, ნეოელინური აღორძინებით გაჟღენთილ შრომათა მნიშვნელოვან რიგს იძლეოდა, თუმცა 1225 წელს ქართულად თარგმნილი იყო ნაწყვეტები ჰომეროსიდან, ბიზანტიის წინაშე ვალში ყოფნა უპირატესად ფილოსოფიის დარგში შეინიშნებოდა. ისეთ ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა შრომები, როგორიცაა პროკლე*, პორფირიოსი*, ენეოს ღაზელი*, ფსევდოდიონისე არეოპაგელი*, ცნობილი გახდა საქართველოში ქართველ სწავლულთა მეოხებით. თუმცა ბერძნული ფილოსოფია და სპარსული პოეზია ურთიერთისაგან განსხვავდებოდა, ხდებოდა მათი კომბინირება, რის შედეგადაც ორი მთავარი მიმდინარეობა წარმოიშვა. ჯერ ერთი ის, რომ მუსულმანური საფუძვლიდან აღმოცენებული პოემები ბერძნულ პლატონიზმთან გაერთიანდნენ და ხელი შეუწყვეს უფრო მკაცრსა და აბსტრაქტულ მონოთეიზმს, ვიდრე ეს აღმოსავლური ეკლესიის მეოხებით პრაქტიკულად ხორციელდებოდა. მეორეც, – სპარსელი პოეტების მიერ რომანტიკული სიყვარულით გატაცებამ ნეოპლატონიზმის საკმაო მხარდაჭერა ჰპოვა, იმისათვის, რომ უზრუნველეყო ინტელექტუალური საფანელი იმ თემატიკისათვის, რომელსაც ეს პოეტები მდიდარი წარმოსახვით ამუშავებდნენ. რუსთაველს ორივე ეს მოძრაობა ღრმად შეეხო და მათგან დავალებულია ბევრი რამით, რაც მის პოემაში უმეტესად განსაცვიფრებელია.

„ვეფხისტყაოსანი“ საფუძვლიანად მოფიქრებული და კარგად აგებული ამბავია, ოთხი მთავარი და რამდენიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მეშვეობით გაშლილი. ორ გმირს ავთანდილსა და ტარიელს შესაბამისად უყვართ თინათინი და ნესტანი. ტარიელი უეცრივ, სენსაციურად შეიჭრება ავთანდილის სამყაროში და ასევე მოულოდნელად გაუჩინარდება. თინათინი გზავნის მას ტარიელის საძებრად. ავთანდილი

ახერხებს მის ნახვას და შემდეგ იშლება ფათერაკებით აღსავსე ისტორია, როცა ორი მოყმე უკვალოდ გადაკარგულ ნესტანს დაეძებს. ბოლოსდაბოლოს მის კვალს მიაგნებენ და ამბავი სრულდება კიდევ რამდენიმე საგმირო საქმით. ამ მთავარ სტრუქტურაში პოეტი რთავს ტარიელის მიერ მოთხრობილ, მისი წარსული ცხოვრების, სატრფოსადმი სიყვარულისა და ნესტანის უცნაური გაუჩინარების ამბავს. რუსთაველი მოგვითხრობს ეპიკური პოეტების საყვარელი ხერხით, რომელიც თავისი სიძველით „გილგამეშსა“* და „ოდისეას“* არ ჩამორჩება. პოემის მოქმედება ვითარდება საკუთარი ლოგიკური კანონების მიხედვით, რომლებიც, უნდა ვაღიაროთ, თუმცა რამდენადმე უცნაურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამაჯერებელი და დრამატულია. თუმცა თინათინი ნაკლებ გამოჩენილი პიროვნებაა, ვიდრე ნესტანი, იგი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, თუნდაც იმიტომ, რომ ავთანდილს დაკარგული ყმის საძებრად წარგზავნის. თუკი პოემაში ერთი გმირია, იგი ტარიელია. ყოველ შემთხვევაში, რუსთაველი თავისი პოემის დასასრულს გვამცნობს – „მისთვის ცრემლ-შეუშრომელ“-ი (1587) ვარო და ისევე ვაქებო მას, როგორც სხვებმა შეაქეს ქართული ლეგენდების დიდი გმირები – ამირანი*, აბდულ-მესია* და დილარგეთიო*. მაგრამ რამდენადაც ავთანდილი დაკავშირებულია ტარიელთან, როგორც შეუდარებელი მეგობარი და თანამზრახველი – იგი არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟია. ისინი წარმოადგენენ ტრადიციული სტილის ჰეროიკულ წყვილს და თუკი ერთერთი დომინირებს, მეორე არანაკლებ მომხიბლავია. პოემა ერთი მოქმედი პირის გარშემო არ არის აგებული – მას ერთიანი სიუჟეტი აქვს, რომლის შიგნით დამაკავშირებელი მოქმედება მათ ურთიერთს შეაჯახებს ხოლმე. მეფე თამარისადმი მიძღვნილი პოემის დასაწყისში რუსთაველი პოეზიის შესახებ თავისებურ მანიფესტს გადმოგვცემს. იმის შემდეგ, რაც გამოაცხადებს, რომ პოეზია „სიბრძნის დარგია“ (12), შაირის გრძლად თქმასა და მოკლედ თქმას ურთიერთს ადარებს და გვეუბნება, რომ თავად

იგი უპირატესობას გრძლად თქმას ანიჭებს სამი მოსაზრების გამო: პირველი, ყველას შეუძლია შეთხზას რამდენიმე ლექსი, მაშინ როცა ნამდვილი ნიჭია საჭირო იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის თხზულება შეიქმნას. მეორე - ლირიკოსთ „არ ძალუც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა... /დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“ (16). „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,/ სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ (17). მაგრამ რუსთაველს უფრო სერიოზული რამ უნდა, რასაც მხოლოდ გრძელი შაირი შეესაბამება. ასეთი მიზანი ამ საუკუნისათვის აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც დამახასიათებელია. პოეტები ქმნიან დიდი მასშტაბის ნაწარმოებებს და მასში სათავგადასავლო ამბებს - განსაზღვრულ შეხედულებებსა და პრინციპებზე აფუძნებენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსთაველი გმირული საქმეების გამო მოგვითხრობს და მით გარკვეულ ხარკს უხდის თავისი დროისა და ხალხის გემოვნებას. არც ის უნდა მოგვეჩვენოს ნაკლებ ბუნებრივად, რომ ის გრძელ შაირს აძლევს უპირატესობას, რამდენადაც ასე წერდნენ წინა საუკუნეების ქართველი პოეტები. მათ მიღმა იდო ზეპირი პოეტური თხრობის ტრადიცია, რომლის მასშტაბები მით უფრო ფართოვდება, რაც უფრო სიღრმეში მიდის. მაგრამ როცა იგი იცავს გრძელ შაირს მოკლეს საპირისპიროდ, იგი ლაპარაკობს ხალხურ ტრადიციაზე საკარო პოეზიის საპირისპიროდ, chanson de gestes-ის[7] სასარგებლოდ, chanson d'amour-ის[8] საპირისპიროდ და გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ისევე როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში ამ ორ სახეობას შორის ერთგვარი მეტოქეობა შეინიშნებოდა და რომ თავად იგი უპირატესობას chanson de gestes-ს ანიჭებს, რადგან იგი უფრო ფართო წრისათვისაა განკუთვნილი და უფრო გასაგებიცაა.

[7] სარაინდო ლექსი (ფრ.)

[8] სატრფიალო ლექსი (ფრ.)

მაგრამ რუსთაველი მხოლოდ ამბის გაშლისათვის არ მოგვითხრობს რაიმეს. იგი გვამცნობს, რომ მას უყვარს მეფე თამარი და შთაგონებულია ამ სიყვარულით, მას განზრახული არა აქვს იგი პირდაპირ შეაქოს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.“ (19)

თუმცა პოემა უშუალოდ არაფერს მოგვითხრობს თამარზე, იგი უკუფენს რუსთაველის განცდებს მისდამი და მათ მეორადი ან ალეგორიული ფორმით წარმოადგენს. ფაქტობრივად ეს – გმირულ გარემოში გრძნობათა დრამატიზაციაა, ამბის გაშლის მეშვეობით თავისი სიყვარულის განცხადებაა. ჩვენ გარდუვალად გვაგონდება დანტე˙, და თუმცა რუსთაველი დანტესაგან მით განსხვავდება, რომ თავის სათაყვანებელ არსებას გამორიცხავს მოთხრობის მდინარებიდან, – მას შეეძლო დათანხმებოდა დანტეს იმაში, რომ იგიც –

„...ამურის მიერ შთაგონებული ყურს მიუგდებს და ასე მღერის და თვის გულისთქმას ამნაირად ამცნობს სამყაროს.“

(სალხინებელი XXIV, *52)*

ორივე პოემა ერთი ქალისადმი იდეალური სიყვარულიდან, ამბის გაშლის ფართო სქემიდან გამოდის და თუმცა რუსთაველის სამყარო უფრო შეზღუდულია, ვიდრე დანტეს სამყარო, იგი უფრო მეტადაა დაუნჯებული სიყვარულის თემაზე და არ შორდება მას. რუსთაველის სიყვარულის კონცეფცია, სავსებით შესაძლოა, მისი ზოგიერთი თანამედროვისთვის უცნაურადაც ჟღერდა, და უეჭველია, ამის გამო განმარტავს პოეტი:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.“ (20)

პლატონური ჰანგი უკვე გახმიანდა და შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ რა სისავსით შეითვისა პლატონური თვალსაზრისი რუსთაველმა. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, თუ თანდათანობით როგორ ეხამება ამ თვალსაზრისს სხვა იდეები. აქ, რუსთაველი სხვადასხვა ქვეყნის სიყვარულის კულტებს მოგვაგონებს. ჯერ ერთი, გვაგონდება არნო დანიელისა და ჟოფრე რჟუდელის* მსგავსი პროვანსელი პოეტები. თუმცა იგი ლაპარაკობს მხოლოდ „ქვენა ხელობაზე“ იმიტომ, რომ „ენა დაშვრების“ (21) იმ ერთი მიჯნურობის მისახვედრად. ცხადია, რომ მოქცევის კეთილშობილი კოდექსი ასეთ სიყვარულსაც სჭირდება. რუსთაველი აცხადებს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,/სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე... ენა, გონება, დათმობა...“ (23), რომ „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,/ ...გული ერთსა დააჯეროს...“ (25). მიჯნურს არ უნდა აჩნდეს ჭირი, მიჯნურს საყვარლისა შიში და კრძალვა უნდა ჰქონდეს. სიყვარულზე ასეთი მოძღვრება თითქმის ეხმიანება დანტეს, მაგრამ რუსთაველი უფრო შორს მიდის, როცა გვეუბნება, თუ როგორი უნდა იყოს მიჯნური:

„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.“ (27)

ამის უახლოესი პარალელი შეიძლება დაიძებნოს მავრიტანული ესპანეთის პოეტებში, იბნ ზაიდუნთან*, რომელიც პრინცესა ვალადას* მიუწერს: „მძიმე ტვირთად შემომყარე ისეთი

კაეშანი, რომელსაც ვერავინ გაუძლებს და მე ავიტან ამას. მიბრძანე და დაგემონები. უწყალო იყავ, ხოლო მე კრძალულად მოგემსახურები".[9]

თითქმის შეუძლებელია ვთქვათ, სად პოვა რუსთაველმა თავისი წარმოდგენები. ბერძნული პლატონიზმი გარკვეულად იყო მისთვის ერთერთი წყაროთაგანი. პოეზია, შესაძლოა არაბული წარმოშობისა, მაგრამ დაწმენდილი სპარსეთის გზით, მისი მეორე წყაროა. ამავე დროს არ შეიძლება იმ შესაძლებლობის გამორიცხვა, რომ ზოგიერთი მისი იდეა თავად მასვე ეკუთვნოდა და რომ იგი დამოუკიდებლად მივიდა იმავე დასკვნებამდე, რომლებამდეც სხვა ქვეყნებში მივიდნენ პოეტები. იგი უბრალოდ არ მიჰყვება ფეხის ხმას, როცა სიყვარულს თავისი პოეზიის მთავარ თემად აქცევს. რუსთაველს ბევრი უფიქრია ამაზე და ერთიან თეორიად აქვს შეკრებილი როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ელემენტები.

ის, რასაც გულისხმობს სიყვარულში, რუსთაველს კონკრეტულად და დრამატულად აქვს წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების მეშვეობით. უმაღლეს დონეზეა აყვანილი ტარიელის სიყვარული ნესტანისადმი, რომლის სრული ხელმწიფების ქვეშეა მოქცეული იგი. ტარიელი არა მარტო იპყრობს ხატაელებს მისი მითითების თანახმად, არამედ მისი სურვილისამებრ ჰკლავს კიდევაც ხატაელთა მეფისწულს, რომელიც მამამისმა საქმროდ აურჩია. სატრფოს უმცირეს საჩუქარსაც კი იგი უწმინდეს რელიქვიასავით ინახავს. როცა იგი სატრფოს კარგავს, მთელი გულით უხმობს სიკვდილს. მისი მოგონებისას ცნობასა კარგავს და გული მისდის. ტარიელი განმარტოებას ეძებს თავისი ტანჯვის განსაქარვებლად და არაფერს ეპუება, რათა კვლავ დაიბრუნოს ნესტანი. ავთანდილისა და თინათინის სიყვარულიც ამგვარივეა, თუმცა მათ ასეთი დიდი გასაჭირი არ შემთხვევიათ.

[9] G. Brenan, *The Literature of the Spanish People: From Roman Times to the Present Day,* Cambridge University Press, 1951

აქაც თინათინის გულისათვის ავთანდილი თავს იდებს ისეთ სახიფათო საქმეს, როგორიცაა ტარიელის მოძებნა და ნესტანის შველა. სამაგიეროდ, ორივე ქალს არანაკლები გატაცებით და ერთგულებით უყვართ თავიანთი მოყმენი. და თუ მათ ხშირად მეტად ძნელ საქმეებს აკისრებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სჯერათ მიჯნურთა ძალისა და მოხერხებისა. თუკი ეს ქალები დროდადრო ამაყნი და მიუკარებელნი ჩანან, ეს იმით აიხსნება, რომ სიამაყე იმ დიდების საფუძველი იყო, რისთვისაც ისინი ცხოვრობდნენ. თავისებური და არანაკლებ ძლიერი სიყვარულით არიან დაკავშირებული ავთანდილი და ტარიელიც. მათ შეხვედრისთანავე ძმური სიყვარული აღეძვრათ ერთმანეთისადმი, ამ სიყვარულს ანაცვალებს ავთანდილი მეფისადმი მიცემულ ფიცს. ძმადნაფიცი არაფერს იშურებს იმისათვის, რომ ტარიელს დანაპირები შეუსრულოს, მათ შორის უმცირესი უთანხმოებაც არ არის. თითოეული მათგანი მხარში უდგას მეორეს ძნელ და საჭირო საქმეში. ამ თავისებურ სამყაროში თვით ქვეშევრდომებსაც და მსახურთაც კი სენტიმენტალური თავდადებისა და ერთგულების უნარი შესწევთ, როგორც მაგალითად, ასმათს ნესტანის, ხოლო შემდეგ ველად გაჭრილი ტარიელის მიმართ. თავისებურ თავდადებას ამჟღავნებს ავთანდილისადმი ვაჭრის კეკლუცი ცოლი ფატმანი, რომელსაც შეუყვარდება ეს ლამაზი მოყმე და მას იმის შემდეგაც კი ეხმარება, როცა შეიტყობს, რომ ავთანდილს აღარ უყვარს და არც არასდროს ჰყვარებია იგი. „ვეფხისტყაოსანი“ აგებულია სენტიმენტალური თავდადებისა და ერთგულების საფუძველზე და ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი სიყვარული იშვიათად თუ ტოვებს მის ფურცლებს.

უმთავრესი როლი, რომელიც პოეზიაში სიყვარულს ეთმობა, ნებას გვაძლევს მას სამიჯნურო რომანტიკის პოეზია ვუწოდოთ, „ვეფხისტყაოსანს“ თუ იმავე საუკუნის აღმოსავლურსა და დასავლურ პოეტურ რომანებს შევადარებთ, ბევრ საერთოს ვიპოვით. ორი მთავარი გმირის თავდადებული მეგობრობა, თითქმის შეუძლებელ საქმეთა შესრულება, ის

დიდი ადგილი, რომელიც ბრძოლების აღწერას უჭირავს, ბუნების სურათების, განსაკუთრებით შორეული და უკაცრიელი მიწაწყლის ცოცხლად დახატვა, სიმდიდრის იგივე გაგება და კეთილშობილური სტუმარმასპინძლობა – ყველაფერი ეს განეკუთვნება რომანტიკას და მეტყველებს იმ მაღალსა და ცივილიზებულ საზოგადოებაზე, რომელიც შთააგონებდა ამგვარ პოეზიას. ხელოვნების მოწოდებად იქცა ადამიანის მდგომარეობის ამაღლება და შემკობა იმ უხეში საუკუნის საპირისპიროდ, რომელიც არცთუ ისე შორეული წარსული იყო და კიდევ იხსენიებოდა ხალხურ სიმღერებში. ყველაფერ ამაში რუსთაველი ტიპურია და შედარებისათვის მრავალ საინტერესო მომენტს შეიცავს. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც იგი ნორმალური ფორმიდან საკუთარ გზაზე გადაუხვევს ხოლმე. აქ მჟღავნდება მისი ორიგინალობა, ერთგულება საკუთარი იდეებისადმი და მათი პოეტურად წარმოსახვის თანმიმდევრულობა.

ჯერ ერთი, არცერთ სხვა პოეტურ რომანში სიყვარულს ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“ წარმოდგენილი ავტორისეული კონცეფციით. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ აქ სიყვარული უფრო ხშირად გამოდის წინა პლანზე, ვიდრე ვთქვათ, „ნიბელუნგების სიმღერაში“ ან თუნდაც „გილგამეშში“. უფრო სწორად, სიყვარული ამ პოემაში განსაზღვრავს როგორც მის სტრუქტურას, ისე გარეგან სახესაც. აქ ყველაფერი მასზე ტრიალებს და იგი არასოდეს არის შემთხვევითი ან მეორეხარისხოვანი. ეს მით უფრო შესამჩნევი გახდება, როდესაც მოვიგონებთ, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდნენ მიჯნურობას XII საუკუნის ფრანგი პოეტები, ხოლო უფრო მეტს ისეთი სპარსი პოეტი, როგორიც ნიზამი იყო. და მაინც, თუმცა არტურის ლეგენდის* ადრეული პოემები „ტრისტანსა* და იზოლდაში*“, „ლანსელოტსა* და ჯინევრაში*“ არა მარტო რაინდულსა და ხორციელ, არამედ ტრაგიკულ სიყვარულსაც აღწერენ. ისინი არ ქმნიან მთელ წარმოსახვით

სამყაროს, სადაც მიჯნურობა მთავარი მოტივი იქნებოდა. სიყვარული ამ პოემებში საკმაოდ განსაკუთრებული და საოცარია და ამიტომ პატივის ღირსიცაა, მაგრამ იგი ცხოვრების მთლიან სისტემას არ წარმოადგენს. კიდევ უფრო ნაკლებ განიცდის მის გავლენას ტარიელისა და ავთანდილის ძმადნაფიცობის შესატყვისი მეგობრობის თემა. მართალია, „გარენ ლე ლორენი“˙ მოგვითხრობს ორი გმირის დიდი მეგობრობის ამბავს, რომელიც შემდეგ მტრობით შეიცვალა, მაგრამ არცერთ სტადიაში მას არ ჰქონია ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობის ძალა. „ლეილმეჯნუნიანის“ და „ხოსროვ და შირინის“ მსგავს პოემებშიც კი, სადაც დიდი ვნებები და ფათერაკებია აღწერილი, არაფერია იმ შთაგონების ბადალი, რითაც რუსთაველი ჩამოაყალიბებს მიჯნურობას, როგორც კაცობრიობის აღზრდისა და შთაგონების წყაროს. რუსთაველის ორიგინალობა ის არის, რომ სიყვარულს იგი არ განიხილავს როგორც არანორმალურ მოვლენას. მისთვის სიყვარული ადამიანის გულში დავანებული სიკეთის გამომავლინებელი და სხვადასხვა ფსიქოლოგიური დონის მამაკაცთა და დედაკაცთა ქცევის ნორმების დამდგენია.

მეორეც, თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკული ამბავია, მას საოცრად აკლია ერთი ელემენტი, რომლითაც გაჟღენთილია თითქმის ყველა სხვა რომანტიკული ისტორია. – ეს გახლავთ ზებუნებრიობა. იგი „ნიბელუნგების სიმღერაშიც“ კი არის, სადაც ზიგფრიდის˙ უჩინმაჩინის ქუდი დიდ საქმეს აკეთებს ბრუნჰილდეს˙ გამოსახსნელად. ბევრად უფრო ჭარბად იყენებს მას ფრანგული პოეზია. Huon de Bordeaux-იც[10] კი, რომელიც წმინდა საგმირო ამბით იწყება და ბაბილონელი ამირბარის ქალის გასატაცებლად მოწყობილი მოგზაურობით მთავრდება. აქაც ათასნაირ ჯადოქრობას ვხვდებით. „გინგამორისა“ და „გავაინისა˙ და ვალევინის“ ჰოლანდიური

[10] ჰუონი ბორდოდან (XIII–XIV საუკუნეების ფრანგული სარაინდო ლექსი, ფრ.)

ვერსიების მსგავსი პოემებიც არხეინად დაცურავს სასწაულების ზღვაში. ნაწილობრივ იმავეს თქმა შეიძლება ნიზამის პოემებზეც. ალექსანდრეს ამბის დაწყებისთანავე ნიზამის გმირი მრავალი სასწაულის ჩამდენი და მონაწილეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პლატონთან და არისტოტელესთან უხდება ყოფნა. მართალია, ნიზამის საკუთარი ფილოსოფია აქვს, სადაც მიჯნურობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, მაგრამ იგი თავის დასკვნებს ისეთ ეპიზოდებში აყალიბებს, რომლებშიც ბუნების კანონები ან აღარ მოქმედებს, ანდა სხვა, მხოლოდ ბრძენთათვის ცნობილი კანონებით არის შეცვლილი. რუსთაველი ამ მხრივ ძლიერ თავდაჭერილია. რასაც „ვეფხისტყაოსნის“ კაცები და ქალები აკეთებენ, მართლაც განსაკუთრებულია და ჩვეულებრივი ადამიანის ძალღონეს აღემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი მოქმედება მაინც შესაძლებელია და მაგიურობა აქ არავითარ როლს არ ასრულებს. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის რეალისტურია. მისი სამყარო ძალზე თავისებურია, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ განსაზღვრულ, სავსებით შესაფერის პირობებში ადამიანები სწორედ ასე მოიქცნენ.

მესამეც, თუკი რუსთაველს ფრანგული რომანტიზმის მწერლებს შევადარებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რეალობის თავისებური გრძნობა აქვს. აქ ერთმანეთს უპირისპირდება რუსთაველის საღი დამოკიდებულება კაცობრიობის მიმართ და ფრანგების ტენდენცია, ყველაფერი აბსტრაქციად და ალეგორიად აქციონ. მართალია, თავად რუსთაველი თავის პოემას „ალეგორიულს“ უწოდებს, მაგრამ იგი ისე საფუძვლიანად ამუშავებს თითოეულ თემას, რომ ჩვენ უშუალო წარმოდგენების მიღმა არასოდეს ვეძებთ სხვა აზრს. ფრანგულ რომანტიზმში კი ალეგორია საკმაოდ ხშირად გამოდის წინა პლანზე. ამის კლასიკური მაგალითია გილიომ დე ლორისის* „ვარდის რომანი“*, სადაც პერსონიფიცირებული ადამიანური თვისებები მოქმედებენ. ეს დახვეწილი და გონებამახვილური

ხელოვნებაა, რომელიც ღრმად სწვდება ადამიანის ბუნებას, მაგრამ, ზოგიერთი მოსაზრებით, ისეთი სოლიდური არაა, როგორიც რუსთაველის ხელოვნება. ერთია პიროვნების დანაწევრება, ყოველი ნაწილისათვის შესაფერი სახელის მიკუთვნება, მისი განხილვა, როგორც ერთი ხასიათისა, ხოლო სულ სხვაა ერთ ხასიათში გააერთიანო ეს თვისებანი და მათი ერთობლივი მოქმედება დახატო. თუმცა ფრანგულ რომანტიზმს უყვარს არაჩვეულებრივი თავგადასავლები და ამით „ვეფხისტყაოსანს“ უახლოვდება, – პიროვნების ფათერაკებით გამოცდის სურვილი მას აიძულებს ისეთი ტექნიკა გამოიყენოს, რომელიც ძლიერ შორდება მოვლენათა ქრონიკული აღწერის ტრადიციულ მანერას. მას აქვს რეალობის საკუთარი დონე, მაგრამ რუსთაველის ხასიათები, მათი იდიოსინკრაზიის მიუხედავად, უფრო ახლო დგას ჩვენი წარმოდგენის ადამიანებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ პოეტურმა რომანტიკამ შესამჩნევ სრულყოფას მიაღწია იტალიაში (ბოიარდოსა˙ და არიოსტოს˙ პოემები). ჩვენ აქაც უნდა გვეფიქრა, რომ მოსალოდნელი იქნებოდა რუსთაველთან მსგავსება და ამას მართლაც ვხედავთ სიყვარულის კულტსა და პერსონაჟთა გმირულ საქმეებში. მაგრამ ესაა და ეს. ამ ბრწყინვალე ისტორიებში შეუზღუდავი წარმოსახვა ბატონობს, რაც სავსებით უცხოა რუსთაველის მოჭარბებული სერიოზულობისათვის. იტალიელი პოეტებისათვის რომანტიკა რეალური სინამდვილიდან ოცნების სამყაროში გადასვლის საშუალებაა და მათ სწორედ ეს არარეალური ელემენტი იზიდავთ. იტალიური რომანტიკა წმინდა ხელოვნების სამყაროში ტრიალებს, სადაც ადამიანებს ღირსების ფანტასტიკური გრძნობის იქით არავითარი პასუხისმგებლობა ან ვალდებულება არ აკისრიათ. აზიაში სწორედ ამ დროს უზბეკი პოეტი ალიშერ ნავოი˙ „ფარჰად და შირინის“˙ მსგავს რომანტიკულ პოემებს წერდა. იგი ნამდვილად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიყვარულს და დიდ ადგილსაც უთმობს ამ თემას თავის პოემებში, მაგრამ

მისი მოქმედება ხშირად არარეალურის ფონზე მიმდინარეობს და გმირისათვის მაინცდამაინც ძნელი არ არის ურჩხულთან შებმა ან ორთაბრძოლაში არიმანის' დამარცხება. ეს არის მაღალფარდოვანი რომანტიკა, რომელიც შორსაა რუსთაველის სოლიდურობისა და სერიოზულობისაგან.

რუსთაველის ორიგინალობა და დამოუკიდებლობა საკმაოდ ცხადია და ამიტომ მით უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ პოეტმა, რომელიც დიდად განსწავლული იყო სპარსულ პოეზიაში და მისგან განსხვავებული მანერა გამოიმუშავა, თავისი პოემის დასაწყისში სრულიად საწინააღმდეგო რამ განაცხადა:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები."
(9)

თუ ამ სტრიქონებს დავუჯერებთ, რუსთაველს აუღია ტრადიციული სპარსული ამბავი და თამარ მეფის ბრძანებით ქართულად გაულექსავს. ეს ნაწყვეტი ინტერპოლაციად ითვლება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რატომ დასჭირდებოდათ მისი ჩამატება. მეორე მხრივ კი ეჭვი არ არის, რომ სტროფი პირდაპირ არ უნდა იქნეს გაგებული, ვინაიდან სპარსულ ლიტერატურაში ტარიელი და „ვეფხისტყაოსნის" სხვა გმირები არსად მოიხსენიება და, საერთოდ, საქართველოს გარეთ არაფერი ამჟღავნებს მათთან მსგავსებას. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან სპარსული თქმულებანი ძლიერ პოპულარული იყო და ბევრ შორეულ ხალხს მისწვდა. მაგალითად, უზბეკებს, ოსებსა და იაკუტებს. საკვირველია, რუსთაველის ამბავმა, თუკი იგი სპარსული წარმოშობისაა, კვალი რატომ ვერსად დატოვა. სინამდვილესთან უფრო ახლოა ასეთი მოსაზრება: რუსთაველი პოემას „სპარსულ ამბავს" იმიტომ უწოდებს, რომ

იგი სპარსულ ყაიდაზეა შესრულებული. სპარსეთი იმ დროის დიდი კულტურული სახელმწიფო იყო და რუსთაველს ეგებ იმის ჩვენება უნდოდა, რომ იგი იცნობდა ხელოვნების ახალ მიმდინარეობებსა და მიღწევებს. ამიტომ უწოდებს თავის პოემას სპარსულს, რისი განცხადების შემდეგაც წმინდაწყლის ქართულ პოემას წერს. იგი კარგს არაფერს ამბობს სპარსელებზე. პოემაში ერთადერთი სპარსელია გამოყვანილი – ხვარაზმშა და მასაც საშინელი დღე დაადგება. ხოლო პოემის გმირები ასე იტყვიან სპარსელებზე: „ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა...“ (537), ან „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ (533). რასაკვირველია, რუსთაველმა ბევრი რამ ისწავლა სპარსული პოეზიისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ამბავი, ან ამ „ამბის“ დამუშავება სპარსული წარმოშობისა იყოს.

რუსთაველის დამოუკიდებლობა სპარსეთისა და საერთოდ, მთელი ისლამური სამყაროსაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტით მჟღავნდება. ჯერ ერთი, „ვეფხისტყაოსნის“ ქალები იმ საზოგადოებას ეკუთვნიან, რომლისთვისაც უცხოა ჰარამხანაში ქალის გამოკეტვა. რუსთაველი არა მარტო აღიარებს პრინციპს, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ (39), არამედ მთელი პოემის მანძილზე აღწერს ორივე სქესის თანასწორობას, რაინდები სავსებით თავისუფლად ხვდებიან მყუდრო ოთახებში განმარტოებულ ქალებს. ნესტანი, თინათინი, ასმათი და ფატმანი დამონებული ქალები კი არ არიან, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილენი და თავისუფლად დადიან, სადაც მოესურვებათ. ეს, რასაკვირველია, რუსთაველის ეპოქის ქართულ სინამდვილეს ასახავს და გასაგებს ხდის, თუ როგორ მიაღწია იდეალური სიყვარულის კულტმა ასეთ დიდ სიმაღლეს. მეორეც, თუმცა პოემაში მოქმედება უდიდეს სივრცეზე მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს ინდოეთს, არაბეთს და ჩინეთს და სრულებით არ არის ნახსენები საქართველო, რუსთაველს, ამის მიუხედავად, საკუთარი

მაღალი პატრიოტიზმი ახასიათებს. ციხეში ჩაკეტილ ნესტანს თავისუფლების ყველა იმედი დაკარგული აქვს. იგი ტარიელს უგზავნის წერილს, სადაც უბრძანებს სამშობლოს ემსახუროს. ეს მიაჩნდა მას ყველაზე დიდ მოვალეობად ასეთი განსაცდელის ჟამს. რუსთაველი შეგნებული პატრიოტი იყო. მის დროს თავისუფალი საქართველო ჰყვაოდა და პოეტის იდეალი რაინდული სიქველისა მოიცავს სამშობლოს სიყვარულსაც, თუმცა, ვიმეორებთ, მისი პოემის მოქმედება აზიის სივრცეებზეა გაშლილი.

„ვეფხისტყაოსანი" ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა. იდეალური სიყვარულის კულტი ყველაზე მეტად იყო აკლიმატიზებული საქართველოში და განსაკუთრებულ გმირულ პერსპექტივას შეესაბამებოდა. ამ ნაწარმოების მთელი სისტემა გულდასმით და თანმიმდევრობით არის დამუშავებული, მაგრამ თუმცა რუსთაველის ნათქვამი ყოველთვის ნათელია, მისი შეხედულებანი იმდენად დაშორებულია თანადროულობას, რომ მათი მთლიანობაში აღქმა ჭირს კიდეც. რა თქმა უნდა, იმავე პრობლემას ვხვდებით ჩვენ პროვანსელ პოეტებსა და დანტესთანაც კი, მაგრამ რუსთაველთან ეს პრობლემა უფრო ემფატიკურად დაისმის, რამდენადაც მისი ფილოსოფია მჭიდროდაა დაკავშირებული მოქმედებასთან, ეჭვი არ არის, რომ მისი წარმოსახვის სამყარო საკუთარ გამოცდილებას ემყარება. უნდა დავუჯეროთ რუსთაველს, როცა ამბობს, რომ მასაც განუცდია ისეთი იდეალური და ვნებიანი სიყვარული, რაც მის გმირებს მიეწერება. ეს სავსებით ეთანხმება იმ აზრს, რომ ასეთი სიყვარული საქართველოს სამეფო კარზე კულტად იყო აღიარებული და მას ბევრი ხელოვნური პირობითობის შექმნა შეეძლო. დიდი პოეტი სერიოზულად განიხილავს ამ კულტებს და გამოავლენს მათში დაფარულ ჭეშმარიტებას და რეალურობას. ამასთანავე, მისი ნათქვამი თავის თავზე, დანტეს სიტყვებზე ნაკლებ სარწმუნო როდია. სიყვარულს რომ ასეთი ფორმების მიღება შეეძ-

ლო, ეს ნათლად ჩანს ისეთი პოეტების შედარებისას, როგორიც მანტუელი სორდელო* და სპარსი ჰაფიზია*. ამ კულტის სიღრმეში რომ შევიდეთ და ვნახოთ, რას აკეთებს მისგან რუსთაველი, პოეტის რელიგიური საფუძველიც უნდა მოვჩხრიკოთ. XII საუკუნეში ქართველი ფილოსოფოსები ცდილობდნენ სარწმუნოებისათვის იმაზე უფრო ღრმა აზრი მოეძებნათ, რასაც მათ ქრისტიანობა უქმნიდა. მათ, როგორც ჩანს, შეითვისეს სიყვარულის ქრისტიანული კონცეფცია და აინტერესებდათ, თუ რას გამოხატავდა მისი ყველაზე წმინდა ფორმა და მათ მოიძიეს არა ლმობიერება, რომლის გამო ნეოპლატონიკოსები თითქმის არაფერს ამბობენ, არამედ ინდივიდუუმის ამაღლებული სიყვარული. ისინი ემონებოდნენ ამ გრძნობას და მასში ჰპოვებდნენ მოქმედების პრინციპს, რომელიც შთააგონებდა კეთილშობილ ადამიანებს. ასეთი მაღალი რწმენა აუცილებლად საგმირო საქმეებს მოითხოვდა და ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ რუსთაველი ამ მოწოდებას რელიგიური შარავანდედით მოსავდა.

ეს შეხედულებანი ისევე ძველია, როგორც პლატონის თვალსაზრისი და თუმცა შეიძლება ქრისტიანობასთან მისი კომბინირება, მას დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი ქრისტიანულ ქვეყანაში ცხოვრობდა, იგი ქრისტესა და სპეციფიკურ ქრისტიანულ დოგმებს ერთხელაც არ ახსენებს. შემდგომში ეს აღნიშნეს და მის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს საქართველოში. ერთი ღვთისმოსავი ავტორი აფრთხილებს მკითხველებს, რომ რუსთაველი არსად იხსენიებს წმინდა სამებას და მისი კითხვა სულისათვის მავნებელიაო. მართლაც, რუსთაველი ძლიერ ახლო დგას პანთეიზმთან. ყოველ შემთხვევაში, იგი მზეს ღვთაების ემანაციად მიიჩნევს. ნესტანის წერილში ვკითხულობთ:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას
სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,

მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!"
(1291-1292)

თუ მზე სიცოცხლისა და ცხოვრების წყაროა, ძალის მომნიჭებელიც იგია და ამიტომ მიმართავს ტარიელთან განშორების ჟამს ავთანდილი მზეს.

„აჰა, მზეო გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა." (946)

ამას მოჰყვება მისი ლოცვა ხუთი მნათობისა და მთვარის მიმართ, რომელთაც იგი შემწეობას სთხოვს. ეს ბუნების პრიმიტიული თაყვანისცემა როდია. მზე, როგორც სინათლის წყარო, სულის ნათელისა და ძალის სიმბოლოა. ასეთი რწმენა სრულიადაც არაა ქრისტიანული და აქ რუსთაველის წინამორბედები ეკლესიის მამათა შორის კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ივლიანე განდგომილსა* და მისი წრის ფილოსოფოსთა შორის. მართლაც, რუსთაველი ცდილობს ეს შეხედულებანი ქრისტიანობას დაუკავშიროს და ავთანდილს ათქმევინებს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.“
(782-783)

რუსთაველის ღმერთი – ძალის მომცემია. ამ ძალას ღმერთი ადამიანთათვის მინიჭებული სიყვარულის მეოხებით გამოავლენს.

ამ შესანიშნავი ფილოსოფიითაა გამსჭვალული რუსთაველის მთელი პოემა. იგი თამამ ქცევას მამაკაცების შესაფერ საქმედ მიიჩნევს და პოემაში მათი აღწერა ავლენს ამ ფილოსოფიას, ისე რომ პერსონაჟებისადმი ადამიანური და დრამატული ინტერესი არ იკარგება. ჩვენ შეგვიძლია ნამდვილად ვიგულვოთ, რომ მას თავისი მასალა საკარო პოეზიიდან კი არა აქვს ნასესხები, არამედ ზეპირი ტრადიციიდან. „...მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“ (9), რა თქმა უნდა, ძველი თქმულება იქნებოდა, რომელიც მან გარდაქმნა თავისი ძირითადი შეხედულებების შესაბამისად. აი, რატომ იყენებს იგი საგმირო პოეზიისათვის ჩვეულებრივ თემებს, და მათ ახალ ხასიათს ანიჭებს. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია განუყრელი და ერთმანეთისათვის თავდადებულ გმირთა ისეთი წყვილები, როგორიცაა გილგამეში და ენქიდუ˙, აქილევსი˙ და პატროკლე˙, როლანდი˙ და ოლივერი˙. ტარიელი და ავთანდილიც ასეთივე წყვილია. მათი მეგობრობა გილგამეშისა და ენქიდუს მსგავსად, მართალია, საომარი შეჯახებით არ იწყება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამის მსგავსია ტარიელის უეცარი გამოჩენა და მონების დახოცვა. ავთანდილი მიემგზავრება მის მოსაძებნად. ეს სახიფათო საქმეა, რამდენადაც ავთანდილმა არ იცის, როგორ მიიღებენ მას. იგი მიაკვლევს ტარიელის ქვაბს, სადაც მისთვის თავდადებულ ასმათს ნახავს და დაარწმუნებს კიდეც მოეხმაროს განზრახვაში. ასმათი შეამზადებს ტარიელს და როცა ავთანდილი გამოჩნდება, ყველაფერი

მოგვარდება, იმიტომ რომ ერთმანეთში ყველა თავისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელ ამხანაგს ჰპოვებს. ეს არის დაუოკებელ გრძნობათა ამბავი:

„გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთავრე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,
ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი
მე და რად!

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდეს,
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჭვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.“
(278-279)

მათ შორის ერთხელვე დამყარებულ მეგობრობას ვერაფერიღა არყევს, პირიქით, ეს ძმადნაფიცობა ურთიერთთავგანწირვით უფრო მტკიცდება. ავთანდილსაც ტარიელივით მთელის გულით სწადია ნესტანის პოვნა და არანაკლებ მოხერხებული და ენერგიულია ამ საქმეში. მაგრამ ეს მეგობრობა რომანტიკული თავდადების ძლიერი ელემენტით არის შეფერილი. ავთანდილი ტარიელში ხედავს „ძმას, უმტკიცესსა ძმობისას“ და მეფეს გასამართლებლად ეუბნება: მის საძებრად ვიყავიო წასული. ზუსტად ეგრევე, როცა ტარიელი შიშობს, შეიძლება ავთანდილისადმი პირისგატეხა დამბრალდესო, გულმდუღარედ ეუბნება:

„უთხრა: ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე;
აწ, დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიცე...“
(863)

ტარიელი და ავთანდილი ისევე ერთგულობენ ერთმანეთს, როგორც ორივენი ერთად ნესტანსა და თინათინს. უზიარებენ რა თავის იდეალურ სიყვარულს ქალებს, თავადაც თითქმის, რაღაც ამნაირსავე გრძნობენ ერთურთის მიმართ. როგორც კი დაიწყებს გმირი ამ სამყაროში ცხოვრებასა და მოქმედებას, ეს გრძნობა მყისვე ეუფლება და მსჭვალავს მთელ მის არსებას.

საგმირო პოეზიის მეორე ტრადიციული თემაა მსახურის პატრონისადმი ერთგულების თემა. მსახური ერთგულებს პატრონს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყველა ღალატობს მას. ასეთია მეღორე ევმეოსი˙ და მოხუცი ევრიკლეა˙ „ოდისეაში.“ ასეთია ასმათი „ვეფხისტყაოსანში“. როცა ასმათი პირველად გამოჩნდება – იგი ნესტანის ნდობააღჭურვილი მოახლეა. მას თავისი პატრონის წერილი მიაქვს ტარიელთან და ნესტანთან მიჰყავს იგი. ნესტანის მოტაცების ამბავს იგი ატყობინებს ტარიელს და ისეა გულშეღონებული, რომ ძლივსღა ამოიკვნესებს:

„მითხრა: „ღმერთმან სიმგრგვლე ცისა ჩვენთვის
რისხვით წამოგრაგნა.“ (562)

მან იცის, რას მოასწავებს ეს ცნობა ტარიელისათვის და მზად არის მისი ხელით მოკვდეს. როცა ტარიელი მისადმი არამცთუ მტრობას გამოამჟღავნებს, არამედ მოკავშირედ იგულვებს ნესტანის მოსაძებნად, ასმათი მას ისეთივე ერთგულებით ემსახურება, როგორც მანამდე ნესტანს ემსახურებოდა. იგი მასთან რჩება. ველად გაჭრისას მას ახლავს, იგია ერთადერთი ხმისგამცემი უკაცრიელ ქვაბში, სადაც მას ავთანდილი იპოვის. სწორედ იგი მოაწყობს ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის საქმეს ისეთნაირად, რომ ისინი შეყრისთანავე მეგობრდებიან, როცა მოყმენი მას სტოვებენ, იგი ცხელი ცრემლით მისტირის მათ:

„...ასმათ ტირს, მოსთქვამს: „ჰე, ლომნო, ვისნი
ვით მოგთქმენ ენანი!
მზემან დაგწვნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი,
ვა ჭირნი ჩემნი ეზომნი! ვა, სიცოცხლისა თმენანი!“ (933)

ასმათი ყველგან თან ახლავს გმირებს და თუმცა იგი მონაა, მას დიდი თავაზიანობითა და პატივისცემით ეპყრობიან. იგი ისე ახლოა ტარიელთან, როგორც ევრიკლეა და ევმეოსი ოდისევსთან და ტელემაქესთან*. და თუმცა იგი ერთგულ მსახურთა ტრადიციულ კლასს ეკუთვნის და ამის შესაფერადაც იქცევა, – ისიც ამაღლებული სიყვარულის ენით ლაპარაკობს და შეუპოვარი თავდადებით თან მიჰყვება ველად გაჭრილ მიჯნურს, იმიტომ რომ ტარიელს უყვარს მისი პატრონი.

ჰეროიკულ თემათა ანალოგიური ტრანსფორმაცია მეორეხარისხოვან ეპიზოდებშიც შეინიშნება. გმირები ჰკლავენ ტრამალების ნადირებს, ლომებსა და ვეფხვებს. უფროსი მჰერი* ამის კარგი მაგალითია. ლომი ზიანს აყენებს მის ხალხს და იგი ლომს შესანიშნავი უზრუნველობით ჰკლავს.

„ერთი ხელი მან ლომის პირს მოჰკიდა, ზემოდან.
მეორე ყბაში ჩასჭიდა,
მჰერმა ასწია და ორად გახლიჩა იგი.
მარცხენა ნაჭერი მარცხნივ ისროლა,
მარჯვენა ნაჭერი – მარჯვნივ.“

ჰეროიკულ სამყაროში ასე უნდა ანადგურებდეს მხეცებს გმირი. ტარიელი უფრო რთულ სიტუაციაშია. პირველი გამოჩენისთანავე იგი ვეფხისტყავითაა შემოსილი და ეს გვამზადებს შემდგომი ეპიზოდისათვის. განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსთაველის პლატონური თვალსაზრისისათვის ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავი, თუმცა იგი უცნაურ

გარემოებებშია ტრანსპონირებული. გული რომ აღარ დაუდგა ქვაბში, ტარიელი გავიდა ველად და ლომ-ვეფხს წააწყდა. იგი ჯერ აღტაცებითა და სიყვარულით შესცქერის მათ, რადგან ჰგონია მიჯნურებს ჭვრეტს, მაგრამ შემდეგ საქმე სხვანაირად შეტრიალდება:

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დარიდნეს;
გამორიდნა ვეფხმან გული, – დედათამცა განარიდნეს! –
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.

ლომსა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!“
ხრმალ-გამოწვდილი გავუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა.

ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭკალითა სისხლთა მღვრელითა,
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.“

(898-900)

თვით გარეულ მხეცებთანაც კი თავისი მრწამსისა და მთავარი ვნების ერთგულია ტარიელი, იგი პრიმიტიული გმირების მსგავსად იქცევა, ოღონდ ამას სჩადის საკუთარი ძლიერი პიროვნული მოტივების გამო.

არანაკლებ შესანიშნავია ტარიელის პირველი გამოჩენა პოემაში. დიდებული უცხოელის გამოჩენა – საგმირო პოეზიის ნამეტნავად საერთო თემაა და, ჩვეულებრივ, დეტალურადაც დამუშავებული. მაგრამ ტარიელის გამოჩენა მეტისმეტად ორიგინალურია. როსტევანი და ავთანდილი ნადირობისას დაინახავენ წყლისპირს მჯდომარე მტირალ მოყმეს. მონა მიდის და ამცნობს, რომ მეფეს

მასთან ლაპარაკი სწადია, მაგრამ ტარიელი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს. მაშინ მეფე მის შესაპყრობად თორმეტ მონას მიაგზავნის. ტარიელი ხედავს მათ, მაგრამ არაფერს იღონებს, და მხოლოდ ამასღა იტყვის „ვაჰ მეო“, იგი ღრმად არის დაძირული თავის ჭმუნვაში, მაგრამ ამისდამიუხედავად იგი გმირია, როგორც ამას შემდეგი მოქმედება გვიჩვენებს:

„თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ხრმალ-ჯაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი რად იყურნა! –
სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა.

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.“
(92-93)

ტარიელი შეიძლება ნაღვლიან ფიქრებში იყო გართული თავისი დაკარგული სიყვარულის გამო, მაგრამ როცა მის ღირსებას შელახავენ, იგი ისე იქცევა, როგორც კარგად ზრდილ მოყმეს შეეფერება. იგი არაჩვეულებრივ ძალას ავლენს. მისი სამიჯნურო განწყობილება არაფრით ჩრდილავს მის ძალგულოვნებას... მისი ფიქრები სიყვარულზე მჭიდროდაა დაკავშირებული სიამაყესთან, და ამ ფიქრებში ვისიმე ჩარევა – სასიკვდილო შეურაცხყოფაა. დიდად სანიშნოა ისიც, რომ მონების დახოცვის შემდეგ იგი მეფის ხმის გაუცემლად გაერიდა იქაურობას.

ახალ პერსპექტივაში საგმირო თემების ამ ადაპტაციაზე უფრო მოულოდნელია კომედიური ელემენტი, რომელსაც რუსთაველი მხოლოდ ერთხელ, თითქმის თავისი საგმირო პრინციპების ხარჯზე, – მიმართავს. საგმირო პოეზია მის გმირებზე გაცინების ნებას იძლევა და რუსთაველი სარგებლობს

ამ ძველი ტრადიციით ფატმანის ამბის აღსაწერად. იგულისხმება, რომ მან იცის რაღაც ნესტანის დაკარგვის და ავთანდილი ვაჭრის სამოსში გადაცმული მიდის მასთან. ფატმანი ნესტანისა და თინათინის დარი მზეთუნახავი არ არის, იგი უფრო უხეში თიხისგანაა გამოძერწილი.

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.“

(1065)

მას ერთი ნახვით შეუყვარდება ავთანდილი და თავის ხვაშიადს უმჟღავნებს კიდევაც წერილით. ფატმანისა და ჩვენდა გასაოცრად ავთანდილი წერილითვე პასუხობს. თუმცა ფატმანი გააფრთხილებს მას, ამაღამ ნუ მეწვევიო, ავთანდილი მაინც მიდის და შესვლისთანავე დიაცს წყენას შეატყობს. მალე კარში გამოჩნდება ახალგაზრდა კაცი, რომელიც დაემუქრება ფატმანს და წავა. ფატმანი იმ კაცის მოკვლას შეევედრება თავის ახალ მიჯნურს. ავთანდილი უსრულებს თხოვნას. დამშვიდებული და აღტაცებული ფატმანი ავთანდილს უყვება ნესტანის ამბავს. აქ ცნობას უდიდესი ღირებულება აქვს, როგორც პირველ გარკვეულ ცნობას. ავთანდილი თავს დავალებულად გრძნობს და ფატმანის სიყვარულს „იფერებს“, მაგრამ დაუნანებლად კი არა:

„მას ღამე ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა;
ყმა უნდო-გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა,
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,
გული მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთავე თანა რბოლითა.

[...] იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდია ვისად,
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად!“

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იადონია.
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია."

(1240-1242)

პოეტი პირდაპირ დასცინის ფატმანს, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ის ამავე დროს ცბიერად უღიმის ავთანდილს. არც ერთ მათგანს იგი არა სჯის, ისევე როგორც ჰომეროსი არ ამტყუნებს ოდისევსს, როცა იგი მისდაუნებურად ცირცეას და კალიფსოს სარეცელზე აღმოჩნდება. რუსთაველს შეეძლო გაემართლებინა ავთანდილი იმიტომ, რომ ფატმანმა მას ნესტანის კვალს მიაგნებინა და მით ტარიელის წინაშე თავისი ვალი პირნათლად შეასრულებინა. თუმცა მთელი ეს ეპიზოდი, ლაღი, თითქმის ფრივოლური სულითაა გამსჭვალული, და იდეალური სიყვარულის დომინირებულ ფონზე ბურლესკად˙ გამოიყურება, – ის მაინც არ წარმოადგენს თხრობის საერთო ჩარჩოებისათვის შეუთავსებელ რასმე. და მართლაც, ეს ეპიზოდი რაღაცით ახალისებს თხრობას, თუმცა სიყვარულის შედარებით დაბალ დონეს ავლენს.

სიყვარულის კულტზე კონცენტრირება ხელს არ უშლის რუსთაველს მოგვითხროს ამაღელვებელი ამბები, ან შმაგი მოქმედების აღწერაში მეტოქეობა გაუწიოს ჰეროიკულ პოეტებს. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა ტარიელი, ნესტანის გულისმოსაგებად ხატაელთ ესხმის თავს. რამაზ მეფე მზაკვრობას იჩენს – ტარიელს ზავსა და საჩუქრებს სთავაზობს, თავმოკატუნებული ცდილობს მცირე რაზმით შეიტყუოს იგი, ისე როგორც ნორზესთან ატლამალ ატლი˙ გუნარს˙ იწვევს დარბაზში. ტარიელი ჯერ მოტყუებულია და რამაზს თხოვნას უსრულებს, მაგრამ მოულოდნელად კაცი აფრთხილებს, ღალატი გელისო:

„რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გღალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ.“
(427)

ტარიელი კვლავ წინ მიიწევს თავისი რაზმით, ხატაელთ რა შეეყრება, ლაშქარს ბრძოლად მოუწოდებს. ტარიელი ყველა მეომარს აღემატება თავისი მამაცობით.

„შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.

ერთობილნი მომეხვივნეს, მგრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგნის, სისხლსა მჩქეფრსა ამოვღვრიდი;
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი.
სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შეჰქმნია ჩემი რიდი.“
(440-441)

ასეთი მამაცობა იმდენად აშინებს ხატაელებს, რომ ისინი უკვე მზად არიან ჩაბარდნენ მოწინააღმდეგეს. ამ დროს დანარჩენი ლაშქარიც მოაღწევს და ტარიელის მოყმენი საბოლოოდ მუსრავენ მტერს. ესაა შესანიშნავი ეპიზოდი, რომელშიც გმირის პირადი ვაჟკაცობა – მისვე სამხედრო ხელოვნებასა და მბრძანებლობის უნართანაა შერწყმული.


კიდევ უფრო შესანიშნავი და ორიგინალურია ის ეპიზოდი, რომელშიც ნესტანი ბოლოსდაბოლოს თავისუფლდება ქაჯეთის ციხიდან. ეს ციხე არამარტო მიუდგომელია, არამედ მრავალრიცხოვანი ციხიონითაა გამაგრებული. სამი გმირი – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მოქმედების საუკეთესო ვარიანტს ეძებენ. ფრიდონს მზადა აქვს ბრწყინვალე რჩევა, მას ჯერ კიდევ ყმაწვილობისას უსწავლია საბელზე გასვლა

და მუშაითობა. მისი აზრით, საჭიროა საგდებელის ატყორცნა ციხეს. ამ გზით იგი ციხეში შევა ფარულად და მათ გაუღებს კარებს. ავთანდილი უარყოფს ამ თათბირს, იმის გამო, რომ გუშაგნი გაიგებენ აბჯრის ჩხერებას და საბელს გადაჭრიან. ამის მაგიერ იგი ვაჭრულად გადაცმასა და ამ გზით ციხეში შეღწევას სთავაზობს მათ. ტარიელი ამ თათბირსაც უარყოფს: მათ შემხედვარე ნესტანს ხომ შეიძლება ეგონოს, რომ იგი უქმადა დგას. „ესე მე დამსვრის“ (1389), აცხადებს იგი და ახლა თავის თათბირს სთავაზობს ორივე გმირს. ისინი სამად გაყოფენ ლაშქარს და ერთდროულად დაესხმიან ციხეს. გმირები ტარიელის თათბირის თანახმად მოიქცევიან და გაიმარჯვებენ კიდევაც. ეს ეპიზოდი რუსთაველის ხელოვნების რთულ ხასიათს გვიმჟღავნებს. მიუხედავად იმისა, რომ მას თამამი რომანტიკული შეხედულებები აქვს, როცა საქმე ომს შეეხება, რუსთაველის სტრიქონები რეალისტური და დამაჯერებელი ხდება: სამხედრო ხერხის გამოყენება შეიძლება მეტად საინტერესო იყოს, მაგრამ იგი პირისპირ შებმას ამჯობინებს. უფრო მეტიც, მეგობართა თათბირის არჩევისას იგი მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ხელმძღვანელობს პირადი ღირსების მოსაზრებებით. უსამართლობა იქნებოდა, რომ ერთერთ მათგანს რგებოდა წილად პასუხისმგებლობა და ამიტომ დიდებაც. ამის გამო, ფრიდონიცა და ავთანდილიც ეთანხმებიან ტარიელის თათბირს. პასუხისმგებლობაც და დიდებაც მათ თანაბრად გაინაწილეს.

რუსთაველი თავის ნაამბობს სხვა საშუალებებითაც ახალისებს. „ვეფხისტყაოსანი“ შედარებებისა და მეტაფორების მომხიბვლელი სიურპრიზებითაა სავსე. რუსთაველს ძალუძს ერთდროულად გამოგონილი და რეალისტური შტრიხებით დაგვიხატოს სურათი. მისი მოქმედი პირები შესანიშნავ მჭევრმეტყველებას იჩენენ ან ქველი გრძნობებით გამსჭვალულ წერილებსა წერენ. ამის მეოხებით იდეალური სიყვარულის ვრცელი ამბავი, რომელიც შეიძლებოდა მოსაწყენი გამხდარიყო, სიცოცხლესა და მრავალფეროვნებას იძენს. მიუხედა-

ვად ამისა, პოემა რომანტიკულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ცხოვრებას ისე არ სახავს, როგორც რუსთაველი ხედავდა მას. რუსთაველსა და სხვა რომანტიკულ პოეტებს შორის ის განსხვავებაა, რომ მაშინ როცა ამ უკანასკნელთ უპირატესად გართობა და დროსტარება აინტერესებდათ, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს გარკვეული, თითქმის რელიგიური მისია და შეხედულებანი გააჩნია. ახდენს რა სიყვარულის პლატონურ მოძღვრებასთან – ერთი მხრივ საგმირო საქმეებისა და მეორე მხრივ რეალობის ჯანსაღი გრძნობის კომბინირებას, რუსთაველი გვიჩვენებს, თუ რა ადგილი უნდა დაეჭირა მას ცხოვრებაში. მისი აზრით, ასეთი სიყვარული რეალურ სამყაროში უნდა არსებობდეს და ვაჟკაცურ საქმეებთან უნდა იყოს დაკავშირებული. რუსთაველი თავის მოძღვრებას უფრო გულდასმითა და მეტის თანამიმდევრობით ამუშავებს, ვიდრე ამას ფრანგული და სპარსული რომანტიზმის წარმომადგენლები აკეთებდნენ. და საჩინოს ხდის, რა მოხდებოდა, რომ ადამიანებს აქამდის მიეღწიათ.

სერგო ქობულაძე



დ. 1909 ახალციხე, საქართველო
† 1978 თბილისი, საქართველო

ქართველი მხატვარი, გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი.

1932–1933 წლებში სერგო ქობულაძე მუშაობდა მექსპირის ტრაგედიების, ხოლო რუსთაველის იუბილესთვის (1937) „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრისათვის სერგო ქობულაძემ შექმნა საზეიმო ფარდა (1960), რომლის ესკიზზე მუშაობას რამდენიმე წელი მოანდომა.

სიცოცხლის ბოლო წლებში სერგო ქობულაძე შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, წმინდა კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მხატვარი თვლიდა, რომ ძველი ქართული ხუროთმოძღვრება აღმაფრენასთან ერთად მკაცრ რიცხობრივ კანონებს ემორჩილებოდა. ის წლების განმავლობაში ეძებდა ამ კანონზომიერების ამოსახსნელ განტოლებას.

მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურის შესწავლისას მხატვარმა მიაკვლია მარადიული პროპორციების ოქროს კვეთს და ფარგლისა და გრაფიკული ანალიზის საშუალებით ამოხსნა საიდუმლო.

ეს ნაშრომი, სათაურით „ოქროს კვეთა“ 1998 წელს გამოქვეყნდა.

ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ

ამ გამოკვლევაში ძველი კლასიკური ძეგლების ანალიზის საფუძველზე განხილულია ნახატში, სკულპტურასა და არქიტექტურაში კომპოზიციის აგების შეგნებულად გათვალისწინებული სისტემის როლი და მნიშვნელობა.

კომპოზიციური აგების ძველ დროში ჩამოყალიბებული ფუნდამენტური ტრადიცია გეომეტრიულ სისტემას წარმოადგენს. ეს სისტემა „სიმეტრიის", ე.წ. ნაწილების მთელთან თანაზომადობის ერთიანობის პრინციპის თანახმად (ტერმინი ძველი მნიშვნელობით იხმარება), დამხმარე ტექნიკურ საშუალებად არის გამოყენებული პროპორციულ შეფარდებათა შექმნისას.

საქმე ეხება კომპოზიციური აგების ტრადიციას ე.წ. „გეომეტრიული სიმეტრიის" სისტემაში, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ფართოდ ცნობილი „არითმეტიკული ანუ მოდულური სიმეტრიის" ვიტრუვიუსისეული სისტემისაგან.

მოდულური სისტემის ყველა ცნობილი სახესხვაობა არსებითად ვიტრუვიუსის კანონის პირდაპირ ან შუალობით განვითარებას წარმოადგენს. ამ სისტემის თანახმად, ნაგებობის რაიმე ნაწილს, მაგალითად, კოლონის დიამეტრს, მოდულის სახით ერთეულის მნიშვნელობა ენიჭებოდა და მისი მეშვეობით მთელი ან წილადი ჯერადი რიცხვებით განსაზღვრავდნენ შენობის სხვადასხვა ნაწილის ზომას.

ირაციონალურ შეფარდებათათვის მოდულით ოპერირება „გეომეტრიულ სისტემას" განეკუთვნება. იმ ძეგლებში, რომ-

ლებსაც ჩვენ განვიხილავთ, აგება, როგორც წესი, ორგანზომილებიანი სიდიდეების, ძირითადად სწორკუთხა ველების, შეფარდებას ემყარება. სისტემა ჩვენ მიგვაჩნია წმიდა ტექნიკურ საშუალებად, თავისებურ იარაღად, რომელიც აწესრიგებს და აკონტროლებს კომპოზიციის აგების პროცესს. გამოკვლევაში არ განვიხილავთ ტექნიკის ელემენტთა და შემოქმედებითი ინტუიციის შერწყმას, ე.წ. ოსტატობას, მხატვრულობას და სხვა ამათ მსგავს ეკვივალენტურ თვისებებს – ე.ი. გვერდს ვუვლით იმ პრობლემას, რომელიც მეცნიერული ესთეტიკის საგანს შეადგენს.

ამავე დროს ჩვენ საანალიზო მასალა მარტოოდენ ისტორიულ ასპექტში არ გვაინტერესებს; გამოკვლევაში წარმოდგენილი ზოგი მოსაზრება აქტუალური ხასიათისაა და ეხება კომპოზიციური აგების სისტემის გამოყენებას თანამედროვე ხელოვნების გარკვეულ დარგებში – მონუმენტურ ხელოვნებაში, გრაფიკის მრავალ სფეროში და აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სახეობაში.

კომპოზიცია განიხილება, როგორც კანონიკური (კანონზომიერი) კომპოზიცია – თუკი მისი აგების დროს გარკვეულ სისტემას ემორჩილებოდნენ, და – როგორც თავისუფალი, ე.ი. იმპროვიზაციული კომპოზიცია.

ცნობილია, რომ წინარე ელინისტური საბერძნეთის ხელოვნებაში „გეომეტრიული სიმეტრია“ იყო გაბატონებული (იგი კვლავ აღორძინდა ადრეული საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში).

„არითმეტიკული სიმეტრია“ (დაცემის ერთი უმთავრესი ნიშანი) ელინიზმის პერიოდში ჩამოყალიბდა და ბერძნულ-რომაულ ხელოვნებაში გავრცელდა, ხოლო შემდეგ ახლად აღორძინდა და განვითარდა რენესანსის ეპოქაში.

იმპროვიზაციის ტენდენცია, მისთვის დამახასიათებელი გაუთვალისწინებლობის, შემთხვევითობის ელემენტებითურთ, ბაროკოს ხელოვნებაში იჩენს თავს.

შემდგომ, მაგალითად, კლასიციზმის დროს, კომპოზიციაში იმპროვიზაციის გაბატონებას რამდენადმე შეენაცვლა თავისუფალი ინტერპრეტაციის მოდულური სისტემის გამოყენება.

სადავო არაა, რომ შემოქმედებითი ინტუიციის შედეგად შეიძლება მივიღოთ მეტ-ნაკლებად ჰარმონიული კომპოზიცია. ამის დასტურია ახალი დროის შედევრები, რომელთა შექმნისათვის არავითარი კომპოზიციური სისტემისათვის არ მიუმართავთ.

არსებითად, ყოველი კომპოზიცია თანაზომადობისა და რიტმის პრინციპს ემორჩილება. მაგრამ ინტუიციის შესაძლებლობანი, ე.ი. „თვალით" კომპოზიციის აგების შესაძლებლობა ფრიად შეზღუდულია; ხოლო გაცნობიერებული აგება, რომელიც „სიმეტრიის" კანონებს ემორჩილება, ინტუიციას უქმნის უმდიდრეს სამოქმედო არეს, რადგანაც ეს სისტემა მოჩვენებით ესთეტიკურ ნორმებს კი არ ემყარება, არამედ მას საფუძვლად უდევს ზუსტი მეცნიერების ობიექტურად შეცნობადი კანონები.

ცხადია, რომ ჟანრული ხელოვნების მრავალი დარგისათვის, აგრეთვე პორტრეტის, პეიზაჟის ხელოვნებისათვის კომპოზიციური სისტემა მიუღებელია.

კომპოზიციური აგების ის მკაცრი სისტემა, რაც კლასიკურ ბერძნულ ძეგლებშია გამოვლენილი, განსაკუთრებით ცხადყოფს ერთ გარემოებას: კანონიკურ ხელოვნებაში კომპოზიციის ესთეტიკური ღირებულება (როგორც შემოქმედებითი ინტუიციის, ტალანტის შეუცნობადი ძალის ნაყოფი) ის დამატებითი შედეგია, რომელიც ხელოვანის წინაშე დასმული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას მოჰყვება.

„სიმეტრია", რომელიც კომპოზიციის შინაგან სტრუქტურას წარმოგვიდგენს, მიზანშეწონილია, თუკი იგი გარეგნულად გამართლებული იქნება.

არქიტექტურის არსებითად აბსტრაქტული ფორმების შინაგანი „სიმეტრია" გარეგნულად გამართლებული იქნება, თუკი იგი უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც განაპირობებს ნაგებობის ფუნქციონალური დანიშნულება, მასშტაბურობა, სა-

შენი მასალისა და სამშენებლო ტექნიკის დონით ნაკარნახევი კონსტრუქცია.

სახვითი ხელოვნების ფორმათა შინაგანი „სიმეტრია“ გარეგნულად იმითაა გამართლებული, რომ წარმოადგენს სტრუქტურას ასახვის ობიექტისა – კონკრეტული საგნისა, რომელიც, თავის მხრივ, ნაწარმოების რეალური სახისა და შინაარსის შესაბამისია.

რეალისტურ სახვით მონუმენტურ ხელოვნებაში კომპოზიციის აბსტრაქტულ-გეომეტრიულ აგებასთან დაკავშირებულ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ ნატურალური საგნის, მაგალითად, ადამიანის, აბსტრაჰირება, ოღონდ იმ მიჯნის დაცვით, რომ არ დაირღვეს ამ საგნის რეალური ხატი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ თუმცა, ბერძნების აზრით, სახვითი ხელოვნება „მიბაძვითი“ ხელოვნება იყო, ისინი მაინც შორს იყვნენ ნატურალიზმისაგან.

მეორე მხრივ, „მიბაძვის“ პრინციპის ერთგულება ფორმათა განზოგადების დროს წარმოადგენდა განკერძოებულ ფორმალურ პროცესს.

თანამედროვე აბსტრაქტული ხელოვნება არ ემორჩილება „გარეგნული გამართლების“ იმ პრინციპს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ამგვარადვე უცხოა ნატურალიზმისათვის შინაგანი აგებულება, ე.ი. რამდენადმე მაინც განზოგადება ფორმებისა („სიმეტრია“).

ძველი ბერძნების ხელოვნებაში „გეომეტრიული სიმეტრიის“ აბსტრაქტული სისტემა, როგორც კომპოზიციის შინაგანი სტრუქტურის აგების მეთოდი, გარემომცველი რეალური სინამდვილის კომპოზიციის „მიბაძვის“ პრინციპით იყო გარეგნულად გამართლებული.

ფორმის განზოგადების ხარისხი რეალისტური ნაწარმოების შინაარსითა და სახით არის ნაკარნახევი.

მონუმენტური გამოსახულების კრებითი, განზოგადებული სახე, „სიმეტრიის“ თანახმად, შესაბამის განზოგადებულ ფორმებს მოითხოვს.

რაც უფრო კონკრეტულია შესაქმნელი ნაწარმოების სახე, მით უფრო მეტი თავისუფლება ენიჭება კომპოზიციის იმპროვიზაციული გადაწყვეტის ხერხებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველ დროში ზუსტ მეცნიერებათა ყველა სფერო ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. საქართველოსთვის ყველაზე მახლობელი კულტურის მქონე ქვეყანაში – კლასიკურ საბერძნეთში განხორციელდა ხელოვნებისა და მეცნიერების ჭეშმარიტი სინთეზი.

ამას ადასტურებს ზომის კატეგორიის ის პრინციპი, რომლითაც გამსჭვალულია ბერძნული კულტურის ყველა სფერო. სივრცით ხელოვნებებში ბერძნებს არ შეეძლოთ უარეყოთ შესაბამისი მეცნიერება – გეომეტრია. ზუსტ მეცნიერებათა სფეროდან თვალსაჩინო ტექნიკურ საშუალებათა სახით (აბსტრაქტული რიცხვისაგან განსხვავებით), ხელოვნებასთან პირდაპირი კავშირი სწორედ გეომეტრიამ დაამყარა.

ნ. ბრუნოვი* აღნიშნავს, რომ მესელის* წიგნის „პროპორციები ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში"[1] მიხედვით, პროპორციის პრობლემა ესთეტიკურ პრობლემად მხოლოდ შემდეგ გადაიქცა, საბოლოოდ – მხოლოდ რენესანსის ეპოქაში, და ეს მაშინ, როცა ძველ დროში, პროპორციის პრობლემა უმთავრესად იყო, ერთი მხრივ, ტექნიკური პრობლემა, ხოლო მეორე მხრივ, რელიგიურ-მაგიური პრობლემა, რამდენადაც არქაულ ეპოქებში არქიტექტურა რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა და ქურუმთა კონტროლს ექვემდებარებოდა. ამ გარემოებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი დამხმარე როლი შეასრულოს აწ დაკარგული ძველი მეთოდების ამოხსნაში.

საქმე ისაა, რომ ღრმად ტრადიციული რელიგიურ-მაგიური ფაქტორები, რომლებიც მოიცავდნენ მეცნიერებასა და ხე-

[1] Э. Мессель, *Пропорции в Античности и в Средние века*. Издательство Всесоюзной Академии архитектуры. 1936. 258 стр. пер. с нем. Н. Б. Вургафт ; под ред. Н. И. Брунова.

ლოვნებასთან ერთად მთელ ძველ კულტურას, თავისთავად მეთოდის ელემენტებს არ წარმოადგენდნენ, რაკი წმინდა სახით – მისტიკურ საბურველს მიღმა ეს მეთოდი კომპოზიციური აგების რაციონალურ ინსტრუმენტს, ანუ „გეომეტრიულ სისტემას“ წარმოადგენდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპოზიციურ აგებასთან შერწყმული მისტიკური ელემენტები, აგებასთან, რომელიც მოკლებული არ იყო ტრადიციულ წესსა და კანონზომიერებას, შესაძლებლობას გვაძლევს გეომეტრიული ანალიზის პროცესში სწორი გზა მოვსინჯოთ. მაგალითად, ძველი ოსტატების ტრადიცია – მიენიჭებინათ არქიტექტურის აბსტრაქტული ფორმებისათვის, „გეომეტრიული სიმეტრიის“ რიცხვებისა და თემებისათვის სიმბოლური და თვისებრი მნიშვნელობა (პითაგორელთა˙ მსგავსად), გადამწყვეტი აღმოჩნდა მცხეთის ჯვრის არქიტექტურის ასიმეტრიის მიზეზთა განსასაზღვრელად... ეს მიზეზები ჯერჯერობით უპრეცედენტოა.

ამას გარდა, არქაულ ხანაში სწორედ ზემოხსენებული ფაქტორები უზრუნველყოფდნენ იმ საუკუნეობრივი ტრადიციული საფუძვლების წმინდად დაცვას, რომლებიც თავის თავში მისტიკასთან და სოფისტიკასთან ერთად მეცნიერების ჭეშმარიტ ელემენტებს შეიცავდნენ. ამიტომ ნუ გაიკვირვებს მკითხველი, თუ ამ გამოკვლევაში, სადაც საჭირო და შესაძლებელია, მიხვედრებისა და ჰიპოთეზების კვალშიც ვდგები. ეს მიხვედრები და ჰიპოთეზები დაფუძნებულია ზემოთ ხსენებულ დებულებებზე, რომელთა ნაწილი დოკუმენტურად არის დადასტურებული, ხოლო ნაწილი მეტ-ნაკლებად ალბათობით ივარაუდება, როგორც ამ დებულებებიდან გამომდინარე შედეგი.

ოფიციალური ხელოვნების ქმნილებები – ტაძრები, ღმერთებისა და გმირების გამოსახულებანი – რელიგიისათვის მარტო უტილიტარული და დიდაქტიკური თვისებებით არ იყო ფასეული. მისთვის ამ ხელოვნებაში დაუნჯებული იყო კომბინაციათა ტრადიციული კანონზომიერებით აღბეჭდილი საღვთო

გეომეტრიული ფიგურები, რიცხვები, მისტერიის რელიგიურ სისტემათა ხატოვანი სიმბოლოები და სხვა მსგავსი აქტუალური თვისებები.

ოსტატის მთავარ ფორმალურ პრობლემას გეომეტრიის მეშვეობით კომპოზიციური აგების ერთიანობა წარმოადგენდა, ასე რომ, „სიმეტრია“ ტრადიციულ სისტემაში ხორციელდებოდა. ახლა ჩვენთვის უცხოა ზემოთ აღნიშნული რელიგიური ღირებულებანი და ძველი ოსტატების პრობლემები. ძველი ეპოქის ძეგლებში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ესთეტიკურ მხარეს, რომელიც ძველთათვის დამატებით ღირებულებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ შედეგი იყო ძველი ოსტატის მიერ გადაწყვეტილი ყველა იმ კონკრეტულ-ტექნიკური ამოცანისა, რომელიც ფართო და მაღალი მნიშვნელობით გაგებული ხელოვნების ხელოსნურ ასპექტს ასახიერებდა. ასე რომ, კაცი ოსტატი ხდებოდა მაშინ, როცა მისი ხელოვნება ნიჭის ძალითა და შემოქმედებითი ინტუიციის მეშვეობით ოსტატობად გარდაიქმნებოდა, რაც ხელოვნების ეკვივალენტურია.

ამრიგად, ძველად სივრცითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის მეთოდები (უტილიტარულ და დიდაქტიკურ მოთხოვნილებათა გათვალისწინების გარდა) მოჩვენებით ესთეტიკურ ნორმებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ პროპორციულ შეფარდებათა კონკრეტული, ობიექტურად შეცნობადი კანონების ფუნდამენტურ საფუძვლებს.

ეს კანონები არითმეტიკული და გეომეტრიული „სიმეტრიის“ გარკვეულ სისტემებად ყალიბდებოდა და იმ იარაღად მოიხმარებოდა, რომელიც ნაწარმოების ფორმათა კომპოზიციური ერთიანობის შექმნისაკენ მიმართავდა ამავე მიზნებისათვის ორგანიზებულ შემოქმედებით ინტუიციას.

როგორც ზემოთ ითქვა, არქაულ ეპოქებში პროპორციის პრობლემა არსებითად ქურუმების რელიგიურ-მაგიურ დიქტატსა და კონტროლზე იყო დამოკიდებული, მაშასადამე, რაც

უფრო მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი (დიქტატი, კონტროლი), იმპროვიზაციული შემოქმედებითი პროცესი მით უფრო უთმობდა ადგილს დეტერმინირებულ პროცესს.

„დეტერმინიზმი", როგორც ტერმინი, საკმაოდ ზუსტად ასახავს „სიმეტრიის" სისტემათა ბუნების არსს, როგორც კომპოზიციის სტრუქტურის წინასწარ განმსაზღვრელ პროცესს, იმპროვიზაციის ბუნებისათვის დამახასიათებელი „შემთხვევითობისა" და „გაუთვალისწინებლობის" იმ ელემენტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამა თუ იმ დოზით ყოველთვის თან ახლავს უკანასკნელს.

პირველ პროცესში შემოქმედებითი ინტუიციის თავისუფლება კანონის ტექნიკური სიძნელეების დაძლევის გზით მიიღწეოდა, მეორეში – ბერძნული ელინიზაციის პირობებში, – მკაცრი ნორმებისა და წესების თანდათანობით მზარდი დარღვევის გზით, ხოლო შემდგომ მათი გვერდის ავლითაც. ამდენად, ძველი ძეგლების ზედაპირული მიბაძვა (რომელთა შექმნის მეთოდები იმ დროისათვის ან არარენტაბელური გახდა, ან არადა დაკარგული იყო) კომპოზიციური შემოქმედების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა. რაც შეეხება სახვითი ხელოვნების სფეროში მოდელირებას, აქ ნატურალისტურმა ტენდენციებმა იჩინა თავი.

საბერძნეთში დაკარგული ტრადიციების ერთგვარი კომპენსირების ცდას წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეული, ვიტრუვიუსის ერთერთი მოდულური სისტემა – მივიწყებულ (გარდასულ, უარყოფილ) სისტემათა თავისებური სუროგატი. ხელოვნების ასეთი დაცემისათვის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ხასიათის საკმაო მიზეზები არსებობდა, რაც ძველი სამყაროს ელინიზაციასთან დაკავშირებულმა ძირეულმა პერტურბაციებმა გამოიწვია.

ალექსანდრე მაკედონელის* დაპყრობათა შედეგად გეოგრაფიულად გაფართოებულ ელინურ სამყაროში ბერძნული კულტურის გავრცელებამ მეტროპოლიის ხელოვნების მიმართ

გაცხოველებული ინტერესი აღძრა. ხელოვნების გარდასული ტრადიციები ახალ პირობებში გაუგებარი და არარენტაბელური გახდა. ახალი მოთხოვნილების კვალობაზე ძველი ოსტატების ღრმა და შრომატევადი შემოქმედებითი პროცესი შეცვალა ერთგვარად უნიფიცირებულმა სისტემამ, რომელმაც გააიოლა და ამით დააჩქარა ნაწარმოების შექმნის პროცესი.

ამ მიზნებისათვის ყველაზე შესაფერი აღმოჩნდა მოდულური სისტემა, რომელმაც დროითი აპრობირებული ძველი ძეგლების საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე, მათი პროპორციები გაზომვის მეშვეობით უბრალო არითმეტიკულ შეფარდებებზე დაიყვანა. ასეთნაირად გადაწყდა პრობლემა, რომელმაც ანტიკური არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების „ფართო მოხმარება“ უზრუნველყო.

ისმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ თანამედროვე სწავლულებმა ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნების ზოგადი ძეგლის ანალიზის მეოხებით ვიტრუვიუსის ხანაში მივიწყებული და რომაელთათვის არაპოპულარული სისტემა გამოავლინეს?

ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ეს სისტემა, როგორც ჩანს, მიძინებული იქნა ქრისტიანი ბერების მიერ წარმართულ მემკვიდრეობაში, როცა ქრისტიანებმა ხელი მიჰყვეს მანამდე მარტოოდენ რწმენაზე დამყარებული რელიგიური დოგმების მეცნიერულ დამუშავებას.

ამის შედეგად წარმართული რელიგიურ-მაგიური ცნებები და ტრადიციები, კერძოდ, გეომეტრიაში, ტრანსფორმირებული სახით შეითვისა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ. ისინი წინარე ელინისტური ხანის ბერძენი ოსტატების ნიმუშთა მიხედვით საფუძვლად დაედვნენ პროპორციულ აგებათა სისტემის აღორძინებას.

ბუნებრივია, რომ „გეომეტრიული სიმეტრიის“ ირაციონალური სისტემის ბუნება, გარკვეულ უპირატესობათა გარდა, არითმეტიკული სიმეტრიის რაციონალური მოდულური სისტემის უბრალო რიცხვით შეფარდებებთან შედარებით ბევრად

უფრო მდიდარ შესაძლებლობებს შეიცავდა იმისათვის, რომ ზიარებოდა ქრისტიანულ მისტიკას.

ქრისტიანობა თავის ყველაზე მკაცრსა და მდგრად პერიოდულობაში წარმართული რელიგიის ანალოგიური ეპოქიდან ითვისებდა შესაბამის ტრადიციებს. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მაღალი ბერძნული ხელოვნების ჭეშმარიტი მეთოდები ადრეულ შუა საუკუნეებში აღორძინდა, მაშინ, როცა რენესანსმა ბერძნული ხელოვნების დაცემის ელინისტური პერიოდის მეთოდები ააღორძინა, რასაც რენესანსის ოსტატების მიერ პრაქტიკულად მიღებული ვიტრუვიუსის კანონები ადასტურებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ იტალიურმა ბაროკომ, როგორც აღორძინების ხელოვნების მეორე ფაზამ, უარყო სერლიოს' კრიტერიუმი: „შეცდომაში ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რაც უპირისპირდება ვიტრუვიუსის კანონებს" (ასეთი იყო ფინალი კანონიკური ტრადიციების ისტორიაში. უარყოფილი კანონის სანაცვლოდ კომპოზიციის ხელოვნებას აქამდე არ მიუღია რაიმეს შესაბამისი ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული კონცეფცია).

მოდულური სისტემის ნაირსახეობათა ბატონობა ე.წ. ალბერტის' ექსემპედითა' და ლეონარდოს', დიურერისა' და სხვათა შრომებში იმავე სისტემის განვითარებითაც მტკიცდება. თუმცაღა ნ. გიკასის' მოწმობით – ლეონარდო, ლუკა პაჩიოლი' და აღორძინების სხვა ხელოვანნი და სწავლულნი იცნობდნენ და დაინტერესებული იყვნენ „ღვთაებრივი" ოქროს კვეთით, – პრაქტიკულად კომპოზიციის ხელოვნებაში არ იყენებდნენ მას (ლეონარდო ერთი სიტყვითაც არ ახსენებს თავის ტრაქტატში „გეომეტრიულ სიმეტრიას", ხოლო ეს ტრაქტატი, ფაქტობრივად, პრაქტიკული სახელმძღვანელო იყო). მას არ იყენებდნენ აგრეთვე მომდევნო ხანის ოსტატებიც იმ დრომდე, სანამ კეპლერი' არ გახდებოდა „ღვთაებრივი" პროპორციის იდუმალი თვისებების უკანასკნელი აპოლოგეტი.

ასე რომ, ძველ დროში „გეომეტრიული სიმეტრიის“ უკანასკნელ ბურჯს ხმელთაშუა ზღვის კულტურის არეალში შუა საუკუნეებში მომძლავრებული ქრისტიანობა წარმოადგენდა, კერძოდ, ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, რასაც გვიდასტურებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურისა და ატენის სიონის ფრესკების ანალიზი. უეჭველია, რომ მსგავს სისტემას ამჟღავნებენ ქართული ქანდაკება და ჭედური ხელოვნებაც.

ამრიგად, „სიმეტრიის“ დინამიკური სისტემა ძველი საქართველოს სივრცითი ხელოვნების ყველა ძირითად სახეობაშია ასახული, რაც ეროვნული კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ცხადყოფს იმდროინდელი საქართველოს მტკიცე საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ და რელიგიურ საფუძვლებს.

ამასთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, უცნაურია ის ტენდენცია, რომ ძველი ქართული ხელოვნება სავსებით ან უფრო მეტად, ვიდრე ეს საჭიროა, გამოთიშონ ბიზანტიის გავლენისაგან. ბიზანტიაში აკუმულირებული იყო ბერძნულ-რომაულ კულტურასთან შერწყმული მახლობელი აღმოსავლეთის კულტურა. ამავე დროს, პირველი, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, შეიცავდა წინარე ელინისტური საბერძნეთის ძველი ტრადიციების ნამუსრევებს, რაც ასე ბრწყინვალედ – ორიგინალური ინტერპრეტაციით გამოიყენა მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვარმა. ჯვრის შემოქმედის ეს ინტერპრეტაცია, შესაძლოა, „სიმეტრიის“ ანტიკური ხანის სისტემაში არსებითი ხასიათის წვლილი იყოს...

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო მძლავრია პოტენციურად კლასიკური ხელოვნების ტრადიციები, მით უფრო დასაზღვრულია ამ ტრადიციასთან ზიარებულ ცალკეულ ნაციონალურ ხელოვნებათა მრავალფეროვნების შესაძლებლობა. შესაბამისად, მით უფრო რთულია გამოვლინების პროცესი, და, მაშასადამე, თავისთავადობის ყოველი ელემენტი უაღ-

რესად მნიშვნელოვანი და ძვირფასია. რაკი მას კლასიკური ხელოვნების ტრადიციულად კონსტრუქციულ ფორმაში ახალი წვლილი ან ახალი ინტერპრეტაცია შეაქვს...

საქმე ისაა, რომ იმპროვიზაცია ნოვატორობის სფეროში მოჩვენებითს და ამიტომ სწრაფწარმავალ შედეგებს ბადებს.

ახალი ფორმების მოძიების გზა ძალიან არ უნდა დაშორდეს ძველად უკვე მოძიებულ ბრწყინვალე ფორმებს, ე.ი. უწყვეტი ტრადიციის პრინციპს არ უნდა ცვლიდეს შინზრდილი იმპროვიზაცია!

ტექნიკური მემკვიდრეობის გარკვეული დარგების გამოყენება და ათვისება, კერძოდ, კომპოზიციური აგების სისტემის გამოყენება ეპიგონობას არ ნიშნავს, ვინაიდან იგი ფორმების კოპირებას კი არ გულისხმობს, არამედ მეთოდის ათვისებას, მის ახალ ინტერპრეტაციასა და შემდგომ განვითარებას. ძველი სისტემის კარდინალური საფუძვლები დამოკიდებული არ არის დროსა და ადგილზე.

ამის დამაჯერებელ მაგალითებს იძლევა, ერთი მხრივ, ეგვიპტისა და საბერძნეთის, ხოლო, მეორე მხრივ, ბერძნულ-რომაული და რენესანსული ხელოვნება. იმ ერთიან სისტემას, პირველ შემთხვევაში, „გეომეტრიულს“, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოდულურს, – ხელი არ შეუშლია სხვადასხვა ერებისათვის, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში შეექმნათ ორიგინალური, მხოლოდ მათთვის ნიშანდობლივი ხელოვნება.

ვიტრუვიუსისეული სისტემისაგან განსხვავებით „გეომეტრიული“ სისტემა შებოჭილი არ ყოფილა მზა ნორმებით. ამა თუ იმ პირობების შესაბამისად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი თავისუფალი იყო ამ ნორმების არჩევანში და სწორედ ამიტომ არ არღვევდა კომპოზიციური აგების ცოცხალი პროცესის ბუნებას.

ისტორია გვემოწმება, – ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ ხელოვნებასთან მიმართების თვალსაზრისით, ბერძნები საკმაოდ განათლებული იყვნენ ზუსტ მეცნიერებათა სფეროში,

კერძოდ, გეომეტრიაში. ბერძნებს მხოლოდ თანამედროვე გამომთვლელი ტექნიკა თუ აკლდათ. ასე რომ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს „გეომეტრიული სიმეტრიის" ბერძნული სისტემა მაინცდამაინც შევსებასა და კორექტივებს საჭიროებდეს.

ასეა თუ ისე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ სისტემის, მისი ყოველი ინტერპრეტაციის საჩინოყოფა და ათვისება. კლასიკური საბერძნეთის ნაწარმოებებში გამჟღავნებული მთლიანობის განუმეორებელი სრულყოფილება და კომპოზიციური ფორმების ერთიანობა უეჭველად ფუნდამენტური მეთოდის შედეგებს წარმოადგენს, იმ მეთოდისას, რომლის კვალი ძეგლთა ანალიზის მეშვეობით ცნაურდება.

იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია წინარე ელინისტური საბერძნეთის ტრადიციებზე, ჩვენთვის საჩინო ხდება, რომ პითაგორას' (რომლის მოღვაწეობა იდუმალებით არის მოცული) არამცთუ გეომეტრიის არანაკლები ცოდნა გააჩნდა, ვიდრე ევკლიდეს', არამედ – უკეთუ შესაბამისი ეპოქების ძეგლებს გავითვალისწინებთ – უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პირუკუ იყო.

წინარე ელინისტურ მეცნიერებათა ეზოტერიზმი მეტისმეტად ზღუდავდა მეცნიერებაში ხელდასხმულთა წრეს და ამიტომ მათ საყოველთაო აღიარებასაც. დღემდე შემონახული წერილობითი დოკუმენტების მიხედვით იმჟამინდელ მეცნიერებაზე მსჯელობა ისევე არ შეიძლება, როგორც სკოლებში საშუალო კლასების მოწაფეთა რვეულების მიხედვით არ შეიძლება თანადროული მეცნიერების დონეზე ლაპარაკი.

სახელმწიფოებრივი და რელიგიური დანიშნულების მონუმენტური ძეგლები ძველ ეპოქებში მეცნიერებასთან უშუალო კავშირით იქმნებოდა, სწორედ ამის გამო ხსენებული ძეგლების ანალიზმა, შესაძლოა სრულად გამოავლინოს მათში აკუმულირებული ძველი სამყაროს ზუსტი მეცნიერებანი...

გამოკვლევაში განხილულია სივრცითი ხელოვნების გარკვეულ დარგებში კომპოზიციური აგების პროცესის სისტემატიზაციის საკითხი. ამ პრობლემის განხილვა ემყარება ე.წ.

„გეომეტრიული სისტემის“ მეთოდს, რომელიც ხელოვნების არქაულ ძეგლთა ანალიზის შედეგად არის გამოვლენილი.

გამოკვლევის დიდი ნაწილი მოიცავს ძეგლთა ავტორისეულ ანალიზს, სახელდობრ, აქ წარმოდგენილია წინარე ელინისტური ბერძნული სკულპტურის თავების, მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის X საუკუნის ფრესკის კომპოზიციური აგების ანალიზი. ქართული ძეგლების ანალიზი, „გეომეტრიული სისტემის“ თვალსაზრისით, პირველად განხორციელდა.

გამოკვლევაში მოხმობილია აგრეთვე დამატებითი მეცნიერული კვლევითი მასალა, ესაა ხელოვნების ისტორიულ ძეგლთა კომპოზიციური აგების სისტემის ამოხსნის ცდები. კერძოდ, ის ნაშრომები, რომლებიც წინარე ელინისტური საბერძნეთისა და ადრინდელი ფეოდალური ხანის ქრისტიანული ხელოვნების საკითხებს შეეხება.

უკვე ას წელზე მეტია, რაც მეცნიერები იკვლევენ ხელოვნების იმ ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც კომპოზიციური აგების „გეომეტრიულ სიმეტრიას“ ექვემდებარებიან. რუსულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემულია წიგნები, სადაც გამოწვლილვითაა განხილული და დასაბუთებული ამ სისტემის რაობა და როლი გარკვეული ეპოქის ძეგლებში. ეს ნაშრომებია: ე. მესელის „პროპორციები ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში“ (მოსკოვი, 1936), ჯ. ჰემბიჯის* „დინამიკური სიმეტრია არქიტექტურაში“, მ. გიკას* „პროპორციების ესთეტიკა ბუნებასა და ხელოვნებაში“ (მოსკოვი, 1936), გ. გრინის* „პროპორციულობა არქიტექტურაში“ (მოსკოვი, 1935). ჩამოთვლილ წიგნებში მრავალი ძეგლია გაანალიზებული. ამ სფეროში მუშაობდა აკადემიკოსი ი. ჟოლტოვსკი*. დასანანია, რომ მისი შრომები გამოქვეყნებული არაა. მის გამოკვლევებზე მხოლოდ მცირე ინფორმაციას გვაწვდის ნ. ბრუნოვი თავის წიგნში „ანტიკური და შუა საუკუნეების არქიტექტურის პროპორციები“ (მოსკოვი, 1935). ამ წიგნში აგრეთვე მიმოხილულია ზემოთ მოხსენებული პირველი ორი ავტორის შრომები.

ჩვენი გამოკვლევის დასკვნები პრინციპულად ეთანხმება ზემოხსენებულ მეცნიერთა დებულებებს. ამ დასკვნათა მიხედვით, ანტიკური და შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლთა კომპოზიციის აგება ემყარება გეომეტრიულ სისტემას; ამ სისტემის საფუძველია ირაციონალური პროპორციები, რომლებიც „გეომეტრიული სისტემის“ ე.წ. სამი თემის 2-ის, 3-ის, ოქროს კვეთისა და მისი მონათესავე თემის – 5-ის დამუშავებით აიგება.

ეს დებულება უარყოფს კარგა ხნის მანძილზე გაბატონებულ იმ აზრს, რომ ძველი ოსტატების შემოქმედება იცნობდა მხოლოდ პროპორციათა ე.წ. არითმეტიკულ ან მოდულურ სისტემას, რომელიც მთელისა ან წილადების შეფარდებას ემყარება.

დოკუმენტურ ცნობებს „გეომეტრიული სისტემის“ შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცაღა ვიტრუვიუსს ჰქონია იგი მოხსენებული. დოქტორი გიცესკუ წერს: „ვიტრუვიუსი ზოგიერთ ადგილას აღნიშნავს ხოლმე, რომ ბერძნები ადამიანის სხეულის შესწავლისას იყენებდნენ ირაციონალურ პროპორციებს. იგი ამ სისტემას „გეომეტრიულ სიმეტრიას“ უწოდებს და მას განასხვავებს პროპორციათა სხვა, „არითმეტიკულ სიმეტრიად“ წოდებული სისტემისაგან, რომელიც მთელ ან წილადრიცხვობრივ კოეფიციენტებს ემყარება“[2]. ვიტრუვიუსის გამონათქვამი, რომ „გეომეტრიული სიმეტრია“ არსებობდაო კლასიკურ ბერძნულ ხელოვნებაში, ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა.

ძეგლში მოდულური სისტემა შედარებით ადვილი გასაშიფრია. „გეომეტრიული სისტემის“ აღმოჩენას და კომპოზიციის აგებაში მისი თანამიმდევრულ მიკვლევას კი ფრიად ხანგრძლივი, ზუსტი და ჩაღრმავებული მუშაობა სჭირდება. ეს მით უფრო აუცილებელია მაშინ, როცა აგებულებას აბუნდოვანებენ ძველი

[2] გეორგ გიცესკუ. პლასტიკური ანატომია (სამ ტომად), ტ. I - სხეულის აღნაგობა, მერიდიანე, ბუქარესტი, 1963.

დროისათვის ჩვეული პირობითობანი, რომლებიც ხშირად ნაკარნახევი იყო ხელოვნების ფორმათათვის ერთგვარი თვისებრივი მნიშვნელობის მინიჭების ტრადიციით. ასეა, მაგალითად, მცხეთის ჯვრის კომპოზიციაში. საერთოდ, „გეომეტრიული სიმეტრია“ ხასიათდება აგებათა მრავალფეროვნებითა და სიღრმით.

მოდულური სისტემის ელემენტარული ხასიათი, აგების პროცესის სიმარტივე ბუნებრივად ქმნის იმის საფუძველს, რომ ვიგულისხმოთ – ეს სისტემა ყოველთვის წინ უსწრებს „გეომეტრიული სისტემის“ შექმნას. მეორე მხრივ, მოდულური სისტემისკენ მობრუნება, მხოლოდ იმ მიზნით, რათა აგების პროცესი გამარტივდეს (რაც ელინიზმის პერიოდში მოხდა), მოწმობს ტექნიკურ შესაძლებლობათა დაქვეითებას, რაც მეტნაკლებად ყოველთვის თან ახლდა ძველ სამყაროში კლასიკური ხელოვნების დეგრადაციას.

ამ გამოკვლევაში ბერძნული სკულპტურის თავების ანალიზით ახლებურად არის გააზრებული „გეომეტრიულ სიმეტრიაში“ ადამიანის სხეულის პროპორციების აგება.

ფრესკის ჩვენეული ანალიზი ითვალისწინებს იმ სერიოზულ ხარვეზებს, რომლებიც სახვითი ხელოვნების ზოგიერთი ძეგლის კვლევისას მესელს აქვს დაშვებული (მესელი აგებულების ანალიზის დროს ხშირად კომპოზიციის არაკონსტრუქციულ წერტილებს ეყრდნობა).

გარდა ამისა, მესელის ანალიზი ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, იმდენად ზერელეა, რომ აგებულება, როგორც წესი, ერთ ნახაზზე გამოისახება. აგების ასეთმა უკიდურესმა სქემატიზმმა ბუნებრივად უნდა დაბადოს ეჭვი, შემთხვევითი წარმომავლობის ხომ არაა ესა თუ ის პროპორციული შეფარდება.

ზემოხსენებულ ნაშრომებშიც ხშირია არქიტექტურის მრავალი ძეგლის ანალიზის სქემატურობა, ვინაიდან გამოყენებულია 1, 2 ან 3 ნახაზი და ამიტომაც მათი დასკვნები იმავე ეჭვის აღმძვრელია (მხოლოდ პართენონისა და ზოგიერთი სხვა ძეგლის ანალიზია საკმაოდ გამოწვლილვითი ხასიათისა).

გამოკვლევაში განხილულია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ფრესკის კომპოზიციას ფრესკის ხატვის სპეციფიკური ტექნოლოგიის პირობებში სხვადასხვა თანამედროვე ფერწერულ ტექნიკასთან შედარებით.

თუმცა ანალიზი ემყარება ფრესკის შვიდგზის შემცირებულ ფოტოგრაფიას, გეომეტრიული ანალიზის აუცილებელი სიზუსტე მიღწეულია ცელულოიდის ქაღალდზე ნემსით მონიშნული ნახაზებით, რომლებიც, ამავე დროს, ფრესკაზე დატანებული ყველა ნახაზისთვის საკონტროლო ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

მცხეთის ჯვრის ანალიზისათვის მოხმობილი 54 ნახაზი, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოკვლევის საფუძვლიანობასა და ნაგებობის აზომვის მონაცემებთან დაკავშირებულ გაანგარიშების სიზუსტეს, ჩემი აზრით, მტკიცე საფუძველს უნდა ქმნიდნენ იმის დასადასტურებლად, რომ ჯვრის ხუროთმოძღვარი ნამდვილად „გეომეტრიულ სიმეტრიას“ ემყარებოდა.

ამავე დროს, რამდენადაც ცნობილია ავტორისათვის, ტაძრის ანალიზისას გამოვლენილია სავსებით უპრეცედენტო მოვლენა – ერთ კომპოზიციაში შეთავსებული „გეომეტრიული სისტემის“ სამივე თემა (ამასთანავე, ეს გაკეთებულია თავისებური ხერხით, რაც საშუალებას აძლევდა ხუროთმოძღვარს აერიდებინა გიკას წიგნში მითითებული „თემების შეუთავსებლობის“ კანონის დარღვევა).

აქვე უნდა აღინიშნოს: იმის გამო, რომ შემთხვევით დაემთხვა ჯვრის ხუროთმოძღვრის მიერ გამოყენებული ქართული ზომის ერთეული – ადლი (რომელიც მას ასად აქვს გაყოფილი) დღეს საყოველთაოდ გავრცელებულ მეტრს, – კომპოზიციურ აგებულებაში გამომჟღავნდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომელთა რიცხვებით გამოხატული ზომები ემთხვევა 2, 3, 5 და ოქროს კვეთის კოეფიციენტის რიცხვებს. ზუსტ მეცნიერებათა ისტორიკოსებისათვის ეს უთუოდ უნიკალურ მასალას წარმოადგენს.

გამოკვლევაში ავტორი ესწრაფვის, სადაც ეს შესაძლებელია (ოღონდ სიცხადის საზიანოდ არა), საჩინო ჰყოს ძველი ტრადიციის შესაბამისად წმინდა გეომეტრიული აგების ხერხები: თოკისა და პალოების მეშვეობით ნატურალური სიდიდით მოხაზოს მიწაზე ანდა სტერეობატზე* ნაგებობის გეგმა და ფასადები, რაც ნ. ბრუნოვის თანახმად, ზედმიწევნით სიზუსტეს უზრუნველყოფს.

ამ უკანასკნელ გარემოებას იმ ვარაუდამდე მივყავართ, რომ რენესანსმა კომპოზიციური ტექნიკის ერთ ნაწილში ააღორძინა ელინიზმის, ე.ი. ბერძნული ხელოვნების უკანასკნელი ფაზის ტრადიციები მისი დაცემის ყველა შედეგით (რენესანსის პერიოდში ზოგიერთი იტალიელი სწავლული და მხატვარი – ფიბონაჩი*, ლუკა პაჩიოლი, ლეონარდო და ვინჩი – დაინტერესებული იყვნენ ოქროს კვეთის პრობლემითა და იცნობდნენ მას, როგორც ალბათ სხვა არათანაზომად შეფარდებებს, მაგრამ ადამიანის სხეულის პროპორციებისადმი მიძღვნილი ნახატები, დაბოლოს, მისი ტრაქტატების შინაარსი იმის დასტურად გამოდგება, რომ სახვით ხელოვნებაში, და მაშასადამე, ამ ხელოვნების სხვა სფეროებშიც „გეომეტრიული სისტემა" პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა).

ამრიგად, ბერძნული კლასიკური ხელოვნების ტრადიცია – „გეომეტრიული სიმეტრია" (განსაკუთრებით და მთელი სისავსით სწორედ ეს ტრადიცია), როგორც კომპოზიციური აგების პრინციპი და ტექნიკა, აღორძინებულ იქნა ადრეულ შუა საუკუნეებში. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეებში მასთან ერთად მოდულური სისტემაც იყო გამოყენებული.

მესელი თავის წიგნში წერს: „ცალკეულ მკვლევარს – მარტოკაცს – საეჭვოა, რომ ხელი მიუწვდეს ყველა იმ სპეციალური მეცნიერების მონაპოვარზე, რომელთა ობიექტსაც წარმოადგენს მთელი მოცულობით აღებული ჩვენი პრობლემა... ეს მეცნიერებანია: არქეოლოგია, შუა საუკუნეების არქიტექტურულ-ისტორიული და მხატვრულ-ისტორიული გამოკვლე-

ვა (საოცარია, რომ აქ მესელს გამორჩა ანტიკურობა – ს. ქ.), მათემატიკის, ასტრონომიის, ასტროლოგიისა და რელიგიის ისტორია, კლასიკური ფილოლოგია და აღმოსავლეთმცოდნეობა". შემდეგ იგი წერს, მხოლოდ ასეთი ყოვლისმომცველი მასალის მქონე არქიტექტორს შეუძლია „... დაეფუძნოს მყარ ბალავარს და შემდეგ უკვე ვიწრო სპეციალობის ფარგლებში გააგრძელოს კვლევითი მუშაობა."

მაგრამ ჩვენს სინამდვილეში განსხვავებული ვითარებაა. მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მოღვაწეობის კოორდინაცია ჩვეული ამბავია. ამიტომაც ზემოთ მოხსენებულ სიძნელეთა დაძლევა სავსებით შესაძლებელია, თუკი დადგინდება, რომ თვით პრობლემა ყოფილა თანადროულობისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი.

თამაზ ჩხენკელი
უჩინარი მთარგმნელები

ქუჩაში შემხვდა როსტომ ჩხეიძე. წიგნები ეჭირა ხელში. წიგნები დავათვალიერე და ბროშურაზე ვკითხე – ეგ რაღაა-მეთქი. ეს ბოურას, ინგლისელი მეცნიერის, გამოკვლევა არისო ქართულად თარგმნილიო. ოჰ, ეგ მე და ნოდარ ებრალიძემ ვთარგმნეთ, ნახე, ეწერება-მეთქი. როსტომმა ნახა და, არაფერიც არ წერიაო, საერთოდ არ წერია, ვინ თარგმნაო. წიგნაკს მეც ჩავხედე. მთარგმნელი არ ეწერა, მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ ქართული ტექსტი ინგლისურთან იყო შედარებული ალ. გამყრელიძის მიერ და რომ ის იყო რედაქტორი ამა წიგნისა. უცნაური ამბავი იყო: ინგლისელი მეცნიერის მორის ბოურას „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი გამოქვეყნდა და მთარგმნელი არ ჩანდა. თარგმანი თქვენი რომ არის, დაწერე აუცილებლადო, – მირჩია როსტომმა. ასეთი რამე გაუმჟღავნებელი არ უნდა დარჩესო. არა ღირს-მეთქი, გაისად ჩემ მიერ თარგმნილი წერილების წიგნი უნდა გამოვიდეს ამ თარგმანიანად და იქ გაირკვევა-მეთქი ყველაფერი. მაგრამ ეს წიგნი არამცთუ მაშინ არ დაიბეჭდა, დღემდე გამოუცემელია *(სტატია დაწერილია 2003 წლის სექტემბერში – რედ.)*. წერილი, და ისიც საგაზეთო წერილი, სულ სხვა არისო, ერთხელ კიდევ წამაქეზა ამ საქმეზე როსტომმა, მაგრამ არ დავუჯერე და ძალიანაც შევცდი! ჩემმა ამ „მცდარობამ" სხვაც შეაცდინა...

ბოურას ამ ტექსტით დაინტერესებულმა მეცნიერმა თუ ლიტერატორმა პირველივე წაკითხვისთანავე იცის, რომ ტექსტი

შედარებულია ინგლისურთან ამა და ამ პიროვნების მიერ, რომ ეს ტექსტი ამავე პიროვნების მიერ არის რედაქტირებული და რომ ამ ტექსტს ამავე პიროვნების მცირე ბოლოსიტყვა ახლავს. ეს ყველაფერი ახსოვს, მაგრამ დავიწყებული აქვს ის უცნაურობა, რომ წიგნს მთარგმნელი არ ჰყავდა და დროთა განმავლობაში მის ცნობიერებაში სავსებით ბუნებრივად, თარგმანის რედაქტორისა და ბოლოსიტყვის დამწერის სახელი მთარგმნელს უიგივდება, რადგან ხომ შეუძლებელია თარგმნილ ტექსტს მთარგმნელი არ ჰყავდეს! და აი, 2002 წელს სანიმუშო აკრიბიით გამორჩეულ ბრწყინვალე გამოკვლევაში, რომელიც რუსთაველსაც ეხება, ციტირებული ტექსტის სქოლიოში ვკითხულობთ: „ბოურას გამოკვლევის ქართულ ენაზე მთარგმნელი ალ. გამყრელიძე თარგმანზე დართულ ბოლოსიტყვაში"... და ა.შ. ვისი ბრალია ასეთი „ორგანული შეცდომა"? ნაწილობრივ, უთუოდ, ჩემი, რადგან არ დავუჯერე მეგობრულ რჩევას და დროზე არ გავამჟღავნე სათქმელი, მაგრამ უპირატესად და უპირველეს ყოვლისა ამ შეცდომის საფუძველია ის მანკიერი პრაქტიკა, რაც დანერგილი იყო ჩვენს მხატვრულ ჟურნალებში, სადაც არსად და არანაირად არ იყო აღნიშნული მთარგმნელის ვინაობა.

ამ ნაშრომის თარგმნა „მნათობის" მაშინდელმა რედაქტორმა სიმონ ჩიქოვანმა˚ დამავალა. სერგეი სერებრიაკოვის მიერ რუსულად ჩინებულად თარგმნილი ტექსტი დიდი მეჩვენა და სათარგმნელად ნოდარ ებრალიძე შევიამხანაგე. ნახევარნახევარი ვთარგმნეთ ისევე, როგორც მანამდე „მნათობშივე" დაბეჭდილი ბორჯომის სიმპოზიუმის მასალები, რისი თარგმნაც აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის დავალებით შევასრულეთ. ჩვენს მიერ თარგმნილი ბოურას „ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა 1959 წლის „მნათობის" მერვე ნომერში[1]. მომდევნო წელს სი-

[1] მორის ბოურა, ვეფხისტყაოსანი (ნაწყვეტი წიგნიდან „შთაგონება და პოეზია", ლონდონი, 1955), „მნათობი", - თბილისი, 1959. №8. – გვ.134-145.

მონ ჩიქოვანი გაათავისუფლეს რედაქტორის თანამდებობიდან და გაუგებრობა სწორედ აქედან წარმოიშვა.

ამ ნაშრომმა რუსთველოლოგების და, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და როგორც ჩანს, მისი ცალკე წიგნად გამოცემის საკითხი მომწიფდა, მაგრამ ვინაიდან უავტორო ტექსტი სანდო ვერ იქნებოდა, მისი „გაპატიოსნება", ე.ი. ინგლისურ დედანთან შედარება და რედაქტირება ალ. გამყრელიძეს დაევალა, ან თვითონ მან იკისრა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ალ. გამყრელიძე, როგორც კეთილსინდისიერი მეცნიერი და მაღალზნეობრივი ინტელიგენტი, უთუოდ ეცდებოდა მთარგმნელის ვინაობის დადგენას, მაგრამ ამას ვერ შეძლებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახალ რედაქტორს ეს არ ეცოდინებოდა, ხოლო სიმონ ჩიქოვანი 1966 წელს გარდაიცვალა. ასე და ამრიგად, „მნათობში" ბოურას თარგმანის პირველი პუბლიკაციის 7 წლის შემდეგ 1966 წელს, „ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების" გრიფით გამოქვეყნდა ეს წიგნაკი.[2] ეს ჩვენეული თარგმანი მთარგმნელთა უხსენებლად ერთხელ კიდევ დაიბეჭდა რომელიღაც სამეცნიერო ჟურნალში და სარგის ცაიშვილს˙ ვუსაყვედურე: ხომ იცოდი, ჩვენ რომ ვთარგმნეთ, რატომ არ თქვი–მეთქი – იმასაც აღარ ახსოვდა ეს ამბავი.

გავიდა ხანი და როგორც ფილიპე ბერიძე აშაყირებდა მეცნიერებაზე თავდადებული და დიდ თანამდებობაზე მყოფი მაშინ ცნობილი პიროვნების ერთ ფრაზას – ამ საქმესაც „დავიწყების ლივრეა გადაეფარა". მაგრამ ერთხელ, მე და ნოდარ ებრალიძემ ვერის ბაღს რომ ჩავუარეთ, უცებ თვალში მოგვხვდა წარწერა „ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება". ხედავ, სად გადმოუტანიათ-მეთქი (მანამდე ჩემი სახლის გვერდით პაოლო იაშვილის ქუჩაზე იყო), მოდი,

[2] მორის ბოურა, „ვეფხისტყაოსანი" (ინგლისელი მეცნიერის ნარკვევი წიგნიდან - „შთაგონება და პოეზია„/ალ.გამყრელიძის ბოლოსიტყვ.); საქ. სსრ საზ-ბა „ცოდნა". – თბ.: საბჭ. საქართველო, 1966 (პ/კომბინატი).,

შევიდეთ-მეთქი. არ შემომყვა. მარტო ავედი. დირექტორის ვრცელ კაბინეტში ორი კაცი იჯდა, ახალგაზრდა და ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი. დირექტორი თქვენ ბრძანდებით-მეთქი, ახალგაზრდას მივმართე, დიახ, რა გნებავთო. თქვენმა „საზოგადოებამ" გამოსცა მშვენიერი წიგნი ბოურას „ვეფხისტყაოსანი" და მაინტერესებს, ვინ თარგმნა-მეთქი. ახლავეო. წიგნი მონახა, გადაფურცლა და... არ წერია, ვინ თარგმნაო. კი, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ეთარგმნა? თქვენ თუ იცითო, ვინ თარგმნა, – მეკითხება. მე ვთარგმნე-მეთქი. ვინ ბრძანდებით? ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი და ამ დროს, იქ მჯდარი ბერიკაცი ერევა საუბარში: სხვათა შორის, მე ვიცი თქვენი გვარ-სახელის სხვა კაცი, თარგმნილი აქვს „ბჰაგავატგიტა", „გიტანჯალი", უიტმენის ლექსები... რიგით ამნაირმა ჩამოთვლამ გამაოცა და. ცხადია, გამახარა. ჩემი თარგმანებია-მეთქი, რომ ვუთხარი, ბერიკაცი ადგა და შუბლზე მაკოცა და ჩვენ ერთმანეთს თბილი სიტყვები ვუთხარით. დირექტორი შეცბუნებული ჩანდა, რაც ამ სიტყვებით გამოხატა: რამე პრეტენზია გაქვთ ჩემთან? ერთადერთი-მეთქი, შემდეგ გამოცემაში აუცილებლად დააწერეთ მთარგმნელების გვარები, ჩაიწერეთ, თუ შეიძლება. ჩაიწერა და შემომაჩერდა, სხვა? არაფერი სხვა, ეს მინდოდა გცოდნოდათ, ორივეს გამოვემშვიდობე და წამოვედი. მაგრამ კარებთან შემაჩერა დირექტორმა, ასე ვერ გაგიშვებთო, და რაღაც ქაღალდზე ხელისმოწერის შემდეგ, იქვე ხუთასი მანეთი მომცა... ასე რომ, ამ თარგმანში ფული მაქვს აღებული, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ეს ჩვენი თარგმნილია.

მაგრამ მთარგმნელთა ანონიმურობაში ჩაძირვის პრაქტიკა, რომელიც მხატვრულ ჟურნალებში ასე იყო გავრცელებული, აბსურდულ სიტუაციებთან ერთად გარკვეულ უხერხულობებსაც ქმნიდა. აქ უადგილო არ იქნება, თუ ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ ანალოგიურ თარგმანზე, რომელიც მე და ნოდარ ებრალიძემ შევასრულეთ.


1979 წლის „საბჭოთა ხელოვნების“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა სერგო ქობულაძის ბრწყინვალე ნაშრომი „ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ“. ამ შრომის თარგმნა მე მანდო სერგო ქობულაძემ. ტექსტი იყო ძნელი და ნოდარ ებრალიძემ და მე დიდი დრო შევალიეთ ამ ტექსტის თარგმნას. ეს ნაშრომი თამაზ ჭილაძის რედაქტორობისას დაიბეჭდა, სამწუხაროდ, სერგო ქობულაძის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის სპონსორობით ეს ნაშრომი 1998 წელს მასში ჩართული და მის გარეშე დარჩენილი ნახაზი ცხრილებით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა სათაურით „ოქროს კვეთა“[3]. სერგო ქობულაძის ეს ნაშრომი წიგნში დაბეჭდილია სამ ენაზე, – ქართულად, რუსულად და ინგლისურად. წიგნის რედაქტორმა საჭიროდ არ ცნო ქართულ და ინგლისურ თარგმანებზე მიწერილიყო მთარგმნელთა გვარები და სწორედაც მოიქცა, უხერხული იქნებოდა ქართველი მხატვრის ამ მნიშვნელოვან გამოკვლევას რუსულიდან თარგმნილი ტექსტი წამძღვარებოდა. მაგრამ წიგნის ბოლო გვერდზე წვრილშრიფტიან რუბრიკაში – „წიგნზე მუშაობდნენ“ - რედაქტორის ქ. მელიქიძის გვარს მოსდევს ამ ტექსტის ინგლისურად მთარგმნელის გვარი – ი. წივწივაძე, ქართულად მთარგმნელთა გვარები, აღნიშნული მიზეზის გამო, ამ წიგნშიც გაუჩინარებულია.

მე დავესწარი ამ წიგნის პრეზენტაციას. საღამო რომ დამთავრდა, ნაცნობ მხატვრებთან დავიჩივლე: ეს ნაშრომი მე და ნოდარ ებრალიძემ ვთარგმნეთ და ერთი წიგნი მაინც გვარგუნეთ-მეთქი. მაჩუქეს ერთი წიგნი.

სექტემბერი, 2003

[3] სერგო ქობულაძე, ოქროს კვეთა (რედ. ა. მელიქიძე; ინგლ. თარგმნა ი. წივწივაძემ; მხატვ.: სპ. ცინცაძე – თბ.: საქინფორმკინო, ვლ. კანდელაკის ფონდი, 1998)

უჩინარი მთარგმნელები



მაქს იაკობსონი

დ. 1923 ვიიპური, ფინეთი
(ამჟამად ვიბორგი, რუსეთი)
† 2013 ჰელსინკი, ფინეთი

ფინელი, ებრაული წარმოშობის ჟურნალისტი და დიპლომატი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა ფინეთის საგარეო პოლიტიკაში.

იაკობსონი მუშაობდა BBC-ში, 1953–1974 წლებში ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1965–1972 წლებში იყო ფინეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვედეთში. მან ხელი შეუწყო ფინეთის პოლიტიკის ნეიტრალიტეტის ჩამოყალიბებას ცივი ომის დროს. 1971 წელს იაკობსონი წარდგენილი იყო გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე, თუმცა საბჭოთა კავშირის ვეტოს გამო ეს ვერ მოხერხდა. იყო ფინეთის პრეზიდენტის - ურჰო კეკონენის' (1956–1981) მრჩეველი.

იაკობსონი იყო კომუნისტებისა და ნაცისტების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ესტონეთში. ეს კომისია „იაკობსონის კომისიის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი.

მაქს იაკობსონის ავტორობით დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი და მრავალი სტატია ფინეთის პოლიტიკის ისტორიისა და თანამედროვე ფინეთის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ასდღიანი ომი

ამსოფლიოს ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ფინეთ-რუსეთის ასდღიანი ომი 1939–1940 წლებში რიგით მოვლენას წარმოადგენდა. დიდი სახელმწიფოს საზღვრებთან ყოველთვის იფეთქებს ხოლმე სისხლიანი შეტაკება. ეს ომი მსოფლიო ომის დიდ დრამაში მხოლოდ ეპიზოდი იყო. შეუპოვარმა პაიკმა უარი თქვა დიდი მოჭადრაკეების მიერ მითითებული უჯრედები დაეკავებინა. ასი დღე-ღამე იბრძოდა ფინეთი იმისთვის, რომ არ დაეთმო თავისი დამოუკიდებლობა.

ფინეთი გამოეყო შვედეთს და 1809 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა როგორც დიდი სამთავრო. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ფინელთა დიდ სამთავროს საკმაოდ განვითარებული ავტონომია ჰქონდა. ალექსანდრე II˚-ის მმართველობის დროს ფინელებმა შეძლეს განემტკიცებინათ თავიანთი ნაციონალური ავტონომია და საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ ნიკოლოზ II˚ ცდილობდა, შეევიწროებინა ფინელების თვითმმართველობა. იგი დიდი სამთავროს რუსიფიკაციის პოლიტიკას დაადგა.

1917 წელს ლენინმა˚ ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა, თუმცა უკვე მომდევნო წელს წითელ ფინელებს იარაღით ეხმარებოდნენ იქ ჩარჩენილი რუსი სამხედროები. თეთრი ფინელები გერმანიას ეყრდნობოდნენ, მათმა გამარჯვებამ განსაზღვრა ახლად შექმნილი რესპუბლიკის პოლიტიკური ხასიათი. მიუხე-

დავად 1920 წელს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა, ფინეთსა და საბჭოთა კავშირს ცივი ურთიერთობა ჰქონდათ. იმ თაობის მიერ, ვინც ფინეთს დამოუკიდებლობა მოუპოვა, რუსები მჩაგვრელებად იყვნენ მიჩნეულნი. როცა ევროპაზე ფაშიზმის ღრუბლები ჩამოწვა, ფინეთის ხელისუფლება ტრადიციის საპირისპიროდ გაემიჯნა გერმანულ გავლენას. 1935 წელს ფინეთის პარლამენტმა ერთხმად მიიღო მთავრობის დეკლარაცია იმის თაობაზე, რომ ფინეთი დაიცავს ნეიტრალიტეტს. უფრო ადრე, 1932 წელს, საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დაიდო...

1939 წლის სექტემბრის უკანასკნელ კვირას ბალტიისპირეთის სამმა სახელმწიფომ კრემლიდან მიწვევა მიიღო. მოსკოვში მათი წარმომადგენლები აიძულეს, დათანხმებულიყვნენ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირისთვის გადაეცათ სამხედრო ბაზები, რომლებსაც ჯერ კიდევ მეფის რუსეთი ფლობდა. ცოტა ხნის შემდეგ ფინეთის ჯერიც დადგა, მაგრამ ფინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნების საპირისპიროდ, არ წავიდა ასეთ დათმობაზე. მან ერთხელ კიდევ შეახსენა რუსეთს, რომ ის ნეიტრალური სახელმწიფოა. თერთმეტ ოქტომბერს, თავისი მტკიცე გადაწყვეტილების დასტურად, ფინეთმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცახადა. სწორედ ამ დროს იყო გამართული მოლაპარაკება სტალინსა* და პაასიკივის* შორის. სტალინის მოთხოვნები ზუსტად ემთხვეოდა იმპერიის დროინდელი თავდაცვის სტრატეგიულ მოთხოვნებს. პაასიკივის სამხედრო მრჩეველი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თავდაცვის აღნიშნული სისტემა მოძველებული იყო...

რუსეთის მოთხოვნებმა ფინეთის მთავრობა ძნელი და აუცილებელი არჩევანის წინაშე დააყენა. ბერლინში ფინელებს ურჩიეს, თანხმობა განეცხადებინათ. ლონდონის და პარიზის აზრით, რუსეთისთვის გადაცემული ფინეთის სამხედრო ბაზები მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული, ამდენად, დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს რუსეთის

ეს მოთხოვნა არაფრით ბღალავდა. პრეზიდენტმა რუზველტმა* თავისი შუამავლობა შესთავაზა მხარეებს, მაგრამ მოლოტოვმა* ურჩია, არ ჩარეულიყო იმ საქმეში, რომელიც არ ეხებოდა ამერიკას. ამავე დროს, სტოკჰოლმში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთის სახელმწიფოთა მეთაურები იმ მიზნით, რომ ცხადეყოთ ფინეთთან სოლიდარობა, თუმცა კულისებში უკვე ჩურჩულებდნენ იმაზე, რომ საომარი კონფლიქტის შემთხვევაში შვედეთის იმედი არ უნდა ჰქონოდა ფინეთს.

ამრიგად, ფინეთი მარტო დარჩა საბჭოთა კავშირის პირისპირ. მთავრობა იძულებული გახდა, მიეღო გადაწყვეტილება: მან თანხმობა განაცხადა ლენინგრადის სანახებიდან საზღვრის გადაწევაზე და დათმო კუნძულები ფინეთის ყურეში. მაგრამ ჰანკოს* ნახევარკუნძულის იჯარით მიცემაზე და მის მახლობელ კუნძულებზე სამხედრო ბაზების ორგანიზებაზე უარი განაცხადა. პაასიკივი და ტანერი* დაბრუნდნენ ჰელსინკიში. მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, მათ მაინც არ სჯეროდათ, რომ რუსეთთან მოლაპარაკების ძაფი გაწყვეტილი იყო. ფინეთი ემზადებოდა დიპლომატიური ზეწოლის მოსაგერიებლად და ხანგრძლივი დაძაბულობისთვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ომისათვის, რის გამოც გაწვეული რეზერვისტების ნაწილი სახლებში დააბრუნეს. რუსები ამ ზამთრის პირს არ დაიწყებენ ომს, – ირწმუნებოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ელიას ერკო*. ფინეთის სამხედრო სპეციალისტების უმრავლესობა ერთსულოვნად იზიარებდა ამ აზრს.

მაგრამ რაციონალურად მოაზროვნე სპეციალისტებს ყოველთვის არ შეუძლიათ გაითვალისწინონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ირაციონალური მომენტები. 26 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ მოსთხოვა ფინელებს, საზღვრიდან 20–25 კილომეტრით დაეწიათ თავიანთი ჯარები იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მათ ცეცხლი გაუხსნეს საბჭოთა ჯარების ნაწილებს. ფინეთმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა. ორი დღის შემდეგ საბჭოთა კავშირმა გააუქმა თავდაუსხმელობის ხელ-

შეკრულება, ხოლო კიდევ ორი დღის შემდეგ უკვე ბომბავდა ფინეთის დედაქალაქს. წითელმა არმიამ შეტევა წამოიწყო კარელიის ყელზე˙ და ფინეთ-რუსეთის საზღვრის სხვა წერტილებში.

ომის დაწყებამ ჰელსინკიში შოკი გამოიწვია. მთავრობა გადადგა, რათა ახალი ძალებისათვის მიეცათ შესაძლებლობა მოლაპარაკებისათვის. მაგრამ მოსკოვთან კავშირი გაწყდა. იქიდან მოვიდა ცნობა, რომ საბჭოთა კავშირი ამიერიდან აღარ ცნობს ფინეთის ახლანდელ მთავრობას, რომ მას ფინეთის ნამდვილ მთავრობად მიაჩნია 1918 წელს ემიგრირებული კომუნისტებისაგან შექმნილი მთავრობა კუუსინენის˙ მეთაურობით, ე.წ. „სახალხო მთავრობა“, რომლის თხოვნით, როგორც წერდა 4 დეკემბრის „პრავდა“, წითელი არმია ფინელი ხალხის გასათავისუფლებლად იწყებს ბრძოლას.

ომის დაწყებისას ფინეთის მთავრობის პოლიტიკა თუ ერთგვარ ეჭვს იწვევდა საზოგადოების ერთ ნაწილში, ეს ეჭვი გაიფანტა მას შემდეგ, რაც კუუსინენის მარიონეტული მთავრობა ჩამოყალიბდა. ამ ფაქტმა აშკარა გახადა, რომ ლაპარაკი იმაზე კი არ იყო, გადაისინჯებოდა თუ არა საზღვრები, არც იმაზე, მიიღებდნენ თუ არა ბაზებს, არამედ იმ საფრთხეზე, რაც ფინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ეხებოდა. და ამ დროს ფინეთში მოხდა რევოლუცია, მაგრამ ისეთი კი არა, რომელზეც ამყარებდნენ იმედს კუუსინენის მთავრობის შემქმნელები, ეს იყო „ერთსულოვნების რევოლუცია“: გარედან მომდინარე მუქარამ წარხოცა შინაგანი განხეთქილებანი და გააერთიანა ხალხი. მთელი ერი თავგანწირვით ჩაება ომში სახელმწიფოს გადასარჩენად.

რუსეთის ვარაუდით, წითელი არმია მარშით უნდა შესულიყო ჰელსინკიში. მაგრამ ფინელები შეუპოვრად და მარჯვედ უწევდნენ წინააღმდეგობას მტერს. ჩრდილოეთი ფინეთის ძნელადშესაღწევ რაიონებში ფინელებმა რუსეთის რამდენიმე დივიზია მოსპეს. ომის განმავლობაში მოწინააღმდეგის

100 ათასი ჯარისკაცი გაწყდა. საბჭოეთს მოუხდა სიტუაციის გადაფასება. დასავლეთშიც იგივე მოხდა. ინგლისის და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა, მხარი დაეჭირა ფინეთისათვის. დაიწყო მზადება ფინეთში საექსპედიციო კორპუსის გასაგზავნად.

გვიანდელი გამოკვლევების თანახმად, დახმარების ეს გეგმა უსუსურად და უბადრუკად გამოიყურება. ფინეთში გასაგზავნად განკუთვნილი ძალები საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ეხსნათ ჩვენი სახელმწიფო. და მაინც, მოკავშირეთა ამ გეგმამ უშველა ფინეთს – უშველა იმიტომ, რომ ის ვერ განხორციელდა. როგორც ჩანს, ამან საფუძველი მისცა რუსეთს, გადაესინჯა თავისი პოლიტიკა ფინეთისადმი, რაკი ამ უკანასკნელმა მიუმხრომლობის გზა აირჩია. თებერვლის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ სტოკჰოლმის მეშვეობით აცნობა ჰელსინკის, რომ ის კვლავ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება. ამ ცნობაში კუუსინენისა და მისი მთავრობის ხსენებაც არ ყოფილა. ფინეთისათვის ეს სრულ შემობრუნებას ნიშნავდა. ფინეთის მედგარმა და შეუპოვარმა წინააღმდეგობამ ნაყოფი გამოიღო: მან შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

მოლაპარაკების პროცესში რუსეთმა წამოგვიყენა სასტიკი პირობები. იგი მოითხოვდა დაგვეთმო მთელი ვიბორგის გუბერნია˙ პეტრე პირველის საზღვრამდე. სწორედ ამ ისტორიულ პრეცედენტს იმოწმებდა საბჭოთა მხარე. გარდა ამისა, სამხედრო ბაზისათვის უნდა მიგვეცა ჰანკო. მოთხოვნები გამაგრებული იყო რუსების ეფექტიანი შეტევებით. მთელი თებერვალი და მარტის პირველი კვირა ფინეთის ხელმძღვანელებმა უმძიმეს შინაგან ბრძოლაში გაატარეს. ორი დიდი სახელმწიფო, ინგლისი და საფრანგეთი, პირდაპირ თავს გვახვევდა დახმარებას. მოკავშირეთა ჯარები პორტებში მხოლოდ ბრძანებას ელოდებოდნენ, ჰელსინკის ოფიციალური თხოვნაღა იყო საჭირო. გასაგები უნდა იყოს, რომ მთავრობის ნახევარს საბჭოთა კავშირის სასტიკ მოთხოვნებზე დათანხმებას (რაც


სახელმწიფოს ტერიტორიის მეათედის დათმობას ნიშნავდა), მოკავშირეთა დახმარებით ომის განგრძობა ერჩია.

ბოლოს, ფინეთმა გადაწყვიტა, უარეყო დახმარება და ზავი დაედო, თუმცა ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის, 13 მარტს, რუსებს ჯერ კიდევ ხელში არ ჰქონდათ ჩაგდებული მთელი ის ტერიტორია, რომლის დათმობა მოუწია ფინეთს. ამ გადაწყვეტილებამდე ფინეთი მიიყვანა მარშალ მანერჰაიმისა˙ და მისი გენერლების გამჭრიახმა ვარაუდმა, რომლის თანახმად, მოკავშირეთა დახმარება არც საკმარისი იქნებოდა და თანაც დაიგვიანებდა. ამავე დროს, ეს გადაწყვეტილება აცნაურებდა ფუნდამენტურ საგარეო-პოლიტიკურ გეზს ფინეთისას, რომელსაც არ სურდა ქვეყნის ბედი სხვა ქვეყნის ხელში აღმოჩენილიყო.

ომი ძვირად დაუჯდა ქვეყანას. ბრძოლაში გაწყდა 30000 ფინელი. ათასობით კაცმა მიატოვა რუსეთისათვის დათმობილ ტერიტორიაზე თავისი სახლ-კარი. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ქვეყანამ დაიცვა დამოუკიდებლობა.

ზამთრის ასდღიანმა ომმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ როცა ერთმანეთს უპირისპირდება მრავალსახოვანი ინტერესების მქონე უზარმაზარი ზესახელმწიფო და მცირერიცხოვანი ერი, რომლის ერთადერთი მიზანია შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, ძალთა თანაფარდობა არ შეიძლება არითმეტიკულად გაითვალოს.

ასდღიანი ომი



პერ ლაგერკვისტი

დ. 1891 სმოლანდი, შვედეთი
† 1974 სტოკჰოლმი, შვედეთი

შვედი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1951) „მწერლის განსაკუთრებულად ორიგინალური აზროვნებისა და შემოქმედებითი მუხტისთვის, რომელიც ეძებდა პასუხებს კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ მარადიულ კითხვებზე“.

ერთ-ერთი შვედი კრიტიკოსი - მალმსტრომი 1971 წელს წერდა: XX საუკუნის ლიტერატურის მთავარი თემა გაუცხოების განცდაა და ამ კუთხით ლაგერკვისტი ახლოსაა ისეთ მწერლებთან, როგორებიც არიან ფრანც კაფკა და ალბერ კამიუ. პერ ფაბიან ლაგერკვისტს კაცობრიობის დეჰუმანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლამ ფარული ღმერთისა და ცხოვრების მეტაფიზიკური გამოცანების პასუხების ძიებისკენ უბიძგა.

ამ ძიების ერთ-ერთი მაგალითია ლაგერკვისტის ესე „განთავისუფლებული ადამიანი“.

განთავისუფლებული ადამიანი

ბარადიული ცხოვრება! თქმა არ უნდა, მარადიული ცხოვრება არსებობს, იგი ერთადერთი არსებულია. შეძლებდა კი სხვაგვარად არსებობას ეს ჩვენი წუთისოფელი? რითი გაიტანდა თავს? სხვაგვარად იგი დაემსგავსებოდა მიგდებულ, უნავსადგურო კუნძულს, – დაიწრიტებოდა და ვეღარსაიდან შეივსებდა სიმდიდრეს, კავშირი რომ არ ჰქონოდა დროისგარე ყოფიერებასთან, დაუშრეტელ მთელთან.

რა თქმა უნდა, მარადიული ცხოვრება არსებობს. ჩვენ ხომ თვითონვე ვართ წილნაყარნი ამ ცხოვრებასთან, ჩვენ – მისი ნაწილები ვართ.

■

საშიში არაფერია. არსებობს აურაცხელი განძი, ამოურწყავი მარაგი, არსებობს ამ განძით დატვირთული ხომალდები, და ჩვენი სულის იდუმალი ნავსადგურები, სადაც თავისი უხილავი იალქნებით შემოდიან ეს ხომალდები. მათ უძვირფასესი ტვირთი მოაქვთ, ისინი მუდამ გზაში არიან... და ეს ხომალდები ცოცხალთა ქვეყნიდან ცარიელნი როდი ბრუნდებიან. რანიც ვიყავით, რასაც მივაღწიეთ, რაც შევიძინეთ, ყველა ჩვენი მონაგარი საგულდაგულოდ ინახება. ეს მარადისობის ჭირნახულია და ეს ჭირნახული დაუნჯებული იქნება უკლებლივ. მარცვალიც არ დაიკარგება!

ან როგორ შეიძლება დაიკარგოს რამე, თუკი დაღუპვაც კი სიცოცხლეს ემსახურება, მისგან გაუთიშავია და ყველაფერი,

რაც კი ნამგლით არის მომკილი, აღორძინებას მიელტვის მარადღე?

აი, რისთვის არის საჭირო, რომ სინდისიერად ვიცხოვროთ, რომ რამენაირ ღირებულებას წარმოვადგენდეთ, როცა მკის ალო დადგება. აი, რატომ აქვს მნიშვნელობა თითოეული კაცის ბედსა და სიტყვას. აი, რატომ აქვს ჩვენს ამ ქვეყანაზე არსებობას აზრი.

ვიქნებით თუ არა მარადისობისათვის ღირებულების მქონენი? გავამდიდრებთ თუ არა მას? თუ – ხომალდი ცარიელი დაბრუნდება, ჩამოყრილი იალქნებით და არაფერს მიუტანს მარადისობას?

რა ჭირნახული მოვიმკეთ?

■

ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ და ამას ვერსად გავექცევით. პასუხისმგებლობის გრძნობა მოსვენებას გვიკარგავს. ხანდახან ვცდილობთ დავუძვრეთ მის ხელმწიფებას, მასხრად ვიგდებთ ამ დრომოჭმულ აზრებს და ცრურწმენებს და გვგონია, თითქოს თავი დავაღწიეთ მათ. მაგრამ სინამდვილეში ეს ამოუძირკვავი გრძნობაა, რადგან იგი მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება და უიმგრძნობოდ ვერაფერს გავაწყობთ. იგი განუყოფელია სიცოცხლის შემოქმედი ნებისაგან, იმისაგან, ვის ხელშიც ჩვენ მხოლოდ იარაღი ვართ.

■

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ჩვენი ზნეობრიობა რელიგიას ემყარება, რომ იგი მასთან ერთად აღმოცენდება და იღუპება. არ არის მართალი. რელიგიის ფესვები ბევრ რამესთან არის გადახლართული, მათ შორის ამასთანაც. მაგრამ ადამიანთა სულში რელიგია კი არ ბადებს ღირებულებებს, იგი მხოლოდ ასაჩინოებს უკვე არსებულ ღირებულებებს. საქმე ისე კი არ არის, თითქოს ღვთისადმი ცოცხალი რწმენის გარეშე დარჩე-

ნილი ეპოქები მაინცდამაინც არაზნეობრივი, ხოლო რელიგიური ეპოქები ზნეობრივი იყოს. აკი ის ადამიანები, რომელთა გულში რელიგიამ დაკარგა ხელმწიფება, ზნეობრივი თვალსაზრისით ზოგჯერ მორწმუნე ხალხზე მაღლა თუ არა, დაბლა არა დგანან.

ასე რომ, ჩვენი ზნეობრიობა ამა თუ იმ რელიგიურ წარმოდგენებს კი არ ემყარება და მასთან ერთად კი არ ქრება, არამედ მაშინ განქარდება, როცა ჩვენ ვკარგავთ რწმენას სიცოცხლისადმი, როცა ჩვენ ვღალატობთ სიცოცხლეს და ვცდილობთ მის გაყალბებას, როცა ზურგს ვაქცევთ ხოლმე მისგანვე წამოყენებულ მოთხოვნილებებს და ვცდილობთ მოიარებით მივაღწიოთ იმას, რაც მიზნად გვაქვს მიჩნეული.

მაგრამ სიცოცხლე, კაცმა რომ თქვას, არასოდეს ექვემდებარება გაყალბებას. იგი სულერთია, აღიდგენს თავისი განვითარების გზას, ისევ თავში მოგვექცევა და დაგვიმტკიცებს, რომ მას აზრი აქვს. ადამიანის საბოლოო (და არა დროებითი) ზნეობრივი გადაგვარების დაჯერება იმის დაჯერებას ნიშნავს, რომ ადამიანის სულიერი შენობის აგებისას მის საძირკვლად მყოფი ყველაზე არსებითის დანგრევაა შესაძლებელი ისე, რომ თვითონ ადამიანი არ დაინგრეს, რომ შესაძლებელია მისი ყოფიერების წანამძღვრების რადიკალური შეცვლა. მაგრამ ეს ხომ აბსურდია.

რყევა, რაც ზოგჯერ შეინიშნება კაცთა ცხოვრების ზედაპირზე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის სიღრმეში კატასტროფული ძვრები მოხდა.

ის ნიადაგი, საიდანაც აღმოცენდება ხოლმე დროდადრო რელიგია, შეუძლებელია განქარდეს. შესაძლოა, ამ ნიადაგიდან აღმოცენებულ სიმბოლოებს ყავლი გაუვიდეთ, შესაძლოა, რელიგიებმა დაჰკარგონ ხელმწიფება, ხოლო ერთხელაც იქნება და სულაც გაუქმდნენ, მაგრამ არასოდეს განქარდება ის,

რაც დასაბამს აძლევს მათ. შეუძლებელია დაიშრიტოს სიცოცხლე და აგრეთვე ადამიანი.

განა შეიძლება დაიშრიტოს უღრმესი პირველწყაროთაგანი, გაუქმდეს უძლიერესი პირველმიზეზთაგანი ადამიანის სულის წარმოშობისა? უიმისოდ ჩვენ საერთოდ არ ვიქნებოდით.

განა შეუძლია ხეს გააუქმოს ის ძალები, რომლებიც მის თესლშია დაფარული და რომლებმაც აღმოაცენეს იგი? ხისთვის უცნობია ამ ძალთა ბუნება, მაგრამ მასში ვლინდება სწორედ იმ თესლში ჩაგდებული შესაძლებლობანი, ხე მათი მეოხებით ცოცხლობს. და ისე, რომ ამაზე წარმოდგენაც არა აქვს, თვითონაც ამგვარსავე თესლს წარმოშობს მომავლისათვის. თვით დაზიანებული ხეც კი ტოვებს ზუსტად ასეთსავე თესლს, რომ კვლავ აღორძინდეს სრულფასოვან ხედ, როგორიც უნდა ყოფილიყო.

ჩვენც ასევე ვუტოვებთ სრულფასოვან თესლს მარადისობას – უკეთესი და უფრო სრულყოფილი მომავლისათვის.

უკვდავება, აღორძინება! დამცირებისა და ტკივილებისაგან უნდა ავღორძინდეთ სრულყოფამდე და უხორცობამდე. ეს მხოლოდ ამჟამად არ არის ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამჟამად! თესლში კი ყველაფერი ისეა, ყველაფერი სწორადაა. მხოლოდ იქ არის ყველაფერი სწორად. ვინაიდან ყოველ მოცემულ დროში რაღაც ისე არაა, როგორც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ თესლში ჰგიეს სრულყოფილება და იგი მოთმინებით ელოდება თავის დროს და მისი დრო აუცილებლად დადგება. დრო, როცა იგი შეძლებს სიმაღლე შემატოს და ტანის სისწორე მიანიჭოს ხეს. ყველაფერი მას მტრობს, იგი ვერასოდეს მიაღწევს იმას, რომ სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი: ხეს ასახიჩრებენ, ზოგჯერ მას მეხი ეცემა, ზრო ეგრიხება, ვარჯი უმჭლევდება, იწვება. მაგრამ დროთა უსასრულო დინებაში ხე მაინც ხარობს და იზრდება, ტანს იყრის და მშვენდება. არაფერს ძალუძს მისი შეჩერება. მისი ბედისწერაც ეგ არის – უნდა გადალახოს დაბრკოლებანი.

■

არ არსებობს დაღუპვა, არ არსებობს სიკვდილი, არ არსებობს მერყეობა და სიძაბუნე დამარცხების შემდეგ. არსებობს მხოლოდ ძალთა გამუდმებული აღორძინება, მხოლოდ უსასრულოდ განმეორებადი, უსასრულოდ განახლებადი ქმნილება. მხოლოდ რწმენა და სიხარული არსებობის ქმნილების პირველი, დასაბამიერი დღისა.

სასოწარკვეთილნი ვიყოთ? ჩვენ ვიყოთ სასოწარკვეთილნი? ჩვენ, ვისაც გულში გვიდუღს უკვდავი ძალა და უკვდავი სწრაფვა გამარჯვებისა, ჩვენ – ვინც წილნაყარნი ვართ ენით-უთქმელ საკვირველებასთან, ვისაც გულში გვაქვს დამარხული სრულყოფის საიდუმლო, რომელიც გამოვატარეთ საუკუნეთა წიაღ და კიდევ უფრო შორს წავიღებთ, თუმცა კი არ ძალგვიძს განვჭვრიტოთ ეს საიდუმლო. სრულყოფილება ვერ იქცევა სინამდვილედ, იგი მიუღწეველია როგორც მიზანი, იგი ბეჭდით დაბეჭდილი და შეუვალი უნდა დარჩეს თავისი იდუმალი მარადიულობის დვრიტაში. ამ ბეჭდის ახსნა კიდევაც რომ შევძლოთ, სულერთია, მაინც ვერაფერს გავიგებდით. მაგრამ დღემუდამ, როგორც კი სიცოცხლე ახლად დაიბადება, დღემუდამ, როგორც კი გაარღვევს იგი თესლის გარსს, ქმედით ძალთა მეოხებით ბეჭედი აიხსნება, გაცხადდება საიდუმლო და ხორცს შეისხამს სწრაფვა გამარჯვებისა.

ადამიანი – გამარჯვების მარადი სწრაფვაა!

ბიბლიოგრაფია

- William James, *The varieties of religious experience*. Longmans, Green & Co., New York/London, 1902;
- У. Джеймс, *Многообразие религиозного опыта*, М.: Наука, 1993;
- Виктор Дмитриевич Комаров, *Что такое глобальные проблемы современности*, Ленингр. орг. о-ва „Знание", РСФСР, 1986;
- Albert Einstein, *On Science*; Cosmic Religion, with Other Opinions and Aphorisms. New York 1931, 97-103;
- Albert Einstein, *Miscellaneous*, Cosmic Religion, with Other Opinions and Aphorisms. New York 1931, 104-109;
- Albert Einstein, *H.A.Lorentz als Schöpfer und als Persönlichkeit*, „Mein Weltbild", 1953, Zürich, S. 35-38;
- Альберт Эйнштейн, *Собрание научных трудов в четырех томах.* М.: Наука, 1965–1967 гг. Под ред. И. Е. Тамма, Я. А. Смородинского, В. Г. Кузнецова. Том 4. *Статьи, рецензии, письма. Эволюция физики. Разное*; *Г.А. Лоренц как творец и человек.* М.: Наука, 1965-1967 гг. Под ред. И. Е. Тамма, Я.А.Смородинского, В. Г. Кузнецова;
- Jorge Luis Borges, *Borges oral, Conferencias. El tiempo*, 1970;
- Хорхе Луис Борхес, *Думая вслух- Время*, эссе, 1979;
- Loren Eiseley, *The Night Country: Reflections of a Bone-Hunting Man*, Scribner, 1971;

- Abraham Joshua Heschel, *Who Is Man?* Stanford University Press, 1965;
- Erwin Schrödinger, *What is life? The physical aspect of the living cell*, Cambridge at the University Press, 1944;
- Эрвин Шредингер, *Что такое жизнь? Физический аспект живой клетки (О детерминизме и свободе воли)*, Атомиздат, второе издание,1972;
- Karl Theodor Jaspers, *Vom Ursprung und Ziel der Geschichte*, München & Zürich, 1949;
- Карл Ясперс, *Истоки истории и ее цель. Проблема будущего.* Пер. с немецкого М. И. Левиной. 2-е изд. – М.: Республика, 1994. – (Мыслители XX в.);
- Никита Моисеев, *Проблема „запретной черты"* (журнал „Наука и жизнь". № 2, 1986 г.);
- Max Weber, *Wissenschaft als Beruf*, Duncker&Humbolt, München und Leipzig, 1919;
- Макс Вебер, *Избранные произведения: Наука как призвание и профессия,* Перевод: А.Ф. Филиппов, П.П. Гайденко – М.: Прогресс, 1990, С.707-735;
- Павел Васильевич Копнин, *Логика научного исследования, Гипотеза – форма развития науки*, „Наука", Москва, 1965;
- W. Heisenberg, *Physics and Philosophy: The Revolution in Modern Science* (New York: Harper and Row, 1958). Lectures delivered at University of St. Andrews, Scotland, Winter 1955-56;
- В. Гейзенберг, *Физика и философия,* М., 1963, (Глава X. Язык и реальность в современной физике;
- Осип Мандельштам, *О Поэзии, „Слово и культура"*, 1928 (Впервые: 1921);
- Осип Мандельштам, *О Поэзии, „Выпад"*, 1928 (Впервые: „Россия", 1924, № 3 (авг.), с. 187-190);
- Eugene Nida, *Toward a Science of Translating,* Leiden, 1964;
- Юджин Найда, *К науке переводить*, Москва, 1978;

- А.Ф. Лосев, *Эстетика Возрождения.* 1-е изд.: М.: Изд-во МГУ, 1978, *Слово о грузинском неоплатонизме*;
- А.Ф. Лосев, *История античной эстетики. Поздний эллинизм. §1. Эстетика предуставленной гармонии;* том VI, 1-е изд.: М.: Искусство, 1980;
- А.Ф. Лосев, *История античной эстетики, Ранний эллинизм, Молчание*, том V, М.: Искусство, 1979;
- Cecil Maurice Bowra, *Inspiration and poetry*, the University of Michigan, Macmillan, 1955;
- Max Jakobson, *The Diplomacy of the Winter War: An Account of the Russo–Finnish War*, 1939–1940. Cambridge, MA: Harvard University Press;
- Макс Якобсон, *Зимняя война: Взгляд из Финляндии,* Родина. - 1989. - N 8;
- Pär Fabian Lagerkvist, *Den befriade människan* (1939) Sth: Bonnier, 1939;
- Пер Лагерквист, *Освобожденный человек, в книге: „Пер Лагерквист. Избранное".* М., „Прогресс", 1981

- უილიამ ჯეიმსი: *მშვიდი გულმაგრობა - წიგნიდან „რელიგიური გამოცდილების მრავალგვარობა“,* (გაზეთი „კავკასიონი“, 29 ივნისი, 1994);
- ვიქტორ კომაროვი: *ანთროპული პრინციპი* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 8 აგვისტო, 1986);
- ალბერტ აინშტაინი: *ჩანაწერები* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 6 თებერვალი 1981) ნაწყვეტები ალბერტ აინშტაინის წერილებიდან (IV ტ., მოსკოვი, 1967);
- ხორხე ლუის ბორხესი: დრო (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 6-13 დეკემბერი, 1996);
- ლორენ აისლი: *შეუპოვარი არსება* (ჟურნალი „საუნჯე“ №1, 1974);
- აბრაჰამ ჰეშელი: *ვინ არის ადამიანი?* (ჟურნალი „საუნჯე“ №4, 1977);
- ერვინ შროდინგერი: *დეტერმინიზმისა და ნებისყოფის თავისუფლებისათვის* (სამეცნიერო კრებული „მიმომხილველი“ 6-9, 1972);
- კარლ დასპერსი: *მომავლის პრობლემა* (ნოემბერი, 1996);
- ნიკიტა მოისეევი: *აკრძალული მღვარის პრობლემა* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1 მაისი, 1986);
- მაქს ვებერი: *მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 14 სექტემბერი, 1984);
- პაველ კოპნინი: *ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 24 იანვარი, 1986);
- ვერნერ ჰაიზენბერგი: *ენა - წიგნიდან „ფიზიკა და ფილოსოფია“,* (ამონარიდი მეათე თავიდან „ენა და რეალობა თანამედროვე ფიზიკაში“), (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 11 სექტემბერი, 1981);
- ოსიპ მანდელშტამი: *სიტყვა და კულტურა; დუმილი* (ლიტერატურული ალმანახი „ცისარტყელა“ №4, 1970);
- იუჯინ ნაიდა: *თარგმნის ხელოვნებისათვის* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 სექტემბერი, 1982);

- ალექსეი ლოსევი: *სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე* (გვიანი ელინიზმი), (ჟურნალი „მნათობი“ №8, 1986);
- ალექსეი ლოსევი: *წინასწარდადგინებული ჰარმონიის ესთეტიკა*, (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 9 ნოემბერი, 1983);
- ალექსეი ლოსევი: *დუმილი* (ქართველ მთარგმნელთა ლიტერატურული გაზეთი „ირაო“, ივნისი 1993);
- მორის ბოურა: *„ვეფხისტყაოსანი“* (ნაწყვეტი წიგნიდან „შთაგონება და პოეზია“, ლონდონი, 1955), ჟურნალი „მნათობი“, - თბილისი, 1959. №8 – გვ.134-145, (ნოდარ ებრალიძესთან ერთად);
- სერგო ქობულაძე: *ოქროს კვეთა* (მოკლე მიმოხილვა), (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1979), (ნოდარ ებრალიძესთან ერთად);
- თამაზ ჩხენკელი: *უჩინარი მთარგმნელები*, (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“), 3-9 ოქტომბერი, 2003;
- მაქს იაკობსონი: *ასდღიანი ომი / ზამთრის ომი* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1 ოქტომბერი, 1993);
- პერ ლაგერკვისტი: *განთავისუფლებული ადამიანი* (ნაწყვეტი), (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 18 თებერვალი, 1983).

საკუთარ სახელთა საძიებელი

უილიამ ჯეიმსი: მშვიდი გულმაგრობა

- *ფრენსის ნიუმანი* (1805–1897) - ინგლისელი მკვლევარი, ესეისტი და პუბლიცისტი, მისი წერილებისა და ნარკვევების თემატიკა მრავალმხრივია: ლოგიკა, პოლიტიკური ეკონომიკა, რომის ისტორია, გრამატიკა, მათემატიკა, რელიგია, არაბული და სხვა აღმოსავლური ენები.
- *ევერეტ ჰეილი* (1822–1909) – ამერიკელი მწერალი, ისტორიკოსი და უნიტარისტი სასულიერო პირი.
- *ჰომეროსი* (ძვ. წ. VIII ს.) – ბერძენი პოეტი, „ილიადასა" და „ოდისეას" ავტორი.
- *ნემეზიდა* – ძველბერძნულ მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთი, რომელიც სჯის ამპარტავნებას და მათ, ვინც თემიდას უგულებელყოფს.

ვიქტორ კომაროვი: ანთროპული პრინციპი

- *არისტოტელე* (ძვ.წ. 384-322) – ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, კლასიკური პერიოდის ბუნებისმეტყველი, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი.
- *კონსტანტინე ციოლკოვსკი* (1857–1935) – რუსი თვითნასწავლი მეცნიერი, მკვლევარი, კოსმონავტიკის ერთ-ერთი პიონერი.
- *გრიგორი იდლისი* (1928–2010) – რუსი ასტრონომი, ასტროფიზიკოსი.

- *აბრამ ზელმანოვი* (1913–1987) რუსი კოსმოლოგი, რელატივისტური კოსმოლოგიისა და ფარდობითობის თეორიის სპეციალისტი. ანთროპული პრინციპის ერთ-ერთი პირველი დებულების ავტორი.
- *ალბერტ აინშტაინი*: იხ. გვ. 27.
- *ჯონ არჩიბალდ უილერი* (1911–2008) – ამერიკელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, თანამშრომლობდა ნილს ბორთან და ალბერტ აინშტაინთან. მისი შექმნილია ტერმინი „შავი ხვრელი“.
- *პოლ დევისი* (დ. 1946) – ინგლისელი ფიზიკოსი და სამეცნიერო წიგნების ავტორი, მისი კვლევები ეხება კოსმოლოგიის, კვანტური თეორიისა და ასტრობიოლოგიის სფეროებს.
- *რენე დეკარტე* (1596–1650) – ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი. ანალიზური გეომეტრიისა და ალგებრის თანამედროვე სიმბოლიკის შემქმნელი.
- *ბრენდონ კარტერი* (დ. 1942) – ავსტრალიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი; ცნობილია კვლევებით შავ ხვრელებზე და ითვლება ანთროპული პრინციპის ერთ-ერთ შემმუშავებლად.

ალბერტ აინშტაინი: ჩანაწერები

- *კონრად ლორენცი* (1903–1989) – ავსტრიელი ზოოლოგი, ზოოფსიქოლოგი და ორნითოლოგი, კლასიკური ეთოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიასა და მედიცინის დარგში ნიკოლაას თინბერგენთან და კარლ ფრიშთან ერთად (1873).

ხორხე ლუის ბორხესი: დრო

- *ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე* (1844–1900) – გერმანელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი.
- *იოჰან ვოლფგანგ გოეთე* (1749–1832) – გერმანელი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ბუნებისმეტყველი.
- *იოჰან ფრიდრიხ შილერი* (1759-1805) – გერმანელი პოეტი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი.

- *არტურ შოპენჰაუერი* (1788–1860) – გერმანელი ფილოსოფოსი. მისი მოძღვრება ერთდროულად მოიცავდა ეპისტემოლოგიის, მეტაფიზიკის, ესთეტიკისა და ეთიკის საკითხებს.
- *ალფრედ ტენისონი* (1809–1892) – ინგლისელი პოეტი, ბარონისა და ინგლისის პერის ტიტულის მფლობელი.
- *ანრი ბერგსონი* (1859–1941) – ფრანგი ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1927).
- *ნეტარი ავგუსტინე* (354–430) – ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. უდიდესი წვლილი შეიტანა დროსთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებაში. კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი.
- *ჰერაკლიტე ეფესელი* (ძვ.წ. 544–483) – ძველბერძენი ფილოსოფოსი. ცნობილი ფრაზის ავტორი: „ყველაფერი მედინია, ყველაფერი ცვალებადია“.
- *ნიკოლა ბუალო-დეპრეო* (1636-1711) – ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი.
- *პლატონი* (ძვ.წ. 427-347) – ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოსწავლე, არისტოტელეს მასწავლებელი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი.
- *პლოტინი* (205–270) – ანტიკური ხანის ფილოსოფოსი, ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი.
- *უილიამ ბლეიკი* (1757–1827) – ინგლისელი პოეტი, მხატვარი.
- *პანთეიზმი* – ფილოსოფიური მოძღვრება ღმერთის, როგორც უპიროვნო საწყისის შესახებ. ღმერთი განიხილება ბუნებასთან და კოსმოსთან ერთობლიობაში.
- *ზენონი* (ძვ.წ. 490–430) – ბერძენი ფილოსოფოსი, პარმენიდეს მოწაფე. ცნობილია თავისი აპორიებით. არისტოტელემ მას დიალექტიკის მამამთავარი უწოდა.
- *აპორია* (ბერძნ. a poros გამოუვალი მდგომარეობა) – დაუძლეველი ლოგიკური წინააღმდეგობა რაიმე პრობლემის გადაჭრისას ანტიკურ ფილოსოფიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზენონის აპორიები.

- *ბერტრან რასელი* (1872–1970) – ინგლისელი მათემატიკოსი, ლოგიკოსი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1950).
- *ჯეიმს ბრედლი* (1693–1762) – ინგლისელი ასტრონომი.
- *ისააკ ნიუტონი* (16421727) – ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი.
- *გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი* (1646–1716) – გერმანელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მათემატკოსი, დიპლომატი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, გამომგონებელი, ენათმეცნიერი, საერო და სასულიერო სამართლის დოქტორი. ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი. ლაიბნიცმა ბევრი მათემატიკური ცნება და სიმბოლო შემოიღო, მათ შორის გამრავლებისა (.) და გაყოფის (:) ნიშნები.
- *ადროგე* – არგენტინის დედაქალაქის, ბუენოს აირესის გარეუბანი.
- *წმინდა პავლე მოციქული* (ნათლობამდე – სავლე, გარდ. დაახლ. 65 წ.) – ქრისტიანობის მქადაგებელი, მისიონერი და ერთ-ერთი პირველი თეოლოგი ქრისტიანობის ისტორიაში. თავი მოკვეთეს რომში. მართლმადიდებელი ეკლესია პეტრესა და პავლეს დღესასწაულს 12 ივლისს აღნიშნავს.

ლორენ აისლი: შეუპოვარი არსება

- *რალფ უოლდო ემერსონი* (1803–1882) – ამერიკელი ესეისტი, პოეტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე. ნაშრომით „ბუნება“ (1836) დასაბამი მისცა ამერიკულ ტრანსცენდენტურ-ლიტერატურულ მოძრაობას.
- *ჰენრი დევიდ თორო* (1817–1862) – ამერიკელი მწერალი, მოაზროვნე, ნატურალისტი, საზოგადო მოღვაწე და აბოლიციონისტი.
- *უისტენ ჰიუ ოდენი* (1907–1973) – ანგლო-ამერიკელი პოეტი. პულიცერის პრემიის ლაურეატი (1948).
- *რეი ბრედბერი* (1920–2012) – ამერიკელი მწერალი. მას ეკუთვნის ნაწარმოებები სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის ჟანრში.

- *ჯორჯ ბერნარდ შოუ* (1856–1950) – ირლანდიელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1925).
- *ჩარლზ რობერტ დარვინი* (1809–1882) – ინგლისელი ნატურალისტი და მოგზაური, რომელმაც შექმნა მოძღვრება ბუნებრივი გადარჩევის გზით ორგანიზმთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ (ევოლუციის თეორია).
- *ალფრედ რასელ უოლესი* (1823–1913) – ინგლისელი ნატურალისტი, მოგზაური, გეოგრაფი, ბიოლოგი და ანთროპოლოგი.
- *ჯონ ბეროუზი* (1837-1921) – ამერიკელი ნატურალისტი და ესეისტი.

ერვინ შროდინგერი: დეტერმინიზმისა და ნებისყოფის თავისუფლებისათვის

- *თრინითი კოლეჯი* - 1592 წელს დააარსა ელისაბედ I-მა, ირლანდიის უძველესი და ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი.
- *უპანიშადები* - რელიგიურ-ფილოსოფიური ძველი ინდური ტრაქტატები, რომლებიც ვედების ნაწილს წარმოადგენს. უპანიშადები ძირითადად მოგვითხრობს ღმერთის ბუნებისა და მედიტაციის შესახებ, აღწერილია აბსოლუტური ჭეშმარიტების უპიროვნო ასპექტი.
- *ვედანტა* – ინდუიზმის ექვსი ორთოდოქსული სკოლიდან ერთერთი. ვედანტა ასევე საერთო სახელწოდებაა ინდუიზმის მთელი რიგი ფილოსოფიურ-რელიგიური ტრადიციებისა.
- *მაია* (სანსკ. „ილუზია“) – ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრადიციაში წარმოადგენს განსაკუთრებულ ძალას ან ენერგიას, რომელიც სამყაროს ჭეშმარიტ ბუნებას საბურველში ახვევს და იმავდროულად სამყაროს მრავალფეროვან გამოვლინებას უზრუნველყოფს.
- *იმანუელ კანტი* (1724–1804) – აღორძინების ხანის გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი.

კარლ დასპერსი: მომავლის პრობლემა

- *ალექსის დე ტოკვილი* (1805–1859) – ფრანგი პოლიტიკური მოღ-

ვაწე, პუბლიცისტი და ისტორიკოსი. ტოკვილი ითვლება შედარებითი პოლიტოლოგიის დამაარსებლად.

- *იაკობ კრისტოფ ბურკჰარდტი* (1818-1897) – შვეიცარიელი კულტურის ისტორიკოსი, ევროპის ხელოვნების ისტორიკოსი და კულტუროლოგიის, როგორც დისციპლინის, დამაარსებელი.
- *ადოლფ ჰიტლერი* (1889-1945) – 1933 წლიდან ნაციონალურ-სოციალისტური გერმანიის რაიხსკანცლერი, 1934 წლიდან გერმანიის ფიურერი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. II მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის ინიციატორი.

ნიკიტა მოისეევი: აკრძალული ზღვარის პრობლემა

- *კარლ ედვარდ საგანი* (1934–1996) – ამერიკელი ასტრონომი, ასტროფიზიკოსი, კოსმოლოგი და მეცნიერების პოპულარიზატორი.
- *ნოოსფერო* - გონების სფერო (ბერძნ.) – საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების სფერო, რომლის საზღვრებშიც ადამიანის გონითი ქმედება კაცობრიობის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება.

მაქს ვებერი: მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია

- *ჰერმან ჰელმჰოლცი* (1821–1894) – გერმანელი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი. მრავალმხრივი მეცნიერი, ბუნებისმეტყველი, „ფიზიკის რაიხსკანცლერად“ წოდებული.
- *იულიუს რობერტ მაიერი* (1814–1878) – გერმანელი ექიმი და ფიზიკოსი, თერმოდინამიკის პირველი კანონის ავტორი.
- *რუდოლფ იერინგი* (1818–1892) – გერმანელი იურისტი.
- *კარლ თეოდორ ვაიერშტრასი* (1815–1897) – გერმანელი მათემატიკოსი.

პაველ კოპნინი: ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა

- *ლუი დე ბროილი* (1892–1987) – ფრანგი ფიზიკოს-თეორეტიკო-

სი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში (1929).

- *მარსელ რაფაელ კოენი* (1884–1974) – ფრანგი ენათმეცნიერი, ავტორი შრომებისა სემიტური ენების, დამწერლობის ისტორიისა და სოციოლინგვისტიკის შესახებ.
- *ჯორჯ პოია (პოლია)* (1887-1985) – უნგრელი მათემატიკოსი, მოღვაწეობდა შვეიცარიაში და აშშ-ში.
- *ანრი კემანი* (1825–1871) – ბელგიელი ბოტანიკოსი და მიკოლოგი.

ვერნერ ჰაიზენბერგი: ენა

- *სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტი* – დაარსდა შოტლანდიაში 1410–1413 წლებში; დაარსების თარიღის მიხედვით, რიგით მესამე, უძველესი უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში.
- *კარლ ფრიდრიხ ვაიცზეკერი* (1912–2007) – გერმანელი ფიზიკოსი, ფილოსოფი და მკვლევარი მშვიდობის საკითხებში.
- *სოკრატე* (ძვ.წ. 470–399) – ბერძენი ფილოსოფოსი.

ოსიპ მანდელშტამი: სიტყვა და კულტურა

- *ჟაკ ლუი დავიდი* (1748–1825) – ფრანგი მხატვარი, ფრანგული ნეოკლასიციზმის ფუძემდებელი.
- *მაქსიმილიან რობესპიერი* (1758-1794) – დიდი ფრანგული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, იაკობინელების მეთაური.
- *პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი* (ძვ.წ. 43–ახ.წ. 17) – რომაელი პოეტი.
- *ალექსანდრ პუშკინი* (1799–1837) – რუსი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი. პუშკინს მიაწერენ თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის შექმნას.
- *გაიუს ვალერიუს კატულუსი* (ძვ.წ. დაახლ. 87–54) – ციცერონისა და იულიუს კეისრის ეპოქის ძველი რომის სახელგანთქმული პოეტი.
- *ტრისტიები* – ოვიდიუსის მიერ რომიდან დევნილობისას დაწერილი ელეგიური წერილები.
- *გავრიილ დერჟავინი* (1743–1816) – რუსი პოეტი.

- *კონსტანტინ ლეონტიევი* (1831–1891) – რუსი დიპლომატი, ფილოსოფოსი, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი.
- *წმინდა მოციქული თომა* – ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი, თომა მოციქული გამოირჩეოდა სკეპტიკურობით.
- *გლოსალალია* (ბერძნ.) – უაზრო სიტყვებისა ან სიტყვათშეთანხმებებისგან შემდგარი ლაპარაკი, რომელიც რამდენიმე ნიშნით (ტემბრი, რიტმი, დამარცვლა, სტრუქტურა) წააგავს გააზრებულ მეტყველებას; უამრავი ნეოლოგიზმითა და არასწორად აგებული ფრაზებით დატვირთული საუბარი.
- *ემილ ვერჰარნი* (1855–1916) – ბელგიელი ფრანგულენოვანი პოეტი, სიმბოლისტი.
- *პოლ მარი ვერლენი* (1844–1896) – ფრანგი პოეტი, ლიტერატურული იმპრესიონიზმის ფუძემდებელი, სიმბოლისტი.

ოსიპ მანდელშტამი: გამოხდომა

- *ვლადიმირ მაიაკოვსკი* (1893–1930) – საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი, დრამატურგი, რუსული ფუტურიზმის ფუძემდებელი.
- *ველიმირ ხლებნიკოვი* (ნამდვილი სახელი ვიქტორი, 1885–1922) – რუსი პოეტი და პროზაიკოსი, რუსული ავანგარდული ხელოვნების წარმომადგენელი, ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პოეტური ენის რეფორმატორი.
- *ნიკოლაი ასეევი* (ნამდვილი გვარი – შტალბაუმი, 1889–1963) – რუსი პოეტი, სცენარისტი, რუსული ფუტურიზმის წამომადგენელი, მაიაკოვსკისა და პასტერნაკის მეგობარი.
- *ვიაჩესლავ ივანოვი* (1866–1949) – რუსი პოეტი-სიმბოლისტი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი.
- *ფიოდორ სოლოგუბი* (ნამდვილი გვარი – ტეტერნიკოვი, 1863–1927) – რუსი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო წამომადგენელი.
- *ანა ახმატოვა* (1889–1966) – რუსი პოეტი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი.
- *ბორის პასტერნაკი* (1890–1960) – რუსი პოეტი და მწერალი, ნო-

ბელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1958).

- *ნიკოლაი გუმილიოვი* (1886–19210) – რუსი პოეტი, აკმეიზმის სკოლის ფუძემდებელი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მოგზაური.
- *ჰოტენტოტები* – ეთნოსი სამხრეთ აფრიკაში. სამხრეთი და ცენტრალური ნამიბიის მაცხოვრებლები.
- *„Весы“* (რუს. „სასწორი“) - სამეცნიერო-ლიტერატურული და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ყოველთვიური ჟურნალი, გამოიცემოდა მოსკოვში 1904–1909 წლებში ვ. ბრიუსოვის რედაქტორობით, წარმოადგენდა რუსი სიმბოლისტების მთავარ ბეჭდვით ორგანოს.
- *„Шиповник“* (რუს. „ასკილი“) – 1906–1918 წლებში მოქმედი, ზ. გრჟებინის მიერ დაარსებული გამომცემლობა, რომელიც ამავე სახელწოდების ალმანახებს გამოსცემდა 1907–1917 წლებში.

იუჯინ ნაიდა: თარგმნის ხელოვნებისათვის

- *დანტე გაბრიელ როზეტი* (1828–1882) – ინგლისელი პოეტი, ილუსტრატორი, მხატვარი და მთარგმნელი.
- *ჯოზეფ ჰილარი ბელოკი* (1870–1953) – ორენოვანი (ინგლისური, ფრანგული) მწერალი და ისტორიკოსი. იგი ასევე ცნობილი იყო როგორც ორატორი, პოეტი და პოლიტიკური აქტივისტი.
- *ვლადიმერ პროხაზკა* – ჩეხი მთარგმნელი, რედაქტორი, მოღვაწეობდა მეოცე საუკუნეში.
- *ჯეკსონ მეთიუზი* (1907–1978) – ამერიკელი პოეტი, მთარგმნელი და მეცნიერი.
- *რიჩმონდ ალექსანდერ ლატიმორი* (1906–1984) – ამერიკელი პოეტი და მთარგმნელი, განსაკუთრებით ცნობილი „ილიადასა“ და „ოდისეას“ საუკეთესო თარგმანებით.
- *უილიამ ა. კუპერი* (1868–1939) – ამერიკელი მთარგმნელი, პედაგოგი, ლიტერატორი.
- *ემილ ვიქტორ რიუ* (1887–1972) – ბრიტანელი კლასიკოსი, გამომცემელი და პოეტი. წიგნების ცნობილი სერიის Penguin Classics დამაარსებელი და რედაქტორი.

- *ლეონარდ ფორსტერი* (1913–1997) – გერმანელი ენათმეცნიერი, მუშაობდა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.
- *ჩარლზ ვილფრიდ ორი* (1893–1976) – ინგლისელი კომპოზიტორი.
- *ოლივერ ედვარდსი* – ბრიტანელი ჟურნალისტი, ავტორი სტატიების კრებულისა „საუბრები წიგნებზე".
- *ჯორჯ კემპბელი* (1719–1796) – შოტლანდიელი ფილოსოფოსი, თეოლოგი. მუშაობდა სამი ძირითადი მიმართულებით: ენა, თეოლოგია და რიტორიკა.
- *მაქსიმილიან (მაქს) ბირბომი* (1872–1956) – ინგლისელი ესეისტი, პაროდისტი და კარიკატურისტი.
- *ედგარ გუდსპიდი* (1871–1962) – ამერიკელი თეოლოგი, ახალი აღთქმისა და ბერძნული ენის მკვლევარი. სახელი გაითქვა ბიბლიის თარგმანებით.
- *ჯონ ბერტრამ ფილიპსი* (1906–1982) – ბიბლიის მთარგმნელი, მწერალი და მღვდელი.

ალექსეი ლოსევი: სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე

- *ნეოპლატონიზმი* - III–VI სს. ანტიკური ფილოსოფიის იდეალისტური მიმდინარეობა, აერთიანებს პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის, ასევე აღმოსავლური სწავლების ელემენტებს.
- *იოჰან გოტლიბ ფიხტე* (1762–1814) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული იდეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.
- *იოანე პეტრიწი* – XI–XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი. მის მიერ თარგმნილი „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი" უძველეს თარგმანად ითვლება პროკლეს თხზულების მსოფლიოში ცნობილ თარგმანთა შორის.

ალექსეი ლოსევი: წინასწარდადგინებული ჰარმონიის ესთეტიკა (გვიანი ელინიზმი)

- *აზა ტახო-გოდი* (დ. 1922) – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალექსეი ლოსევის მეუღლე.

ალექსეი ლოსევი: დუმილი

- *სექსტუს ავრელიუსი* – IV საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, ავტორი ისტორიული თხზულებისა „წიგნი კეისართა შესახებ“, სადაც აღწერილია რომაელი იმპერატორების ცხოვრება.

მორის ბოურა: „ვეფხისტყაოსანი“

- *გურამ ასათიანი* (1928–1982) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, (გურამ ასათიანი, სათავეებთან, 1982).
- *თემურლენგი* (ტამერლანი) (1336–1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405) – თემურლენგმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა, სამხრეთ და დასავლეთ აზიის, ასევე კავკასიის, ვოლგისპირეთისა და რუსეთის ისტორიაში. თიმურიდების იმპერიისა და დინასტიის დამაარსებელი.
- *პანეგირიკი* – ანტიკურ ხანაში წარმოშობილი ლიტერატურული ჟანრი, რომელიც ვინმეს გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სახოტბო სიტყვას წარმოადგენდა. უხვადაა შუა საუკუნეების ქართულ საკარო პოეზიაში. პანეგირიკის თანამედროვე მნიშვნელობაა ვისიმე დაუმსახურებელი, გაზვიადებული ქება-დიდება.
- *ნიზამი განჯელი* (1141–1203/1209) – სპარსული ეპიკური ლიტერატურის რომანტიკოსი პოეტი.
- *ლეილმეჯნუნიანი* – ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის (1589–1663) მიერ გადმოქართულებული ნიზამი განჯელის 1188 წელს დაწერილი პოემა ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულის შესახებ, რომელიც ავტორმა VII საუკუნის ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიის მოტივებზე დაწერა.
- *ბარამგურიანი* – ნოდარ ციციშვილის მიერ გადმოქართულებული (1655–1656) ნიზამი განჯელის 1197 წელს დაწერილი პოემა, რომელშიც მოთხრობილია ირანის სასანელი მეფის ვაჟის - ბაჰრამგურის (421–438) თავგადასავალი.
- *კატრენი* – ოთხტაეპიანი ლექსი, დასრულებული აზრის მქონე ოთხტაეპედი. სტროფის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომ-

ლისთვისაც დამახასიათებელია რამდენიმე ტიპის რითმა.

- AAAA – მოსაზღვრე, ანუ პარალელური რითმა, რომლის სქემაა AA (წყვილადი რითმა) ან AAAA (კატრენი).
- *„სიმღერა ნიბელუნგებზე“* – შუა საუკუნეების გერმანული საგმირო ეპოსი, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სავარაუდოდ ერთი, უცნობი ავტორის მიერ შუა ზემოგერმანულ ენაზე.
- *ფირდოუსი* (დაახლ. 940–1020) – სპარსელი პოეტი, ეპიკური პოემის „შაჰნამეს“ („მეფეთა წიგნი“) ავტორი.
- *არნო დანიელი* (დაახლ. 1150–1200/1210) – პროვანსელი ტრუბადური.
- *პიეტრო დელა ვინჲა* (1190–1249) – იტალიელი იურისტი და დიპლომატი, მოხსენიებულია დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“.
- *ვოლფრამ ფონ ეშენბახი* (დაახლ. 1160/80–1220) – გერმანულენოვანი პოეტი, ეპიკური ნაწარმოებების ავტორი, მინეზინგერი.
- *„შაჰნამე“* („მეფეთა წიგნი“) – სპარსული ლიტერატურის ძეგლი, ირანული ეროვნული ეპოსი. „შაჰნამე“ მოგვითხრობს ირანის ისტორიაზე უძველესი დროიდან ისლამის შემოსვლამდე VII საუკუნეში. ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფირდოუსის ეპოპეა (976–1011).
- *„ხოსროვ და შირინი“* – დაახლ. 1200 წელს ნიზამი განჯელის მიერ შექმნილი ეპოსი. პოემა ასახავს სასანიდების დინასტიის შაჰინშაჰის ხოსროვ II-ისა და ქრისტიანი შირინის სიყვარულის ისტორიას.
- *პროკლე დიადოხი* (412–485) – ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი, პლატონისეული აკადემიის ხელმძღვანელი.
- *პორფირიოსი* (დაახლ.: 232–304/306) – ანტიკური ხანის ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, მუსიკის თეორეტიკოსი, ასტროლოგი, მათემატიკოსი. პლოტინის მოსწავლე და მისი ჟამთაღმწერელი.
- *ენეოს ღაზელი* (V საუკუნის მიწირული) – ნეოპლატონიკოსი, ქრისტიანი ფილოსოფოსი, 25 წერილისა და თხზულების „თეოფრასტე ანუ სულის უკვდავებისა და აღდგომის შესახებ“ ავტორი.
- *ფსევდოდიონისე არეოპაგელი* – მიაწერენ „არეოპაგიტული კორ-

პუსის“ ავტორობას. შალვა ნუცუბიძისა და ერნესტ ჰონიგმანის ჰიპოთეზის თანახმად ფსევდოდიონისე V საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი უნდა იყოს.

- *გილგამეშის ეპოსი* – ასურულ-ბაბილონური (აქადური) ლიტერატურის ძეგლი, დღეისთვის ცნობილი პირველი ეპოსი მსოფლიო მწერლობაში. საფუძვლად დაედო ძველი შუმერული თქმულებები ურუქის დინასტიის მეფის გილგამეშის შესახებ (ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი).
- *ოდისეა* – ჰომეროსის (ძვ.წ დაახლ. VII ს.) 24 სიმღერისგან შემდგარი ეპიკური პოემა, ბერძნული ლიტერატურის უძველესი ნიმუში, რომელიც მოგვითხრობს ოდისევსის თავგადასავალს.
- *ამირანი* – ქართული მითოსისა და ეპოსის გმირი, ამირანის შესახებ თქმულებები მოიძებნება საქართველოს ყველა კუთხეში, ქართული ენის ყველა დიალექტზე. ამირანი ქალღმერთი დალის და მოკვდავი უცნობი მონადირის შვილია. მისი სახე გვხვდება ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებში.
- *აბდულ-მესია* – ძველი ქართული ლიტერატურის ეპიკური ძეგლის, იოანე შავთელის სახოტბო ოდების კრებულის „აბდულმესიანის“ გმირი.
- *დილარგეთი* – XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მწერლის, მეცნიერისა და ფილოსოფოსის - სარგის თმოგველის სათავგადასავლო პოემის „დილარგეთიანის“ („დილარიანი“) გმირი. ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია.
- *დანტე ალიგიერი* (1265–1321) – იტალიელი მწერალი, პოეტი ფლორენციიდან. მისი პოემა „ღვთაებრივი კომედია“ აღიარებულია მსოფლიო ლიტერატურის შედევრად.
- *ჟოფრე რუდელი* II (1100–1148) – პროვანსელი ტრუბადური.
- *იბნ ზაიდუნი* (1003–1071) – დიდი ანდალუსიელი პოეტი, სახელი გაითქვა სასიყვარულო ლირიკით, რომელიც პროვანსელი ტრუბადურების პოეზიას ჩამოგავს. მისი პოემები სირიის სკოლების სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაშია. ლექსების უმეტესობა

პრინცესა ვალადასადმია მიძღვნილი.

- *პრინცესა ვალადა* (1011–1091) – ხალიფა აბდ ალ-რაჰმან III-ის ქალიშვილი კორდობადან, პოეტი ქალი. სილამაზითა და სასახლის კარზე გახსნილი ლიტერატურული სალონით სახელგანთქმული.
- *არტურის ლეგენდა* – არტურიანა, არტურის ციკლი, იგივე ბრიტანული მითი - ლეგენდების ციკლი კელტურ და ბრიტანეთის კუნძულების ისტორიაზე, მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ. მეფე არტური - ბრიტების ლეგენდარული წინამძღოლი V–VI სს., ბრიტანული ეპოსისა და სარაინდო რომანების ცენტრალური გმირი.
- *ტრისტანი და იზოლდა* – XII საუკუნის სარაინდო რომანის ლეგენდარული გმირები.
- *ლანსელოტი* – არტურის ციკლის სარაინდო ლეგენდების გმირი, მრგვალი მაგიდის რაინდი.
- *ჯინევრა* – იგივე გვინევრა, მეფე არტურის მეუღლე, შუა საუკუნეების კურტუაზული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე.
- *გარენ ლე ლორენი* – XII საუკუნის საგმირო ეპოსი (საგების ერთობლიობა) – რომლის მთავარი გმირია შუა საუკუნეების გმირი გარინი – ლორენის ჰერცოგი.
- *ზიგფრიდი* – გერმანული საგმირო ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგებზე“ ტრაგიკული გმირი.
- *ბრუნჰილდე* – ბურგუნდიის მეფის, გიუნტერის მეუღლე, გერმანული საგმირო ეპოსისა და გერმანულ-სკანდინავური მითოლოგიის გმირი. მისი სახელი გვხვდება „უფროს ედაში“, ასევე ეპოსში „ვალკირია“ („სიმღერა ნიბელუნგებზე“ სკანდინავური ვარიანტი).
- *გავაინი* – მრგვალი მაგიდის რაინდი, არტურიანას (არტურის ციკლი) ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი.
- *გილიომ დე ლორისი* (დაახლ. 1200–1238) – ფრანგი ტრუვერი (ტრუბადური) – ცნობილი „ვარდის რომანის“ პირველი ნაწილის ავტორი. მას ეკუთვნის პოემის დაახლოებით 4000 ტაეპი.
- *„ვარდის რომანი“* – ფრანგული ალეგორიული ხასიათის XIII სა-

უკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფრანგული პოემა. პოემის პირველი ნაწილის ავტორია გილიომ დე ლორისი, ხოლო მეორე ნაწილი ეკუთვნის ჟან დე მენს.

- *მატეო მარია ბოიარდო* (1441-1494) – აღორძინების ხანის იტალიელი პოეტი და მთარგმნელი.
- *ლუდოვიკო არიოსტო* (1474-1533) – აღორძინების ხანის იტალიელი ჰუმანისტი, სამხედრო პირი, პოეტი და დრამატურგი.
- *ალიშერ ნავოი* (1441–1501) – შუააზიელი პოეტი, სუფისტი, სახელმწიფო მოღვაწე. სპარსულ ენაზე წერდა ფსევდონიმით ფანი, ხოლო ძველუზბეკურ ენაზე – ნავოის ფსევდონიმით.
- *„ფარჰად და შირინი“* – ალიშერ ნავოის მიერ 1484 წელს შექმნილი ეპიკური პოემა, რომლის სიუჟეტი ნიზამი განჯელმა დაამუშავა.
- *არიმანი* – ზოროასტრული თეოლოგიის მიხედვით დამანგრეველი და ბოროტი საწყისი.
- *სორდელო* (1200/20–1269/70) – ტრუბადური, მანტუანელთა ცნობილი გვარის წარმომადგენელი. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მოქმედი პირი.
- *ჰაფიზი* (1320–1389) – (არაბულად–ჰაფიზი, სპარსულად–ჰაფეზი) – სპარსი პოეტი შირაზიდან, სუფი, მსოფლიო ლიტერატურის ლირიკოსი.
- *ფლავიუს კლავდიუს ივლიანე განდგომილი* (331–363) – რომის იმპერატორი 360–363 წლებში, რწმენის თავისუფლების გამოცხადებით განუდგა ქრისტიანობას და სცადა კერპთაყვანისმცემლობის აღორძინება.
- *ენქიდუ* – გილგამეშის ეპოსის ერთ-ერთი მთავარი გმირი, გილგამეშის მეგობარი, ძმადნაფიცი და ასევე მეტოქე.
- *აქილევსი* – ბერძნულ მითოლოგიაში უვნებელი გმირი, ტროას ომის გმირი და ჰომეროსის „ილიადას“ პერსონაჟი.
- *პატროკლე* - ტროას ომის მებრძოლი, ჰომეროსის „ილიადას“ პერსონაჟი, აქილევსის მეგობარი.
- *როლანდი* - კარლოს დიდის (747–814) ეპოქის ეპიკური ციკლის გმირი.

- *ოლივერი* – XI-XII საუკუნეების ფრანგული სარაინდო ეპოსის „სიმღერა როლანდზე" გმირი, როლანდის მეგობარი, მრჩეველი და მესაიდუმლე.
- *ევმეოსი* – ჰომეროსის „ოდისეას" პერსონაჟი, ოდისევსის ერთგული მონა, ღორების მწყემსი.
- *ევრიკლეა* - ჰომეროსის „ოდისეას" პერსონაჟი, ოდისევსის ძიძა.
- *ტელემაქე* - ჰომეროსის „ოდისეას" პერსონაჟი, ოდისევსისა და პენელოპეს შვილი.
- *მჰერი* – ძველ სომხურ მითოლოგიაში მზის, სინათლისა და სამართლიანობის ღმერთი. ასევე სომხური ეპოსის პერსონაჟები: უფროსი მჰერი და უმცროსი მჰერი.
- *ბურლესკი* (ფრ. Burlesque, იტალიურიდან burla - ხუმრობა) – აღორძინების ხანაში აღმოცენებული სახუმარო პოეზიის ნაირსახეობა.
- *ატლი (ატლამალ)* – ისლანდიური, შუა საუკუნეების ეპოსის „მაღალი ედას" გმირი, იგივე ეტცელი - გერმანული ეპოსიდან „სიმღერა ნიბელუნგებზე". ორივე გმირის პროტოტიპია ჰუნების მეფე ატილა.
- *გუნარი* – ისლანდიური საგმირო ეპოსის „მაღალი ედა" და გერმანული საგმირო ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგებზე" (გუნტერი) პროტაგონისტი, რომელთა პროტოტიპია ბურგუნდების წინამძღოლი გუნდაჰარი.

სერგო ქობულაძე: ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ (მოკლე მიმოხილვა)

- *მარკუს ვიტრუვიუსი* (ძვ. წ. I საუკუნის II ნახ.) – რომაელი არქიტექტორი, ინჟინერი, არქიტექტურის თეორეტიკოსი.
- *ნიკოლაი ბრუნოვი* (1898-1971) – არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. სამეცნიერო ინტერესების სფერო: ანტიკური, ბიზანტიური და ძველი რუსული არქიტექტურა.
- *ერნსტ მესელი* (1881-1946) – გერმანელი არქიტექტორი, არქიტექტურის თეორეტიკოსი.
- *პითაგორელობა* – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, დაფუძნებულია პითაგორას მიერ ძველ საბერძნეთში VI-IV საუკუ-

ნეებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

- *ალექსანდრე მაკედონელი* (356-323) – ალექსანდრე დიდი, მაკედონიის მეფე, ლეგენდარული მხედართმთავარი.
- *სებასტიანო სერლიო* (1475–1554) – იტალიელი არქიტექტორი, გვიანი რენესანსისა და ფონტენბლოს სკოლის წარმომადგენელი.
- *ლეონ ბატისტა ალბერტი* (1404-1472) – იტალიელი ჰუმანისტი, მწერალი, მათემატიკოსი, ხელოვნებისა და არქიტექტურის თეორეტიკოსი, ასევე არქიტექტორი.
- *ექსემპედა* – ე.წ. ალბერტის ექსემპედა, ლეონ ბატისტა ალბერტის მიერ შემუშავებული მთლიანი ფიგურისა და მისი ნაწილების დეტალური საზომი სკალა, რომელიც იყოფა 600 ნაწილად – დუიმებსა და წუთებზე.
- *ლეონარდო და ვინჩი* (1452–1519) – აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, მხატვარი, მოქანდაკე, გამომგონებელი, ინჟინერი, ბუნებისმეტყველი, ანატომი და მუსიკოსი.
- *ალბრეხტ დიურერი* (1471–1528) – აღორძინების ხანის გერმანელი ფერმწერი, გრაფიკოსი, გრავიორი, ხელოვნების თეორეტიკოსი.
- *ნიკოს ხაძიკირიაკოს გიკასი* (1906–1994) – ბერძენი მხატვარი, გრავიორი, ხატმწერი, მოქანდაკე და ხელოვნებათმცოდნე.
- *ლუკა პაჩიოლი* (1445–1517) – იტალიელი მათემატიკოსი, ფრანცისკანელთა ორდენის წარმომადგენელი, ბუღალტერიის თანამედროვე პრინციპების ფუძემდებელი.
- *იოჰანეს კეპლერი* (1571–1630) – გერმანელი ასტრონომი და მათემატიკოსი, თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფუძემდებელი, XVII საუკუნის ასტრონომიული რევოლუციის საკვანძო ფიგურა.
- *პითაგორა* (ძვ.წ. 570–510) – ანტიკური ხანის ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.
- *ევკლიდე ალექსანდრიელი* (ძვ.წ. 325–265) – ელინიზმის ეპოქის მათემატიკოსი ეგვიპტიდან. ევკლიდეს ეკუთვნის შრომები პერს-

პექტივის, კონუსური კვეთის, სფერული გეომეტრიისა და რიცხვთა თეორიის საკითხებზე.

- *ჯეი ჰემბიჯი* (1867–1924) ამერიკელი მკვლევარი არქიტექტურის დარგში, შეიმუშავა „დინამიკური სიმეტრიის“ თეორია.
- *მატილა კოსტესკო გიკა* (1881-1965) – რუმინელი მწერალი, მათემატიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და დიპლომატი.
- *გერმან გრინი* (1905–1959) – არქიტექტორი, არქიტექტურის ისტორიკოსი.
- *ივან ჟოლტოვსკი* (1867–1959) – რუსი არქიტექტორი, მხატვარი, განმანათლებელი, მოსკოვის არქიტექტურაში რეტროსპექტივიზმის წარმომადგენელი.
- *გეორგ გიცესკუ* (1915–1978) – ბუქარესტის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი, რუმინეთში პლასტიკური ანატომიისა და ანთროპოლოგიის სკოლის დამფუძნებელი.
- *სტერეობატი* - (ბერძნ. სტერეო - მაგარი, მყარი, ბატეს – საყრდენი) – ძველრომაულ არქიტექტურაში მოცულობითი შემაღლებული ადგილი, რომელზედაც შენობა იგებოდა.
- *ფიბონაჩი* (1170–1250) – ლეონარდო პიზელის, შუა საუკუნეების იტალიელი მათემატიკოსის, ფსევდონიმი.

თამაზ ჩხენკელი: უჩინარი მთარგმნელები

- *სიმონ ჩიქოვანი* (1903–1966) – ქართველი პოეტი, 1944-1951 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1954–1960 წლებში ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი.
- *სარგის ცაიშვილი* (1929–1992) – ლიტერატურათმცოდნე, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი.

მაქს იაკობსონი: ასდღიანი ომი

- *ურჰო კალევა კეკონენი* (1900-1986) – ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ფინეთის მერვე პრეზიდენტი 1956–1982 წლებში.
- *ალექსანდრე II* (1818–1881) – რუსეთის იმპერატორი რომანოვე-

ბის დინასტიიდან, პოლონეთის მეფე და ფინეთის ჰერცოგი 1855–1881 წლებში, ნიკოლოზ I-ის შვილი.

- *ნიკოლოზ II* (1868–1918) – რუსეთის ბოლო იმპერატორი რომანოვების დინასტიიდან (1894–1917) – პოლონეთის მეფე, ფინეთის დიდი ჰერცოგი. მისი მმართველობა 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციით დასრულდა. ნიკოლოზ II თავის ოჯახთან ერთად ბოლშევიკებმა დახვრიტეს.
- *ვლადიმირ ლენინი* (ნამდვილი გვარი – ულიანოვი) (1870–1924) – რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფუძემდებელი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელძღვანელი, ისტორიაში უდიდესი სოციალისტური პარტიის დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი.
- *იოსებ სტალინი* (ნამდვილი გვარი – ჯუღაშვილი) (1878–1953) – 1922-1953 სსრკ-ის მეთაური, დიქტატორი, რევოლუციონერი, სამხედრო და პარტიული მოღვაწე; საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; მარქსიზმ-ლენინიზმის თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი.
- *იუჰო კუსტი პაასიკივი* (1870–1956) – ფინელი პოლიტიკური მოღვაწე, ფინეთის პრემიერ-მინისტრი (1918; 1944); ფინეთის მეშვიდე პრეზიდენტი (1946–1954).
- *ფრანკლინ დელანო რუზველტი* (1882–1945) – აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიიდან (1933–1945) – აშშ-ის ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც ორ ვადაზე მეტჯერ იმყოფებოდა პრეზიდენტის პოსტზე, იგი ოთხჯერ აირჩიეს.
- *ვიაჩესლავ მოლოტოვი* (ნამდვილი გვარი – სკრიაბინი) – (1890–1986) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სახალხო კომისარი (1930–1941) – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1939–1949; 1953–1956).
- *ჰანკო* – ნახევარკუნძული ფინეთის სამხრეთ-დასავლეთით, ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე. 1940 წელს, ზამთრის ომის

შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ფინეთისგან 30 წლით იჯარით მიიღო ნახევარკუნძულის სამხრეთის მხარე ქალაქ ჰანკოსთან ერთად სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად. საბჭოთა ბაზამ მხოლოდ 1941 წლამდე იარსება.

- *ვიაინე ალფრედ ტანერი* (1881–1966) – ფინელი სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ფინეთის პრემიერ-მინისტრი (1926–1927).
- *ელიას ერკო* (1895–1965) – ფინელი პოლიტიკოსი და დიპლომატი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1938-1939).
- *კარელიის ყელი* – ხმელეთის ნაწილი ფინეთის ყურესა (ბალტიის ზღვა) და ლადოგის ტბას შორის.
- *ოტო ვილე კუუსინენი* (1881–1964) – ფინელი და საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი.
- *ვიბორგის გუბერნია* – 1831 წელს ნიკოლოზ I-მა ფინეთი დაყო 12 პროვინციად. მეცამეტე – ვიბორგის პროვინციის ანექსირება მოხდა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ფინეთ-რუსეთის ომის დროს.
- *კარლ გუსტავ მანერჰაიმი* (1867–1951) – ფინეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ფინეთის არმიის კავალერიის გენერალი (1917), სამხედრო მარშალი (1933), ფინეთის მარშალი (1942), ფინეთის პრეზიდენტი (1944-1946).

მთარგმნელის შესახებ

თამაზ ჩხენკელი - პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, მკვლევარი დაიბადა 1927 წლის 26 ნოემბერს თბილისში († 9.11.2010).

1952 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1958 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

წიგნად გამოცემული თარგმანები

1956: ბო ძიუ-ი – ლექსები
1960: რაბინდრანატ თაგორი – გიტანჯალი
1963: ბჰაგავატგიტა
1966: აღმოსავლური პოეზია
1966: უოტ უიტმენი – ბალახის ფოთლები
1967: დანტე ალიგიერი – ახალი ცხოვრება (ბაჩანა ბრეგვაძესთან ერთად)
1973: ინდური საგალობლები
1975: ჰომეროსი – ოდისეა (ზურაბ კიკნაძესთან ერთად)
1978: ალექსანდრ პუშკინი – მცირე ტრაგედიები
1978: ახალი ინდოეთის მოაზროვნეები
1983: დიდი და მცირე ვარსკვლავები
1993: ალექსეი ლოსევი – დუმილი
1996: ხორხე ლუის ბორხესი – ენიგმათა სარკე
2006: ინდური ლოტოსი
2006: ძველი ჩინური, იაპონური, კორეული პოეზია

ლექსები
1980: მზებუდობა
2002: სარკითა და სახითა
2012: თამაზ ჩხენკელის ასი ლექსი

ესეების კრებული
1978: პოეზია - სიბრძნის დარგი
1989: მშვენიერი მძლევარი
2002: მწვანე ბივრიტი

1971 წელს გამოქვეყნდა გამოკვლევა „ტრაგიკული ნიღბები“ (პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი ვაჟა-ფშაველას პოემებში).

2009 წელს გამოიცა ნაშრომების კრებული ქართული ასომთავრული ანბანის შესახებ – „ლაზარე, გამოვედ გარე“. წიგნში თავმოყრილია არასრული სია კვლევებისა ასომთავრული ანბანის გრაფიკულ და რიცხვულ ურთიერთშესაბამისობაზე, ასომთავრულის გეომეტრიულ სტრუქტურასა და მის ერთიან გრაფიკულ სისტემაზე.

თამაზ ჩხენკელი 1978 წლიდან არის ივანე მაჩაბლის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

2002 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება;

2003 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

2007 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ (ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის);

2008 წელს გახდა ილია ჭავჭავაძის მედლის მფლობელი (ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის);

2009 წელს მიენიჭა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი.